ცენზურა „სერიას“ ურძალავს!



ეგრეც ვიცოდი!

არა, „მოქალაქეთა კავშირის“ ლანძღვა-გინებაში ყველა ერთმანეთს ეჯიბრება და უკვე უზრდელობადაც ითვლება მასზე რაიმე კარგის თქმა, მით უმეტეს, რომ მიზეზიც, ღვთის მადლით, სანთლით საძებარი არ არის — დაწყებული „მილიონი სამუშაო ადგილიდან“, დამთავრებული „დემოკრატიისა და საბაზრო ეკონომიკისაკენ სვლის შეუქცევადი კურსით“...

მაგრამ გინებაც არის და გინებაც — გინება, როგორც კრიტიკის ერთ-ერთი „მეთოდი“, არგუმენტირებული უნდა იყოს! ე.ი. დაახლოებით ასე უნდა ითქვას: „მე ამ მთავრობის დედა, მამა და სხვა ახლო ნათესავები „ასე და ისე“, ვინაიდან და რადგანაც, პედაგოგებს ექვსი თვის ხელფასი არ მიუღიათ ზუგდიდში!“ ან „პარლამენტის კეთილ-კარგებში „მივიარ-მოვიარე!“ რამეთუ მან კვლავ გაუგრძელა რუს „მშვიდობისმყოფელებს“ აფხაზეთში ყოფნის ვადა!“ აი, ასე უნდა! და არა ისე, ზოგიერთმა ინტრიგანმა და პროვოკატორმა რომ იცის ხოლმე: „რა არი, რა ამინდია, მე ამათი...“ ან „გუშინ ისევ წავაგე ტოტალიზატორში, მე ამ მთავრობის...“



ერთი სიტყვით, სხვისი არ ვიცი და პირადად მე, უმიზეზოდ და უფაქტოდ თვით პრეზიდენტზეც კი არ დამცდენია აუგი. ამიტომაც არის, რომ სხვა ჟურნალისტებისგან განსხვავებით, ჩემთვის ჯერჯერობით არც მარჩენალი თითები გადაუმტვრევიათ, არც ღამე „დაუპადიეზდებიათ“ საცემრად და არც „ჭორების გავრცელების სამსახურს“ დაუბრალებია „ლაჟვარდისფრობა!“ აქედან გამომდინარე, დღესაც, ვის კრიტიკასაც (იგულისხმე — გინებას) ვაპირებ, არ უნდა ეწყინოს, იმიტომ, რომ „პრიჩინა მაქვს, ძმაო!“)

ახლა უკვე გეტყვით, რასაც ვგულისხმობდი პირველ ფრაზაში, — ეგრეც ვიცოდი-მეთქი, რომ ვთქვი: აგერ მესამე წელია, ავად თუ კარგად „ვპროვოკატორობდი“ და ჩემი „შემოქმედების“ ძირითადი „მუზა“, პარლამენტი,პარლამენტარები და საპარლამენტო სხდომების პერიპეტიები იყო — რა დალევდა საქილიკოსა და საღადაოს?! ჰოდა, წამოვწვებოდი „კუშეტკაზე“, ჩავრთავდი „II არხზე“ ტელევიზორს და „პროვოკაციებიც“ ცხვებოდა... არა, კი არის ნათქვამი, „დიდხანს სიცილი მერე, ტირილად იქცევაო“, „ერთი დრო, ვის შერჩენიაო“, სულმნათი აკაკიც ხომ ბრძანებდა: „...მაგრამ ხანგრძლივ ეს სოფელი, გაახარებს ვისმეს განა?..“ მაგრამ ღმერთი, რჯული, რამ დამიჩლუნგა ასე წინათგრძნობა, აზრზე არა ვარ — ერთი წუთითაც არ გამივლია გულში ეჭვი, რომ მალე ჩემს „გრიალს“ ბოლო მოეღებოდა!

თუმცა, ჩემი ეს თვითდაჯერება მთლად უსაფუძვლოც არ იყო: მსოფლიოს ყველა დროის დიქტატორის, ტირანისა თუ დესპოტის მმართველობის დროს, ისტორიის მანძილზე არსებული ყველა გაღლეტილი და გაუბედურებული ქვეყნის მოსახლეობისთვის, „უებარი წამალი“ ჰქონდათ გამზადებული მათ „მამა-მარჩენლებს“: „პური და სანახაობა!“ ამ ფორმულას თანაბარი წარმატებით იყენებდნენ რომის იმპერატორებიც, შუა საუკუნეების მონარქებიც, ფაშისტი დიქტატორებიც და კომუნისტი პარტოკრატებიც...

ჩვენთანაც ასეა, ყოველ შემთხვევაში — დღემდე ასე იყო: პური, ასე თუ ისე, არის — 14-ლარიანი პენსიაც კი ჰყოფნის კაცს, რომ დღეში ერთი პური იყიდოს. სანახაობას რაც შეეხება, რადგან კონცერტებსა და შოუებს (ეს ის „შოუ“ არ გეგონოთ) ყველა ვერ დაესწრებოდა ბილეთების სიძვირის გამო, აგერ მუქთი „სანახაობა“: დილის ცხრიდან საღამოს ცხრამდე (ხანდახან უფრო გვიანობამდეც) შოუ, სახელად „პარლამენტის სხდომა“, რომელშიც ყველაფერი იყო, რაც უნდა ჰქონდეს თანამედროვე სანახაობას: ინტრიგა, თავგადასავალი, სიყვარული, სიძულვილი, „ცისფერები“, „წითლები“, „შავები“, „მწვანეები“, ჩხუბი, ჭორი, ძირის გამოთხრა... მოკლედ, რაღა ეგ და რაღა — „მდიდრებიც ტირიან“, ოღონდ იმ განსხვავებით, რომ აქ უფრო მეტი სერიაა...

ტყუილად არავინ გამილანძღავს-მეთქი. მოდი ახლა და, ნურაფერს იტყვი „მოქალაქეთა კავშირის“ ნარჩენებზე და პირადად მოქალაქე ვიტალი ხაზარაძეზე!

მოქალაქე ხაზარაძევ! ვინ მოგცათ თქვენ უფლება, რომ პარლამენტის სხდომების ტრანსლირების აკრძალვას მოითხოვთ?!

ვინ დაგავალათ, ჩვენთვის — უბრალო მოკვდავთათვის ერთადერთი „სანახაობა“ თქვენი ხუშტურის გამო, მიუწვდომელი გახადოთ?!

„ხმელა პური“ (როგორც ცხონებული ბებიაჩემი ამბობდა), ვის ეყოფა?! ესაო, ისაო, ხალხში ავტორიტეტი გვეკარგებაო, მერე ერთმა ქალბატონმა, თუ რაც არის, კახეთიდან შეაშველა ხმა — „შრომის ნაყოფიერებაი, კაცო, შრომის ნაყოფიერებაი, მაიმატებს! ვენახ დაუბრუნდება ხალხი, ვენახსა!“. ერთი სიტყვით, ჭრიან და კერავენ, როგორც უნდათ — ვინ ფიქრობს ხალხზე და საწყალ „პროვოკატორზე“?! ჰოდა, რა გზა მრჩება? — უნდა გავაკეთო აკრედიტაცია პარლამენტში, ამდენ ხანს საგულდაგულოდ მალული ჩემი ვინაობა გავამჟღავნო და მერე თუ რამე წამომცდა მათზე, კბილებში კასტეტი უნდა მირტყან (ერთმანეთს არ ინდობენ და მე მომეფერებიან?). ამიტომ, როგორც აქამდე მჩვეოდა, სრულიად მიზეზიანად და საფუძვლიანად მივმართავ ჩემს უმუშევრად დატოვების ინიციატორებს:

„მოქალაქეთა კავშირო“ და მოქალაქე ხაზარაძევ! — მე თქვენი კეთილი... სურვილებისა არ მჯერა და მოვითხოვ „სანახაობის“ ხელუხლებლად დატოვებას! „მოქალაქეთა კავშირო“ და მოქალაქე ხაზარაძევ! — მე თქვენი კარგი... საქმე ჯერ არ მინახავს და კიდევ ერთ საძაგლობას ნუ დაამატებთ! „მოქალაქეთა კავშირო“ და მოქალაქე ხაზარაძევ! — მე თქვენი დედა... არა ვარ, რომ ყველაფერი გაპატიოთ და ამიტომ, ვერ გავჩუმდები! „მოქალაქეთა კავშირო“ და მოქალაქე ხაზარაძევ! — ბოლოს და ბოლოს, წადით, თქვენი... „მოღვაწეობით“ გაუბედურებული ხალხი ნახეთ და იქნებ მიხვდეთ, რომ აწი აზრი არა აქვს ტრანსლაციის აკრძალვას, უკვე ყველაფერი იციან თქვენზე!!!

P.S. გუშინწინ ძალიან მაგარი „სერია“ იყო: ხუთი სერიის წინ რომ ერთმა მეორეს უჯიკა, ახლა იმ მეორემ ძმაკაცები მიიყვანა პარლამენტში, ის პირველი ტუალეტში შეიყვანა და „პირი საპროთეზოდ გაუმზადა“. სხვათა შორის, ამბობენ, იმ „მეორეს“ აღარ უნდოდა „სერიალში“ მონაწილეობა და „სპეცომ გაიჩალიჩაო“. არადა, მაგ დალოცვილს, თუ ეგრე უნდოდა, ბარემ თავისი „უფროსი“ ეცემა, მადლი იყო...

პროვოკატორი

ცისკარიშვილი წუხს, მაგრამ მაინც იმუქრება

ის, რაც 19 ნოემბერს პარლამენტში მოხდა, გამოცხადებული სისხლის ღვრის ქრონიკას ჰგავდა. პეტრე ცისკარიშვილი „ახალ მემარჯვენეებთან“ ხმაურიანი შეხლა-შემოხლის შემდეგ, ხმამაღლა აცხადებდა, რომ შეურაცხყოფას არავის აპატიებდა და შურს იძიებდა. დაპირისპირებული მხარეების (ამ შემთხვევაში, პეტრე ცისკარიშვილის და დავით კერესელიძის) საბოლოო შერიგება ვერ მოხერხდა.

მათ შორის მომხდარი ინციდენტიდან ორი დღის შემდეგ, ცისკარიშვილი მიდის დავით კერესელიძესთან, ბოდიშს უხდის მომხდარის გამო და შერიგებას სთხოვს. მოწინააღმდეგეები ერთმანეთს ხელს ართმევენ, მაგრამ მოულოდნელად, ცისკარიშვილს ისევ ღალატობს ნერვები. თვითმხილველების განცხადებით, კერესელიძეს მოულოდნელად სახეში მუშტს არტყამს და სირბილით ტოვებს პარლამენტის შენობას. ამის შემდეგ, დეპუტატებში დადის მოარული ხმა, რომ ცისკარიშვილი შურისძიებას უპირებს ყველა იმ პირს, ვინც მას „ლოყაზე ბასრი იარაღით პორჭყნიდა“, იმავე მეთოდით აპირებს გაუსწორდეს. 19 ნოემბერს ცისკარიშვილის პირველი მსხვერპლი დეპუტატი დავით საგანელიძე აღმოჩნდა. როგორც აცხადებენ, მას სჭირდება საზღვარგარეთ მკურნალობა. ცისკარიშვილი ამჯერად უკვე ამბობს, რომ წუხს მომხდარის შესახებ, მაგრამ მკურნალობის ხარჯების გაღებას არ აპირებს.

პეტრე ცისკარიშვილი:

— მომხდართან დაკავშირებით ძალიან ვწუხვარ. მე არ მინდოდა, რომ საგანელიძისთვის ზიანი მიმეყენებინა, მაგრამ ნუ დაგავიწყდებათ, რომ ჯერ მან და მისი ფრაქციის წევრებმა მომაყენეს შეურაცხყოფა, მათ ერთად გამიყვანეს დარბაზიდან, მიმიწყვდიეს კუთხეში და სახე დამისერეს. დღესაც მეტყობა სახეზე ნაიარევი. ამის გამო მე არ ამიტეხავს პანიკა, თუმცა, მეც სერიოზული პრობლემები მქონდა — როგორც მორალური, ისევე ფიზიკური. თავზე ლაფი დამასხეს საჯაროდ და ამის შემდეგ, გაზეთებიდან მემუქრებოდნენ. ჩემთვის არის ჯერ ღირსება და მერე — პარტიულობა. მე მზად ვარ, მოვიხსნა იმუნიტეტი, დავტოვო პარლამენტი და დეპუტატის მანდატი, თუკი ყველა ის დეპუტატი მოიხსნის იმუნიტეტს, ვინც ჩემზე ადრე იყვნენ მსგავს ქმედებებში შემჩნეულნი. ისინი, ვინც გამოიწვიეს მდგომარეობის ამ ზომამდე გართულება.

პეტრე ცისკრაიშვილი მომხდარის გამო წუხს, მაგრამ იმასაც ამბობს, რომ დიდი შურისძიება გრძელდება. მას „ახალ მემარჯვენეებში“ კიდევ ორ კაცთან ჰქონია ანგარიში გასასწორებელი. საგანელიძეს მარჯვენა თვალის არეში აქვს დაზიანება მიღებული. რა ელის იმ ორ დეპუტატს, ვისაც ცისკარიშვილი ემუქრება, ჯერ-ჯერობით, არავინ იცის. არც ის არის საბოლოოდ გარკვეული, თუ ამ ინციდენტის შემდეგ, რა ელის პეტრე ცისკარიშვილს, რომელსაც ზოგი, პარლამენტის №1 ხულიგნად მოიხსენიებს, ზოგი კი — ცხელსისხლიან ბიჭუნად, რომელიც მზად არის მოწინააღმდეგეს „თუ მუშტით ვერ მოერევა, ქვა ან „კასტეტი“ ჩაარტყას თავში. რას ამბობენ ამ ფაქტის შესახებ დეპუტატები? პირველი კომენტარი გააკეთა მიხეილ სააკაშვილმა, რომელმაც ასევე პირველმა გაატარა სადამსჯელო ღონისძიება თანაფრაქციელი ცისკარიშვილის მიმართ.

***მიხეილ სააკაშვილი**, „ნაციონალური მოძრაობის“ ლიდერი:*

— მე არ მაინტერესებს, ვინ დაიწყო ჩხუბი, არ მაინტერესებს, ვინ არის დამნაშავე. მე ერთი რამ ვიცი — თუ ჩვენი ნებისმიერი წევრი რაიმე ჩხუბში რაიმე სახით დაფიქსირდება, ის ყოველგვარ პარტიულ მუშაობას ჩამოშორდება. დარჩება თუ გაირიცხება ცისკარიშვილი პარტიიდან, პოლიტსაბჭოს გადასაწყვეტი იყო. მან კი, 27 ხმით სამის წინააღმდეგ მიიღო გადაწყვეტილება, რომ პეტრე ცისკარიშვილმა „ნაციონალური მოძრაობა“ უნდა დატოვოს. ჩვენ პარტიაში ხულიგნები არ გვჭირდებაო. არც ერთ ჩემი პარტიის წევრს პირადად, მე არ ვაპატიებ მსგავს

დავით საგანელიძე

პეტრე ცისკარიშვილი

მიხეილ სააკაშვილი

დავით გამყრელიძე

ჯამლეთ ბაბილაშვილი

საქციელს. ძალადობის მონაწილე უნდა დაისაჯოს. მეტსაც გეტყვით: ყველაფერს გავაკეთებ იმისათვის, რომ ასეთი ადამიანები მომავალშიც ახლოს არ გაეკარონ რაიმე პოლიტიკურ საქმიანობას. მომავალ პარლამენტში ასეთი ხალხის მოხვედრა ამომრჩევლის აბუჩად აგდებას ნიშნავს. ამის უფლება კი არავის აქვს.

დავით გამყრელიძე, *„ახალი მემარჯვენეების“ ლიდერი:*

— მომხდარი ფაქტის გამო შოკში ვარ ჩავარდნილი. ვდგავართ ისეთი ფაქტის წინაშე, როცა ქუჩური პრინციპით უნდათ მოახდინონ ანგარიშსწორება ადამიანებთან. ამიტომაც ვთხოვეთ მიხეილ სააკაშვილს, რომ ცისკარიშვილთან დაკავშირებით, თვითონ მიეღო გადაწყვეტილება. მიუხედავად იმისა, რაც მოხდა, არანაირი სურვილი არ მაქვს, ეს შურისძიების სერიალი გაგრძელდეს და ცისკარიშვილსაც სამაგიერო ამავე ფორმით გადაუხადოს ვინმემ. მე დავსვამ პარლამენტის წინაშე საკითხს, რომ ცისკარიშვილი გაძევებულ იქნას პარლამენტიდან, რადგან მისი ქმედება უკვე ძალიან სახიფათო სახეს იღებს. ეს არის უკვე კრიმინალური დანაშაული სისხლის სამართლის დანაშაული, რომელზეც დამნაშავემ პასუხი უნდა აგოს.

არის თუ არა ეს სისხლის სამართლის დანაშაული? ახლანდელი გენპროკურორი კომენტარის გაკეთებისგან ჯერჯერობით თავს იკავებს. ყოფილი გენპროკურორი ჯამლეთ ბაბილაშვილი კი, კვლავ ისეთ „ფრთხილ“ შეფასებებს სჯერდება, როგორიც თანამდებობაზე ყოფნის დროს ახასიათებდა.

ჯამლეთ ბაბილაშვილი:

— ასეთი ქმედებების აღკვეთა, სპეციალურ სამსახურს უნდა დაევალოს. ამ ეტაპზე კი, შეიძლება, მხოლოდ დარღვეულ ეთიკურ ნორმაზე ვიმსჯელოთ. სამწუხაროდ, პარლამენტი იმ მექანიზმებს ვერ იყენებს, რაც მსგავს შემთხვევაში უნდა აამოქმედოს. თავად პარლამენტმა უნდა იმსჯელოს და მასალები პროკურატურას გადასცეს. ცისკარიშვილს იმუნიტეტი რომ მოუხსნან ის ალბათ სასამართლოს წინაშე წარდგება, მაგრამ მე ნაკლებად მჯერა, რომ ეს მოხდება. ვფიქრობ, მას იმუნიტეტს არ მოუხსნიან. როგორც ჩემთვის ცნობილია, გენპროკურატურა ამ საქმეზე უკვე აწარმოებს მოკვლევას და საბოლოო პასუხსაც მისგან მივიღებთ.

როსტომ დოლიძე, *საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე:*

— სამწუხაროდ, პარლამენტარები ძალიან ბევრს კადრულობენ და ამ ჩხუბში ავიწყდებათ მთავარი — პასუხისმგებლობა ერისა და ქვეყნის წინაშე! კომიტეტმა მიიღო გადაწყვეტილება, რომ რამდენიმე წევრმა ერთი კვირის განმავლობაში შეისწავლოს მომხდარი ფაქტები. მოკვლევაში მონაწილეობას მიიღებენ პროკურატურის წარმომადგენლებიც. მხოლოდ ამის შემდეგ შეგვიძლია, ვიმსჯელოთ ამა თუ იმ კონკრეტულ ფაქტზე და მოვახდინოთ ინიცირება სისხლის სამართლის საქმის აღძვრის თაობაზე იმ პარლამენტარის მიმართ, ვისი დანაშაულიც გამოიკვეთება. ან პროკურატურა უნდა შემოვიდეს ინიციატივით, დამნაშავე დეპუტატს მოუხსნას იმუნიტეტი, რომ მის მიმართ სისხლის სამართლის საქმის აღძვრის საშუალება მიეცეს. კანონის თვალსაზრისით, ვფიქრობ, ეს არც კონსტიტუციას ეწინააღმდეგება და არც კანონსაწინააღმდეგო ქმედება არ არის. გარდა ამისა, აუცილებლად უნდა ამოქმედდეს რეგლამენტში არსებული ერთ-ერთი მუხლი, რომელიც ავალდებულებს პარლამენტარებს, წელიწადში ერთხელ სამედიცინო გამოკვლევა გაიარონ. უფრო მეტიც — სამედიცინო გამოკვლევა უნდა ჩატარდეს არა მხოლოდ დეპუტატების, არამედ პარლამენტის წევრობის კანდიდატების მიმართაც, რადგან პარლამენტში ცისკარიშვილის მსგავსი ადამიანები აღარ მოხვდნენ! ■



როსტომ დოლიძე

ცოტა ხანში, გაეროს უშიშროების საბჭო კიდევ ერთხელ იმსჯელებს საქართველოსა და აფხაზეთის კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოგვარებისა და ე.წ. ბოდენის გასაიდუმლოებული დოკუმენტის შესახებ. ამ დოკუმენტმა, რომელიც დიდი ხნის წინ ყოფილა შედგენილი, მაგრამ რატომღაც, მხოლოდ ახლაღა გახმაურდა და მსჯელობის საგნადაც იქცა, საქართველოს პოლიტიკურ სპექტრში აზრთა სხვადასხვაობა გამოიწვია. რა მოხდება? ერთმანეთის პირისპირ მოსალაპარაკებლად დასხდებიან თუ არა ქართველები და აფხაზები? გახდება თუ არა ეს დოკუმენტი კონფლიქტის მშვიდობიანი გზით დარეგულირების საფუძველი და საერთოდ, როგორია თავად აფხაზების პოზიცია ამასთან დაკავშირებით? ამ კითხვებით მივმართეთ საქართველოს პრეზიდენტის პირად მრჩეველს საგარეო ურთიერთობათა საკითხებში, პროფესორ ლევან ალექსიძეს.

„ან მართლაც დავკარგავთ აფხაზეთს, ან ვაიძულებთ, საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდეს...“

ნინო ჯავახიშვილი

— ამ დოკუმენტმა რატომღაც, ყველა ძალიან ააფორიაქა. ყველაზე საოცარი კი ის არის, რომ მთელი ორი წლის მანძილზე საიდუმლოებით იყო მოცული. ვფიქრობ, ხელისუფლებას პოზიცია ადრევე უნდა დაეფიქსირებინა და კომენტარიც უნდა გაეკეთებინა. ამიტომაც, მისმა ესოდენ მოულოდნელმა გამომზეურებამ, შეიძლება, არასასურველი შედეგები მოგვიტანოს. ნებისმიერი დოკუმენტის შესწავლისას და მასზე მსჯელობისას, სათანადო ცოდნა უნდა გქონდეს. არ შეიძლება მისი კრიტიკა ან ქებადიდება, თუკი არ იცი, რა იმალება თითოეული სიტყვის უკან. ვიღაცვიღაცებს ჰგონიათ, რომ ბოდენის დოკუმენტი აფხაზეთს სამუდამოდ დაგვაკარგვინებს. ასე არ არის. ჯერ ელემენტარული ტერმინების მნიშვნელობა გაიგონ, ამ დოკუმენტის შინაარსში გაერკვნენ და მერე ილაპარაკონ! ყველაფერს რომ თავი დავანებოთ — თუ ასეა, მაშინ ხანგრძლივი დროის განმავლობაში აფხაზები რატომ აცხადებენ უარს ამ დოკუმენტის მიღებაზე? რატომ არ სურს რუსეთს, ეს დოკუმენტი რომ მივიღოთ? იმიტომ, რომ ყველასათვის ცხადია, ბოდენის დოკუმენტი აფხაზეთის დაბრუნების ბოლო შანსი რომ არის.

— რა სტატუსი განესაზღვრება აფხაზეთს და როგორ ფიქრობთ, მიიღებენ თუ არა ისინი ამ დოკუმენტს?

— რუსეთმა, ფედერაციაში ყველა ყოფილ ავტონომიას სუვერენული სახელმწიფოს სტატუსი მიანიჭა. ჩვენ ამ გზით ვერ წავალთ. აფხაზეთი არის საქართველოს შემადგენელი ისტორიული ნაწილი და მას მთელ მსოფლიოში არავინ აღიარებს, როგორც დამოუკიდებელ ქვეყანას. მაშინ საკითხავია, რა სტატუსი უნდა ჰქონდეს აფხაზეთს საქართველოს შიგნით? თვითონ აფხაზების პოზიცია ასეთია: ეს არის დამოუკიდებელი სახელმწიფო, პატივს სცემს საქართველოს ტერიტორიულ მთლიანობას, მაგრამ ენგურს იქით — დამოუკიდებელია! საერთოდ, გაეროს უშიშროების საბჭოს რეზოლუციებში ლაპარაკია არა ქართულ-აფხაზურ კონფლიქტზე, არამედ ყველა

ვიღაც-ვიღაცებს ჰგონიათ, რომ ბოდენის დოკუმენტი აფხაზეთს სამუდამოდ დაგვაკარგვინებს. ასე არ არის. ჯერ ელემენტარული ტერმინების მნიშვნელობა გაიგონ და მერე ილაპარაკონ!

დოკუმენტში ასე იწერება: კონფლიქტი აფხაზეთში — საქართველო. ეს იმაზე მიანიშნებს, რომ აფხაზეთს განიხილავენ საქართველოს შიგნით. აფხაზებს კი, არ ჰქონდათ საშუალება, ოფიციალურად გამოეთქვათ

თავიანთი პოზიცია ამის თაობაზე.

— როგორც ვიცი, დავის საგნად ძირითადად, ამ დოკუმენტის პირველი ორი მუხლი იქცა. უფრო კონკრეტულად, რას ითვალისწინებს ეს ორი მუხლი?

— პირველ მუხლში ნათქვამია, რომ საქართველო არის სამართლებრივი სუვერენული სახელმწიფო იმ საზღვრებში, რომელიც 1991 წლის 21 დეკემბრის მდგომარეობით არის დადგენილი. ე.ი. იმ დროს, საბჭოთა კავშირი უკვე ოფიციალურად დაიშალა და აფხაზეთი დამოუკიდებელი საქართველოს შემადგენლობაში შედიოდა. მეორე მუხლი კი, უფრო მკაფიოდ აფიქსირებს, რომ აფხაზეთი არის სუვერენული სამართლებრივი წარმონაქმნი საქართველოს სახელმწიფოს ფარგლებში. მერე ლაპარაკია იმაზე, რომ მისი განსაკუთრებული სტატუსი განისაზღვრება ფედერალური შეთანხმებით, რომელსაც საკონსტიტუციო კანონის ძალა აქვს და ა.შ. ზოგი იმასაც ამბობს — როგორ შეიძლება, სუვერენულ სახელმწიფოში მეორე, სხვა სუვერენული სახელმწიფოც არსებობდესო? ჯერ ერთი, ფედერაციაში შედის სუვერენული ყოფილი ავტონომიები და სუვერენული ფედერაცია. ამასაც რომ თავი დავანებოთ, საქმე ის გახლავთ, თუ როგორ განვიხილავთ სუვერენიტეტს. საქართველო არის სუვერენული სახელმწიფო — ე.ი. მას აქვს აბსოლუტური დამოუკიდებლობა საერთაშორისო ასპარეზზე და ქვეყნის შიგნით. ხოლო როდესაც აფხაზეთის სუვერინეტეტზეა ლაპარაკი, იქვე ისიც არის აღნიშნული, რომ სუვერენიტეტი ორმხრივი ხელშეკრულებით უნდა განისაზღვროს. ეს ძალიან მნიშვნელოვანია, რადგან საუბარია უფლებათა იმ ნუსხაზე, რომლის გამიჯვნაც მოხდება. მთავარია, აფხაზეთმა აღიაროს, რომ საქართველოს შემადგენელი ნაწილია.

— და თუ არ აღიარებს?

— კიდევ ერთხელ გიმეორებთ — აფხაზებმა, ფაქტობრივად, უნდა აღიარონ ის, რისთვისაც, აგერ უკვე 12 წელია ვიბრძვით და, რა თქმა უნდა, ეს ადვილი სულაც არ იქნება მათთვის. ახლა ისიც კი მოითხოვეს, რომ გაეროს უშიშროების საბჭოს სხდომას მათი წარმომადგენლობა დაესწროს. ეს არის ყველანაირი სამართლებრივი ნორმის დარღვევა. უშიშროების საბჭო ამაზე არასდროს არ დათანხმდება. ასეთი მცდელობა ადრეც იყო რამდენჯერმე, მაგრამ უშიშროების საბჭომ მაშინაც უარი განაცხადა. და მაინც — რა უნდა მოვიმოქმედოთ, თუკი აფხაზები ამ დოკუმენტს არ მიიღებენ? მაშინ, ვფიქრობ, სხვა აღარაფერი რჩება გარდა იმისა, რომ გაერო, თავისი წესდების მე-6 თავიდან (რომელიც კონფლიქტის მშვიდობიან მოგვარებას გულისხმობს) პირდაპირ მე-7 თავზე გადავიდეს — ე.ი. გამოცხადდეს ბლოკადა პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და ა.შ. თუ ამაზეც არ წავა გაერო, მაშინ არანაირი აზრი აღარა აქვს ვინმესთან თანამშრომლობას და ცოტა სხვანაირი პოლიტიკა უნდა ვაწარმოოთ...

— „ცოტა სხვანაირ“ პოლიტიკაში რას გულისხმობთ?

— ეს მნიშვნელოვნად არის დამოკიდებული ჩვენი მეგობარი ქვეყნების პოზიციაზე. უბრალოდ, მეტის მოთმენა უკვე აღარ შეიძლება. ჯერ კიდევ რამდენიმე წლის წინ განვაცხადე, რომ თანახმა ვიყავი კონფლიქტის მშვიდობიან გადაწყვეტაზე, მაგრამ ისიც ვთქვი: იცოდეთ — აფხაზეთიდან გამოგდებულმა 250 ათასმა კაცმა ხელში იარაღი რომ აიღოს, მათ ვეღარაფერი გააჩერებს-მეთქი. ამის შემდეგ, რუსულ პრესაში პერმანენტულად იბეჭდებოდა მასალები, რომელშიც ნათქვამი იყო, თითქოს გადაწყვეტს გაერო ჩვენს პრობლემებს?!

თუკი აფხაზები ამ დოკუმენტს არ მიიღებენ, სხვა აღარაფერი რჩება, გარდა იმისა, რომ გამოცხადდეს ბლოკადა პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და ა.შ.

ომისკენ მოვუწოდებდი ყველას. რა აღარ დამაბრალეს?!. როდემდე უნდა ვითმონოთ ეს უმსგავსობები? ვაპირებ, ამ საკითხში უფრო აქტიურად ჩავერიო, რადგან ახლა გადამწყვეტი მომენტი დადგა — ან მართლაც დავკარგავთ აფხაზეთს, ან ვაიძულებთ, რომ დაემორჩილოს საერთაშორისო სამართლის ნორმებს და საქართველოს შემადგენლობაში შემოვიდეს!

— და ბოლო კითხვა: ბოდენის დოკუმენტის მიღების შემთხვევაში, გაუქმდება თუ არა აფხაზეთის დღევანდელი ლეგიტიმური ხელმძღვანელობა?

— არა, რატომ უნდა გაუქმდეს? რა, 20.000 აფხაზთან დავიწყოთ მოლაპარაკება? ამის კატეგორიული წინააღმდეგი ვარ. აფხაზეთში უნდა დაბრუნდნენ ჩვენი ლტოლვილები და უნდა გამოინახოს საერთო ენა — სხვაგვარად, შეუძლებელია კონფლიქტის მოგვარება და საერთოდ, საქართველოს ერთიანობის აღდგენა.

■

ნინო ჯავახიშვილი

პარლამენტარი სანდრო ბრეგაძე, მას შემდეგ, რაც დააყაჩაღეს, დაცვის გარეშე ერთ ნაბიჯსაც აღარ დგამს... იმიტომ კი არა, რომ ეშინია. პირიქით — დამნაშავის ვინაობა თვითონვე დაუდგენია და იმ დღეზე ოცნებობს, როცა ბოროტმოქმედს დააკავებს და თუ ის წინააღმდეგობას გაუწევს, მის ლიკვიდაციასაც მოახდენს!.. სანდროს კიდევ ერთი, მეტად მნიშვნელოვანი, უფრო სწორად, საქვეყნო მნიშვნელობის ოცნება აქვს — ზოგიერთებივით იმაზე კი არ ფიქრობს, როგორ გავმდიდრდეო, არა! დღედაღამ იმაზე ოცნებობს, როდის დადგება ის დღე, როდესაც ხელისუფლებას „ხორცმეტები" ჩამოშორდებიან და ხალხი ბედნიერად და მშვიდად იცხოვრებს. ამისთვის კი, თურმე არც „უპირველესთან" — „ამბროსიჩთან" სატელეფონო ტკბილ საუბრებს ერიდება ხოლმე, რის გამოც დანარჩენი პარლამენტარები მოწიწებით სულ „ბატონო სანდროთი" მიმართავენ...

„თუ ფული გაქვს, სქობს ქიბეში გქონდეს..."

„თვითონ ვერ ვყიდულობ, ჩუქებით ჯი არავინ მჩუქნის..."

დოსიე:

სანდრო ბრეგაძე 1971 წელს თბილისში დაიბადა. მამა — ანზორ ბრეგაძე ფილოსოფიის მეცნიერებათა აკადემიკოსი გახლავთ. წლების მანძილზე ფილოსოფიის ინსტიტუტში განყოფილების გამგე იყო, და ამჟამადაც ამ თანამდებობაზეა. დედა — ქალბატონი მაყვალა კი კომუნისტების დროს ფინანსთა სამინისტროში, მთავარ ინჟინრად მუშაობდა. სანდროს ერთადერთი და ჰყავს — 28 წლის ანა ბრეგაძე. ბრეგაძეები საშუალოდ ცხოვრობდნენ. როგორც თვითონ დეკლარანტი იგონებს, მშობლებს იმდენი ფული ჰქონდათ, რომ მისთვის მაგარი ჯინსები და ბოტასები ეყიდათ, მაგრამ იმდენი აღარ, რომ ზოგიერთებივით „გაზ-24"-ით ევლოთ. სანდრო კარგი მოსწავლე ყოფილა, თუმცა პარალელურად, ქუჩის აკადემიაც ასეთივე სიბეჯითით გაუვლია. ლიდერობის სურვილი პატარაობიდანვე ჰქონია. თურმე ბავშვები ეზოში ფეხბურთს რომ თამაშობდნენ, სანდრო ყოველთვის გუნდის კაპიტნობაზე დებდა თავს. ლიდერობა უფრო „გამომდისო", — აღნიშნა საუბრისას.

პირველი ლედის მოგვარე და მოსახელე მისი მეუღლე — ნანული (ნანა) ცაგარეიშვილი 28 წლის გახლავთ. სანდროს და ნანას ორი შვილი ჰყავთ — 9 წლის ბაქარი და 9 თვის მარიამი.

— ეტყობა, ავტომანქანების გამოცვლა თქვენი ჰობია. შარშან სამი მანქანა გყავდათ — „ოპელ ომეგა", „შკოდა" და „ოპელ ფრონტერა", რომელიც 3.000 დოლარად გაგიყიდიათ. ყველა ეს მანქანა საკუთარი ფულით გაქვთ შეძენილი?

— გერმანიაში დისერტაციას ვამუშავებდი და ორი წელი იქ ვცხოვრობდი. იქიდან რომ ჩამოვედი, მანქანა ჩამოვიყვანე — რა თქმა უნდა, ჩემი ფულით ვიყიდე. მერე გავყიდე, ერთი 1.000 დოლარი დავამატე და უფრო კარგი მანქანა ვიყიდე.

— ეი. ბიზნესი დაატრიალეთ?

— (იცინის) არა, რა ბიზნესი, არასდროს მიცდია...

— საწვავში ბევრი ფული გეხარჯებათ?

— არც ისე... ადრე რომ მყავდა, ის მანქანა დიზელზე იყო და ძალიან ცოტას წვავდა. „ოპელ-ფრონტერა" რომ გავყიდე, მე და ჩემმა ბიძაშვილმა საზიაროდ ვიყიდეთ „მერსედესი" და ახლა იმით დავდივარ.

— ძვირი დაგიჯდათ?

— 5.000 დოლარი მე დავდე, 4.000 კი — იმან.

— აბა „შკოდათი" ვინღა სარგებლობს?

— ჩემი მეუღლე. მამამისმა უყიდა 3-4 წლის წინ *(„შკოდას" სადეკლარაციაო ფასი 2.500 დოლარია, — ავტ.).*

— შეძლებული სიდედრ-სიმამრი გყოლიათ...

— რა ვიცი, ჩვეულებრივად, ნორმალურად ცხოვრობენ.

— მითხარით — საცხოვრებლად ცალკე გადავედითო...

— დიახ. საკუთარი ბინა არ მაქვს. ადრე, მე და ნანა ჩემს მშობლებთან ერთად ვცხოვრობდით, ამჟამად კი იქვე, ახლოს გადავედით საცხოვრებლად. ის ბინაც არ არის ჩვენი, ნანას ბებიის თუ დეიდის სახელზეა გაფორმებული.

— თქვენს დეკლარაციაში ვერც აგარაკების კვალს მივაგენი, სოფელი მაინც არ გაქვთ სადმე?

— წარმოშობით იმერეთიდან ვართ, მაგრამ სოფელი აღარ გვაქვს.

— აბა, სად ისვენებთ ხოლმე?



— სად უნდა დავისვენო? — აჭარაში... ცოლ-შვილი კი ლიკანში მიმყავს ხოლმე...

— რატომ, ბათუმში ვერ წაიყვანთ? სახლი არც იქ გაქვთ?

— თქვენ წარმოიდგინეთ, არა!

— ბათუმში სახლის შეძენის სურვილი არ გაქვთ თუ ფული?

— სურვილი კი მაქვს, მაგრამ... თვითონ ვერ ვყიდულობ, ჩუქებით კი არავინ მჩუქნის.

— მერე, სთხოვეთ ასლან აბაშიძეს, არა მგონია, უარი გითხრათ..

— იცით, რაშია საქმე? ზოგ-ზოგიერთებივით იმის გამო კი არ მივსულვარ „აღორძინებაში", რომ რაღაც-რაღაცები ვითხოვო. რა, განა პრობლემა იქნება, ბატონ ასლანს რომ ვთხოვო ერთი ბინა, მაგრამ ამას არ ვიკადრებ... მიუხედავად იმისა, რომ ბათუმის მერი — გიორგი აბაშიძე ჩემი მეორე ბავშვის — მარიამის ნათლია უნდა იყოს...

„ახალი იარაღი ვიყიდე — „ვალტერ P-99"...

ახალგაზრდა პარლამენტარს მარტო კარიერაში კი არა, მეგობრებშიც ძალიან უმართლებს. იმ 7.000 დოლარიდან, რაც ნაღდი ფულის აღმნიშვნელ გრაფაში აქვს ჩაწერილი, ნაწილი სწორედ მეგობრებს უჩუქებიათ, ნაწილი — მშობლებს, ზოგი კი თვითონ გადაუნახავს. ბრეგაძეების ოჯახში ჯიბეცარიელი არავინაა — ნანა 7.500 ლარის მფლობელია, ბატონი ანზორი — 8.000 დოლარისა და 7.000 ლარის, ანა — 5.000 დოლარის და 5.000 ლარის, ქალბატონ მაყვალასაც კი, იმის მიუხედავად, რომ დღესდღეობით უმუშევარია, მაინც მოუხერხებია და 5.000 დოლარი და 1.500 ლარი მოუგროვებია.

— ახლა ამდენი უკვე აღარ მექნება, რაღაც-რაღაცებში დავხარჯე. როგორ მოვაგროვე? ზოგი ხელფასიდან გადავინახე, გერმანიაში ორი წელი რომ ვცხოვრობდი, იქიდანაც სოლიდური თანხა „ჩამოვიყოლე". გარდა ამისა, მყავს მეგობრები, რომლებიც მეხმარებიან.

— ვინ არიან თქვენი ფულიანი მეგობრები, ალბათ ცნობილი ბიზნესმენები?

— არა, სამწუხაროდ, ჩემი მეგობრები ცნობილი ბიზნესმენები ვერ გახდნენ, სამთავრობო წრეებში ლობისტები არ ჰყავთ და საქართველოში ისე დიდ ბიზნესს ვერ გააკეთებენ.

— თქვენი მეუღლე არ მუშაობს და ამხელა თანხის დაზოგვა როგორ შეძლო?

— ეს ფული მშობლებმა აჩუქეს. შევეკითხე: რამდენი გექნება-მეთქი და ასე, 7.500 ლარიო,— მიპასუხა. ჰოდა, რაც მითხრა, ის დავწერე. ვერც ცოლს, ვერც დას და ვერც მშობლებს ფულს ვერ დავუთვლიდი. ანაც წლების მანძილზე ავსტრიელებთან ფსიქოლოგად მუშაობდა (ორგანიზაციის სახელი აღარ მახსოვს) და საკმაოდ კარგი შემოსავალიც ჰქონდა.

— ანგარიშზე არც ერთი თეთრი არ გიდევთ. გამოდის, რომ ფულს სახლში ინახავთ?

— ჰო, ან სახლში, ან — ჯიბეში...

— ახლა არ მითხრათ, რომ 7.000 დოლარს ჯიბით დაატარებთ!.

— არა, ამდენს არა, მაგრამ ამას რა მნიშვნელობა აქვს? საერთოდ თუ ფული გაქვს, სჯობს, ჯიბეში გქონდეს და არა — ანგარიშზე.

— ამჟამად მაინც რა რაოდენობის თანხა გაქვთ ჯიბეში?

— 200 ლარი.

— ყოველდღიურად ამხელა თანხა გაქვთ ჯიბის ფულად? ეტყობა, ძალიან მხარჯველი ბრძანდებით...

— დედაჩემი იტყვის ხოლმე ჩემზე — სანდროს დილით გინდ ლარიანი მიეცი და გინდ — ათლარიანი, სულერთია — თუ ლარს მისცემ, იმასაც იმყოფინებს და არ იწუწუნებს, დახარჯვით კი ლარსაც და 10 ლარსაც ბოლომდე დახარჯავსო. დღეში შეიძლება 20 ლარი დავხარჯო, შეიძლება 50, 100... მოკლედ, თუ მაქვს, ვხარჯავ, თუ არა და...

— თუ არა და?.. რას შვრებით, ფულს სესხულობთ?

— მაშინ ვსესხულობ ხოლმე ფულს, აი, ახლაც 500 დოლარი მაქვს ვალი.

— კი, მაგრამ, ამდენი ნაღდი ფული გაქვთ და 500 დოლარი რატომლა ისესხეთ?

— რა ვიცი, ასე მოხდა... სხვისგან კი არა, ოჯახის წევრისგან ვისესხე *(იცინის)*...

— ჯიბეში ამდენი ფული რომ გაქვთ, დაყაჩაღების არ გეშინიათ? თუ დაიბრუნეთ ის ნივთები, რომლებიც დაყაჩაღებისას წაიღეს ბოროტმოქმედებმა?

— არა, რა დავიბრუნე. ის ნივთები (ოქროს ძეწკვი, სამაჯური) თავის დამყაჩაღებლებიანად გამქრალები არიან. მე არა ვარ ის კაცი, ვინც ამას შეარჩენს გამკეთებელს! ვიცი, ვინც არის ის ადამიანი და პირდაპირ გეუბნებით — სადაც ვიპოვი, დავიჭერ და თუ წინააღმდეგობა გამიწია, ლიკვიდაციას გავუკეთებ, თუმცა მისი ცოცხლად შეპყრობა უფრო მაინტერესებს, რათა გავიგო, ვისი დავალებით მოქმედებდა და რა უნდოდა ჩემგან...

ფრაზა გენიალური

პოლიტიკაში მნიშვნელოვანია არა სიტყვები, არამედ ხმა, რომლითაც მათ წარმოთქვამთ.

ჟ. რომენი

— დაცვით ამიტომაც დადიხ-ართ?

— დაცვით არ დავდივარ. ისინი ჩემი მეგობრები არიან, ვისთან ერთადაც დროის უმეტეს ნაწილს ვატარებ. ჩემი მეგობრები ყოველთვის დამიცავენ.

— აბა, რატომ ამბობენ, რომ სანდრო ბრეგაძეს იცავენ შეიარ-აღებული პირები, რაშიც რა თქმა უნდა, ანაზღაურებასაც იღებენ?

— მასე, იმასაც იძახიან, ვითომც კანარ-ის კუნძულებზე ვიღაცამ სახლი მაჩუქა. მართალია? იმდენი ფული ნამდვილად არ მაქვს, რომ დაცვა ავიყვანო და ამაში ფული ვიხადო.

— თვითონ იარაღით აღარ და-დიხართ?

— როგორ არა. ახალი იარაღი ვიყიდე — „ვალტერ P-99“.

— მიზანში ისვრით?

— ნახავენ ჩემი მტრები!..

„ამბროსიჩი“ ზოგჯერ თვითონაც მირეკავდა ხოლმე...“

პარლამენტარს საკუთარი შემოსავა-ლი — 800 ლარი ყოფითი პრობლემების მოსაგვარებლად მშვენივრად ჰყოფნის და ამ მხრივ, არც ბედს და არც მთავრობას არ უჩივის. თუმცა იმასაც მწუხარებით აღნიშნავს, რომ არ შეუძლია ჰავაის კუნ-ძულებზე დასვენება და რომ მეუღლესაც ვერ ანებივრებს ძვირად ღირებული საჩუ-ქრებით. რატომ?

— იმიტომ, რომ ძვირად ღირებული ნივთების ყიდვის საშუალება არ გვაქვს... ისე, ფულს ვაძლევ ხოლმე და თვითონ ყიდულობს ყველაფერს, რაც უნდა. თუმცა ახლახან გერმანიაში რომ ვიყავი, რაღაც ტანსაცმელები ჩამოვუტანე.

— ენდობა თქვენს გემოვნებას?

— ჩემს გემოვნებას ჩემი მეუღლე კი არა, მთელი პარლამენტი ენდობა და... თუ არ გჯერათ, იკითხეთ და გეტყვიან.

— მართლაც ყოველთვის გე-მოვნებით გაცვიათ. თქვენი კოს-ტიუმი ალბათ საკმაოდ ძვირად ღირებულია, სად ყიდულობთ ხო-ლმე?

— ზოგჯერ აქ, ზოგჯერ — საზღვარგ-არეთ. ყველაზე ძვირი, რაც კოსტიუმში მიმიცია, 400 დოლარია.

— ცნობილია, რომ თქვენი სათვა-ლეც ძვირად ღირებულია...

— ძალიან მიყვარს სათვალეები. სულ 5 მაქვს. თეთრი ფერის — შენობაში გასა-კეთებლად, შავი — მზეში, მწვანე — ღრუბლიან ამინდში, ღამის სათვალე, რომელიც ანათებს და ჩვეულებრივი მზის სათვალე. ყველაზე ძვირიანი, რომელიცაა, მაჩუქეს — 250 დოლარი ღირს. კარგი შარვლებიც მიყვარს. საერთოდ კი ვფიქრობ, შეიძლება უბრალო, იაფფასიანი ტანსაცმელი გეცვას, მაგრამ ისე შეხ-ამებულად და გემოვნებით, რომ მშვენივრად გამოიყურებოდე. პარლამენტში ერთი კაცი, სახელსა და გვარს ვერ დაგისახელებთ, იცით, როგორი ჩაცმული დადის? „ვერსაჩ-ეს“ წითელი პიჯაკი აცვია, „შანელის“ მწვანე პერანგი, ცნობილი ფირმის ჰალ-სტუხს ატარებს და რომ ვუყურებ, „სვეტაფორი“ მგონია ხოლმე.

— რა, პარლამენტარებს გე-მოვნებას უწუნებთ?

— ასე გამოდის...

— კარგით, ახლა ის მითხარით, თქვენი ხელფასი — 800 ლარი რაში გყოფნით, როგორ ანაწილებთ ხოლმე?

— 200 ლარი — ბენზინში, 300 — ჯიბის ფულად, 300-იც ოჯახისთვის. ჩაც-მით კი, ან მშობლები დაგეხმარებიან კაცს, ან მეგობრები და გახვალ იოლას.

— მოკლედ, ეს 800 ლარი საკ-მარისია თქვენი მატერიალური უზრუნ-ველყოფისთვის?

— მთლად ასეც არ არის. დიდი სია-მოვნებით ვიყიდდი იახტას, ავაშენებდი კერძო, სამსართულიან სახლს აუზით, „ფერარით“ ვივლიდი ქუჩაში, ოსკარების დაჯილდოე-ბის ცერემონიაზე წავიდოდი, დასასვენე-ბლად კი ჰავაის კუნძულებს მივაშურებ-დი, მაგრამ რას იზამ?..

— ეს არის თქვენი ოცნება?

— არა! ჩემი ოცნება ის არის, რომ ამ ხელისუფლებას ხორცმეტები მოშორდნენ და ყველა ადამიანმა ნორმალურად იცხ-ოვროს. უხერხულად მიმაჩნია, ვიღაც ძალიან მდიდრულად ცხოვრობდეს, როდე-საც მისი ხალხი ორი კაპიკის გულისთვის ქუჩაში მათხოვრობს. იქნებ, ვინმემ იფ-იქროს კიდეც — სანდრო რა აგიტაცია-პროპაგანდას ეწევაო, მაგრამ ასეა...

— საუბრის დასასრულს კი ის ამბავიც მომიყევით, სხდომათა დარ-ბაზიდან „ამბროსიჩს“ რომ ურეკავთ ხოლმე...

— (იცინის) ჩემი სიმამრი გახლავთ „ამბროსიჩი“... ჰოდა, ერთი პერიოდი კარ-გად „ვღადაობდი“ ხოლმე... ამოვიღებდი ტელეფონს და გავაბამდი ლაპარაკს: „ამ-ბროსიჩ“, როგორ ხარ, ოჯახში ხომ კარ-გად“ და ა.შ. ზოგჯერ თვითონაც მირეკავდა ხოლმე, რა თქმა უნდა, სიმამრზე გეუბ-ნებით. დეპუტატებმა, ბოლოს და ბოლოს, ვეღარ მოითმინეს და მკითხეს: ვის ელა-პარაკებიო? ვის და შევარდნაძეს-მეთქი. მეორე დღეს ყველანი სულ „ბატონო სან-დროთი“ მომმართავდნენ...

პოსტსერიპტუმის მაგიერ:

კიდევ ერთი ჰობი აქვს დეკლარანტს — მობილური ტელეფონები. სანდრო ძალიან ხშირად იცვლის ტელეფონს. ამჟამად კი დაახლოებით 700-ლარიანი „სამსუნგის“ ფირმის აპარატი აქვს. იმასაც ამბობენ — სანდრო სულ ტელეფონზეა „ჩამოკიდებული“ და ნეტავ, ხელფასი რაღაში ჰყოფნისო... ვინც ასე ძალიან წუხს პარლამენტარის ბიუჯეტზე, დავამშ-ვიდებთ და ვიტყვით, რომ სანდრო მარ-თლაც ძალიან ბევრს ლაპარაკობს მობი-ლურით — თვეში 200 ლარამდე უჯდება ეს სიამოვნება, მაგრამ თვითონ როდი იხდის ამ ფულს — მეგობარი, რომელიც საზღ-ვარგარეთ მაღალანაზღაურებადი მორაგ-ბე ყოფილა, თვეში 200 ლარს დაუყვე-დრებლად უგზავნის თურმე გაჭირვებულ პარლამენტარს... ■

ნდობის ტელეფონი
კონსულტაცია
ინტიმი (18 წლიდან)
☎822 009 005

„ჭაგი“, „ჯეოსელი“,
„მეგაკომი“ — 0,70 ლ.
თბილისი — 0,45 ლ.
რაიონები — 0,65 ლ.

ნათია თენიეშვილი

საგამოძიებო პრაქტიკაში არსებულ მრავალ ექსპერტიზას შორის, ერთ-ერთია ხელნაწერების (გრაფიკული) ექსპერტიზა. გრაფიკული ექსპერტიზა ემსახურება სამართალდამცავ ორგანოებს, თუმცა ბოლო პერიოდში შესაძლებელი გახდა კერძო პირების მომსახურებაც.

სასამართლო პრაქტიკა მოითხოვს გრაფიკული ექსპერტიზის ჩატარების აუცილებლობას იმ შემთხვევაში, როდესაც სადავოა, ვინ დაწერა საბუთის ტექსტი ან ვინ შეასრულა ხელმოწერა. ექსპერტი ადგენს კონკრეტულ პროვენებას, რომლის მიერაც არის შესრულებული ესა თუ ის ჩანაწერი (ანონიმური წერილი, მუქარის წერილი, საეჭვო ხელმოწერა, მაგალითად, ანდერძზე ან სხვა მნიშვნელოვან დოკუმენტზე). გამოსაკვლევი საბუთის გვერდით აუცილებლად უნდა იყოს წარმოდგენილი ეჭვმიტანილის მიერ წარსულში შესრულებული ჩანაწერები და სპეციალურად გამოკვლევისთვის ჩამორთმეული ხელნაწერი.

საინტერესოა, პრაქტიკულად როგორ ხორციელდება ხელნაწერის ექსპერტიზა და რამდენად დიდი მნიშვნელობა ენიჭება ამა თუ იმ საქმის მსვლელობაში ექსპერტის დასკვნას. ამ საკითხებზე გვესაუბრება შინაგან საქმეთა სამინისტროს საექსპერტო კრიმინალისტიკური მთავარი სამმართველოს უფროსის მოადგილე **ალეკო მუსხელაძე** *და ამავე სამმართველოს ხელნაწერებისა და დოკუმენტების ტექნიკური გამოკვლევის ლაბორატორიის მთავარი ექსპერტი* **მარინა გოგიჩაშვილი**.

„თუ არ დაწყნარდებით, ავაფეთქებთ...“

ანუ რიგი პიროვნებანი ხელნაწერის ეჭვმიტანილს

— პირველ რიგში, საინტერესოა, თვალით მუშაობთ თუ რაიმე ხელსაწყოს იყენებთ ხელნაწერის ექსპერტიზის დროს?

მარინა გოგიჩაშვილი:

— ჩვეულებრივ, თვალით ვმუშაობთ. ზოგიერთ შემთხვევაში ვიყენებთ გამადიდებელ შუშას — ლუპას და მიკროსკოპს.

— არის თუ არა შესაძლებელი, რომ ორ ადამიანს აბსოლუტურად იდენტური ხელწერა ჰქონდეს?

— არსებობს მსგავსი აგებულების ხელწერა. მაგალითად, ორ დას შეიძლება ძალიან მსგავსი ხელწერა ჰქონდეს იმის გამო, რომ მათ ჰყავდათ ერთი მასწავლებელი, ან ორივეს დედა ამეცადინებდა. ამ შემთხვევაში ბავშვებს ერთნაირი ხელწერა უყალიბდებათ, მაგრამ წერის ინდივიდუალური ნიშნები მათ მაინც აქვთ. დამთხვევები შეიძლება მოხდეს, მაგრამ რომელიმე ასონიშანში განსხვავება მაინც იქნება. ასე რომ, ორ ადამიანს აბსოლუტურად იდენტური ხელწერა პრაქტიკულად არ შეიძლება ჰქონდეს.

— ხელნაწერების შედარებისას, ძირითადი მნიშვნელობა ასონიშნებს ენიჭება?

— ხელწერის გამოკვლევისას დიდი მნიშვნელობა ენიჭება გამომუშავების ხარისხს (გადაბმის დონე, რამდენად თავისუფლადაა შესრულებული ხელნაწერი, დახრილობა) და შესრულების ტემპს. ყურადღება ექცევა აგრეთვე სიტყვებს შორის მანძილს, აბზაცს, მინდორს, სასვენ ნიშნებს, მაგრამ ძირითადი მაინც კერძო ნიშნები — ასოებია.

— თუ გამოსაკვლევი ხელნაწერი მცირე მოცულობის არის და არ შეიცავს ანბანის ყველა ასოს, ამ შემთხვევაში ალბათ გარკვეული სირთულეები იქმნება...

ალეკო მუსხელაძე:

— თუ გამოსაკვლევი ობიექტი მოკლე ჩანაწერია და შეიცავს ბევრ ერთსახელა ასოებს, რა თქმა უნდა, მასზე მუშაობა რთულია, მაგრამ მაინც ვადგენთ თუ ვისი შესრულებულია ხელნაწერი. მაგალითად, რამდენიმე წლის წინ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეორე კორპუსში ერთ-ერთი აუდიტორიის

მარინა გოგიჩაშვილი



ალეკო მუსხელაძე

კედელზე იყო საკმაოდ მოკლე წარწერა: „თუ არ დაწყნარდებით, აგაფეთქებთ“. ამ ხელნაწერის ექსპერტიზა რთული იყო, როგორც მოცულობის თვალსაზრისით, ასევე იმის გამო, რომ წარწერა კედელზე ცარცით იყო შესრულებული. ცხადია, იქ მუშაობა შეუძლებელი იყო, ჩანაწერზე გაკეთდა ფოტოები და მათი შედარება მოხდა უნივერსიტეტის მომსახურე პერსონალისა და პროფესორ-მასწავლებლების ხელწერის ნიმუშებთან. 60 ეჭვმიტანილიდან შემსრულებელი უნივერსიტეტის ერთ-ერთი პროფესორი აღმოჩნდა.



— თუ მუქარის სიტყვები ამოჩხაპნილია, მაგალითად, კედელზე, მაშინ შესადარებელი ნიმუშიც იმავენაირად უნდა იყოს შესრულებული?

– შესადარებლად აუცილებელია ისეთივე საწერი საშუალებით შესრულებული ნიმუში. თუ ფლომასტერით არის დაწერილი გამოსაკვლევი ტექსტი, შესადარებელი ნიმუშიც ფლომასტერით უნდა იყოს შესრულებული. ასევე ხდება ამოჩხაპნილის, ამოკაწრულის შემთხვევაშიც. სამეგრელოს ერთ-ერთი რაიონის საავადმყოფოს კედელზე წამახვილებული საგნით ამოჩხაპნილი იყო მუქარის სიტყვები. ეჭვი მიიტანეს პიროვნებაზე, რომელიც დედის სიკვდილში ამ საავადმყოფოს ექიმებს ადანაშაულებდა. ეჭვმიტანილი აიძულეს, დაეწერა იგივე სიტყვები კედელზე წაწვეტებული საგნით და დადგინდა კიდეც მისი ბრალეულობა.

— ექსპერტის მიერ გაცემული დასკვნა საკმარისია იმისთვის, რომ ეჭვმიტანილი დამნაშავედ აღიარონ, თუ ეს ერთ-ერთი დამამტკიცებელი საბუთია?

– ჩვენს ლაბორატორიაში მოდის სავარაუდოდ საეჭვო პირების ხელწერის ნიმუშები. როდესაც კონკრეტულ პირს ვადებთ ხელს, მას აკავებენ და ამაზე დაყრდნობით, იწყება საქმის მსვლელობა. საქმე, ფაქტობრივად, ჩვენი დასკვნის საფუძველზე იხსნება.

— როდესაც ეჭვმიტანილს სპეციალურად აწერინებენ ტექსტს გამოსაკვლევ ხელნაწერთან შესადარებლად, ალბათ იგი ცდილობს, რომ ხელწერა შეცვალოს...

მარინა გოგიჩაშვილი:

– ხელწერის შეცვლის მცდელობა არის, მაგრამ ეს არ არის რთული დასადგენი. თუ ეჭვმიტანილი, მაგალითად, ჩვეულებრივ, წერისას მარჯვნივ ხრის ასოებს, როდესაც სპეციალურად აწერინებენ ტექსტს, იგი ცდილობს, მარცხნივ დახაროს, ან პირიქით. ხელნაწერს ყოველთვის ეტყობა, ავტორი სპეციალურად ამახინჯებს ხელწერას თუ ბუნებრივად. ასეთ დროს ჩვენ ყოველთვის ვითხოვთ დამატებით ნიმუშებს: დაკითხვის ოქმებს, მის ძველ ჩანაწერებს და ა.შ. თუ ტექსტი, რომელსაც ეჭვმიტანილს სპეციალურად აწერინებენ, დიდი მოცულობის არის, ხელი იღლება და მისი ხელწერისთვის დამახასიათებელი ნიშნები მაინც იპარება. ამიტომ, რაც უფრო მეტია შესადარებელი ნიმუში, მით უფრო იოლია გამოკვლევა.

— ამბობენ, ხელნაწერის მეშვეობით შესაძლებელია ადამიანის ხასიათის დადგენა...

– ეს არ არის ჩვენი კვლევის საგანი, მაგრამ იყო ფრანგი მეცნიერი ლომბროზო, რომელიც ხელნაწერის მიხედვით ადგენდა, შეუძლია თუ არა პიროვნებას ჩაიდინოს დანაშაული.

რამდენიმე წლის წინ, ვაზისუბანში რძალმა მოკლა დედამთილი. დამნაშავემ წერილი დაუტოვა ქმარს, სახლიდან წავიდა და დაიკარგა. წერილში, რომელიც ჩვენს ლაბორატორიაში მოიტანეს, იმის გამოსაკვლევად, ნამდვილად ამ ქალის მიერ იყო თუ არა შესრულებული, დეტალურად იყო აღწერილი საზარელი მკვლელობა. კამათის დროს რძალმა დედამთილს ხელი ჰკრა. მან სკამის კიდეს ჩამოარტყა საფეთქელი და გარდაიცვალა. რძალმა მკვდარი დედამთილი საწოლში ჩააწვინა და დაიწყო ფიქრი იმაზე, თუ როგორ დაემალა მიცვალებული. მან შუაღამისას გვამი ნაწილებად დაჭრა. რაღაც ნაწილი გადაყარა სანაგვეზე, ნაწილი კი – პოლიეთილენის პარკებში მოათავსა და შემდეგ, ჩანთებში ჩააწყო. იგი თბილისიდან საჩხერემდე ავტობუსიდან გზადაგზა ყრიდა სხეულის ნაწილებს.

ხელნაწერის გამოსაკვლევად მოვითხოვეთ მისი ძველი ჩანაწერები და დადგინდა კიდეც მისი ბრალეულობა. საოცარია, რომ ისეთი ლამაზი ხელწერის მქონე ადამიანი, როგორიც იგი იყო, ასეთი სასტიკი ბუნების აღმოჩნდა.

— შესაძლებელია თუ არა, ზრდასრული ადამიანის ხელნაწერისა და მისი ბავშვობის დროინდელი ჩანაწერების მიხედვით დადგინდეს მათი იდენტურობა?

– რამდენიმე წლის წინ, თბილისში მცხოვრები 93 წლის ქალბატონი ამტკიცებდა, რომ იგი იყო ანასტასია ნიკოლოზის ასული რომანოვა. მან გაიხსენა ისტორიული ფაქტები, მეფის ოჯახთან დაახლოებული პირები და სხვადასხვა დეტალი. სიმართლის დასადგენად საჭირო გახდა ხელნაწერის ექსპერტიზის ჩატარება. არქივიდან ამოღებული 15 წლის ანასტასია რომანოვას ხელნაწერებისა და ქალბატონის ხელწერის შედარებისას ელემენტარული ნიშნები დაემთხვა, მაგრამ მათი იდენტურობის დადგენა შეუძლებელი იყო. ადამიანს დროთა განმავლობაში ხელწერა ეცვლება, რაც გამოწვეულია ტრავმებით, დაბერებით და ა.შ. ის ქალბატონი მართლაც ანასტასია რომ ყოფილიყო, მას იმდენი ფსიქოლოგიური ტრავმა ექნებოდა გადატანილი, რომ ხელწერა აუცილებლად შეეცვლებოდა. ასე რომ, ზრდასრული ადამიანის ხელნაწერისა და მისი ბავშვობის დროინდელი ჩანაწერების შედარებისას შეუძლებელია დადგინდეს მათი იდენტურობა. ■

ბრალდებულმა მეგობრის მკვლელობაში თავი დამნაშავედ არ ცნო

მოკლული გიორგი ხოკერაშვილი

24 წლის თბილისელი დავით სარალიძე თავისივე უბნელის მკვლელობაში თავს დამნაშავედ არ ცნობს. პროკურატურის ბრალდებით, მან ჩხუბისას, მეგობრების თვალწინ, დანით მოკლა 21 წლის გიორგი ხოკერაშვილი. მომხდარი ფაქტის შესახებ ვრცლად „გზის“ 2002 წლის №17-ში ვწერდით. მაშინ დავით სარალიძე დანაშაულში მხოლოდ ეჭვმიტანილი გახლდათ. გამოძიების შემდეგ კი სამართალდამცავებმა ამ მკვლელობაში მას ოფიციალურად დასდეს ბრალი და ამის საფუძვლად პროკურატურის მიერ მოპოვებულ მტკიცებულებებზეც მიუთითეს. ბრალდებული – დავით სარალიძე გლდანი-ნაძალადევის რაიონული სასამართლოს წინაშეც წარდგა, თუმცა მომხდარის შესახებ მხოლოდ ის თქვა, რომ არაფერი ახსოვს.

შეგახსენებთ, რომ მკვლელობა 2002 წლის 15 თებერვალს, თბილისში, გლდანის მე-7 მიკრორაიონში მოხდა. საღამოს, დაახლოებით ცხრის ნახევრისთვის, უბნის ბიჭები – დავით სარალიძე, მალხაზ ხოკერაშვილი, გიორგი ხოკერაშვილი, ზურაბ იარალიშვილი, ლევან იარალიშვილი, დემურ მილორავა და დავით ხვინგია არაყს სვამდნენ. ალკოჰოლური სასმლით ისინი იქვე, №17ა საცხოვრებელ კორპუსთან მდებარე სასურსათო მაღაზიასთან დათვრნენ. უკვე, თითქმის ყველა მთვრალი იყო, როცა დავით სარალიძესა და გიორგი ხოკერაშვილს ერთმანეთთან უმნიშვნელო მიზეზით ურთიერთშელაპარაკება მოუხდათ. ჩხუბისას, ნასვამმა სარალიძემ ხოკერაშვილი დანით დაჭრა.

როგორც გამოძიებისას გაირკვა და როგორც თავად სარალიძემ დასძინა, დანა მას იმ დღეს თან ჰქონდა – ჯიბეში ედო. ამ დანით მან გიორგის რამდენიმე სასიკვდილო ჭრილობა მიაყენა გულმკერდისა და მუცლის არეში. დაჭრილი კლინიკურ საავადმყოფოში მიყვანისთანავე გარდაიცვალა.

პოლიციამ სარალიძე იმავე დღეს დაკავა, თუმცა აღსანიშნავია, რომ ეს უკანასკნელი თავის ბიძაშვილთან – დავით მილორავასთან ერთად, უკვე გაქცეული და მიმალული იყო. მიმალვა მან თავისი ბიძის სახლში სცადა.

„რა მოხდა იმ დღეს, არ მახსოვს. ძალიან მთვრალი ვიყავი და სიმთვრალის დროს რას ვაკეთებ, არ ვიცი. თავს კონტროლს ვერ ვუწევ“, – განუცხადა სარალიძემ სამართალდამცავებს. სასამართლოსთვის მას ჩვენება არ მიუცია. მოსამართლემ ჩათვალა, რომ საქმე პროკურატურის მიერ სრულყოფილად არ იყო გამოძიებული და მისი დამატებით ძიებაში დაბრუნების შესახებ დადგენილება გამოიტანა.

როგორც შევიტყვეთ, ამ დადგენილების კანონიერების საკითხს ამჟამად თბილისის საოლქო სასამართლოში არკვევენ. სასამართლო სხდომა 2002 წლის 5 დეკემბრისთვისაა დანიშნული. ■

26 წლის ახალგაზრდას უზენაესი სასამართლო ორი ღორის გატაცებისთვის ასამართლებს

19 ნოემბერს უზენაესი სასამართლოს წინაშე 26 წლის გივი სოხურაშვილი წარდგა. პროკურატურა მას თელავის რაიონის ერთ-ერთი სოფლის მოსახლის – ვლადიმერ ჯანგირაშვილის ორი ღორის გატაცებაში ადანაშაულებს.

გივი სოხურაშვილი ახმეტის რაიონის, სოფელ საკობიანოდან გახლავთ. ის ადრე ნასამართლევი არ არის. იგი პროკურატურის მიერ შედგენილ საბრალდებო დასკვნას არ ეთანხმება და აცხადებს, რომ დანაშავე არ არის. ბრალდების თანახმად, 2001 წლის 22 დეკემბერს გივი სოხურაშვილმა თავის ორ მეგობართან და გამოძიებით დაუდგენელ პირთან – ვინმე ხიზირასთან მოილაპარაკა, დანაშაულის ჩასადენად თელავის რაიონში ჩასულიყვნენ. იმავე დღეს, დაახლოებით საღამოს ცხრა საათისთვის, მათ სოფელ ყარაჯალისკენ გასწიეს. ვიდრე სოფელს მიუახლოვდებოდნენ, არყის დალევა გადაწყვიტეს. დალიეს და საკმაოდ დათვრნენ კიდეც. დაახლოებით 10 საათისთვის კი გზა განაგრძეს. გივი სოხურაშვილი ხელყუმბარით გახლდათ შეიარაღებული, მის მეგობრებს კი ავტომატური ცეცხლსასროლი იარაღი ჰქონდათ თან. ისინი ერთ-ერთი მოსახლის – ვალოდია (ვლადიმერ) ჯანგირაშვილის ეზოში შევიდნენ და იქვე ღორების სადგომის კარი გატეხეს, რათა იქიდან ღორები გამოეყვანათ, თუმცა ამ დროს, სახლიდან პატრონიც გამოვარდა და ჯერ კიდევ სადგომში მყოფ სოხურაშვილს თავს წაადგა. სოხურაშვილს გარეთ მეგობარი ელოდებოდა. ისინი ვალოდია ჯანგირაშვილს მოკვლით დაემუქრნენ. შეშინებულმა ვალოდიამ მაშინვე მიატოვა იქაურობა და სახლისკენ გაიქცა. ბოროტმოქმედებმა სადგომიდან ორი ღორი გარეთ გამორეკეს და სოფელ ყარაჯალისკენ წაასხეს. ამასობაში, ვალოდიამ მომხდარის შესახებ მეზობლებს აცნობა და მათ დახმარება სთხოვა. მეზობლები სასწრაფოდ ჩასხდნენ ავტომანქანაში და ბოროტმოქმედებს დაედევნენ. დაახლოებით 20 წუთში მათ სოხურაშვილი მართლაც შენიშნეს. იგი ღორებს მიერეკებოდა. როგორც თავად აცხადებენ, ის მარტო იყო. შეეცადნენ მის დაკავებას, მაგრამ სოხურაშვილმა მათ წინააღმდეგობა გაუწია, ხელყუმბარა საბრძოლო მდგომარეობაში მოიყვანა და აფეთქა. აფეთქებამ, თავად სოხურაშვილი დააზარალა. ასევე დაზიანდა ავტომანქანაც. ამით ჯანგირაშვილმა და მისმა მეზობლებმა ისარგებლეს, სოხურაშვილი დაიკავეს და პოლიციის რაიგანყოფილებაში მიიყვანეს.

პროკურატურამ სოხურაშვილი ასაფეთქებელი მოწყობილობის უკანონო შენახვაში (ითვალისწინებს 3 წლამდე თავისუფლების აღკვეთას), ასაფეთქებლის ტარებაში (5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა), ყაჩაღური თავდასხმისას მოძრავი ნივთის გატაცებაში, სიცოცხლისთვის საშიში ძალადობით ან ასეთი ძალადობის მუქარით, ჯგუფურად (ითვალისწინებს 6-დან 15 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) და განზრახ მკვლელობის მცდელობაში, დამამძიმებელ გარემოებაში (ითვალისწინებს 10-დან 20 წლამდე თავისუფლების აღკვეთას) დაადანაშაულა.

სასამართლო სხდომაზე დაზარალებულმა ვალოდია ჯანგირაშვილმა განაცხადა, რომ ღორების სადგომში ბნელოდა, ფარანი ცუდად ანათებდა და იქ გივი სოხურაშვილი იდგა თუ სხვა ვინმე, ზუსტად არ იცის. მისივე თქმით, მას სოხურაშვილის ხელში არც ხელყუმბარა შეუნიშნავს. *„ალბათ, სხვამ ისროლა, თუმცა, მე სოხურაშვილის გარდა იქ არავინ დამინახავს“*, – განაცხადა ჯანგირაშვილმა. დაზარალებულის თქმით, თითოეულ ღორს, რომელიც ბოროტმოქმედებმა გაიტაცეს, ის 300 ლარად აფასებდა.

რუბრიკა მოამზადა მეგი ცანავამ



ტელეწამყვანთა მეხსიერებიდან

მახსოვს ერთხელ ერთმა ადამიანმა ოცი ოთახიანი სასტუმრო

გიორგი ჯავჯანიძე ცნობილი ტელეწამყვანების, პარლამენტარების, მსახიობებისა და სხვა პოპულარული ადამიანების ფსიქოლოგია. იგი მესაიდუმლეა მათი ინტიმური თუ პროფესიული თავგადასავლებისა. როგორც ფსიქოლოგი ამბობს, მუდმივად სახტად დარჩენილი ადამიანია, ვინაიდან, როგორც კი გაიფიქრებს, რომ მას ამ ცხოვრებაში არაფერი აღარ გაუკვირდება, რადგან ყველაფერი მოუსმენია და უნახავს, მისი ცნობილი პაციენტები ისეთ ფათერაკებში გაეხვევიან ხოლმე, რომელიც „პირს დააფჩენინებს“ და მერე მთელი ღამეები რთული სიტუაციიდან მათი გამოსვლის გზებზე ფიქრობს. ისინი, ვინც ტელეეკრანიდან მორალს გვიკითხავენ და საოცრად თავდაჯერებულად გამოიყურებიან, ფსიქოლოგს შემდეგი კითხვით მიმართავენ: „როგორ ვარ, გიორგი?“ ჯავჯანიძეც თითოეული პაციენტისთვის ინდივიდუალურ „რეცეპტს“ ამზადებს და ამაყობს კიდეც იმით, რომ თავიანთ საჯარო გამოსვლებში ისინი პირადი ფსიქოლოგის რჩევებს ითვალისწინებენ.

ხათუნა მაღრაძე

— გიორგი, თქვენ „პირველი არხის“ ფსიქოლოგი ხართ და მგონი, თქვენამდე ეს ინსტიტუტი ტელევიზიაში არც არსებობდა.

— დიახ, პირველად მე შევადგინე პროექტი ორი წლის წინ და წარვუდგინე ბატონ ზაზა შენგელიას. მას ძალიან მოეწონა და თანამშრომლობა დავიწყეთ. საზღვარგარეთ ყველა სამსახურს ჰყავს თავისი ფსიქოლოგი და ეს აუცილებელიცაა, რადგან ადამიანი დღის განმავლობაში გარკვეულ ფსიქოლოგიურ დატვირთვას იღებს, მას განმუხტვა სჭირდება, რაშიც პროფესიონალი უნდა დაეხმაროს.

— კონკრეტულად რა შედის თქვენს ფუნქციებში?

— სტრესის მოხსნა, გაურკვეველი სიტუაციიდან ადამიანის გამოყვანა. მე ვალდებული ვარ, სწორად დავანახვო ჩემს პაციენტს ის, თუ რა აწუხებს და შემდეგ გამოსავლის პოვნაშიც დავეხმარო.

— „პირველი არხის“ თანამშრომლებიდან ცალკეულ პიროვნებებს ემსახურებით თუ მთელ კოლექტივს?

— თავიდან მხოლოდ „მოამბის“ ფსიქოლოგი ვიყავი, ახლა განურჩევლად ყველას დახმარება მევალება. თუმცა, არც წინათ მიფიქრია, რომ თუ ადამიანი „მოამბის“ თანამშრომელი არ იყო, მას არ ვჭირდებოდი და არ უნდა დავხმარებოდი.

— ურთიერთობისას ანონიმურობას იცავთ?

— ჩემი პაციენტები ძალიან ცნობილი პიროვნებები არიან. მე მათი პირადი ფსიქოლოგი ვარ, ამიტომ ანონიმურობა გარანტირებული უნდა ჰქონდეთ. სხვა შემთხვევაში, ურთიერთობა ვერ აეწყობა.

— როცა ადამიანი პოპულარული ხდება, რამდენად ეცვლება ფსიქოლოგია?

— როცა პიროვნება ცნობილი ხდება, მისი ფსიქოლოგია გარკვეულწილად იცვლება. ზოგს პოპულარობა პიროვნულად ხელს უშლის, იგი ამბიციური და ზედმეტად თავდაჯერებული ადამიანი ხდება ხოლმე. ასეთები არავის რჩევას არ ითვალისწინებენ. თუმცა არის ჭკვიანი ადამიანების კატეგორიაც. ისინი რაც უფრო პოპულარულები ხდებიან, მით უფრო მეტის სწავლა უნდათ, რომ არ დაკარგონ საზოგადოებაში მოპოვებული ადგილი. აქვე უნდა ვთქვა, რომ ამ კატეგორიას არც ისე ბევრი ადამიანი მიეკუთვნება.

— სტრესულ მდგომარეობაში უმეტესად, როდის ვარდებიან ხოლმე ჩვენი პოპულარული ტელეწამყვანები?

— ჟურნალისტობა ძალიან საპასუხისმგებლო პროფესიაა. როცა ინფორმაციას ამზადებ, არ უნდა შეცდე. ნებისმიერ ექსტრემალურ სიტუაციაში დაბნევა უნდა გამოირიცხოს. არ დაიჯერებთ, მაგრამ ისინი ყოველი ორწუთიანი სიუჟეტის ეთერში გასვლამდე, ისეთ განცდებში არიან, რომ შეიძლება ითქვას, თითქოს ყოველდღე „მშობიარობენ“.

— სასიყვარულო თავგადასავლებსა და ინტიმურ საკითხებზე

ამერიკელ კოლეგასტან ერთად

თუ საუბრობთ ხოლმე?

— რა თქმა უნდა, ჩვენი ურთიერთობა მხოლოდ პროფესიულ საკითხებზე მსჯელობით არ შემოიფარგლება.

— ამ შემთხვევაში, რამდენად გახსნილები არიან?

— თითოეული ჩემი პაციენტი დარწმუნებულია, რომ ანონიმურობის გარანტია აქვს. ვერ ვიტყვი, რომ მათი ცხოვრების პიკანტური მომენტები საუბრის დამთავრებისთანავე მავიწყდება, მაგრამ ჩემგან ამ ინფორმაციის „გასვლა“ გამორიცხულია. ამიტომ ისინი ბოლომდე მიხსნიან გულს.

— ვთქვათ, რაღაც სიტუაციაში შეურაცხყოფილად იგრძნო თავი; არც ამის თქმა ერიდება?

— არა. საერთოდ, ეს ურთიერთობა ძალიან ჰგავს ექიმისა და პაციენტის დამოკიდებულებას, სადაც სირცხვილი ნაკლებად ფიგურირებს. შენ გიჭირს, ჩავარდი უხერხულ სიტუაციაში, დამცირებულად იგრძენი თავი; ჩემი მოვალეობაა, გიშველო. თუ მეტყვი, რომ ბედნიერი ხარ, როგორღა დაგეხმარები?..

— თქვენთან საუბრისას ტირიან კიდეც?

— კი. უფრო მეტსაც გეტყვით — ხშირად მეც მათთან ერთად ვზივარ და ვტირი.

— როცა პაციენტი გირეკავთ, პირველად, რა სიტყვებს ეუბნებით?

— „მომიყევი, რა მოხდა“, მაგრამ სიტყვები ამ შემთხვევაში, იმდენად მნიშვნელოვანი არ არის, რამდენადაც ჩემი ინტერესი მათი პრობლემების მიმართ. პაციენტებმა იციან, რომ რეკავენ სწორ მისამართზე — ფსიქოლოგთან, რომელსაც მათი ტკივილი სტკივა. შეიძლება, ძალიან ცუდია, რასაც ვამბობ, მაგრამ ჩემთვის პირადული აღარ არსებობს — პაციენტების ცხოვრებით ვცხოვრობ...

— ღამის საათებში — 3, 4, 5 საათზე თუ დაურეკავთ თქვენთვის?

— ძალიან ხშირად გავუღვიძებივარ მათ ზარს, თუმცა, ეს მათთვის არ მიგრძნობინებია და მთელი ღამე საუბარში გაგვითენებია. მე ამით აღარ ვწუხდები, რადგან მიყვარს ჩემი პროფესია და ის ადამიანები, ვისთანაც ურთიერთობა მაქვს.

— ყველაზე თვინიერ და დამყოლ ტელეწამყვანს ვერ დაგვისახელებთ?

— არა, ჩემი პრინციპია, რომ ასეთი ინფორმაცია არ გავამხილო...

— რომელიმე ამბავი მაინც მოგვიყევით.

— კარგი, რადგან არ იშლით, გვარსახელის გარეშე მოგიყვებით ერთი, ძალიან ცნობილი ტელეჟურალისტის ამბავს. იგი პოპულარული, ჭკვიანი და ლამაზი ქალია. გათხოვებიდან რაღაც პერიოდის შემდეგ, ერთ დილით სახლიდან გამოვიდა, მეუღლე ლოგინში დატოვა და საკუთარი ავტომანქანით აგარაკზე გაეშურა. როცა ადგილზე მივიდა, აღმოჩნდა, რომ აგარაკის გასაღები შინ დარჩენოდა. უკან დაბრუნდა, ზარი დარეკა, მაგრამ მეუღლე კარის გაღებას აგვიანებდა. ქალმა იფიქრა — იქნებ სახლიდან გავიდაო? — მაგრამ შიგნიდან ყრუ ხმაური მოესმა და კარზე დაჟინებული რეკვა განაგრძო. ბოლოს და ბოლოს, ქმარმა კარი გააღო, ტრუსებში იდგა და უხერხულად იღიმებოდა. სახლში შესულმა ქალმა იგრძნო, რომ საძინებელში ვიღაც იყო, მაგრამ არ შეიმჩნია. დაჯდა, სიგარეტს მოუკიდა, თვალებში ჩახედა დაბნეულ მეუღლეს, რომელმაც ცხოვრებაში პირველად შესთავაზა — ყავას მოგიდუღებო... რამდენიმე წუთში, აცახცახებული ხელებით, ყავა მართლაც მიართვა. ქალი კი ამ დროს ფიქრობდა: ღირს კი, ამ სიტუაციის გამო, ოჯახი დავანგრიოო?.. საძინებელში რომ შესულიყო და იქ ქალი ენახა, ქმართან ვეღარ დარჩებოდა... მან ხელი დაავლო გასაღებს და სახლიდან გავიდა, მაგრამ აღარ წავიდა — უნდოდა გაეგო, ვინ გამოვიდოდა მისი სახლიდან. წარმოიდგინეთ მისი გაოცება, როცა ცოტა ხანში, ქმარმა მისი უახლოესი დაქალი გამოაცილა. ამ ამბავმა ისე ჩაიარა, რომ ქალბატონმა არც მეუღლეს და არც თავის მეგობარს არაფერი აგრძნობინა...

ნაგო ონიანთან ერთად

— თქვენ ურჩიეთ, რომ ასე მოქცეულიყო?

— ის თვითონაც ძალიან ჭკვიანი ქალია და იცის, რომ ერთი შეცდომის გამო, არ შეიძლება ოჯახის დანგრევა. ზოგჯერ ხდება, რომ ადამიანს სხვა უყვარს და სხვასთან წევს...

— თქვენი აზრით, ეს ქალისთვისაც დასაშვებია?

— მე ასეთი ქალებისთვისაც გამიგია. სასურველია, ასეთი სურვილი არ დაიბადოს ქალში, მაგრამ თუ მისდა უნებურად გაიტაცა გრძნობამ, ე.ი. შეიძლება... თუმცა მამაკაცები უფრო ხშირად ამას არ ჰპატიობენ.

— თქვენი პაციენტებიდან რომელიმეს თუ ჰქონია ისეთი შემთხვევა, რომ ქმრისთვის ეღალატოს და ამის შესახებ მის მეუღლეს შეეტყოს?

— რამდენიც გინდათ! მაგრამ პოპულარულ ცოლებს ქმრები ადვილად ვერ ელევიან. თუმცა, ქალების მხრიდან ღალატი ხშირ შემთხვევაში, ქმრებში სამაგიეროს გადახდის სურვილს ჰბადებს. არადა, ეს სულელური ნაბიჯია, რომელიც ორივეს უფრო საშინელ სტრესში აგდებს.

— თქვენი პარლამენტარი პაციენტებიდან, ქალები ჭარბობენ თუ მამაკაცები?

— იყო დრო, როცა ქართული მენტალიტეტის გამო, მამაკაცებს ფსიქოლოგებთან მისვლა ერიდებოდათ. დღეს

სიტუაცია რადიკალურად შეიცვალა, ამიტომ ჩემს პაციენტებში მამაკაცები ჭარბობენ კიდეც.

— მაინც რამდენი პარლამენტარი გადის თქვენთან კონსულტაციას?

— მყავს ჩემი წრე — კონკრეტულ ციფრს ვერ დაგისახელებთ.

— „საპარლამენტო კვირეების“ დროს ალბათ უფრო აქტიურად სჭირდებათ თქვენი დახმარება?

— რა თქმა უნდა, მნიშვნელოვანი გამოსვლების წინ ვსაუბრობთ, მაგრამ ადამიანმა სტრესი ყოველდღიურად შეიძლება მიიღოს. ასე რომ, ჩვენ ინტენსიურად ვმუშაობთ.

— ნაცემი პარლამენტარებიდან, რომელიმე თქვენი პაციენტი ხომ არ არის?

— არა, სხვათა შორის, არც ნაცემები და არც ისინი, ვინც მათ თავს დაესხნენ. მე და სიმშვიდე განუყრელი თანამგზავრები ვართ.

— გამიჭირდება ამაში დაგეთანხმოთ, რადგან ერთ-ერთი თქვენი პაციენტი — ინგა გრიგოლია სიმშვიდის კლასიკურ მაგალითად ვერ გამოდგება...

— ინგას იმდენად დატვირთული და მომქანცველი სამუშაო დღეები ჰქონდა, რომ როგორიც იყო, სწორედ ისეთი უნდა ყოფილიყო. მას არაჩვეულებრივად აქვს განვითარებული პასუხისმგებლობის გრძნობა, აქედან გამომდინარე, მშვიდად ვერასოდეს იქნებოდა.

— რაც საინფორმაციოს წამყვანი აღარ არის, უფრო ხშირად ხომ არ სჭირდება თქვენი კოსულტაციები?

— ინგა ზედმეტად არც ადრე მაწუხებდა. ჩვენი ურთიერთობა და მეგობრობა დღესაც გრძელდება.

— ერთ-ერთი გადაცემის დროს გრიგოლიასთან პირდაპირ ეთერში პრეზიდენტმა დარეკა. რა შთაბეჭდილება მოახდინა ამ ზარმა ჟურნალისტზე?

— განსაკუთრებული რეაქცია არ ჰქონია. ხალხში აგორდა ჭორი, თითქოს პრეზიდენტმა ინგას უსაყვედურა. ეს ტყუილია და არც მასზე მოუხდენია რაიმე განსაკუთრებული ფსიქოლოგიური ზემოქმედება?

— ეკა ბერიძეზე რაღას გვეტყვით? მას ზედმეტად ამბიციურ და პრეტენზიულ ადამიანად მიიჩნევენ?

— ჩვენი ურთიერთობის მანძილზე მსგავსი არაფერი შემიმჩნევია. ეკა ყოველთვის ითვალისწინებს ჩემს რჩევებს და ზოგიერთივით კუდი ყავარზე არ აქვს გადებული. იგი საოცრად გახსნილი და თბილი ადამიანია.

— როცა ტელეწამყვანებს წარუმატებელი ეთერი აქვთ, თქვენ ურეკავთ თუ მათ ზარს ელოდებით?

— ურთიერთობის ფორმები ასე მკაცრად არ გვაქვს განსაზღვრული. თუ ვიგრძენი, რომ რომელიმე მათგანს უჭირს, მის ინიციატივას არ ველოდები და ვცდილობ, რითიც შემიძლია, დავეხმარო.

— ამდენ ლამაზ და ცნობილ ქალბატონთან გაქვთ ურთიერთობა. დავიჯერო, რომელიმე მათგანი არ შეგიყვარდათ?

— ვცდილობ, თავს მოვერიო, თუმცა, უნდა ვაღიარო, რომ ნატო ონიანში ძალიან მხიბლავს მისი განათლება და უსაზღვრო სითბო. პოლიტიკაში საერთოდ ვერ ვერკვევი, ის კი დამსვამს ხოლმე და პატარა ბავშვივით მიხსნის ყველაფერს... არა, ნატო სულ სხვაა — ძალიან კარგი, ძალიან საყვარელი, სიამოვნებით მოვიყვანდი ცოლად...

— ამაზე სხვა დროსაც გიფიქრიათ თუ ახლა დაგებადათ ეს იდეა?

— არ ვიცი, იქნებ, ქვეცნობიერად მიფიქრია კიდეც, რადგან მასში ყოველთვის მხიბლავდა ინდივიდუალურობა და ქალური სინაზე. როცა ამას თვითონ წაიკითხავს, გაუკვირდება კიდეც.

— ზედმეტი აღტაცებით ხომ არ საუბრობთ მასზე? მით უმეტეს, რომ თქვენ მეუღლე გყავთ.

— არა მგონია, ჩემს მეუღლეს ეს ეწყინოს, რადგან სურვილის გამო, ადამიანებს არ სვჯიან... ■

შეამოწმეთ თქვენი ცოდნა

ტესტი ერუდიციაზე

1. რა ჰქვია ერთი წლის ჯიხვს?

ა) ციკანი;
ბ) ყოჩი;
გ) დურაყი.

2. კერძის დეგუსტირებისას, დეგუსტატორი უნდა იყოს:

ა) მაძღარი;
ბ) მშიერი;
გ) კბილებალესილი.

3. უკანასკნელად რომელ ცნობილ ქალბატონს მიანიჭა საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტის წოდება მიხაილ გორგაჩოვმა საბჭოთა კავშირის დაშლამდე ცოტა ხნით ადრე?

ა) ნანი ბრეგვაძეს;
ბ) ალა პუგაჩოვას;
გ) ალისა ფრეინდლიხს.

4. რომელი ქართული სიმღერის მელოდია აქვს გამოყენებული პეტრე ჩაიკოვსკის გალეტ „მაკნატუნაში“?

ა) „იავნანა“;
ბ) „წერეთელმა დაგვიბარა“;
გ) „ჩემო ციცინათელა“.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

ალბათ ნებისმიერ ადამიანს გაუგია ისეთი შემთხვევის შესახებ, როცა რომელიმე ბავშვს უცხო სხეული გადაუყლაპავს. რატომღაც ყველა ბავშვიანი ოჯახი განსაკუთრებული სიფრთხილით ინახავს ნემსებს და ინგლისურ ქინძისთავებს, რომელსაც ბავშვები საოცარი „ოსტატობით“ ყლაპავენ ხოლმე. მაგრამ იგივე ოჯახები არ მალავენ ორდენებს, ლითონის მონეტებს (ხურდა ფულს), გასაღებებს, თმის სამაგრებს, მაწოვარას თავსახურებს (უფრო ხშირად — გვირილებს), „ბოლტებს“, „შაიბებს“ და მცირე ზომის სხვა ნივთებს. უამრავი ასეთი ნივთი აღმოვაჩინე დიღომში, ბავშვთა მეორე რესპუბლიკურ საავადმყოფოში, ბავშვთა ენდოსკოპისტის, ბატონ მერაბ ბუაძის კაბინეტში. მის „კერძო კოლექციაში“, რომელშიც ძირითადად, ბავშვების სხეულებიდან ამოღებული ნივთებია დაცული, ლენინისთავიანი მანეთიანიც მომხვდა თვალში, რომელსაც ერთ-ერთი ბიჭუნა სამი თვის განმავლობაში „ინახავდა“ კუჭში. იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიქცეთ, თუკი თქვენი შვილი უცხო სხეულს გადაყლაპავს, რჩევებს ბატონი მერაბი გვაძლევს.

თუ ბავშვმა ეხლი სლეული გადყლაპა...

ლელა ჭანკოტაძე

— ისეთ შემთხვევებში, როცა გაჩნდება ეჭვი, რომ ბავშვმა უცხო სხეული გადაყლაპა, აუცილებლად უნდა მიმართოთ ბავშვთა საავადმყოფოს და არა მოზარდთა კლინიკას. ხშირად, ასეთი ავადმყოფები მიჰყავთ ყელ-ყურის ექიმებთან, რომლებიც ჩახედავენ ბავშვს ყელში და განაცხადებენ, რომ არაფერი აქვს გადაყლაპული. სინამდვილეში, უცხო სხეული ყელის ქვემოთაა ჩასული. თბილისში, დიღმის ბავშვთა საავადმყოფოში მოქმედებს ფიბროენდოსკოპიური სამსახური. თანამედროვე მედიცინა იქამდე მივიდა, რომ ფიბროენდოსკოპიური ანუ ფიბრობოჭკოვანი აპარატებით შესაძლებელია, ნორმალურად და უხიფათოდ დავთვალიეროთ საყლაპავი, კუჭი, თორმეტგოჯა ნაწლავი, რასაც წინ უძღვის რენტგენის გადაღება. რენტგენში ჩანს ისეთი უცხო სხეული, რომელიც რენტგენო-კონტრასტულია, ე.ი. არის ლითონის. პლასტმასის ნივთი შეიძლება, რენტგენის სურათით არ გამოჩნდეს, რადგან ის რენტგენო-კონტრასტული არ არის. ჩვენს საავადმყოფოში გაცილებით მეტი საშუალებაა ამ პროცესის უმტკივნეულოდ და წარმატებით ჩასატარებლად. თანამედროვე იაპონური აპარატურით ქირურგი-ენდოსკოპისტი ნახულობს იმ ორგანოებს, რომელშიც უცხო სხეული შეიძლება აღმოჩნდეს.

— ნებისმიერი უცხო სხეული, რომელსაც ბავშვი გადაყლაპავს, აუცილებლად ამოღებული უნდა იქნას?

— თუ უცხო სხეული ძალიან მცირე ზომის არის, მისი ამოღება აუცილებელი არ არის, მაგრამ საყლაპავში დაფიქსირებული უცხო სხეული, როგორი მცირე ზომისაც არ უნდა იყოს, უნდა ამოვიღოთ, რადგან საყლაპავში უცხო სხეულის დიდხანს დატოვებამ მისი კედლის დაზიანება და პერფორაციაც შეიძლება გამოიწვიოს.

— თუ უცხო სხეული კუჭში გადავიდა, იმდენად საშიში აღარ არის?

— თუ ნივთი მცირე ზომის არის და არა აქვს ბასრი კიდეები (ნემსი, ინგლისური ქინძისთავი), ექიმმა შეიძლება ჩათვალოს, რომ ასეთი უცხო სხეული თავისით გავა სხეულიდან. მცირე ზომაში იგულისხმება 5-7-მმ-იანი ნივთი. ამასთანავე, დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა ასაკის ბავშვი გადაყლაპავს მცირე ზომის უცხო სხეულს.

— უფრო ხშირად, რომელი ნივთები ხვდება ბავშვების სხეულში?

— ძალიან ხშირად ყლაპავენ ინგლისურ ქინძისთავებს, რკინის მონეტებს და ნემსებს. როცა უცხო სხეული ბასრკიდეებიანია, ამან შეიძლება, საყლაპავის პერფორაცია გამოიწვიოს. ნემსზე ამბობენ, რომ ის შეიძლება, თავისით გავიდეს სხეულიდან. მაგრამ ასეთი რამ იშვიათად ხდება, ამიტომ, თუ ნემსი სხეულში დაფიქსირდა, ის უნდა ამოვიღოთ. ჩვენს საავადმყოფოში არსებული აპარატურა საშუალებას იძლევა, რომ დავათვალიეროთ საყლაპავის თითოეული მილიმეტრი, კუჭი, თორმეტგოჯა ნაწლავი და მლივი ნაწლავის დასაწყისი. ფიბროენდოსკოპიას და იმ იაპონურ აპარატს, რომელიც ჩვენ გვაქვს, მეტის საშუალება არა აქვს. არადა, ბავშვებს უცხო სხეულები ზოგჯერ სწორ ნაწლავში უვარდებათ. მაგალითად: როცა დედა ტემპერატურას უზომავს, შესაძლებელია, თერმომეტრი გატყდეს და მისი ნატეხი სწორ ნაწლავში დარჩეს. ან კიდევ, ოყნის გაკეთებისას შესაძლებელია, ოყნის თავი ნაწლავში შევარდეს. ასეთ შემთხვევებში საჭირო ხდება კოლონოსკოპიის გაკეთება — ე.ი. მსხვილი ნაწლავიდან ამ უცხო სხეულების ამოღება. მაგრამ თუ ის გადავიდა წვრილ ნაწლავში, რომელიც ენდოსკოპის მოქმედების არეალს სცილდება, ეს უკვე საშიშია



ბავშვი გურჯაანიდან ჩამოიყვანეს, მან გახსნილი ინგლისური ქინძისთავი ე.წ. „ბულავკა“ გადაყლაპა

და აუცილებელი ხდება ბავშვის მოთავსება სტაციონარში, მასზე სერიოზული კონტროლის დაწესება და კიდევ უამრავი სხვა საშუალების გამოყენება.

— თუ არსებობს რაიმე განსხვავება ნემსის შერჭობასა და ნემსის გადაყლაპვას შორის?

— თუ ბავშვს ნემსი შეერჭო, დააზიანა ნაწლავის სანათური და გამოვიდა მუცლის ღრუში, ეს უკვე ისეთი გართულებაა, როცა ჩვენ ვეღარ დავეხმარებით. როცა ნემსი გასცდება თორმეტგოჯა ნაწლავს და წვრილ ნაწლავში ჩავა, ვერც ასეთ შემთხვევაში დავეხმარებით...

— რა კლინიკური ნიშნები უნდა ჰქონდეს ბავშვს, რომ გაჩნდეს უცხო სხეულის გადაყლაპვის ეჭვი?

— ბავშვს ყლაპვა გაძნელებული აქვს, ლუკმას ვერ ყლაპავს, თუ ყლაპავს — მხოლოდ მცირე ულუფით და ეს მტკივნეულია მისთვის. გრძნობს ტკივილს გულმკერდის არეში. ეს არის პირველი ძირითადი ნიშანი. მეორე ნიშანი ის გახლავთ, რომ ბავშვს ეწყება ნერწყვდენაც. ნერწყვსაც ვეღარ ყლაპავს. ეს იმას ნიშნავს, რომ საყლაპავში უცხო სხეულია. ხშირად სცოდავენ რეგიონების ექიმები — ამ მდგომარეობაში მყოფ ბავშვს მისცემენ პურს მცირე ლუკმებით და გვეტყვიან — ხომ ხედავთ, ბავშვმა ჭამაო... პური შეიძლება, საყლაპავში დარჩეს ან უცხო სხეულის გვერდით გაძვრეს და კუჭში ჩავიდეს.

— თუ ხდება ისეთი შემთხვევები, როცა ექიმები ცდილობენ, საყლაპავში გაჭედილი უცხო სხეული სხვადასხვა საშუალებით ამოიღონ და ამით უფრო აზიანებენ საყლაპავს?

— ხდება. ჩვენ გვყავდა პაციენტი — აზერბაიჯანელი ბავშვი, რომელსაც ხუთკაპიკიანი *(გახსოვთ ალბათ — საკმაოდ მოზრდილი მონეტა იყო. — ავტ.)* ჰქონდა გადაყლაპული. სამხედრო ჰოსპიტალში მოზრდილთათვის განკუთვნილი აპარატებით შეეცადნენ მის ამოღებას და დაუზიანეს საყლაპავი, რის გამოც, ჩირქოვანი მედიასტინიტი განუვითარდა. ბავშვი ძალიან მძიმე მდგომარეობით მოგვიყვანეს. სამი თვე დასჭირდა მის განკურნებას. ჩვენთან არ ყოფილა შემთხვევა, რომ ბავშვი დაღუპულიყო, მაგრამ საერთოდ, ასეთი შემთხვევები იშვიათობას არ წარმოადგენს. სპეციალურ ლიტერატურაში ბევრი შემთხვევაა აღწერილი. ჩვენ ხუთასზე მეტი უცხო სხეული გვაქვს ამოღებული და ჯერჯერობით, არც ერთი პაციენტი არ დაგვლუპვია. ექიმს აუცილებლად უნდა ჰქონდეს ენდოსკოპიური ქირურგიის გამოცდილება, თორემ ეს იაპონური აპარატურა უცოდინარი ადამიანის ხელში საშიშიც კი შეიძლება გახდეს... ჩვენ რაიონების ექიმებს ვერ ავუკრძალავთ იმას, რომ თვითონ აწარმოონ ამოღების პროცესი, მაგრამ, რა თქმა უნდა, სჯობს, ბავშვი თავიდანვე ჩვენთან მოხვდეს.

— თქვენს ყველაზე მძიმე პაციენტს რა ჰქონდა გადაყლაპული?

— ჩემს პრაქტიკაში ყველაზე მძიმე პაციენტი იყო ექვსი თვის ბავშვი. ის გურჯაანიდან ჩამოიყვანეს. მან გახსნილი ინგლისური ქინძისთავი გადაყლაპა. ქინძისთავი სამ სანტიმეტრზე იყო გაშლილი, თვითონ ბავშვის სხეულის გარშემოწერილობა კი, ჩვიდმეტი სანტიმეტრი — ე.ი. ბავშვი ხუთი ინგლისური ქინძისთავისხელა გახლდათ. გიშრისთვლიანი ინგლისური ქინძისთავი აკვანზე დაუმაგრებიათ მშობლებს, მან კი მოაძრო და პირში ჩაიდო... საბედნიეროდ, ჩვენთან ორჯერ არავინ მოსულა, რადგან პირველი შემთხვევის შემდეგ, მშობლები სათანადო ყურადღებასა და სიმკაცრეს იჩენენ ხოლმე. საერთოდ, ასეთი შემთხვევა ხშირია სამ წლამდე ბავშვებში და მოზრდილ გოგონებში, რომლებიც კერვის დროს, ნემსს იდებენ ხოლმე პირში... სამედიცინო ლიტერატურაში ისეთი შემთხვევებიცაა აღწერილი, როცა ბავშვებს შუშის ნატეხებიც კი გადაუყლაპავთ. ეს მშობლებს განსაკუთრებით აშინებს ხოლმე.

— თუ არსებობს იმის ალბათობა, რომ იაპონურმა აპარატმაც ვერ დააფიქსიროს გადაყლაპული უცხო სხეული?

— ბავშვი ზოგჯერ იტყუება, ამიტომ ჩვეულებრივ, მას პირდაპირ ენდოსკოპიას არ ვუკეთებთ — ჯერ რენტგენით ვადგენთ სიმართლეს. არის შემთხვევები, როცა არა აქვს გადაყლაპული და მხოლოდ რენტგენის შემდეგ ამბობს სიმართლეს.

— უცხო სხეულების ამოღება თუა იმდენად ხელმისაწვდომი, რომ ნებისმიერმა ადამიანმა შეძლოს თქვენთან მოსვლა?

— მინიმალური თანხაა გადასახდელი, რადგან სადაზღვევო კომპანიები იხდიან თანხას საქართველოს მოქალაქეებისთვის. სხვა ქვეყნის მოქალაქე თუ მოვა, მან ღირებულების 100% უნდა გადაიხადოს.

— იმედია, უფულობის გამო, ბავშვს არ მოკლავთ?

— სხვათა შორის, არიან ბავშვები, რომლებიც საინგილოდან და წითელი ხიდის მიმდებარე ტერიტორიებიდან ჩამოჰყავთ,



გვყავდა პაციენტი, რომელმაც ხუთკაპიკიანი გადაყლაპა

რადგან ბაქოში ასეთი აპარატურა არა აქვთ. რა თქმა უნდა, ბავშვს უკან არ გავუშვებთ. ამაზე საუბარიც არ ღირს. ჩვენი სამსახური 1984 წლიდან არსებობს. მანამდე ბავშვთა ენდოსკოპია საქართველოში ძალიან დაბალ დონეზე იყო, ბავშვი ან იღუპებოდა, ან საშინლად წვალობდა. თუ უცხო სხეული საყლაპავში იყო გაჭედილი, რკინის მილებით ცდილობდნენ მის ამოღებას. ახლა ამოღების პროცესი დრეკადი, ფიბრობოჭკოვანი სისტემით ხდება და ამოღება ნარკოზის ქვეშ მიმდინარეობს. საკმაოდ მტკივნეული პროცესია, რასაც ბავშვი, თუ არ დავაძინებთ, ვერ გაუძლებს. შემდეგ, საჭმელს არ ვაჭმევთ, კვება ზონდით ხდება. მთავარია, საყლაპავი არ დაზიანდეს, კუჭის და თორმეტგოჯა ნაწლავის დაზიანებას უფრო იოლად ვუმკლავდებით.

— რამდენი წუთი გრძელდება ამოღების პროცედურა?

— გააჩნია, სად არის უცხო სხეული გაჭედილი. პროცესი 15-20 წუთიდან, ნახევარ საათამდე გრძელდება და ძალიან დიდ ნერვიულობასთანაა დაკავშირებული. პროფესიონალის ხელში საშიში არაფერია, სხვა ყველა შემთხვევაში — ძალზედ სარისკო საქმეა.

ბატონი მერაბის კოლექციაში განსაკუთრებული ადგილი უკავია გასაღებს, რომელიც იმდენად დიდია, რომ ძნელი დასაჯერებელია, მისი გადაყლაპვა საერთოდ თუ შეიძლებოდა. არადა, ეს გასაღები სამი წლის ბიჭუნას საყლაპავიდან არის ამოღებული. ყველაზე კარგი რჩევა, რომელსაც ბატონი მერაბი ბავშვიან ოჯახებს აძლევს, ის არის, რომ ყურადღებით ვადევნოთ თვალყური ბავშვებს და მოვარიდოთ მათ ისეთი ნივთები, რომელიც უმეთვალყუროდ დატოვებულმა პატარებმა პირისკენ შეიძლება გააქანონ. ■

სპექტაკლში „კავკასიური ცარცის წრე“

რამდენიმე წლის წინ, უდიდესი რწმენითა და სურვილით შეპყრობილი 20-კაციანი ჯგუფი სარფიდან (საბერძნეთის გავლით) ფეხით გაემგზავრა იერუსალიმში. მათ შორის მხოლოდ ერთმა, და ისიც ქალმა, მთელი ეს მანძილი ფეხშიშველმა გაიარა. ჯგუფი ოთხი თვე იყო გზაში და იერუსალიმისკენ მიმავალს, არ დამრჩენია ქართული კულტურის არც ერთი ძეგლი ისე, რომ მისთვის პატივი არ მიეგო.

ამ მოგზაურობის მიხედვით, კინორეჟისორმა მერაბ თავაძემ გადაიღო ფილმი — „გზა“, სადაც მისი მეუღლე — სწორედ ის ერთადერთი ქალი რომელმაც სარფიდან იერუსალიმამდე ფეხშიშველმა გაიარა. ქალბატონი იზა გიგოშვილი თამაშობს. სასწაულის ტოლფასია ის, რომ ქალბატონი იზა ისე ჩავიდა იერუსალიმში, ფეხზე ერთი ნაკაწრიც კი არ გასჩენია, ხოლო ამინდის ცვალებადობის მიუხედავად, ჯგუფის არც ერთი წევრი არ გამხდარა ავად.

ქალბატონი იზა, რომელსაც საზოგადოება როგორც რუსთაველის თეატრის მსახიობს, ისე იცნობს, დღეს სამეფო უბნის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელია. უაღრესად ენერგიული და მრავალი როლის უბადლო შემსრულებელი, ამჟამად შინაა, რადგან ჯანმრთელობას უჩივის და ავადმყოფობას ებრძვის, რათა კვლავ შეძლოს მაყურებლისათვის სიხარულის მინიჭება.

...სპექტაკლზე ჭასვლის ნიჭ ჭამაყუჩებელი ჭავიკეთე, რომ ტკივილი არ შეგრძნო...

ემა გელოვანი

— თბილისში დავიბადე... ჩვენი ოჯახი რიყეზე ცხოვრობდა, იმ საცარ ადგილას, მეხსიერებაში ასე რომ ჩამრჩა. იქ, ამ უბრალოებით მშვენიერ ადგილებში, ტაძრებისა და ეკლესიების გარემოცვაში ჩაიარა ჩემმა ბავშვობამ. დედაჩემი იურისტი გახლდათ, მაგრამ საოცრად რელიგიური. მამა ჟურნალისტი იყო — გურჯაანში დაიბადა, მაგრამ შემდეგ ყვარელში ცხოვრობდა. იქ სტამბა გახსნა, სადაც გაზეთი „ყვარელი“ გამოდიოდა.

— თეატრისკენ ბავშვობიდანვე გაგიწიათ გულმა?

— დედას ძალიან უნდოდა, პედაგოგი გამოვსულიყავი, მაგრამ ისე, რომ არავინ იცოდა, თეატრალურში ჩავაბარე.

— სცენაზე პირველი სერიოზული ნაბიჯები როდის გადადგით?

— მეოთხე კურსი რომ დავამთავრეთ, ბატონმა მიშა თუმანიშვილმა მთელი ჯგუფი რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე სათამაშოდ მიგვიწვია. დაიდგა ასეთი პიესა „მატყუარები“ — მარსელ კარნეს ნაშრომების მიხედვით. ამ პერიოდში სასიყვარულო სცენები იკრძალებოდა. სპექტაკლში არსებულმა ამგვარმა სცენებმა ზოგიერთი მაშინდელი ჩინოსანი დააფრთხო და მიშას სპექტაკლის ჩვენება აუკრძალეს. მაშინ კულტურის მინისტრი გახლდათ თენგიზ ბუაჩიძე — საოცრად განათლებული კაცი, რომელმაც მოინდომა სპექტაკლის ნახვა და რეპეტიციებს დაესწრო. მას ისე მოეწონა სპექტაკლი, რომ მიშას სთხოვა, არ მოხსნათ და თავდებად მე დაგიდგებითო, მაგრამ მიშა, როგორც ჩანს, დაშინდა და მაინც მოხსნა სპექტაკლი. შემდეგ დაიწყო „ჭინჭრაქაზე“ მუშაობა და ბრწყინვალე სპექტაკლიც გამოუვიდა.

— ყველაზე დიდი აღიარება მაინც „კავკასიურმა ცარცის წრემ“ მოგიტანათ.

— პირველად წავედი გასტროლებზე მოსკოვში. წაღებული გვქონდა „სეიღემის პროცესი“, რომელიც რობერტ სტურუამ დადგა. ამ სპექტაკლს ძალიან დიდი წარმატება ხვდა წილად და სწორედ ამან განაპირობა ჩემი შემდგომი წარმატებები. მოსკოვის სატირის თეატრისა და თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარე გახლდათ პლუჩეკი (ინგლისელი რეჟისორის პიტერ ბრუკის ძმა), რომელმაც ჩემზე თქვა, — ეს გოგონა ჩემთვის მოვლენაა. ძალიან ბედნიერი ვიყავი. ბატონმა ოთარ ლითანიშვილმა *(არქიტექტორი, თბილისის ყოფილი მერი. — ავტ.)* მითხრა: ახლა კი ფრთხილად იყავი — რომ ჩახვალ თბილისში, შეიძლება დიდი წინააღმდეგობები შეგხვდესო. ეს სიტყვები ამიხდა. საუბედუროდ, ხელოვნებაში ხშირად ხდება, რომ ხელს გიშლის უნიჭო, თორემ ნიჭიერი თვითონ იკვლევს გზას წვალებით, ტანჯვით... „კავკასიურმა“ მართლაც უდიდესი აღიარება მომიტანა.

— ალბათ სწორედ ეს როლი იყო თქვენთვის ყველაზე ახლობელი?

— „კავკასიურ ცარცის წრეში“ მე ჯერ დედას ვთამაშობდი, შემდეგ — ბებიას. ეს გაჭირვება, ბრძოლა ბავშვის სიცოცხლის გადარჩენისათვის, ცხოვრებისეული განცდაა და როცა ამას როლი მოითხოვს, გამოხატვის საშუალება მეძლევა.

— ამბობენ, რომ თქვენთვის ყველაზე სასურველი პარტნიორი სცენაზე ბატონი გოგი ხარაბაძე იყო.

— მე და გოგი ხარაბაძე სტუდენტობიდან სულ პარტნიორები ვიყავით. ჰოდა, შენს გუნდთან უფრო შეხმატკბილებულად რომ მღერი ქართულ სიმღერას, ჩემთვისაც ასე იყო გოგისთან თამაში. ჩემთვის მთავარია, პარტნიორი იყოს ძლიერი. თუ იგი ძლიერია, მაშინ მე ასჯერ უფრო მეტის

გაკეთებას შევძლებ.

— თქვენ თავად, ხშირად მატებდით რაღაც თავისებურებას თქვენს გმირებს?

— რობერტ სტურუა დიდ შემოქმედებით თავისუფლებას აძლევს მსახიობს. ამიტომ გრუშე ვაჩნაძე, დაწყებული ჩაცმულობით, თმით, პლასტიკით — ჩემი შექმნილი პერსონაჟია.

— რუსთაველის თეატრიდან რატომ წამოხვედით? ფაქტობრივად, ხომ სწორედ იქ მოხდა თქვენი, როგორც მსახიობის, გაზრდა-განვითარება? თეატრიდან თქვენს წამოსვლას კი, პოლიტიკურ შეხედულებებს აბრალებენ...

— ესეც იმ არეულობის პერიოდში მოხდა, როდესაც დევნიდნენ განსხვავებული აზრის ადამიანებს. ჩემი აზრი კი, ჩემი სამშობლოს სიყვარული იყო. მე, ბატონი მერაბ კოსტავა და ბატონი ზვიად გამსახურდია, როცა ახალგაზრდობაში ვხვდებოდით, ბევრ რამეს მასწავლიდნენ. მეც ხომ მათი ტოლი ვიყავი. მაგრამ მე არ მესმოდა სამშობლოს სიყვარული და ეს სიყვარული მათ მასწავლეს. მერაბი და ზვიადი გვეუბნებოდნენ, რომ სამშობლო არის შენი სული... ამ შემთხვევაშიც ვერ ვამტყუნებ ვერავის — არეულობა იყო, ყველას საკუთარი აზრი ჰქონდა. ქრისტე გვასწავლის, რომ სხვის აზრს არ უნდა ებრძოდე... რაც შეეხება თეატრიდან ჩემს წასვლას — ეს ის პერიოდი იყო, როდესაც გერმანიამ 20 ადამიანი მიგვიწვია. ორი თვე ვიმუშავეთ. დავდგით „ოიდიპოს მეფე". ეს დრო გამოიყენეს და როდესაც დავბრუნდით, უკვე ბრძანებით გათავისუფლებულები ვიყავით თეატრიდან. მე პირადად არავინ დამლაპარაკებია და არავის აუხსნია ამის მიზეზი, მაგრამ ამით კარგი საქმე გამიკეთეს, ვინაიდან ისევ თეატრს მივადექი და ეს დანგრეული და დალეწილი კლუბი (სამეფო თეატრი) აღვადგინეთ.

— ამბობენ, რომ თქვენ საკუთარი ხელებით წმენდდით ამ შენობას?

— მე და ჩემი დასი. და კიდევ — მადლობა მინდა ვუთხრა სოლოლაკელებს, რომლებიც ძალიან დაგვეხმარნენ.

— ამის მიუხედავად, თქვენ დიდი დავა გქონდათ ებრაელებთან. ისინი ამტკიცებდნენ, რომ ამ შენობაში წინათ სინაგოგა იყო.

— ამ ტერიტორიაზე კათოლიკეებს უფრო შეიძლებოდა ჰქონოდათ პრეტენზია. იმიტომ, რომ ძველ რუკებზე აღბეჭდილი — მთელი ეს ტერიტორია, მერიის შენობამდე, მათ ეკუთვნოდათ. ექვსი წელი ვიბრძოლეთ და არქივიდან მოპოვებული დოკუმენტებით დავამტკიცეთ, რომ ამ ადგილას ზუბალაშვილების მიერ აშენებული ქარვასლა ყოფილა.

— როგორც მსახიობს საკმაოდ წარმატებული კარიერა გაქვთ. პირად ცხოვრებაზე რას გვეტყოდით?

— პირად ცხოვრებაშიც ყველანაირად გამიმართლა. ჩემი მეუღლე წინათ მსახიობი იყო, შემდეგ რეჟისორი გახდა. „შუშანიკის" დადგმაში ძალიან დაგვეხმარა. მე და ჟანრი ლოლაშვილი რუსთაველის თეატრში ვთამაშობდით — მე შუშანიკს, ჟანრი კი პიტიახშს, მაგრამ იქ პიტიახშის ნათლობის სცენა არ ყოფილა. საქართველოში არიან მეცნიერი ქურთები, რომლებსაც ჩვენ დეტალებში გამოვკითხეთ ამ რიტუალის შესახებ და ჩვენს სპექტაკლში ეს მისტიკური სცენა განვახორციელეთ. მე და მერაბს ხშირად მოგვდის შემოქმედებითი კამათი, მაგრამ ბოლოს, საერთო ენას ვპოულობთ ხოლმე. ძალიან რთულია, როდესაც ორი ხელოვანი ადამიანი ერთად ცხოვრობს. როდესაც ქმარი რაღაც წარმატებებს აღწევს, შენც გინდა, რომ მეტს მიაღწიო ან პირიქით — თუ ცოლმა დაიპყრო მწვერვალი, ქმარიც ცდილობს, არ ჩამორჩეს. ერთი კია, რომ ჩვენ შორის ფარისევლობას არა აქვს ადგილი.

— თქვენი შვილების პროფესიულ არჩევანს როგორ აფასებთ?

— ია გიგოშვილი გრაფიკოსია, თანაც — საკმაოდ ცნობილი. ნიკომ დახურა პირველი კურსი ტექნიკურ უნივერსიტეტში. ჩვენ არ გვინდოდა ისევ თეატრი, ისევ წვალება... მაგრამ მერე, მაინც წავიდა თეატრალურ ინსტიტუტში და ჩაბარა ყოველგვარი დახმარების გარეშე. საკმაოდ საინტერესო მსახიობია. მარჯანიშვილის თეატრში ითამაშა და ჩვენთან, სამეფოშიც თამაშობს. მე ძალიან მკაცრი ვარ შვილების მიმართ. ხშირად ვაძლევ შენიშვნებს იას, როდესაც გამოფენებს ვესწრები. ასეთი ვარ ნიკოს მიმართაც.

სცენა სპექტაკლიდან „ოიდიპოს მეფე"

გიზო ჟორდანიას „უკანასკნელი მასკარადი"

— რას გვპირდება იზა გიგოშვილი და სამეფო უბნის თეატრი ახლო მომავალში?

— ძალიან ბევრი საინტერესო იდეა გვაქვს. ჩვენ ბატონ რობერტ სტურუასთან ვაპირებთ დალაპარაკებას, ვინაიდან ის დიდი რეჟისორია, რომელთან მუშაობაც აუცილებელია ახალგაზრდებისთვის. ეს ახალგაზრდობა კი, ჩვენს თეატრში საკმაოდ კარგ შემოქმედებით მასალას წარმოადგენს. ჩვენ გვინდა, ვთხოვოთ ბატონ რობერტს, რომ მობრძანდეს ჩვენს თეატრში, ვინაიდან, ყველაფერი უნდა დავივიწყოთ... მე სულ ვამბობ, რომ ჩემთვის პირიქით — კარგი ამბავი მოხდა: მე დავაარსე კიდევ ერთი თეატრი, ჩემი შვილების და ჩემი მეგობრების თანადგომით... ჩემს მაყურებელს იმედს არ გავუცრუებ. ღვთის შეწევნით, ისევ დავდგები ფეხზე.

P.S. ვფიქრობ, აუცილებელია, ქალბატონი იზას ერთი ნაამბობიც გადმოვცეთ: „შუშანიკი" უნდა გვეთამაშა. სპექტაკლზე წასვლის წინ, გამაყუჩებელი გავიკეთე, რომ თამაშის დროს ტკივილი არ მეგრძნო. სპექტაკლის მსვლელობისას ვგრძნობ, რომ წამალი ძალას კარგავს. ტკივილი ვიგრძენი. ფეხის გადადგმა უკვე მიჭირს. როგორღაც ფინალამდე მივაღწიე... იქუხა ტაშმა... ყველა გადის სცენიდან, მე კი ვდგავარ მარტო სცენაზე და ფეხს ვერ ვადგამ..."

■

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი

უბის წიგნაკიდან:

1. „ბუნეგ“ სვანურად ოჯახს ნიშნავს.
2. კუნძულ იავას 136 ვულკანიდან 30 მოქმედია.
3. იოანეს დრასხანაკერტცი სომეხი ისტორიკოსი იყო.
4. ზურაბ ქაფიანიძე პირველ აპრილს არის დაბადებული.
5. „თარგმანი დედნის მოღალატეა“ – ამბობენ იტალიელები.
6. ნოსტრადამუსი სამოცდაორი წლის ასაკში გარდაიცვალა.
7. პერიოდული პრესის ფუძემდებლად დანიელ დეფო ითვლება.
8. ბრაჩანო, კომო, ბოლსენა და ლაგომაჯორე იტალიის ტბებია.
9. ვიქტორ ჰიუგოს მამა ერთ დროს მადრიდის გუბერნატორი იყო.
10. ბენიტო მუსოლინი პარტიზანებმა 1945 წელს დასაჯეს სიკვდილით.

11. 1601-1867 წლებში იაპონიაში გლეხთა 1640-ზე მეტი აჯანყება მოხდა.
12. ჭაბუა ამირეჯიბი სამჯერ გაიქცა ციხიდან. მას ორჯერ დახვრეტა ჰქონდა მისჯილი.
13. იაკობ გოგებაშვილი ყოველთვის ადრე დგებოდა. 8 საათზე იგი უკვე ნასაუზმევი იყო.
14. ოპტიმისტები დღევანდელ დღეს ინგლისურ ენას სწავლობენ, პესიმისტები – არაბულს. P.S. რეალისტები – ჩინურს.
15. „ვფიქრობ, ხანდახან წერაც გმირობაა, თუ ნაწერი განსასჯელად სულელებს მიეცემათ,“ – ამბობდა სოკრატე.
16. რემბრანდტ ვან რეინი თავის ნახატებს, იტალიელ ფერმწერთა მსგავსად, მარტო სახელს აწერდა.
17. ამერიკულ დათვს, გრიზლის, საშინელებად თვლიან, მაგრამ მისგან დაშავებულ ადამიანთა რაოდენობა მათზე უფრო მცირეა, ვისაც მეხი დაეცა.
18. „დავით აღმაშენებელი რომ გაცოცხლდეს, დღევანდელ დღეს გამგებლის მოადგილედაც არ დანიშნავენ,“ – თქვა ერთ-ერთ სატელევიზიო გადაცემაში აკაკი ასათიანმა.
19. ბეთჰოვენი, ბერლიოზი, შოპენი, „მაროს მოთქმა“ ზაქარია ფალიაშვილის „დაისიდან“ – ეს ყველაფერი სტალინის დაკრძალვაზე ჟღერდა.
20. ჰოლანდიაში ჩასულმა პეტრე პირველმა მენშიკოვს უთხრა, ჩვენებს თვალყური აღევნე, არაფერი მოიპარონო.

ერთ-ერთ ოჯახში სტუმრობისას, კედელზე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის დროშის ქვეშ დაკიდული, შავ ჩარჩოში ჩასმული, ულამაზესი ბიჭის ფოტო ვნახე. ბუნებრივია, მისი დაღუპვის მიზეზით დავინტერესდი და ოჯახის წევრებს ბევრი განვლილი დარდი და ტკივილი გავახსნე. ჩემი შვილი, აფხაზეთის ომში იბრძოდაო, — მითხრა ქალბატონმა მედეა ჟვანიამ და ლოყაზე ცრემლი ჩამოუგორდა. ბუნებრივია, მისი ბიოგრაფიით დავინტერესდი და ქალბატონ მედეას ვთხოვე, უფრო ვრცლად მოეთხრო ჩემთვის მის შესახებ. გრიშა ბიჩინაშვილის პორტრეტი, მისი დედის, ძმისა და მეგობარი-თანამებრძოლის — გოჩა მაჭავარიანის (ცნობილი ქართველი მსროლელის, ნინო სალუქვაძის მეუღლის) საერთო ნაამბობით დაიხატა:

გრიშა ბიჩინაშვილი (მარჯვნიდან მეორე) თანამებრძოლებთან ერთად

...ის დროშაში გახვეული გამოასვენეს

ნინო მჭედლიშვილი

მედეა ჟვანია:

– საოცრად ნიჭიერი იყო ბავშვობიდან. პირველივე წელს მოეწყო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში საინჟინრო ფაკულტეტზე. თავისებური ხასიათი ჰქონდა. სიყვარულიც არაჩვეულებრივი იცოდა: სამშობლოსი, ქალის, შვილების... უნდოდა, მაინცდამაინც მოტაცებით შეერთო ცოლი. მეგობარმა თავისი კურსელი, სამედიცინო ინსტიტუტის სტუდენტი გოგონა გააცნო და სულ გადაირია: ეს რომ არ მოვიტაცო, თავს მოვიკლავო. მისი რჩეული, ახლა უკვე ორი შვილის დედა – დინარა მაჩაიძე გახლავთ. 1988 წლიდან ეროვნულ მოძრაობაში ჩაერთო. 24 საათი გია ჭანტურიასთან იყო. 14 აგვისტოს, სოფელში ყოფნისას, რადიოთი მოისმინა, ომი რომ დაიწყო აფხაზეთში. იმ დღესვე წამოვიდა თბილისში. 15 აგვისტოს წავიდა ომში და პირველ სექტემბერს უკვე ჩამომისვენეს... დარჩნენ ობლები. დინარა შესანიშნავ დედობას უწევს ბავშვებს. ნია 18 წლის არის, სამხატვრო აკადემიის II კურსის სტუდენტია. თეზიკო მე-10 კლასში სწავლობს. წყალბურთელია.

თამაზ ბიჩინაშვილი *(ბერდიაკვანი ანთიმოზი), გრიშას ძმა:*

– ძმა მყავდა ზედმიწევნით კეთილშობილი. მთელი ცხოვრება სიკეთისკენ „მიმათრევდა“. ახლა გარდაცვლილი „მიმათრევს“. ალბათ ჩემი ბერად აღკვეცაც მისი მადლით მოხდა. ოთხი წლით უფროსი იყო ჩემზე და სადაც წავიდოდა, თან მივყავდი. შეყვარებული იყო გია ჭანტურიაზე და ირინა სარიშვილზე. მათთან აღამებდა და ათენებდა. შინ რომ არ მოვიდოდა, დედაჩემი მათ ურეკავდა – თქვენთან ხომ არ არისო (წარმომიდგენია ღამის სამ საათზე გაღვიძებული ირინა, რა ხასიათზე დადგებოდა). საოცრად უყვარდა საქართველოს ისტორია. პროფესიით ისტორიკოს გია ჭანტურიასაც კი სერიოზულ პოლემიკას უმართავდა ხოლმე. წიგნების კითხვა მისი მიბაძვით დავიწყე. ერთ ოთახში გვეძინა. სინათლეს რომ არ აქრობდა, სულ ვეჩხუბებოდი – ჩააქრე, ჩააქრე-მეთქი. რომ ვერაფერს გავხდი, მეც კითხვა დავიწყე.

15 აგვისტოს ერთად ვიყავით სახლში. ომი ახალი დაწყებული იყო. წასასვლელად ემზადებოდა. გარეთ, გურამ ნამგალაური ელოდებოდა მანქანით. ვუყურებდი და რატომღაც, გულმა მიგრძნო, რომ ცოცხ-

თამაზ ბიჩინაშვილი

ალს უკანასკნელად ვხედავდი. პირველი სექტემბრის დილას დაიღუპა. ე-დე-პე-დან დამირეკეს — გია გიბარებსო. მან მითხრა გრიშას დაღუპვის შესახებ. გაოგნებული გამოვედი ოფისიდან და იქვე, ოპერის ბაღში დავჯექი. ალბათ ერთი საათი ვიყავი ასე... გამოვიტირე. გრიშას ოცნებად ჰქონდა გადაქცეული, რომ საქართველოსთვის თავდადებული გმირების მსგავსად, მამულისთვის შეწირულიყო. მადლობა უფალს, რომ სწორედ ასე მოხდა. ის ე-დე-პე-დან დროშაში გახვეული გამოასვენეს. ყველა ხარჯი გია ჭანტურიამ გაიღო. მან საფლავზე დროშა აკეცა, მომცა და მითხრა — გაუფრთხილდიო. მეც რუდუნებით ვუფრთხილდები, რომ შემდეგ გრიშას შვილს — თეზიკოს გადავცე.

გოჩა მაჭავარიანი:

— გრიშა ე-დე-პე-ში გავიცანი. იქ ბევრი მეგობარი მყავდა და ხშირად დავდიოდი. ომში უფრო დავახლოვდით. დამეგობრებას ვაპირებდით, მაგრამ აღარ დაგვცალდა.

პირველი სექტემბერი თენდებოდა. ეშერა უნდა აგვეღო. ასეთი შეტევა აფხაზეთის ომში მეორე არ ყოფილა. ბევრი ქართველი ვაჟკაცი დაიღუპა. შეტევაზე გადავდიოდით. გუმისთა გადავიარეთ და ერთერთი სკოლის ეზოში შევისვენეთ. როცა გვეგონა, რომ საფრთხე უკვე აღარ გვემუქრებოდა, მაშინ შემოგვარტყეს ალყა და ისეთი საშუალებებით გვესროდნენ, მანამდე გაგონილიც რომ არ მქონდა. მე და გრიშა გვერდიგვერდ ვიყავით. ერთმანეთს ვამხნევებდით. ამასობაში დავიჭერით: მე ორი ტყვია მომხვდა, გრიშას — სამი. პირველად ხელში დაიჭრა. სახელოში ხელი რომ შევუცურე, შუა თითი ჭრილობაში მომიხვდა. მკლავის ძვალი ჰქონდა გატეხილი. მესამე ჭრილობა წელში ჰქონდა. სამწუხაროდ, სასიკვდილო აღმოჩნდა. მივხვდი რომ წინ ვეღარ წავიდოდით და ვუთხარი, უკან — სკოლისკენ დავიხიოთ-მეთქი. მახსოვს, გრიშას ჯინსის ჟილეტი ეცვა. საყელოში ჩავავლე ხელი და ისე მივახოხიალებდი. ცალი ფეხით თვითონაც მეხმარებოდა. გზადაგზა მეკითხებოდა: გოჩა, ავტომატი ხომ არ ჩამივარდა? რა ვქნა, ვისროლოო? (ეტყობა, ხელში გრძნობა აღარ ჰქონდა). მთელი გზა იარაღისთვის ხელი არ გაუშვია. მოწინააღმდეგე, ქვემეხებიდან გვესროდა. 300-წლოვანი ევკალიპტების ტოტები თოვლივით ცვიოდა ზემოდან და შიგ ვიხლართებოდით. ტანსაცმელმა შემაწუხა, იქვე ჩავჯექი და გავიხადე. რომ ვიხდიდი, გრიშამ მკითხა: გოჩა, ხომ არ მტოვებო?.. დღესაც ყურში მიდგას ეს სიტყვები. არ ვიცი, რამ აფიქრებინა. არ გრცხვენია? სადაც აქამდე მოგიყვანე, რაღას მიგატოვებ-მეთქი? — ვუთხარი. შენობასთან რომ მივედით, სრულიად ძალაგამოლეულები ვიყავით. ვუთხარი: უნდა მომეხმარო — ამ კიბეზე ვეღარ აგიყვან-მეთქი (არადა სულ ოთხი საფეხური იყო), — და იქვე ჩავწექი ძალის მოსაკრებად. უცებ, ვხედავ — გრიშა ადგა, მაგრამ წელში ვერ გაიმართა. ავტომატი ისევ ღვედით ეკიდა ხელზე. „თავს არ მოიკლავს, ქართველი, არა, ის შეიძლება ბრძოლაში მოკვდეს!..“ — თქვა, სამი საფეხური აიარა და ბოლოზე დაემხო. იქიდან შეყვანა უკვე ადვილი იყო. დაჭრილებს შორის დავაწვინე და წამოვედი... მერე, მეც მძიმედ დავიჭერი... მთელი ღამე მისი კვნესა მესმოდა. როგორღაც ძალა მოვიკრიბე და მასთან მივხოხდი. ჩემი ხმა რომ გაიგონა, მეხუტებოდა; არ ვიცი, ეს მადლობის გამოხატულება იყო თუ სიხარული, იმედი, რომ კიდევ ცოცხალი ვიყავი. აქ შეწყდა ჩვენი ურთიერთობა. დილით სოხუმის ჰოსპიტალში წაიყვანეს დაჭრილები. მანქანაში დაულევია საწყალს სული. მე მაშინ არაფერი ვიცოდი, ბედნიერი ვიყავი, რომ ერთი ვაჟკაცის სიცოცხლე მაინც გადავარჩინე...

■

ქალბატონი დინარა შვილებთან, ნიასთან და თეზიკოსთან ერთად

ინფორმაციულ-შემეცნებითი კოლაჟი

ეოჩა ღვალი
უბის წიგნაკიდან:

21. როდესაც სიმონ სხირტლაძეს სტუმრები ეწვეოდნენ და სახლში საჭმელი არ ჰქონდა, მეუღლეს ეტყოდა: გული დავდოთ, ჩემო თამარ, სუფრაზე, გული. ვთალოთ და არ გათავდებაო.

22. „ხომ გაგიგონიათ, კუტი პური მეფეების საჭმელია, თანაც თონეში ძალით ჩაგდებულ პურს კი არა აქვს გემო, თვითონ უნდა ჩავარდეს. აი, იმ პურის სუნი და გემო მენატრება,“ — ჰყვებოდა ცხონებული ბესო ხიდაშელი.

23. „იავნანა“ წარმოშობით წარმართული საკულტო რიტუალის უძველესი საგალობელია. „ნანინას“ ციკლის სიმღერების მსგავსად „იავნანაც“ მზისა და ნაყოფიერების ქალღმერთ ნანას სახელთან არის დაკავშირებული. დროთა განმავლობაში „იავნანამ“ დაკარგა პირვანდელი საწესო ხასიათი, დღეს მისი დანიშნულება ბავშვის დაძინებაა, თუმცა ჩვენამდე მოღწეულ ზოგიერთ ტექსტს ინფექციური დაავადებებისგან (ე. წ. ბატონებისაგან) ბავშვის განსაკურნავადაც მღერიან.

24. საქართველოში ბატონყმობის გაუქმებასთან დაკავშირებით ერთი ახალნელი გლეხი იგონებდა: „ილია ჭავჭავაძე, ჯერ სრულიად ახალგაზრდა, მოსულა ჩვენს მამებთან და უთქვამს: ძმებო, თქვენი განთავისუფლება მე თქვენზე მეტად გამიხარდა. ნიშნად ჩემი სიყვარულისა, ეს მამულები თქვენთვის საკუთრად გადმომიცია. იცხოვრეთ, იბედნიერეთ და შვილებს ასწავლეთო.“

25. „ნორმალურ ხალხად ჩასათვლელები ცოტა არიან, ჩანს, ქართველები, ზოგმა ბინები... ზოგმა გრანტები... ზოგიც დიდი ხნის ემიგრანტები. ზოგიც ბულბული, ზოგიც ტოროლა, მაგრამ ნამდვილი — თითო-ოროლა. მთელი ქვეყანა გახდა ბაზარი, ერთი ქალაქი უზარმაზარი, ბევრი მშიერი, ცოტა მაძღარი, მაგრამ სუყველა გაუმაძღარი, როგორც ძველები, ისე ახლები, ახალ სახლებში შენასახლები, გაურკვეველი ჯიშის როჟები, ტროტუარებზე ზიან ბომჟები და არ თავდება მათი ნავარდი, ღმერთო, მიშველე, ეს სად ჩავვარდი!“ — ეს ლექსი კოტე ყუბანეიშვილმა, გადაცემა „კომუნიკატორის“ ეთერში წაიკითხა.

■

„ადრე სამჯერადოში ვმუშაობდი – ახლა ვიჯნევდი...“

„ცაში ახედე“, „უბერავს ქარი“... — ყველასათვის კარგად ნაცნობი და საყვარელი სიმღერები, სულ ცოტა ხნის წინ, საოცრად პოპულარული იყო. ტექსტისა და მუსიკის ავტორი თავად შემსრულებელია.

„დავიბადე თბილისში 1966 წელს. იმ დღეს ქალაქში წვიმდა...“ — ასე იწყებს ის თავის ბიოგრაფიას. სიმღერა 16-17 წლის ასაკში დაიწყო, თავდაპირველად, მხოლოდ მეგობრების წრეში მღეროდა. ფართო აუდიტორიის წინაშე კი, საკმაოდ გვიან წარდგა — დაახლოებით 7 წლის წინ. იმავე პერიოდში ჩაწერა პირველი ალბომიც.

სხვათა შორის, მას ხელოვნების სხვა დარგებზეც მიუწვდება ხელი: უყვარს სახვითი ხელოვნება — ხატავს აკვარელით, ზეთით, პასტელით. პროზაშიც სცადა ბედი — დაწერილი აქვს რამდენიმე ნოველა, სადაც დომინირებს სიყვარულის თემა. ფოტოსურათიც რომ არა, ალბათ ამ ცნობებითაც მიხვდებოდით, ვისზეა საუბარი. მაშ ასე: წარმოგიდგენთ **ლევან მგალობლიშვილს, იმავე — პანჩოს!**

ელენე ხირსელი

— პანჩო, უკვე ორი წელია, რაც ფაქტობრივად გამოეთიშე შოუბიზნესს. რა არის ამის მიზეზი?

— პაუზა ნებისმიერ ადამიანს აქვს ცხოვრებაში. ალბათ ეს ჩემი პაუზა იყო. იყო ჩემს ცხოვრებაში რაღაც სივიჟის მომენტი. ერთგვარი პროტესტის გრძნობა გამიჩნდა. ალბომების გაყიდვა შევაჩერე — მაღაზიებიდან გამოვიტანე. რაც კი კასეტა მქონდა სახლში, ყველა გავაჩუქე, ჩემი სიმღერების არც ერთი აუდიო და ვიდეოკასეტა აღარ დავიტოვე. ყველაფერზე გული ავიცრუე... როცა ჩემი აბობოქრებული მდგომარეობა ჩაწყნარდა და ჩვეულ კალაპოტს დავუბრუნდი, საკუთარი სიმღერები მომენატრა, მაგრამ სახლში უკვე არც ერთი კასეტა აღარ მქონდა. იძულებული გავხდი, ახლობლებისგან მეთხოვა. მომენატრა მსმენელი, მუსიკოსებთან მუშაობა. მუშაობის პროცესში ფანტასტიკური ენერგია მოდის.

— ესე იგი, მალე ისევ ამოქმედდები...

— ახლა ჯერ ვფართხალებ, უფრო სწორად — ვაპირებ ვიფართხალო. ბოლო პერიოდში, ოთხი სიმღერა ჩავწერე, მაგრამ ჯერ რადიოეთერში არ გამიშვია. გადავიღე ძველი სიმღერის — „ცაში ახედეს“ კლიპი. წესით, კლიპი ნორმალური რომ გამოვიდეს, უნდა დაიდგას, ე.ი. პროფესიონალმა რეჟისორმა უნდა დადგას. მე ყველაფერი არანორმალური მიყვარს, ამიტომ არც რეჟისორი მომიწვევია, არც არაფერი დამიდგამს. ყველაფერი იმპროვიზებულად მოხდა: შევყარე ხალხი, ჩავსვი ავტობუსში და ავიყვანე ბაზალეთის ტბაზე. გადავიღე ორი ვიდეოკამერით, მოყვარულის დონეზე. ჩემი მიზანი იყო, გადმომეცა ის სიტუაცია, რომელიც 10 წლის წინ ხდებოდა ბაზალეთის ტბაზე: ახალგაზრდების გრიალი, სიყვარული. დროის შეგრძნება რომ არ დაკარგულიყო, ფირი დავამჯერე. ახლა ვფიქრობ იმაზე, საერთოდ გამოვჩნდე თუ არა კლიპში.

— სულ რამდენი სიმღერა გაქვს ჩაწერილი?

— ოცდაათამდე. საერთოდ კი, ორმოცდაათამდე სიმღერა მაქვს. არანაირი მუსიკალური განათლება არ მაქვს, გიტარასაც თვითონ დავეუფლე.

— ფორტეპიანოზეც თუ უკრავ?

— ფორტეპიანოზე მხოლოდ ის ვიცი, რომ შავია და კუთხეში დგას.

— როდის „გეწერინება“ სიმღერა?

— სიმღერა იწერება მაშინ, როცა რაღაც გაწუხებს ან პირიქით — როცა ძალიან კარგად გრძნობ თავს. ბოლო პერიოდში, როცა სულ რაღაც მაწუხებს, სევდიანი სიმღერები გამომდის. თითოეული სიმღერა ჩემი ცხოვრების გარკვეულ მომენტს მახსენებს. ეს არის პატარ-პატარა ნაწყვეტები ჩემი ცხოვრებიდან. სიმღერა არის ადამიანის შინაგანი მდგომარეობის გამოხატულება. როცა რაღაც დაგროვდება შიგნით, ის ითხოვს გამოსვლას — უნდა გადმოანთხიო, თორემ ვერ გაუძლებ. მე ეს გადმომაქვს ან სიმღერაში (ხატვაში, პროზაში), ან უნდა გავიდე აივანზე და ვიყვირო, რაც შეიძლება ხმამაღლა: მშვენივრად მოქმედებს...

— მეზობლების შეწუხებას იქნებ სჯობდეს, წახვიდე სადმე ტყეში და იქ იყვირო?

— სანამ ტყეში წახვალ, სურვილიც გადაგივლის, ამიტომ ისევ ჯობია, დაჯდე და რამე დაწერო. სამწუხაროდ, ზოგჯერ ესეც არ მყოფნის.

— სადმე თუ მუშაობ?

— ამჟამად არსად. ადრე სამჭედლოში ვმუშაობდი — უროს ვიქნევდი. თუმცა, ეს საქმიანობაც ხელოვნებას უკავშირდება, რადგან მე „ბოლტებს“ და ლურსმნებს კი არ ვაკეთებდი — ვაკეთებდი ჭაღებს, რუსთაველის თეატრის კარიც მე გამოვაჩუქურთმე. მერე, დიზაინის სამმართველოში, ბოლოს კი, გაზეთ „ჯორჯიან თაიმსში“ ვმუშაობდი.

— რატომ გქვია პანჩო?

— ბავშვობაში ლევანჩოს მეძახდნენ. ერთხელ ჩემმა ძმამ (11 წლით უფროსია) განაცხადა: ლევანჩო კი არა, პანჩო არისო, — და მას მერე მქვია პანჩო. სხვათა შორის, ლევანს,

მეგობრები, ძმა, შვილებიც კი პანჩოს მეძახიან

მხოლოდ დედა და მეუღლე მეძახიან; მეგობრები, ძმა, შვილებიც კი პაჩოს მეძახიან.

— ახლა შენს პირად ცხოვრებაზეც მიამბე.

— პოლიტექნიკური ინსტიტუტის მეტალურგიულ ფაკულტეტზე ჩავბარე. სწავლის პერიოდში, ჯარში გამიწვიეს. რომ დავბრუნდი, ახალ ჯგუფში მოვხვდი. აუდიტორიაში რომ შევედი, 33 გოგონა იჯდა (4 ბიჭი ვიყავით). გულმა ერთი გოგონასკენ გამიწია, მივედი და გვერდით მივუჯექი. იმ დღიდან დაიწყო ჩვენი რომანი. ერთ წელიწადში, ინსტიტუტი დავამთავრეთ და შევუღლდით კიდეც. 14 წლის შემდეგ (რამდენიმე თვის წინ), ერთმანეთს გავეყარეთ. სხვათა შორის, ამის შესახებ პირველად ვსაუბრობ საქვეყნოდ. გვყავს ორი ბიჭი: 6 წლის და 13 წლის.

— რატომ გაიყარეთ?

— ძალიან დიდი ხანი მიძლებდა, ბოლოს, ამოხეთქა — ვეღარ გამიძლო. მე ის შევჭამე და რაც დარჩა, წავიდა: სულ პატარა, აი, ასეთი *(მიჩვენებს დიდი და საჩვენებელი თითებით, — ავტ.).*

— გინდა თქვა, რომ აუტანელი ხასიათი გაქვს?

— ვიხუმრე. არა მგონია, ასე რთულად იყოს ჩემი საქმე. სინამდვილეში რბილი ვარ, თბილი ვარ. ამბობენ, რომ ეგოისტიც ვარ. ყველა ადამიანში ცხოვრობს ბავშვი. ჩემში ის უფრო მეტად იგრძნობა.

— და მაინც, რა მოხდა თქვენ შორის?

— მიყვარდა, მასაც ვუყვარდი, ოჯახშიც ნორმალური ურთიერთობა გვქონდა. არ ვიცი, რა მოხდა, უბრალოდ, რაღაც მომენტში მივხვდით, რომ დავიღალეთ. თუმცა, შეიძლება, გზა გაწყდეს და მერე ისევ გაგრძელო ის გზა. ცხოვრება მოულოდნელობებით არის სავსე, წინასწარ ვერაფერს იტყვი. შეიძლება, ხვალ ავდგე და სულ სხვა შევირთო — რას გაიგებ. მხოლოდ ერთი რამ შემიძლია დაბეჯითებით ვთქვა: ოჯახის დანგრევაზე ცუდი არ შეიძლება კაცმა გააკეთოს.

— თუ ასე ფიქრობ, რატომ დაუშვი ეს?

— საქმე ის არის, რომ როცა გაქვს, არ აფასებ, როცა კარგავ — მერე ხვდები, რომ არ უნდა დაგეკარგა. ჯობია დაკარგო, რომ მიხვდე, რა გქონდა. ამიტომაც არის ლამაზი ცხოვრება...

— ალბათ ძალიან მტკივნეულად გადაიტანე ყოველივე.

— რა თქმა უნდა. წარმოიდგინეთ: ამ სახლში ცხოვრობდა ორი ბავშვი, ცოლი, ძაღლი, თუთიყუში. თავიდან, ხელები გავშალე: „ვაშ! თავისუფლება!“ თუმცა, მალე მივხვდი, რომ ეს სისულელე იყო.

— ახლა თუ გაქვს კონტაქტი ყოფილ მეუღლესთან?

— სხვათა შორის, ძალიან კარგი ურთიერთობა გვაქვს. ხანდახან, უბრალოდ ვურეკავ, ვეუბნები — მომენატრე-მეთქი, — და მოდის. ჩვეულებრივად ვხვდებით ერთმანეთს, მეგობრები ვართ.

— მეგობარი ქალი თუ გყავს?

— არა.

— შენი საკმაოდ პოპულარული სიმღერა — „უბერავს ქარი“ მშვენიერ ქალზე მოგვითხრობს. ჰყავს თუ არა მას პროტოტიპი?

— არა. ეს უბრალოდ, ფანტაზიის ნაყოფია.

— ეს ალბათ ქალის იდეალია, რომელსაც ჯერ არ გაუღია კარი და არ შემოსულა...

— ადამიანს ყოველთვის სჯერა, რომ ოდესღაც გააღებს კარს და შემოვა ის, ვისაც ელოდება...

— ესე იგი, შენც ელი.

— აბა რა!

— როგორი უნდა იყოს ქალი, რომელიც მოგეწონება?

— ჩემნაირი. მე არ ვგულისხმობ იმას, რომ იყოს მელოტი და ჰქონდეს გრძელი ცხვირი. უნდა იყოს ორი ადამიანის ინტერესების თანხვედრა. თუმცა, შეიძლება, ხვალ გავიცნო ისეთი ქალი, რომელსაც ახლა აღვწერ და საერთოდ არ მომეწონოს, — ყველაფერს ვერ გათვლი.

— პირველი სიყვარული როდის გქონდა?

— ბაღში. თუმცა, სერიოზულად ვინც მიყვარდა პირველად, მის ვინაობას არ გავამხელ. ის ახლა გათხოვილია და, სხვათა შორის, ცნობილი პიროვნებაა. ის გოგონა მსახიობი იყო, ამიტომ ძალიან ბევრი თაყვანისმცემელი ჰყავდა და მე, ასე ვთქვათ, „პრალიოტში“ აღმოვჩნდი. სხვათა შორის, მინდა ვთქვა, რომ ადამიანს შეიძლება, ერთდროულად რამდენიმე უყვარდეს. მაგალითად, ჩემს შვილს 5 გოგო უყვარს. სკოლის პერიოდში, მეც მიყვარდა ორი გოგონა. მოხდა ისე, რომ ორივე ერთად წყნეთში ისვენებდა. მე ეს არ ვიცოდი და ერთ-ერთს მივაკითხე (მათ ჩემი „გაორების“ ამბავი, რა თქმა უნდა, არ იცოდნენ). ეს ამბავი გამოაშკარავდა და ისეთ დღეში ჩამაგდეს, მტერსაც არ ვუსურვებ. ასე რომ, ორი კურდღლის მადევარი, ვერც ერთს ვერ დაიჭერს. სკოლის პერიოდში, ბევრი მიყვარდა, ბევრსაც ვუყვარდი, მაგრამ, სამწუხაროდ, ორმხრივი სიყვარული უფრო იშვიათად მქონდა.

— ბავშვობაში, სიყვარულის გარდა, რითი იყავი დაკავებული?

— საშინლად ზარმაცი ვიყავი. საშემოდგომოც გამომყოლია მეხუთე-მეექვსე კლასებში. მამა რომ გარდამეცვალა, ისე ავუშვი, ძლივს „დავატორმუზე“. ხულიგანი არ ვიყავი, „სპრავედლივი“ ვიყავი. თუმცა, საბოლოოდ, სკოლიდან მაინც კარგი ატესტატი გამოვიტანე.

— მამა როდის გარდაგეცვალა?

— სკოლას რომ ვამთავრებდი, მისაღები გამოცდები ახლოვდებოდა და, სხვათა შორის, მეტალურგიულზე ჩაბარებაც სწორედ ამან განაპირობა: მამა თავად მეტალურგი იყო და მისმა ძმაკაცებმა — კოლეგებმა, ასე ვთქვათ, დამსვეს ამ ფაკულტეტზე — ძალით ჩამაბარებინეს. სკოლაში ხელოვნება მიზიდავდა: ცოტას ვმღეროდი, ვხატავდი, ვწერდი, მაგრამ ბედის ირონიით, ღუმელთან აღმოვჩნდი.

— რომანტიკული თუ ხარ?

— საკმაოდ რომანტიკული ვარ. მიყვარს ზღვის, ვარსკვლავების ყურება, ლამაზი ქალის ყურება. რაღაც მომენტში, სენტიმენტალურიც ვარ — გული იოლად მიჩუყდება.

— მარტო თუ დაგილევია?

— კი დამილევია — როცა რაღაც ძლიერ მაწუხებდა.

— მუსიკის რომელ მიმდინარეობას შეიძლება შეადარო შენი ახლანდელი განწყობა?

— ბლუზს. ერთმა ცნობილმა პიროვნებამ თქვა: Блюз – это когда хорошему человеку очень плохо. ახლა სწორედ ბლუზის „აკორდზე“ ვარ აწყობილი.

— ბედისწერის გწამს?

— კი. ადამიანი ხატავს თავის ცხოვრებას ისე, როგორც ბედმა არგუნა, სამწუხაროდ, ბედი იშვიათად გვიღიმის ხოლმე.

— გაიხსენე ბოლო დროს განცდილი ყველაზე მძაფრი შეგრძნება.

— გუშინწინ დამესიზმრა, ვითომ მანქანით უფსკრულში გადავიჩეხე. სანამ ვეშვებოდი, დიდხანს მივფრინავდი. თითქოს ცხადში ხდებოდა ყველაფერი, ძალიან დავიტანჯე — გული მიფრიალებდა, სუნთქვა შემეკრა. ვფიქრობდი, რომ ყველაფერი დასრულდა. საშინელი შეგრძნება იყო... რომ გამომეღვიძა და მივხვდი, რომ სიზმარი იყო, ბედნიერი ვიყავი.

— სიზმარში ხშირად დაფრინავ?

— მე ცხოვრებაში დავფრინავ. მოდი, ვიფრინოთ ყველამ ერთად! ■

14 წლის შემდეგ, ერთმანეთს გავეყარეთ. ამის შესახებ პირველად ვსაუბრობ საქვეყნოდ

მარი ჯაფარიძე

კადრი ფილმიდან „ცარიელი სივრცე“

ეროტიკა ქართულ კინოში

„გზის“ წინა ნომერში, რეჟისორებთან — გიორგი შენგელაიასა და მიხო ბორაშვილთან ინტერვიუში, სათაურში გამოტანილ თემაზე ვისაუბრეთ. ამჯერად, დაპირებისამებრ, ამ თემისადმი ეროტიკულ სცენებში მონაწილე მსახიობთა დამოკიდებულებას გაგაცნობთ. ჩვენი არჩევანი ხათუნა იოსელიანსა (მიხო ბორაშვილის „ცარიელი სივრცე“) და მიხეილ გომიაშვილზე (გიორგი შენგელაიას „სყვარული ვენახში“) შეჩერდა. საინტერესოა, რომ ქალბატონ ხათუნას სახელგანთქმული ფრანგი მსახიობის — პერ რიშარის პარტნიორობა ხვდა წილად, ბატონ მიხეილს კი, ასევე უცხოელ შემსრულებელთან — გერმანელ ქალბატონთან მოუხდა გადაღება.

თავიდან, მიშა გომიაშვილთან ინტერვიუზე შეთანხმება გაჭირდა. ჩვენ შორის ტელეფონით, ასეთი დიალოგი გაიმართა: „დამანებეთ თავი! რამდენჯერ უნდა მოვყვე — როდის დავიბადე, სად გავიზარდე და რამდენი ცოლი მყავდა?“ — ამჯერად, სრულიად განსხვავებულ თემაზე საუბარს შემოგთავაზებთ და თქვენი ბიოგრაფიის გახსენებთ თავს არ შეგაწყენთ!“ — „კარგი, მაშინ თემას მე შემოგთავაზებთ. მოდით, სექსზე ვისაუბროთ...“ — ეს სიტყვები ნიშნის მოგებით იყო ნათქვამი: როგორც ჩანს, მსახიობი დარწმუნებული იყო, რომ უარს ვეტყოდი. „აგაშენათ ღმერთმა, სწორედ ამ თემაზე ვაპირებდი თქვენთან საუბარს“. — „ბატონო!.. რატომ მაინცდამაინც ამ თემაზე?“ — „იმიტომ, რომ თქვენთვის კარგად ნაცნობმა ადამიანმა მითხრა, რომ შიშველი ქალის დანახვაზე, თურმე შიშით ცახცახებთ და ისე იბნევით, რომ არ იცით, რა მოიმოქმედოთ“ (ალბათ გახსოვთ, გიორგი შენგელაიას ნაამბობი, მიშა გომიაშვილის მონაწილეობით ეროტიკული სცენის გადაღების თაობაზე). „რაო? კარგი, — შევხვდეთ და დავილაპარაკოთ“.

— თქვენთან შესახვედრად რომ მოვდიოდი, მეგობარმა დამირეკა და მკითხა — წაიკითხე „გზაში“ შენზე რა წერიაო? ასე რომ, ახლა უკვე ვიცი, რატომ გინდოდათ ამ თემაზე საუბარი. მსგავსი როლი მანამდე არ მითამაშია. კოცნის სცენაც კი არ მქონია. მსახიობმა ყველანაირი როლი უნდა ითამაშოს. მე გამიმართლა, რომ ისეთი მაესტრო შემხვდა, როგორიც გიორგი შენგელაიაა, თორემ ვერაფერს მოვახერხებდი. თავიდან გამიჭირდა როლში შესვლა, მაგრამ შემდეგ მიჩვენა, რა როგორ უნდა გამეკეთებინა და გამეხსნა „მუზა“. შემდეგ მოხდა ის, რაც მაყურებელმა ეკრანზე ნახა. ეს ყველაფერი კი გიორგის დამსახურებაა.

სხვათა შორის, ამ ეპიზოდის გახმოვანების პროცესიც ძალიან საინტერესოდ წარიმართა. გიორგიმ მარტო გადაღებისას კი არა, გახმოვანების დროსაც ზუსტად ამიხსნა, თუ რა უნდა გამეკეთებინა. ჯერ გადაღების დროს იმას მსაყვედურობდა — ძალიან ნელა მოქმედებო. ბიჭო, — ვინ ჩქარა აკეთებს ამას და ვინ — ნელა... შემდეგ, ცხოვრებაშიც, კარგა ხანს მიჭირდა: სულ მეგონა, რომ ოთახში, სადაც ქალთან ერთად ვიყავი, გიორგი იყო ჩასაფრებული და უცებ დაიძახებდა — ჩქარა, ბიჭო, ჩქარაო!.. მე ის მიკვირს, 40 წლის კაცს, რომელსაც 5 ცოლი ჰყავს გამოცვლილი, სექსი როგორ უნდა ასწავლო?!.

გახმოვანებასთან დაკავშირებით კი, ერთ ამბავს გავიხსენებ: ამ ეროტიკულ სცენას მე და ნინო კასრაძე ვახმოვანებდით. წარმოიდგინეთ სიტუაცია: ვდგავართ ორი ზრდასრული ადამიანი მიკროფონთან და ვოხრავთ და ვღმუით... ერთმანეთს შევხედეთ და უცებ, ავხარხარდით. გიორგი გვეკითხება: რატომ იცინითო?..

ამ ფილმის პეწი იმაშია, რომ ყველაფერი იუმორშია გადაწყვეტილი. როდესაც პრემიერაზე ხალხის რეაქციას ვაკვირდებოდი, ნასიამოვნები დავრჩი, რადგან ხალხი სიცილით კვდებოდა. სხვა ეროტიკული ფილმების ყურებისას, მარტო ქშენა ისმის.

— ადვილად დათანხმდით ამ როლზე?

— სიმართლე რომ გითხრათ, ეს როლი ზურა ყიფშიძეს უნდა ეთამაშა, მაგრამ მიშა კალატოზიშვილთან გადაღებები არ ჰქონდა ჯერ დამთავრებული და არ ეცალა, ამიტომ გიორგიმ მე შემომთავაზა. შევხვდი, ვისაუბრეთ და მე პირობა წავუყენე — ეკრანზე შიშველი არ უნდა გამოვჩენილიყავი.

— რატომ?

— ამაზე მხოლოდ იმ მოსაზრებით ვამბობდი უარს, რომ მიმაჩნია — ეკრანზე შიშველი სხეული ესთეტიკურად უნდა გამოიყურებოდეს. ეს ახლა ვარ ტანწერწეტა — 78 კილოს ვიწონი, მაშინ კი 104 კილო ვიყავი, დიდი ღიპიც მქონდა და ლამაზად არ გამოვჩნდებოდი...

— ეი. ახლა რომ შემოგთავაზონ მსგავსი როლი, დათანხმდებით?

— ერთ ფილმში მქონდა მიწვევა ეროტიკულ როლზე, მაგრამ ცოტა არ იყოს, შევშინდი და ულტიმატუმი წავუყენე: თუ კონსულტანტად გიორგი შენგელაია იქნება, მაშინ ვითამაშებ-მეთქი. მაგრამ მათ უკვე თავიანთი კონსულტანტი ჰყავდათ... ასეთი როლისთვის მსახიობს მომზადება სჭირდება. გიორგიმ კი ისე კარგად მოგვამზადა მე და ზაზა პაპუაშვილი, ისე კარგად და საფუძვლიანად გვასწავლა, როგორ უნდა ქალთან მოქცევა, რომ ეს ცოდნა დიდხანს გაგვყვება და თუ კიდევ შემომთავაზებენ მსგავს როლს, აუცილე-

ბლად დავთანხმდები.

— იქნებ, გადაღებების დროს მომხდარი საინტერესო ამბები გაიხსენოთ?

— ამაზე საინტერესო რა უნდა იყოს? — შუაგულ კახეთში სექსი გავაჩაღეთ... სიმართლე თუ გინდათ, ამ ფილმის გადაღებები ძალიან ბუნდოვნად მახსოვს, რადგან საშინელი „ზაპოი“ მქონდა. იმდენად ცუდად ვიყავი, რომ გურჯაანის საავადმყოფოს რეანიმაციაშიც კი ამოვყავი თავი. სწორედ ამიტომ არ მახსოვს, როგორ ვცახცახებდი შიშისგან ეროტიკული სცენის გადაღების დროს... პრინციპში, ასეთივე განცდა შეიძლება მქონდეს ნებისმიერი ისეთი სცენის გადაღებისას, რომელშიც პირველად ვმონაწილეობ. მაგალითად, მე ცურვა არ ვიცი, ფილმში კი ნახევარ დროს წყალში ვატარებ. არავითარი განსხვავება არ არის, იმ და ამ გრძნობას შორის — ორივეგან ერთნაირად ვღელავდი და მორჩა...

— ეროტიკული სცენის ბოლოს, დაუკმაყოფილებლობის გრძნობა ხომ არ დაგრჩათ?

— იმისათვის, რომ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა გამიჩნდეს, საჭიროა მქონდეს დაკმაყოფილების სურვილი, გადაღების დროს კი, ასეთი სურვილი არ გამჩენია. ვფიქრობ, რომ მუშაობის დროს მაინც უნდა დავისვენო ამ სურვილისგან *(იცინის)*.

— როგორ ფიქრობთ, — ეს სცენა რომ არ ყოფილიყო, თქვენი გასამრჯელო ნაკლები იქნებოდა?

— ჩვენთან ამას დიდი მნიშვნელობა არ აქვს. ჩვენ საცოდავი არტისტები ვართ. გეტყვიან — ამდენს გადაგიხდითო, — და მერე, ან „კრიშაზე“ აგსვამენ, ან წყალში ჩაგაგდებენ... ჩემი სექსუალური სცენა ამ ფილმში თურმე თავიდან, სცენარში არ ყოფილა. ამას მივხვდი გადაღების დროს, როცა ჩემმა პარტნიორმა — გერმანელმა ქალმა ხელის მოძრაობით შეაჩერა გადაღება, ადგა, გიორგისთან მივიდა და ჰკითხა: ეს სცენარში არ წერია და რატომ მაკეთებინებთო? გადაღება კარგა ხნით გაჩერდა, მიდიოდა მოლაპარაკებები და რამდენადაც ვიცი, ამ ქალს იმხელა ჰონორარი გადაუხადეს, რამხელასაც მე ალბათ 30 ფილმისთვის მომცემდნენ... ისე, ჩემთვის ე.წ. „ტრიუკავი“ უნდა გადაეხადათ: ვაიდა, ამ სცენის გადაღებისას, რამე მომსვლოდა? მერე რა უნდა მექნა?..

ხათუნა იოსელიანი თავიდანვე უპრობლემოდ დამთანხმდა ინტერვიუზე და ჩემთვის საინტერესო ყველა კითხვასაც ვრცელი პასუხი გასცა. მიშას მსგავსად, მასაც მიაჩნია, რომ მსახიობმა ნებისმიერი როლი უნდა შეასრულოს — სხვაგვარად, პროფესიონალიზმზე საუბარიც ზედმეტია...

— ხათუნა, ქართველ მსახიობ ქალებს შორის, მგონი, ერთ-ერთი პირველი ხართ, ვისაც ეკრანზე გაშიშვლება მოუხდა?

— მართალია, პირველმა მე გავიხადე ქართულ კინოში — ფილმებში „ანემია“ და „გზა ჩალაურისაკენ“, ბოლოს კი, მიხო ბორაშვილის „ცარიელ სივრცეში“, ტრაგიკული ბედის მქონე ქალის როლი შევასრულე და იქაც მომიხდა გაშიშვლება.

— ეს ადვილი იყო თქვენთვის თუ რაღაც შინაგანი ბარიერის გადალახვა მოგიხდათ?

— სულაც არ ვფიქრობ, რომ ეს რაიმე სირთულეს წარმოადგენს. არანაირი კომპლექსი და ბარიერი არ გამაჩნია. თუ ეს როლიდან გამომდინარეობს რეჟისორს სჭირდება და საქმეს, მე ვალდებული ვარ, გავაკეთო. არც იმის შიში მქონია ოდესმე, თუ საზოგადოება როგორ შეხვდებოდა ამას, რადგან საზოგადოება ყოველთვის გრძნობს ადამიანის აურას, იცის, ვინ ვინ არის. ჩემთვის მიუღებელია სტერეოტიპი, რომელიც ზოგს ათქმევინებს: „არ გავიხდი! რატომ არ გაიხდი?“ სახლში არ ვიხდით? ჩინ-მედლებს ჩამოგართმევენ? ველასკესი და რემბრანდტი, ტიციანი და მონე — სულ შიშველ ქალებს ხატავდნენ. იმას თუ უყურებს ხალხი და მოსწონს, ეს — რეჟისორის შემოქმედებაა. ქუჩაში ხომ არ ვიხდი გიჟივით, რეჟისორმა ჩემში დაინახა იმ ქალის სახე, რომელიც სჭირდება, ალბათ ასეთი ვჭირდები. იმასაც გეტყვით, რომ არც პლასტიკურ ოპერაციას გავიკეთებ ოდესმე იმისთვის, რომ უკეთესი გამოვჩნდე ეკრანზე. რაც ვარ, ეს ვარ. ჩვეულებრივი ქალი ვარ, მაგრამ არაჩვეულებრივი ვარ მაშინ, როდესაც სცენაზე გამოვდივარ. ორი გრან-პრი ავიღე ქალის როლის საუკეთესოდ შესრულებისათვის „ცარიელ სივრცეში“, მაგრამ არ გავყვირი — ვარსკვლავი ვარ-მეთქი.

„ცარიელი სივრცე“, ეს არის ტრაგედია — მე ვთამაშობ იმ ქალის როლს, რომელიც გაუბედურებულია, ელოდება ქმრის დაბრუნებას. ის, ღმერთმა იცის, ვინ არის — ძველი ბიჭია, „შავია“ თუ „წინწკლებიანი“. ეს ქალი უვლის მამამთილს, მიატოვეს შვილებმა, დაენგრა ოჯახი... ფილმს პირველად ვუყურე ანაპაში, ფესტივალზე და ეს ქალი იმდენად შემეცოდა, რომ ტკივილისგან სკამიდან ჩამოვცურდი, ღვარად მდიოდა ცრემლი, თან აქეთ-იქით ვიხედები — იმ გიჟივით ხომ არ მომდის, ყველაფერი თავისი რომ მოსწონს-მეთქი?.. მიხოს გადავხედე — ტირის, გარშემო ყველა ტირიოდა. ასე რომ, ჩემი შიშველი მკერდი იქ არავის ახსოვდა, მთელი ყურადღება იქითკენ იყო მიმართული, თუ რა გააკეთა ამ ქალმა თავისი არანორმალური ქმრისთვის... რაც შეეხება გადაღების პროცესს — მე იმ წუთში არც მიგრძნია, რომ ოთახში ვინმე იყო. მე იმ წუთში ვიყავი მარტო. ვემზადები ქმართან შესახვედრად, რომელიც რამდენიმე წელი არ მინახავს, ვჯდები სარკესთან და ვათვალიერებ ჩემს თავს, მინდა, რომ მასში სიყვარულის ნაპერწკალი ავანთო...

— ერთ-ერთი გრან-პრი სწორედ ანაპაში მიიღეთ?

— დიახ. 2010 წელს. ფილმს დიდი წარმატება ხვდა, ერთადერთი შავ-თეთრი ფილმი იყო ფესტივალზე და საკმაოდ დიდი შთაბეჭდილებაც მოახდინა. მეორე გრან-პრი იმავე როლისთვის მოსკოვში ავიღე, მაგრამ მე იმ დროს ბაქოში გახლდით გასტროლებზე.

— „ცარიელ სივრცეში“ პარტნიორობას შოთა ქრისტესაშვილი გიწევთ. რამდენად თამამი იყო გადაღებისას?

— მე და შოთა ინსტიტუტში ერთად ვსწავლობდით, ჯგუფელები ვიყავით, დაძმასავით ვართ. როდესაც პირველად მიხოსთან მივედი ამ ფილმზე სასაუბროდ,

მიხეილ გომიაშვილი ფილმში „სიყვარული ვენახში“

ჯერ გამარჯობაც არ მქონდა ნათქვამი, უკვე რიშართან ლოგინში აღმოვჩნდი

შოთაც იქ დამხვდა. ხატულია (ასე მეძახდა ბებია და შემდეგ, ჩემი მეგობრებიც), სცენარი ზუსტად შენზეა ზედგამოჭრილიო. — მაგრამ როდესაც ეროტიკულ სცენაზე მიდგა საქმე, მეუბნება: გოგო, როგორ უნდა „იმას ვქნა", კაცო? — შენ ხომ ჩემი და ხარო. მე ვუთხარი: შოთიკო, შენ ოღონდ გამზადე, იქამდე მიდი და მერე მე თვითონ „იმას გიზამ"-მეთქი, — თუმცა, „საიმასქნელი" ფილმში არც არაფერი იყო, გარდა იმისა, რომ მკოცნიდა, და მაშინაც, საჯდომი სასაცილოდ ჰქონდა გაბზეკილი, რომ არ ჩამხუტებოდა...

— რას იტყვით პიერ რიშარზე, რომელიც ასევე თქვენი საეკრანო პარტნიორია ეროტიკულ სცენაში?

— დიახ, ეს არის ნანა ჯორჯაძის ფილმი „შეყვარებული კულინარის 1001 რეცეპტი", რომელიც „ოსკარზე" იყო წარდგენილი... ერთი პერიოდი, საკმაოდ დეპრესიულ მდგომარეობაში ვიყავი. ძალიან ბევრი სტრესი გადავიტანე. ერთხელ მაკამ (ჩემმა ქალიშვილმა) მითხრა: დედა, ნანა ჯორჯაძე ფილმის გადაღებას აპირებს იქნებ, ბედი გეცადა, დაელაპარაკეო.

რამდენიმე დღე ვიფიქრე, შემდეგ გადავწყვიტე, შვილისთვის დამეჯერებინა: დავიბანე, ჩავიცვი, დავიხურე და სახლიდან რომ უნდა გავიდე, ამ დროს ტელეფონმა დარეკა. ახალგაზრდა რეჟისორი მანანა ონეზაშვილი რეკავდა. ნანა ჯორჯაძე ფილმში გიწვევთ, პიერ რიშართან ერთად სათამაშოდო, — მითხრა. კინაღამ ჩავიკეცე... მივედი, ირაკლი კვირიკაძე *(ნანა ჯორჯაძის ქმარი და ფილმის პროდიუსერი. — ავტ.)* მეუბნება: მადამ კოლონტაი უნდა ითამაშოთო, — თან რაღაცნაირად იჭმუხნება, სათქმელს ბოლომდე ვერ ამბობს. იქვე იყო „ანემიის" ოპერატორი, ის მეუბნება: იცით, რა აინტერესებთ? ფილმში ტანზე მოგიწევთ გახდა, როგორ ფორმაში ხართო?.. — კი, გენაცვალე-მეთქი, — ვუთხარი და იქვე დავიწყე გახდა. — კარგიო, მითხრეს, — შენ ისეთი გადარეული ხარ, მართლა გაიხდიო... ჩემი გმირი კი, იცით, როგორი ქალი იყო? ერთხელ ლენინს აქვს მისთვის ასეთი დეპეშა გაგზავნილი: Ах ты, блядь! На что тратишь партийные деньги. აი, ასეთი ქალი უნდა განმესახიერებინა. მერე, ციურიხში ელჩად რომ მუშაობდა, 200-მდე ქალი და კაცი შეუკრიბავს და შიშვლებს, თავისუფალი სექსის გაკვეთილებს უტარებდა. მე თქვენ გიჩვენებთ სეირს-მეთქი, — ვთქვი...

პირველივე გადაღება პიერ რიშართან ლოგინის სცენით დაიწყო. ჯერ გამარჯობაც არ მქონდა ნათქვამი, უკვე მასთან ლოგინში აღმოვჩნდი. ამ სცენას მწერალთა კავშირის შენობაში ვიღებდით. წინასწარ მოვემზადე: ბაზრობაზე წავედი და ახალი საცვლები ვიყიდე. 20 ლარი მივეცი! იმ ოც ლარს დღემდე მივტირი... ბებიაჩემის ნაჩუქარი შიფონის შარვალი მაცვია, დედაჩემის ნაჩუქარი კრეპსატინის ბლუზა, დიდი მარგალიტის მძივი მიკეთია და მხრებზეც ბებიის ნაჩუქარი „ჩორნაბურკა" მაქვს მოსხმული — ერთი სიტყვით, საბჭოთა ვარსკვლავივით მაცვია.

დილით მანანა ონეზაშვილმა გამომიარა თავისი მანქანით, რომელიც საკმაოდ დანჯღრეული და ყველა მხრიდან გახვრეტილია. მივჩაქჩაქებთ ამ მანქანით და გვერდით „ლინკოლნმა" ჩაგვიარა. შიგ პიერ რიშარი იჯდა. გადავირიე — რიშარი ამით უნდა დადიოდეს და იოსელიანი ურმითმეთქი?! მანანას ვუთხარი: სანამ შენობაში არ შევა, არ გადამიშვა მანქანიდან, თორემ „პაკრიშკებს" დაგიჭამ-მეთქი...

ერთი სიტყვით, ასე იყო თუ ისე, მივედი. ჩემს დანახვაზე პიერი ადგილს მოსწყდა და სადღაც გავარდა. ვიფიქრე, ნეტავ, გარღვეული ხომ არაფერი მაქვს-მეთქი? სარკეში ჩავიხედე — ყველაფერი წესრიგში მქონია. თურმე უთქვამს: მე ამ ქალთან ლოგინში არ ჩავწვები — ჩემს ქმედებაზე პასუხს ვერ ვაგებო... ამ დროს კი, გვერდით, ახალგაზრდა, მშვენიერი არაბი საყვარელი — აიშა უდგას. დაიწყო გადაღება. ოპერატორი გავაფრთხილე: რაც არ უნდა გავაკეთო, ყველაფერი გადაიღეთ. გავაღე ოთახის კარი, პიერი ლოგინზე ზის. „მადამ კალანტაი?" — მეკითხება. — „ვი", — ვპასუხობ. კარგი მოფრანგულესავით. ჩამოვუჯექი ლოგინზე, თან თვალებს ვაკურკურებ. დავიწყე გახდა, ფეხები გავშალე, მისი თავი ფეხებს შორის მოვიყოლე, ცხვირი კი ჩემს მკერდში ჩავარგვევინე. მისი საყვარელი კი, გვიყურებს და სიცილით კვდება... აი, ასეთი ნაცნობობა გვქონდა მე და პიერს. მერე სულ ფრანგულად მელაპარაკებოდა. მეც, სულ გაღიმებული ვიყავი. სწორედ იმ პერიოდში, ვიღაც აფერისტისგან 17 ათას დოლარად ნაყიდი ბინიდან მასახლებდნენ. მე ვინაბები და „უ ჟუ, სიუ �n..." — ვეუბნები, ისინი კი მეუბნებიან: გაეთრიეთ გარეთო!.. ერთი სიტყვით, ფული ფულად დავკარგე, რიშართან ლოგინში ყოფნა კი, საინტერესო მოგონებად დამრჩა.

— მხოლოდ ერთი დუბლი გადაიღეთ?

— რა, კიდევ გინდოდა?

— მე რა შუაში ვარ? — პიერს თუ უნდოდა?

— არ ვიცი, პიერს რა უნდოდა, მაგრამ თურმე კითხულობდა — თავის სახლში რატომ არ მეპატიჟებაო? უპასუხეს — რემონტი აქვსო. — მაშინ ვილაზე დამპატიჟოსო. — იქაც რემონტი აქვსო. მას კიდევ უკვირდა, ორივეგან ერთდროულად რატომ მქონდა რემონტი, ვერ გაეგო.

— გიორგი შენგელაიაც და მიხო ბორაშვილიც ამტკიცებენ, რომ ეროტიკული სცენების გადაღებისას ქალები ძალზედ თამამები არიან, მამაკაცები კი კომპლექსდებიანო. თქვენ საშუალება გაქვთ, შეადაროთ ქართველი და უცხოელი მსახიობების ქცევა და განცდები. რა განსხვავებას ხედავთ?

— ვერავითარს. ქართველებს ძალიან ეშინიათ, შებოჭილები არიან, ასევე იყო პიერ რიშარიც, მიუხედავად იმისა, რომ უფრო დიდი გამოცდილება აქვს ასეთი სცენების თამაშისა. მიზეზი კი ალბათ ის არის, რომ ისინი ტვინს არ თიშავენ, ამას ისე არ უყურებენ, როგორც სამსახურს. ჩემთვის კი, დიდი მნიშვნელობა არ ჰქონდა, თუ ვინ იქნებოდა ჩემი პარტნიორი — პიერ რიშარი, მარლონ ბრანდო თუ გრეგორი პეკი...

■

მაყურებლებში „გადამხტარი“ ჩოგანი, კორტზე გატეხილი მობილური და maiamiSi naTqvami sadRegrZelo

ირაკლი ლაბაძე დღეს ერთადერთი ქართველია, რომელიც ჩოგბურთელთა საერთაშორისო კლასიფიკაციაში საუკეთესო ასეულში იმყოფება. მსოფლიოს საჩოგბურთო ელიტაში ირაკლის 93-ე ადგილი უკავია. ქართული საჩოგბურთო სამყარო დიდ იმედებს ამყარებს ამ ნიჭიერ, 21 წლის ჭაბუკზე, რომლის მაღალი ოსტატობის დასტურად შარშან, ირაკლის მიერ ჩოგბურთის ცოცხალი ლეგენდის, ანდრე აგასის დამარცხებაც კმარა.

პროფესიის გამო ირაკლი ლაბაძეს „ქრონიკული მოგზაურობა“ „სჭირს“, ტურნირიდან ტურნირზე დადის და სამშობლოში არცთუ ისე ხშირად ყოველთვის ხანმოკლედ უწევს ხოლმე ჩამოსვლა ახლაც ერთ-ერთი სატურნირო პაუზა გამოიყენა, თბილისში ჩამოვიდა, შინაურები და მეგობრები მოინახულა და ისევ ევროპისკენ გასწია — ავსტრიაში ემზადება ახალი საჩოგბურთო სეზონისთვის.

მოუცლელობის მიუხედავად, ირაკლიმ გამონახა დრო და საკმაოდ ვრცელ ინტერვიუზე დაგვთანხმდა.

ჯაბა ლეონიძე

— ირაკლი, მოდით, ტრადიციულ კითხვას დაგისვამთ და შორიდან დავიწყებ — როდის და როგორ დაიწყეთ ჩოგბურთის თამაში?

— 6 წლისა ვიყავი, როცა მამამ „დინამოს“ კორტებზე, რენა აბჟანდაძესთან მიმიყვანა ჩოგბურთზე. მამა მოყვარული ჩოგბურთელია. ისე, გასართობად თამაშობს, მაგრამ მტკიცედ ჰქონდა გადაწყვეტილი, რომ მე და ჩემს ძმას — კოტეს სერიოზულად მოგვეკიდა ხელი ამ საქმისთვის. თითქმის ასეც მოხდა — კოტემ არა, მაგრამ მე შევძელი დიდ ჩოგბურთში დამკვიდრება.

— რენა აბჟანდაძის შემდეგ, ვიცი, უცხოელ მწვრთნელებთან ვარჯიშობდით. ვინ არიან ეს ადამიანები?

— კი, რენა აბჟანდაძის შემდეგ სულ უცხოეთში და უცხოელებთან ვვარჯიშობდი. იტალიელები — ალბერტო კასტალანო და რობერტო ბროვჯინი, ამერიკელი ტედ ონიო, ესპანელი რიკარდო სანჩესი. ეს ხალხი სხვადასხვა დროს მწვრთნიდა. ახლა ავსტრიელი გიუნტერ ბრეზნიკი მავარჯიშებს.

— რა ენაზე ესაუბრებით ავსტრიელ მწვრთნელს?

— გერმანულად. ბებია — მამაჩემის დედა, გერმანელი მყავდა — ბერტა გენცინგერი. ასე რომ, გერმანულად ბავშვობიდან ვლაპარაკობ. ისე, ინგლისურიც კარგად ვიცი.

— თქვენ არა მარტო ქართული, მსოფლიო ჩოგბურთის ამომავალ ვარსკვლავადაც ითვლებოდით — 1998 წელს უიმბლდონის 18 წლამდე ვაჟთა ტურნირის ფინალში ითამაშეთ, იმავე წელს, მოსკოვში, ახალგაზრდული ოლიმპიური თამაშების ჩემპიონი გახდით, მანამდე, 16 წლისამ ევროპის ჩემპიონობა მოიპოვეთ. 1998 წელს, უიმბლდონის ჭაბუკთა ტურნირის ფინალში შვეიცარიელმა ფედერერმა ძლივს დაგამარცხათ. დღეს კი ფედერერი მსოფლიოს ერთ-ერთი საუკეთესო ჩოგბურთელია, მსოფლიო რეიტინგში საუკეთესოთა ათეულის მუდმივი ბინადარია, თქვენ კი ასეულში წელს ძლივს მოხვდით. რატომ გაჩნდა, თუნდაც, თქვენსა და ფედერერს შორის ასეთი დიდი ნაპრალი?

— მართლა ბევრი დრო დავკარგე, ძვირფასი წლები და ახლა ვცდილობ ამის ანაზღაურებას. ფედერერი ჩემზე ადრე მიხვდა, რა იყო პროფესიონალიზმი, ჩემზე სერიოზულად მიუდგა საქმეს, ჩვენს ოსტატობაში ასეთი დიდი სხვაობა იმის ბრალიცაა, რომ ფედერერისგან განსხვავებით, მე დიდი დრო შევალიე მწვრთნელების ძიებას. ხომ ნახეთ, რამდენი მწვრთნელი ჩამოგითვალეთ 21 წლის ჩოგბურთელმა? ზოგიერთებს, 2, მაქსიმუმ 3 მწვრთნელი ჰყავს გამოცვლილი და ესეც ბევრი ჰგონიათ. ერთხანს მართლა ძალიან დავცილდი საჩოგბურთო ელიტას, ახლა საუკეთესო ასეულში მაინც ვარ და საკმაოდ დიდი შანსი მაქვს, მალე უფრო წინ წავიდე და 50 საუკეთესო ჩოგბურთელში მოვხვდე. იცით, კიდევ რა სხვაობაა ჩემსა და ფედერერს შორის? ის ევროპელია, უფრო კონკრეტულად — მაღალგანვითარებული ქვეყნის შვილი. მას ბავშვობიდან უნერგავდნენ იმას, რასაც მე



მარაგ საფინთან ერთად

მარგინა ჰინგისთან და მის მწვრთნელთან ერთად

ცოტა გვიან მივხვდი, – რომ თუ საკუთარი საქმის ნაღდი პროფესიონალი არ იქნები, ცხოვრებაში ვერაფერს მიაღწევ. უშრომელად და დაუმსახურებლად არაფერი მოვა.

— თქვენს კარიერაში, ალბათ, გამორჩეულია ის დღე, როცა ანდრე აგასი დაამარცხეთ...

– ეს შარშან იყო, 17 ოქტომბერს, შანხაის საერთაშორისო ტურნირზე. მართლაც გამორჩეულია ეს გამარჯვება ჩემს კარიერაში. არავინ არ ელოდა, რომ აგასის ვძლევდი, აშკარა აუტსაიდერად მთვლიდნენ, ჟურნალისტები და სპეციალისტები ამ ორთაბრძოლის წინ. ძალიან მოვინდომე, იღბალიც ჩემს მხარეს იყო და ორ სეტში მოვუგე – 7:6, 7:5.

— მატჩის შემდეგ თუ შეხვდით აგასის, რაიმე ხომ არ გითხრათ?

– პრესკონფერენცია გამართა და დარბაზიდან რომ გამოდიოდა, მაშინ შევხვდი. გაჩერდა, ხელი ჩამომართვა და კიდევ ერთხელ მომილოცა გამარჯვება. ძალიან ნიჭიერი ბიჭი ხარ, თუ მოინდომებ, შორს წახვალო, – მითხრა. სხვას რომ ეთქვა, კომპლიმენტად, ზრდილობის გულისთვის ნათქვამად მივიღებდი, მაგრამ აგასი სიტყვაძუნწია და ყოველთვის იმას ამბობს, რასაც ფიქრობს, ამიტომ, მისი სიტყვები ბევრს ნიშნავს ჩემთვის.

— ყველაზე მეტად რომელ ჩოგბურთელთან გიჭირთ თამაში ან თქვენ თუ გყავთ ვინმე „დაბრიყვებული“, რომელსაც მუდმივად უგებთ ხოლმე?

– მე ცაცია ვარ, ცაციასთან თამაში კი, მეტ-ნაკლებად, ყველას უჭირს. „დაბრიყვებული“ კი ნამდვილად არავინ მყავს. მაინცდამაინც არასასურველი მეტოქე არც მე მეგულება. შენზე ძლიერთან, ვარსკვლავთან თამაშისას, ბუნებრივია, გამარჯვების შანსი ნაკლები გაქვს და გიჭირს თამაში. ეს ყველა ჩოგბურთელის პრობლემაა. თუმცა, შევნიშნე, რომ კარლოს მოია მეტად უხერხული მეტოქეა – ძალიან უცნაური ტრაექტორია აქვს მის მიერ დარტყმულ ბურთებს. ჭირს მათი მოგერიება.

— ჩოგბურთის თანამედროვე ვარსკვლავებიდან გამორჩეულად, ვისი თამაში მოგწონთ?

– მამაკაცებიდან ანდრე აგასი და მარატ საფინი მომწონს ძალიან, გოგონებიდან კლაისტერი და კაპრიატი. ამ უკანასკნელს განსაკუთრებულ პატივს ვცემ, პირადადაც ვიცნობ. 16-17 წლისამ გადარია მსოფლიო, როცა ოლიმპიური თამაშები მოიგო და „დიდი მუზარადის“ ტურნირებშიც წარმატებით გამოდიოდა, მერე ამ გოგონას ცხოვრება აერია, ნარკომანად იქცა, აღვირახსნილ ცხოვრებასაც ეწეოდა, მაგრამ მაინც მოიძია ძალები საკუთარ თავში და დაუბრუნდა ჩოგბურთს. სწორედ მაშინ, როცა კაპრიატი დაბრუნდა ჩოგბურთში, ფლორიდაში, ქალაქ ტამპეში ვიყავი. იქაურ საჩოგბურთო კლუბში ერთად ვვარჯიშობდით მე და ჯენიფერი, საკუთარი თვალით მაქვს ნანახი, როგორ ასწორებდნენ დღე და ღამეს ის და მამამისი სტეფანო კაპრიატი, რათა დაკარგული ფორმა და სახელი დაებრუნებინა. დიდი ძალისხმევის ფასად შეძლო ეს – ტრიუმფით დაბრუნდა დიდ ჩოგბურთში და ერთხანს ჩოგბურთელ ქალთა საუკეთესო ათეულს სათავეშიც მოექცა. კაპრიატი ნამდვილი მოვლენაა თანამედროვე ჩოგბურთში.



დიდი შანსი მაქვს, მალე უფრო წინ წავიდე და 50 საუკეთესო ჩოგბურთელში მოვხვდე

— ძნელია, თანამედროვე ჩოგბურთელ ქალებზე ვისაუბროთ და ანა კურნიკოვა არ ვახსენოთ. მას უამრავი გულშემატკივარი ჰყავს საქართველოშიც, უმთავრესად, რა თქმა უნდა — მამაკაცები. მართლა ისეთი უკმეხი და ავყიაა კურნიკოვა, როგორც ჩემთვის არაერთხელ უთქვამთ მის ნაცნობ ქართველ ჩოგბურთელებს?

– თუ კონტაქტში შეხვედი მასთან და დაუახლოვდი, ძალიან უშუალო და უბრალო გოგონაა, თუმცა, აი, ეს დაახლოება ჭირს სწორედ. რაღაც მომენტამდე მართლა ავყია და უკარებაა. ძირითადად – უცხო თაყვანისმცემლებისა და მისდამი არცთუ ისე კეთილად განწყობილი ჟურნალისტების მიმართ. მე ანას 11 წლიდან ვიცნობ, ხშირად გვიმოგზაურია ერთად და არაერთ ტურნირზე შევხვედრივარ.

— რუსულ და უცხოურ პრესაში ხშირად სვამენ ხოლმე ირონიულ კითხვას: ვინ არის ბოლოს და ბოლოს, კურნიკოვა — ჩოგბურთელი თუ მოდელი?..

– ანა ისეთ დონეზე თამაშობს ჩოგბურთს, ბევრს რომ შეეხარბება, თუმცა, ჯერ არც ერთი სერიოზული ტურნირი არ მოუგია. არ ვიცი, ვინ თქვა, მაგრამ მოსწრებული ნათქვამია და ანაზე ზედგამოჭრილი: „ანა კურნიკოვა ყველაზე ლამაზია ჩოგბურთელებში და ყველაზე ძლიერი ჩოგბურთელი – პოდიუმზე“.

— ჩვენი, ქართველი ჩოგბურთელებიდან ვის გამოარჩევდით?

— ძალიან ბევრს ვმოგზაურობ და ჩვენი გოგო-ბიჭების თამაშისთვის თვალით დევნებას ვერ ვახერხებ, საქართველოში გამართულ ტურნირებს არ ვესწრები და უცხოეთის ტურნირებზეც ვერ ვხვდებით ერთმანეთს, რადგან სხვადასხვა კატეგორიის შეჯიბრებებზე გვიწევს ასპარეზობა. მაკა ჩახნაშვილს რომ ბევრის მიღწევა შეუძლია, ალბათ, ამით ახალს არაფერს ვიტყვი. მართალია, არ მინახავს სალომე დევიძის თამაში, მაგრამ ვიცი, რომ მეტად ნიჭიერი და პერსპექტიული გოგონაა. ბიჭებიდან დათო კვერნაძესა და თემურ გაბაშვილს გამოვარჩევ, დათოს თამაში ერთხელ ესპანეთში ვნახე, ხოლო თემურის ასპარეზობას კიევის საერთაშორისო ტურნირზე ვუყურე.

— ცნობილი უცხოელი ჩოგბურთელებიდან ვისთან მეგობრობთ?

— თითქმის ყველა ცნობილ ჩოგბურთელთან მქონია ურთიერთობა, მაგრამ მეგობრებს მათ ვერ დავარქმევ. ახლო ურთიერთობა მაქვს მარატ საფინთან და ევგენი კაფელინკოვთან, ვიცნობ აგასის, მოიას, ივანიშევიჩს... გორან ივანიშევიჩს

ირაკლი და კოტე ლაბაძეები

ძალიან დიდ პატივს ვცემ, დიდი ჩოგბურთელია და კარგი ადამიანი. მაიამიში, ბარში გავიცანი გორანი და ნახევრად ხუმრობით, ჩემი ხათრით, შევარდნაძის სადღეგრძელო დალია. ახლაც, თუ სადმე მხვდება, სახელს არ მეძახის, ხელს ამიწევს და — შევარდნაძე, როგორ ხარო? — მეკითხება.

— თქვენ ერთხანს საქართველოს ჩოგბურთის ფედერაციის პრეზიდენტთან, ლეილა მესხთან იყავით დაპირისპირებული. მიზეზი ის იყო, რომ დევისის თასზე საქართველოს ნაკრებში თამაშს თავს არიდებდით.

— ეგ უკვე ძველი ამბავია, ლეილა მესხთან გასაყოფი არაფერი მაქვს. პატარა გაუგებრობას ჰქონდა ადგილი, რადგან გარკვეული მიზეზების გამო, ვერ შევძელი ნაკრებში თამაში. გაისად დევისის თასზე აუცილებლად ვითამაშებ. ეს უკვე იმის დასტურია, რომ ჩემსა და ჩოგბურთის ფედერაციას შორის ყველანაირი გაუგებრობა დასრულდა.

— კორტზე ემოციური თუ ხართ და მარცხისგან გამწარებულს ჩოგანი თუ დაგიმტვრევიათ?

— ჩოგანი არ დამიმტვრევია, მაგრამ ერთხელ უარესი შემემთხვა. საფრანგეთში, როლან-გაროსის ტურნირზე ანდრეი ბუტერს ვხვდებოდი. სეტი წავაგე და გაბრაზებულმა ჩოგანი მოვისროლე, იხტუნა ჩოგანმა და მაყურებლებში აღმოჩნდა. მართალია, არავინ დაშავებულია, მაგრამ 2.000 დოლარი მაინც გადამახდევინეს ჯარიმად... სპორტსმენი შეუძლებელია არ იყოს ემოციური, ემოციებს კი ყოველთვის ვერ მოთოკავ. ავსტრიაში ვარ ტურნირზე. ეკვადორელ ლა პენტთან, მეხუთე სეტში ტაი-ბრეიკში დავმარცხდი — 9:7. გამწარებულმა საკუთარი მობილური ტელეფონის აპარატი ჩავირტყი თავში. იღბლად, მე არაფერი მომსვლია. „ნოკიას“ მარკის აპარატი კი გატყდა, ველარ გამოვიყენე და გადავაგდე.

ახლა ავსტრიაში მივდივარ, იქ ვივარჯიშებ და იანვრიდან ახალ საჩოგბურთო ტურნირებში ჩავებმები. ზუსტად ახალ წელს, 1 იანვარს, ავსტრალიასა და ინდოეთში საერთაშორისო ტურნირები იმართება. ავსტრიაში ჩემს მწვრთნელთან ერთად გადავწყვეტ, რომელი ტურნირით დავიწყებ ახალ სეზონს, ჯერ ზუსტად არ ვიცი, ერთ-ერთში აუცილებლად ვითამაშებ.

■

ერთგული მკითხველი

თქვენ, ერთგულ მკითხველს, უთუოდ გემახსოვრებათ ჩვენი ჟურნალის სხვადასხვა ნომერში დაბეჭდილი წერილების შინაარსი და არც ამ ტესტის კითხვებზე გაგიჭირდებათ პასუხის გაცემა...

1. „კარგი მეკარე მაშინ გახდები, როცა მიხვდები, რომ „დინამოს“ კარში კი არა, დარიალის კარში დგახარ“, — ვის მიმართა ამ სიტყვებით ბორის პაიჭაძემ?

ა) სერგო კოტრიკაძეს;
ბ) ოთარ გაბელიას;
გ) ვლადიმერ მარღანიას.

2. რას ეძახიან ხილ-ბოსტნეულით და ტკბილეულით მოვაჭრეს საქართველოში?

ა) ბაზაზს;
ბ) ნოქარს;
გ) ბაყალს.

3. კინოდან წასვლის შემდეგ რა საქმიანობა გაიხადა ძირითად მიზნად ბრიჟიტ ბარდომ?

ა) ცხოველების დაცვა;
ბ) გარემოს დაცვა;
გ) შიდს-ის წინააღმდეგ ბრძოლა.

პასუხები იხილეთ 61-ე გვერდზე

როგორ უნდა წარიმართოს ჯვარდაწერილ მეუღლეთა ურთიერთობა?

მორენა მერკვილაძე

საუბარი ჯვრისწერის საიდუმლოზე, მის მნიშვნელობაზე „გზის“ წინა ნომერში დავიწყეთ. როგორ უნდა წარმართონ ჯვარდაწერილმა მეუღლეებმა ოჯახური ურთიერთობა, რათა მათი ქორწინება ღვთივკურთხეული იყოს? ითვლება თუ არა ცოდვად ჯვარდაუწერელი ცოლქმრობა? რა შემთხვევაში უნდა ხდებოდეს ჯვარდაწერილთა განქორწინება? — ამ და სხვა კითხვებზე წმინდა გიორგის სახელობის ქვაშვეთის ეკლესიის დეკანოზი, მამა ალექსი (ადამაშვილი) გვესაუბრება.

— შეიძლება თუ არა ჯვრისწერა, როდესაც მეუღლეთაგან ერთ-ერთი, სხვა სარწმუნოების წარმომადგენელია?

— თუ მეუღლეთაგან ერთ-ერთი არამართალმადიდებელია, ასეთ დროს ქორწინება არ შეიძლება, მაგრამ თუ სხვა სარწმუნოების წარმომადგენელი მართლმადიდებლური წესით მოინათლება, ჯვრისწერას წინ აღარაფერი ეღობება.

— შეიძლება თუ არა ჯვრისწერა, როდესაც საპატარძლოს ან მეჯვარეს აქვს დედათა წესი?

— ასეთ დროს ჯვრისწერა დაუშვებელია.

— სისხლით ნათესავების რამდენ თაობას ეკრძალება ქორწინება?

— სისხლით ნათესაობა გადადის ხუთი თაობის ჩათვლით, ამიტომ მათ შორის, ამ ხნის მანძილზე, ქორწინება არ უნდა მოხდეს.

— აქვს თუ არა, ჯვრისწერის უფლება ორსულ ქალს?

— ორსულ ქალს ჯვრისწერა არ ეკრძალება. თუმცა, ქრისტიანული წესის თანახმად, ქალი ჯვრისწერამდე არ უნდა დაორსულდეს.

— ქორწინების საიდუმლოს აღსრულების დროს, ეკლესია ჯვარდაწერილებს, საოჯახო ეკლესიის ფუძემდებლად აცხადებს. როგორი უნდა იყოს ჯვარდაწერილთა ოჯახი?

— ჭეშმარიტი მართლმადიდებელი ჯვარდაწერილი ცოლ-ქმარი, თავისი მცირე ეკლესიით — ოჯახით, უფალს უნდა ემსახუროს. ხოლო იმისათვის, რომ ოჯახი იქცეს მცირე ეკლესიად, ცოლ-ქმარს ევალება ეკლესიური წესების დაცვა: ლოცვა, მარხვა, ხშირად ზიარება, შაბათკვირას და ქრისტიანული დღესასწაულების დღეებში — ეკლესიაში წირვა-ლოცვაზე დასწრება, ყოველწლიურად სახლის კურთხევა, მოწყალების გაცემა და სხვა ღვთისთვის სათნო საქმეების კეთება. ასეთ ოჯახში, აუცილებლად დაივანებს უფალი და ჯვარდაწერილ ცოლ-ქმარსაც მიეგება ის მადლი, რასაც იმსახურებს.

— როგორ უნდა წარიმართოს ურთიერთობა უშუალოდ მეუღლეებს შორის და საერთოდ, რა არის ქრისტიანული ცოლქმრობის მიზანი?

— ჯვარდაწერილთა ურთიერთობა და სიყვარული, ეკლესიის მიმართ ქრისტესმიერ სიყვარულს უნდა ჰგავდეს. ჭეშმარიტად მართლმადიდებელი ცოლი ვალდებულია, ნებისმიერ სიტუაციაში ემორჩილებოდეს ქმარს და მისი რიდი ჰქონდეს: „რამეთუ ქმარი არს თავ ცოლისა, ვითარცა ქრისტე თავ არს ეკლესიისა“. ქმარი კი, ვალდებულია, უყვარდეს ცოლი: „ვითარცა ქრისტემ შეიყვარა ეკლესია და თავი მისცა მისთვის“. ცოლ-ქმარი, ყოველგვარი განსაცდელის მიუხედავად, ერთად უნდა იყოს და გაითვალისწინოს, რომ ურთიერთშორის წარმოქმნილი პრობლემები, სულიერი მოძღვრის დახმარებით უნდა მოაგვაროს. ამასთანავე, ქრისტიანული ცოლქმრობის მიზანი, შვილების გაჩენაა ადამიანთა მოდგმის გასაგრძელებლად.

— ითვლება თუ არა, ჯვარდაუწერელი ცოლქმრობა ცოდვად?

— ეკლესიური სწავლებით, ჯვარდაუწერელი ცოლქმრობა, სერიოზული სარწმუნოებრივი დარღვევაა. აქედან გამომდინარე, წყვილი, რომელიც ჯვარდაუწერლად ცხოვრობს, სჩადის ცოდვას და მათი შვილებიც, უკანონო შვილებად არიან მიჩნეულნი.

— შეიძლება თუ არა, ჯვრისწერა ქორწინებიდან რამდენიმე წლის თანაცხოვრების შემდეგ?

— თუ ცოლ-ქმარს სურვილი აქვს, რომ მისი ქორწინება ღვთის წინაშე მართალი იყოს, ჯვარი აუცილებლად უნდა დაიწეროს, რაც შეიძლება, რამდენიმე წლის თანაცხოვრების შემდეგაც მოხდეს.

— აქვს თუ არა ჯვრისწერის უფლება ადამიანს, რომელიც მეორედ ქორწინდება, მაგრამ პირველი ქორწინების დროს, მხოლოდ სამოქალაქო ქორწინებაში იყო?

— ასეთ შემთხვევაში ადამიანს ჯვრისწერა არ ეკრძალება. მაგრამ პირველი ანუ ჯვარდაუწერელი ქორწინება, აუცილებლად აღსარებით უნდა მოინანიოს.

— რა შემთხვევაში აქვთ ჯვარდაწერილებს გაყრის უფლება და ვის მიერ ხდება გვირგვინის ახსნა?

— თუ განქორწინების გარდა, სხვა გამოსავალი არ რჩება, გვირგვინის ახსნისთვის, სულიერი მოძღვრის შუამავლობით, უნდა მივმართოთ მღვდელმთავარს. ქრისტიანული წესის მიხედვით კი, განქორწინება ღვთისთვის არასათნო საქმეა, ამიტომ, ისეთ უკიდურეს შემთხვევაში უნდა ხდებოდეს, როგორიცაა ქალის (ცოლის) მრუშობა.

— ითვლება თუ არა ჯვარდაწერილი გვირგვინახსნილად, მეუღლის გარდაცვალების შემთხვევაში და აქვს თუ არა მას მეორედ ჯვრისწერის უფლება?

— ასეთ დროს უნდა მოხდეს გვირგვინის ახსნა, რის შემდეგაც მეორედ ქორწინება შესაძლებელია. ■

ნანა ქიბიშაური

წმინდა გიორგის ძალით და მადლით მოვიპოვოთ გამარჯვება!

გიორგობა ერთდროულად არის საერო და საეკლესიო დღესასწაული, რომელსაც საქართველოში განსაკუთრებულად ზეიმობენ. საქართველოში არის 363 წმინდა გიორგის სახელობის სალოცავი. ამ წმინდანის მიმართ გამორჩეულ დამოკიდებულებაზე მეტყველებს ისიც, რომ ჩვენთან მამაკაცის სახელებიდან ყველაზე გავრცელებული ნათლობის სახელია გიორგი და რაც მთავარია, საქართველო არის ერთადერთი ქვეყანა, სადაც გიორგობის დღესასწაულს ორჯერ აღნიშნავენ — 6 მაისს და 23 ნოემბერს. გიორგობის დღესასწაულის შესახებ რამდენიმე კითხვით მივმართეთ სიონის საკათედრო ტაძრის მოძღვარს, მამა დავითს (ერისთავი).

— მამა დავით, საეკლესიო დღესასწაულის საერო დღესასწაულად გადაქცევას, ალბათ მრევლის დამოკიდებულება განაპირობებს...

— დიახ და ამის ერთ-ერთი მაგალითია გიორგობის დღესასწაული. ქართველები განსაკუთრებულად ვზეიმობთ ამ დღეს და ამიტომ გამოცხადდა ის საერო დღესასწაულად. რაც შეეხება იმას, თუ რატომ არის საქართველოში ეს წმინდანი საყოველთაო სიყვარულით გარემოცული — ერთი ახსნა აქვს: წმ. გიორგი იყო მეომარი და ქრისტიანობისთვის თავდადებული მებრძოლი. ჩვენი წინაპრები ყოველთვის ამ წმინდანს ავედრებდნენ მეომრებს, ევედრებოდნენ მას მფარველობას და შესთხოვდნენ მტერზე გამარჯვებას.

— ვინ იყო წმ. გიორგი?

— ის იყო წმ. ნინო კაბადოკიელის უახლოესი ნათესავი — ბიძაშვილი, რომელიც იმპერატორ დიოკლეტიანეს დროს აწამეს — ბორბალზე დააბეს და მთელი ტანი დაუსერეს, მაგრამ მას ტანჯვის დროს ღმერთი ეცხადებოდა, რწმენაში აძლიერებდა და მისი შემწეობით გაუძლო ამ წამებას. როდესაც ის საშინელი წამების შემდეგ ბორბლიდან ჩამოხსნეს, ნახეს, რომ მთელი სხეული დასერილ-დაჩეხილი ჰქონდა, მაგრამ მაინც ცოცხალი იყო და აქედან გამომდინარე, უწოდა მას ხალხმა უძლეველი. ტროპარში წერია, რომ ის, ამავე დროს, იყო ტყვეთა განმთავისუფლებელი და გლახაკთა განმკითხავი. ის ქრისტიანობისთვის წამებულთ და დატყვევებულებს მხსნელად ევლინებოდა, ათავისუფლებდა და მფარველობდა. ის იყო უძლეველი მხედართმთავარი, წარჩინებული ოჯახის შვილი და მსახურობდა დიოკლეტიანეს მეომართა რიგებში. მაგრამ ქრისტიანული აღმსარებლობის მიღების შემდეგ, მიატოვა ფუფუნება, უარი თქვა ყოველგვარ ამქვეყნიურ ჩინსა და განცხრომაზე და მხოლოდ როგორც ქრისტიანთა დამცველი და ბოროტების შემმუსვრელი, ისე ემსახურა უფალს.

მამა დავითი

— რატომ ვზეიმობთ გიორგობას ორჯერ?

— 6 მაისს არის მისი შობის დღე, 23 ნოემბერს კი — მისი წამების დღე. მის სახელს ქართველები რომ განსაკუთრებული სიყვარულით ადიდებენ, სწორედ ამის მიმანიშნებელია გიორგობის დღესასწაულის ორჯერ აღნიშვნა.

— არსებობს წმ. გიორგის ხატის ბევრი ნიმუში. როგორც ჩანს, ქართველ ხატმწერებსაც გამორჩეულად ჰყვარებიათ მისი გადაწერა...

— მართლაც, ძალიან ბევრი სხვადასხვა ხატი გვაქვს. არის ე.წ. სვანური წმ. გიორგის ხატი, სადაც ის ფეხზე დგას და მახვილი უჭირავს ხელში. მასში მკვეთრადაა გამოხატული მისი მხედრული სული. უფრო გავრცელებულია ცხენზე ამხედრებული წმ. გიორგის ხატი, სადაც ის შუბით ხელში განგმირავს გველეშაპს. ეს ხატი სიმბოლოა ბოროტების დამარცხებისა. ხატმწერებმა შემოქმედების პროცესში განსაკუთრებულად უნდა დაიცვან ეკლესიური ნორმები, ყოველდღე უნდა ევედრონ უფალს, რომ მისცეს ძალა, შეძლონ ხატის გადაწერა. უნდა იცხოვრონ წმინდად, იმარხულონ და ტროპარი წაიკითხონ...

— ძველად როგორ აღნიშნავდნენ გიორგობას?

— ძალიან ბევრი ხალხი მიდიოდა ტაძრებში. იმდენად ბევრი, რომ ვერ თავსდებოდა და ამიტომ იყო, რომ ამ დღესასწაულს ჰქონდა სამი „სწორი“ — მაგალითად, წელს, 23 ნოემბერი მოდის შაბათ დღეს. შემდეგ შაბათ დღეს ეი. 30 ნოემბერს, იქნება პირველი სწორი და ა.შ.

— მართალია თუ არა, რომ წმ. გიორგი განსაკუთრებით მფარველობს თავის მოსახელეებს?

— წმ. გიორგი მფარველობს არა მარტო თავის მოსახელეებს, არამედ მთლიანად საქართველოს, მაგრამ მე ჩემს მილოცვას დავიწყებ იმით, რომ ამ დღესასწაულს პირველ რიგში სწორედ მათ მივულოცავ, ვისაც გიორგი ჰქვია. ჰფარავდეთ წმ. გიორგის მადლი მათაც და სრულიად საქართველოსაც.

— რელიგიური რიტუალებიდან ამ დღეს ალბათ სასურველია ბავშვის მონათვლა...

— ამ დღეს ძალიან ბევრი ბავშვი ინათლება. წლეულს ბევრი ჯვრისწერის ცერემონიაც აღსრულდება, რადგან შაბათი დღე ქორწილის დღედაცაა მიჩნეული. 28 ნოემბრიდან იწყება მარხვა. ეს არის მარხვის წინა კვირა და ამიტომ ვფიქრობთ, რომ გიორგობის დღესასწაულზე ჩვენი ეკლესიები სავსე იქნება მლოცველებით, მექორწილეებითა და მოსანათლი ბავშვებით. სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქი, მცხეთა-თბილისის მთავარეპისკოპოსი, დიდი მეუფე მამა ჩვენი ილია განსაკუთრებულად ლოცულობს და აღნიშნავს ამ დღეს ქაშვეთის ტაძარში. ალბათ ქაშვეთში ყველაზე მეტი ხალხი მოიყრის თავს.

სრულიად საქართველოს ვულოცავ გიორგობას. ის გოგო-ბიჭები, რომლებიც 23 ნოემბერს დაიბადებიან, ჯერ თქვენი ჟურნალის მკითხველები არ არიან, მაგრამ ხომ უნდა მივულოცოთ. ალბათ ბიჭებს, როგორც წესი, გიორგის დაარქმევენ. მრავალი გიორგის დაბადებას ვუსურვებ საქართველოს! ■

მადაგასკარულ კლუმს ავტოგოლემისათვის სჯიან

მადაგასკარის საფეხბურთო ფედერაცია ცოტა ხნის წინ ჩატარებულ ერთ-ერთ მატჩში საკუთარ კარში გატანილი 149 გოლის გამო დასჯის გუნდს. ეს სენსაციური შედეგი მადაგასკარის ჩემპიონატში მოასპარეზე „სტად ოლიმპიკ დე ლ'ემირნ"-სა და „ადემას" შორის გამართული შეხვედრისას დაფიქსირდა. მადაგასკარის მიმდინარე პირველობაზე ეს მატჩი ორივე გუნდისათვის უკანასკნელი იყო. „სტად ოლიმპიკის" მწვრთნელ, რატსიმანდრეს რატსარაზაკს მიუჩნევია, რომ მსაჯი „ადემას" სასარგებლოდ მოქმედებდა და გაბრაზებულს თავისი გუნდის ფეხბურთელებისათვის უთქვამს – სხვა ყველაფერს თავი დაანებეთ და გოლები საკუთარ კარში გაიტანეთო. აბა, „სტად ოლიმპიკ დე ლ'ემირნ"-ის მოთამაშეებსაც სხვა რაღა დარჩენოდათ, ამდგარან და მეტოქისა თუ მსაჯის „ჯიბრით" საკუთარ კარში 149-ჯერ შეუგდიათ ბურთი. ის კი ცხადია, რომ ამ მატჩში „სტად ოლიმპიკის" მეკარე ნამდვილად არ მოიწყენდა, მაგრამ საინტერესოა, ამ დროს რითი ირთობდნენ თავს „საბრალო" „ადემას" ფეხბურთელები, რომლებმაც ერთი გოლის გატანაც ვერ მოახერხეს. აქვე მკითხველს ვაცნობებთ, რომ წელს „ადემა" მადაგასკარის ჩემპიონი გახდა, გასულ საფეხბურთო სეზონში კი, პირველობა არავის დაუთმო ავტოგოლების მოყვარულმა „ოლიმპიკმა". მადაგასკარის ფეხბურთის ფედერაციას ჯერ არ გადაუწყვეტია, თუ რა სახის სასჯელს გამოუტანს „ოლიმპიკს" (როგორც ჩანს, ისინი სხვა ქვეყნების ფეხბურთის ფედერაციათა გამოცდილებითაც ვერ იხელმძღვანელებენ, რადგან საეჭვოა, რომ მსგავს შემთხვევას სხვაგანაც ჰქონოდა ადგილი). აღნიშნულ მატჩზე მისულ გულშემატკივრებს კი, „მაინცდამაინც არ მოსწონებიათ" „სტად ოლიმპიკის" ავტოგოლშედევრთა ყურება და ისინი ბილეთებში გადახდილი ფულის უკან დაბრუნებას მოითხოვენ.

P.S. ალბათ დროა, მადაგასკარის ფეხბურთის ფედერაციამ „საუკეთესო ავტოგოლეადორისათვის" პრიზი დააწესოს. ■

კალაძით „ლივერპული" და „მავარია" დაინტერესდნენ

მიუხედავად იმისა, რომ იტალიაში სატრანსფერო ბაზარი ოფიციალურად მხოლოდ იანვარში ამოქმედდება, სერია A-ში მოასპარეზე ფეხბურთელებით დაინტერესებული ევროპული კლუბების სელექციონერები ერთი წუთითაც არ წყვეტენ მუშაობას, რაც ამა თუ იმ ფეხბურთელის შესახებ „სატრანსფერო ჭორ-მართლის" გავრცელებას უწყობს ხელს. აი, მაგალითად, თურმე „ლივერპულის" თავკაცობა კახა კალაძით დაინტერესებულა და ამ საკითხზე მოსალაპარაკებლად იტალიელებისათვის უკვე მიუმართავს კიდეც. ქართველი მცველის მიმართ გულგრილად განწყობილი არც ჩემპიონთა ლიგაში ფიასკოგანცდილი კიდევ ერთი ევროპული გრანდის – მიუნხენის „ბავარიის" ხელმძღვანელობაა, რომელიც კახას სანაცვლოდ „მილანს", 2002 წლის მუნდიალის საუკეთესო მოთამაშედ აღიარებულ ოლივერ კანს სთავაზობს. ■

მოსნიჩი კოკაინის მოხმარებაში ამხილეს

ლონდონის „ჩელსის" მეკარის, მარკ ბოსნიჩის განმეორებითმა სისხლის ანალიზმა ცხადყო, რომ იგი საკმაოდ დიდი ხნის მანძილზე მოიხმარდა კოკაინს. 31 წლის ავსტრალიელი ლეგიონერის თქმით, იგი კოკაინს დეპრესიის გამო ეძალებოდა. „ასტონ ვილადან" „მანჩესტერ იუნაიტედში" გადასვლის შემდეგ, ბოსნიჩმა ალექს ფერგიუსონთან საერთო ენა ვერ გამონახა, რის გამოც ძირითად შემადგენლობაში ადგილი მალე დაკარგა. 2001 წლის ზამთარში, ბოსნიჩი „ჩელსიში" გადავიდა, მაგრამ მას არც ლონდონურ კლუბში წაუვიდა საქმე კარგად. გუნდის მწვრთნელმა, კლაუდიო რანიერიმ უპირატესობა კარლო კუდიჩინის მიანიჭა, რის გამოც მარკი კვლავ სათადარიგოთა რიგებში აღმოჩნდა. მიმდინარე სეზონში კი, ავსტრალიელი გოლკიპერი საერთოდ არ მოხვედრილა „ჩელსის" განაცხადში. პირველ ხანებში, კუდიჩინის ჰოლანდიელი ვეტერანი, ედ დე გუი უწევდა დუბლიორობას, ბოლო მატჩებში იტალიელ მეკარეს ლეონარდ პიჯელი ცვლიდა ხოლმე. სწორედ ამის გამო მიეძალა კოკაინს XX საუკუნის ოკეანიის საუკეთესო მეკარედ აღიარებული მარკ ბოსნიჩი. ჯერჯერობით უცნობია, თუ რა განაჩენს გამოუტანენ ავტსრალიელ გოლკიპერს ინგლისური ფეხბურთის მესვეურები, მაგრამ იმის თქმა მაინც შეიძლება უკვე, რომ პრემიერლიგაში ბოსნიჩის კარიერას წერტილი დაესვა. ■

39 წლის ოლაჯუნმა მოედანი დატოვა

ცოტა ხნის წინ, დიდ კალათბურთს გამოემშვიდობა NBA-ს კიდევ ერთი ვარსკვლავი – ჰაკიმ ოლაჯუონი, რომელიც 17 სეზონის განმავლობაში თამაშობდა „ჰიუსტონ როკეტზის" შემადგენლობაში. ჰიუსტონში, „გოლდენ სტეიტთან" გამართული მატჩის წინ, „როკეტზის" ხელმძღვანელობამ ოფიციალურად განაცხადა, რომ ამიერიდან, კლუბში ოლაჯუონის კუთვნილი 34-ნომრიანი მაისურით აღარავინ ითამაშებს. გარდა ამისა, „ჰიუსტონ როკეტზისათვის" მშენებარე ახალ საკალათბურთო დარბაზში ჰაკიმის ძეგლის ასლი დაიდგმება.



ჰაკიმ აბდულ ოლაჯუონი 1963 წლის 21 იანვარს დაიბადა. იგი წარმოშობით ნიგერიელია. „ჰიუსტონ როკეტზთან" ერთად ჰაკიმი 1994 და 1995 წლებში NBA-ს ჩემპიონი, ხოლო აშშ-ის ეროვნული ნაკრების შემადგენლობაში, 1996 წლის ოლიმპიური ჩემპიონი გახდა. ის აგრეთვე 12-ჯერ იყო All-star-ის მონაწილე. „დიდი კალათბურთიდან წასვლას, ისე როდი ვუყურებ, როგორც ყველაფრის დასასრულს, – ამბობს 39 წლის ოლაჯუონი. – ახლა ჩემი ცხოვრების ახალი ეტაპი იწყება. ვიცი, რასაც მივაღწიე განვლილი წლების განმავლობაში. ახლა კი, იმის დრო დადგა, რომ დავჯდე და სხვას ვუყურო". ■

„წითელ ბარონს“ გარემოს დამინძურების უფლება არ მისცეს

„ფორმულა-1“-ის რბოლებში ხუთგზის მსოფლიო ჩემპიონი, მიხაელ შუმახერი შვეიცარიის გერმანულენოვანი ტერიტორიიდან იმ ფრანგულენოვან ნაწილში გადადის საცხოვრებლად, რომელიც მორგესსა და ნიონს შორის მდებარეობს. ამის შესახებ „წითელი ბარონის“ ადვოკატმა განაცხადა. მიმდინარე წლის მაისში მიხაელი შვეიცარიის გერმანულენოვან ნაწილში მდებარე ვოლფალდენში სახლის, საჯინიბოს, აუზისა და შვეულმფრენის დასაჯდომი მოედნის აშენებას აპირებდა, რისთვისაც 1,1 ათასი კვმ ტერიტორიის შესყიდვა სურდა, მაგრამ ადგილობრივმა ეკოლოგიურმა სამსახურმა მას აუთვისებელი მიწების ლანდშაფტის დარღვევის უფლება არ მისცა და მსოფლიო ჩემპიონმა ჩანაფიქრი ვერ განახორციელა, რის გამოც უახლოეს მომავალში იგი საცხოვრებელ ადგილს შეიცვლის. აქვე მკითხველს შევახსენებთ, რომ შუმახერი შვეიცარიაში ოჯახთან ერთად, 1996 წლიდან ცხოვრობს. ■

ჰილი ავტოკატასტროფაში მოჰყვა

„ფორმულა-1“-ის ავტორბოლებში 1996 წლის მსოფლიო ჩემპიონს, დეიმონ ჰილს, რომელმაც პროფესიონალური ავტოსპორტი რამდენიმე წლის წინ დატოვა, სარბოლო ავტომობილით ავარია შეემთხვა. ავტოსპორტის შესახებ ბრიტანული ტელეკომპანია „ბი-ბი-სი“-ს პროგრამისთვის მიმდინარე გადაღებებში მონაწილეობისას ის სპორტული Mercedes-ის საჭეს ეჯდა. ავარიის შედეგად საფუძვლიანად დაზიანდა ავტომობილი, თუმცა, საბედნიეროდ, დეიმონ ჰილი არ დაშავებულა. აღსანიშნავია, რომ დეიმონი Mercedes-ით 1996 წელსაც მოჰყვა ავარიაში; მაშინ დაზიანებული მანქანის აღდგენა 160 ათასი დოლარი დაჯდა. ■

BMW Williams–ის ახალი მოლიდი Ferrari–სას დაემსგავსება

„ფორმულა-1“-ის გუნდი, BMW Williams-ი თავისი ახალი ბოლიდის, FW 25-ის კონსტრუირებისას აქცენტს Ferrari-ს მოდელ F2002-ზე გააკეთებს. გასულ სარბოლო სეზონში BMW Williams-ის სპორტულ ავტომობილს კონკურენტუნარიანი ძრავა ჰქონდა, თუმცა, შასის სხვადასხვა ნაკლის გამო, საგრძნობლად ჩამორჩებოდა Ferrari F2002-ს აეროდინამიკით. სწორედ ამ მიზეზით, გუნდმა ტექნიკურ-რევოლუციური გადაწყვეტილება მიიღო და მომავალ სეზონში FW 25-ის შასის უკანა ნაწილი, F2002-ისას ემგვანება. BMW Williams-ი 2003 წლის სეზონისათვის მზადებას ვალენსიაში 26 ნოემბერს შეუდგება. ■

WBO–ს საუკეთესო მოკრივე ქველმოქმედებითაა დაკავებული

მსოფლიო კრივის ორგანიზაციის ყოველწლიურ, მეთხუთმეტე შეკრებაზე, რომელიც 28 ოქტომბრიდან 2 ნოემბრამდე პანამაში მიმდინარეობდა, უკრაინელი სუპერმძიმეწონოსანი ვლადიმირ კლიჩკო 2002 წლის საუკეთესო მოკრივედ დაასახელეს. 2002 წლის შედეგების მიხედვით, საუკეთესო მოკრივეთა სიაში შევიდნენ აგრეთვე ნახევრად მძიმეწონოსანი მსოფლიო ჩემპიონი, დარიუშ მიხალჩევსკი და მჩატეწონოსანი არტურ გრიგორიანი.

ვლადიმირ კლიჩკომ მსოფლიო ჩემპიონის ტიტული პირველად, 2000 წლის 14 ოქტომბერს, კიოლნში კრის ბირდზე გამარჯვებით მოიპოვა. მას შემდეგ უკრაინელმა სუპერმძიმეწონოსანმა ზედიზედ ოთხჯერ (დერიკ ჯეფერსონზე, ჩარლზ შაფორდზე, ფრენსის ბოტასა და რეი მერსერზე გამარჯვებით) შეძლო საჩემპიონო ქამრის დაცვა. აქვე გაცნობებთ, რომ ამა წლის 7 დეკემბერს, ვლადიმირ კლიჩკოს მეხუთედ მოუწევს მსოფლიო ჩემპიონის ქამრის შენარჩუნებისთვის ბრძოლა. ის ჯამილ მიკლაინს შეხვდება. ეს მატჩი ლას-ვეგასში (ნევადის შტატი), „მანდალაი ბეი“-ს დარბაზში გაიმართება. მანამდე კი, ვლადიმირი ღვიძლ ძმასთან, ვიტალისთან ერთად (რომელსაც გაისად, ლენოქს ლუისთან ორთაბრძოლა მოუწევს), ქველმოქმედებით არის დაკავებული. ცოტა ხნის წინ, ძმებმა კლიჩკოებმა, გერმანიაში, UNESCO Benefiz Gala-ს სახელით ცნობილ საქველმოქმედო აქციაში მიიღეს მონაწილეობა. აქციის ორგანიზატორმა და UNESCO-ს სპეციალურმა ელჩმა, იუტა-გენრიეტა ოჰოვენმა Swissotel Dosseldorf/Neuss-ში 1400-ზე მეტი სტუმარი მიიწვია, მათ შორის: გერმანიის ექსკანცლერი ჰელმუტ კოლი, სერბეთის პრემიერ-მინისტრი ზორან ჯინჯიჩი, ავსტრიის ექსკანცლერი ფრანც ვრანიცკი და სხვა ცნობილი ადამიანები. საქველმოქმედო აქცია ისეთი ჯგუფების მუსიკალური თანხლებით მიმდინარეობდა, როგორებიც არიან: გიუნტრე ნორისის Gala-Big-Band, Scorpions, Kelly Family, Chico&the Gypsis, Ace of Base. ვიტალიმ და ვლადიმირმა კი, ჯონ ბონ ჯოვი მიიწვიეს. ასეთ საქველმოქმედო აქციებზე მოგროვილი თანხებით ის 187 პროგრამა ფინანსდება, რომელსაც UNESCO ახორციელებს. ამ შემთხვევაში, ყურადღება გამახვილებული იყო პროგრამაზე, რომელიც გაჭირვებული ოჯახებიდან გამოსული ბავშვების სწავლა-განათლებას ითვალისწინებს. ძმებმა კლიჩკოებმა საქველმოქმედო საღამო გახსნეს და ფონდში 50 ათასი ევრო გადარიცხეს. „ეს UNESCO-სთან ჩვენი ხანგრძლივი თანამშრომლობისთვის გადადგმული პირველი ნაბიჯია. უდიდეს სიხარულს განვიცდით იმის გამო, რომ ჩვენი ძალისხმევა ბავშვთა განათლების გაუმჯობესებისაკენ იქნება მიმართული, – განაცხადა ვიტალიმ, ვლადიმირმა კი დასძინა: – ჩვენ არც შემდგომში დავიშურებთ ენერგიას იმისთვის, რათა თანხების მოზიდვაში დავეხმაროთ UNESCO-ს“. ■

ელფების დედოფალი

ლივ ტაილერი მხოლოდ 26 წლისაა, მის ბიოგრაფიაში კი უკვე ორი ათეული ისეთი ფილმი და როლია, რომლითაც ყველაზე ცნობილი კინოვარსკვლავებიც კი, იამაყებდნენ. ელფების დედოფალი არვენი, ბლოკბასტერ — „ბეჭდების მბრძანებელში“, ტატიანა ლარინა „ევგენი ონეგინის“ ინგლისურ ვერსიაში, საბედისწერო ქალი, სურათში — „ერთი ღამე მაკოლში“... მსახიობი საოცრად დიდი პოპულარობით სარგებლობს მამაკაცებში — მისი მომავდადოებელი გარეგნობის წინაშე, თვით მსოფლიო კინოს კლასიკოსი — ბერნარდო ბერტოლუჩიც კი (მიუხედავად თავისი ასაკისა) უძლური აღმოჩნდა... მან ლივი გადაიღო ფილმში — „წარმავალი სილამაზე“.

როკ-ვარსკვლავი სტივენ ტაილერი კინოვარსკვლავ ქალიშვილთან და მეუღლესთან ერთად

მომავალი მსახიობის დედა — ბებე ბუელი, საშუალო დონის მომღერალი და მოდელი გახლდათ. კიდევ, როკ-მუსიკის ფანატიც იყო და თავის კერპებთან ერთად, მთელ ამერიკის ტერიტორიას აქეთ-იქით სერავდა. მათ შორის პოპულარობით გამოირჩეოდა როკ-მუსიკოსი — სტივ ტაილერი, რომელიც 1977 წლის 1 ივლისს დაბადებული გოგონას მამა აღმოჩნდა. მისი მამობის შესახებ, ტაილერმა საკმაოდ გვიან და თანაც შემთხვევით შეიტყო, როცა როკ-კონცერტის მსვლელობისას თეატრის კულისებში პატარა გოგონას მოჰკრა თვალი, რომელიც მას საოცრად ჰგავდა. იმჟამად გოგონას თავქარიანი დედა, უკვე სხვა როკ-მუსიკოსსა და პროდიუსერს — ტედ რანდგრენს ხვდებოდა. სახელი კი გოგონამ დედის ცნობილი მსახიობით — ლივ ულმანით (რეჟისორ ინგმარ ბერგმანის ერთ-ერთი მუზათაგანი) გატაცების წყალობით მიიღო.

როცა თავად ლივ ტაილერს საოცრად დაბურდული ოჯახური ურთიერთობების შესახებ ჰკითხეს, მან მშვიდად უპასუხა: მე როკ-ენ-როლის გარემოში გავიზარდე, სადაც არავინ გაიკვირვებდა იმას, რომ მე ორი ბიოლოგიური მამა მყავს. უცნაურია? ზოგს ერთიც არ ჰყავს, მე კი ორი შესანიშნავი, ნიჭიერი და მზრუნველი მამა მყავს.

ლივის თქმით, ბავშვობაში საოცრად აწოწილი და უშნო იყო, ამას ისიც ემატებოდა, რომ კბილებზე თანკბილვის გასასწორებელი რკინებიც ეკეთა. საოცრად ხმაურიანი და მოუსვენარიც გახლდათ, რაც პედაგოგებთან ხშირი კონფლიქტების საფუძველი ხდებოდა. სასკოლო დახასიათებაში სხვა შესანიშნავ თვისებებთან ერთად, ერთი, ცოტა არ იყოს, უცნაური დიაგნოზი ფიგურირებს: „ყურადღების დეფიციტი“. რა თქმა უნდა, ამ დიაგნოზის დასმა, დედისა და ორივე მამის — ბიოლოგიურისა და მამინაცვლის გარშემო არსებულმა სპეციფიკურმა კლიმატმა განაპირობა. „მე ვიზრდებოდი ამ ექსცენტრიკული, ველური ხალხის გარემოცვაში, რომელიც ჯგუფ-ჯგუფად მოდიოდა ჩვენს სახლში — ამბობს ინტერვიუში ლივი. — იმასთან შედარებით, რაც ჩვენთან სახლში ხდებოდა, სკოლა სხვა პლანეტად მეჩვენებოდა. თანაკლასელებს კი უცხოპლანეტელებად აღვიქვამდი“.

შესაბამისად, თანაკლასელებიც სხვა პლანეტიდან მოსულად აღიქვამდნენ გოგ-

ონას. ბიჭები, როგორც თავად ამბობს, ახლოსაც არ ეკარებოდნენ. თუმცა როგორც ეს ცხოვრებაში ხდება ხოლმე, ლივი ირგვლივმყოფებს ერთ მშვენიერ დღეს, ულამაზეს გოგონად მოევლინა. ამის ინიციატორი დედამისის მეგობარი, ცნობილი მოდელი – პოლინა პორიზკოვა გახლდათ. სწორედ მან შეამჩნია გოგონას შესანიშნავი მონაცემები და პოდიუმზეც გაიყვანა. სამოდელო სააგენტოში მუშაობის ერთი წლისთავზე, გაოგნებული პუბლიკის თვალწინ გრძელფეხება, საოცარი კანის მქონე, ლურჯთვალა თლილცხვირიანი გოგონა პოდიუმზე დააბიჯებდა. ლივმა მოდელად სამი წელი იმუშავა და როცა მოგვიანებით ჰკითხეს, თუ რა დამოკიდებულება ჰქონდა ამ სფეროსთან, განაცხადა: „ეს სამუშაო არანაირ სიამოვნებას არ მანიჭებდა, უფრო მეტიც, ვერ ვიტანდი მას. მთელი ამ იდიოტური ტანსაცმლის ტარება და საათობით მოუხერხებელ მდგომარეობაში დგომა, საოცრად დამღლელი იყო. ბოლოს და ბოლოს, მხოლოდ კინომ მომცა იმის საშუალება, რომ ჩემ შიგნით დაგროვილი ემოციები გამომეხატა“. ეს ეკრანზე მისი პირველი გამოჩენისთანავე კარგად გამომჟღავნდა. თუმცა, ისიც უნდა აღინიშნოს, რომ ლივი კინოსამყაროში, საძულველი პოდიუმის მეშვეობით მოხვდა. სწორედ იქ შეამჩნიეს რეჟისორებმა მშვენიერი გოგონა და გადასაღებად მიიწვიეს.

ლივ ტაილერი და ბრიუს უილისი დემი მურს ეჭვიანობის საბაბს ნამღვილად აძლევდნენ. კანი, 1998 წ.

პირველმა ფილმებმა: „მდუმარე თანხმობა“ და „სიმძიმე“, ლივს წარმატება მოუტანა. თითქმის ამის პარალელურად, მას იღებენ ვიდეოკლიპში Crazy („სიგიჟე“,) ჯგუფ „აეროსმიტთან“ ერთად, რომლის სოლისტიც მამამისი სტივ ტაილერია. ლივი ურიცხვ მომგებიან წინადადებას იღებს. მაგრამ სწორედ იმ დროს, როცა მის წინაშე დიდი ეკრანისაკენ მიმავალი ყველა გზა ხსნილი იყო, გოგონაში საკუთარი არასრულყოფილების კომპლექსმა იჩინა თავი. როცა მან შემდგომ ფრიად ხელსაყრელ (როგორც შემოქმედებითად, ასევე მატერიალურად) წინადადებაზეც უარი განაცხადა, დედამ ჰკითხა: „შენ რა, ჭკუიდან ხომ არ შეიშალე?! ნუთუ, გგონია, რომ ასეთ როლსა და ჰონორარზე ვინმე უარს ამბობს?“ გოგონას პასუხმა კი იგი გააოგნა, რადგან შვილი გამოუტყდა, რომ განათლების უკმარისობის კომპლექსი ტანჯავდა.

მართლაც, მისი მშობლების ცხოვრების სტილიდან გამომდინარე, გოგონას არც ერთ სკოლაში დიდხანს ყოფნა არ უწევდა. ცნობისმოყვარეობითა და სწავლისაკენ ლტოლვითაც არასოდეს გამოირჩეოდა. ამიტომ მის განათლებაში არსებული თეთრი ლაქები, სრულიად ბუნებრივი გახლდათ. თუმცა, უნდა აღინიშნოს, რომ ჰოლივუდის „ოცნებების ფაბრიკა“ თავის რჩეულთ – ვინც ცალი ფეხი მაინც შედგა ვარსკვლავურ ბილიკზე, ასე ადვილად როდი ემშვიდობება. როცა გოგონამ საკუთარი საწუხარი, ერთ, მისდამი დიდი სიმპათიით გამსჭვალულ კინორეჟისორს გაუმხილა (რომლის აზრსაც ლივი ანგარიშს უწევდა), მან ცოტა ხნის ფიქრის შემდეგ უპასუხა: „შენ არაჩვეუ-



მაესტრო ბერტოლუჩი და მისი მუზა. კანი, 1995 წ.

ლებრივი სტარტი გაქვს, მაგრამ ისეთი სტატუსი, რომ შემოქმედებაში ხანგრძლივი პაუზა გააკეთო, ჯერ არ მოგიპოვებია. ნუ დაატან თავს ძალას, ცხოვრება დაგეხმარება იმ ცოდნის შევსებაში, რომელიც სკოლიდან ვერ მიიღე".

სრულიად მოულოდნელად, ლივს ფილმში გადაღების წინადადებით თავად ბერნარდო ბერტოლუჩიმ მიმართა. ეს შეთავაზება ახალგაზრდა მსახიობისთვის ფრიად მნიშვნელოვანი აღმოჩნდა და იგი მშობლიური კინობიზნესის წიაღს დაუბრუნდა. ბერტოლუჩის ახალი ფილმის დასახელება „წარმავალი სილამაზე", თავისებურად სიმბოლური აღმოჩნდა. მისი სიმბოლურობა კი იმაში მდგომარეობდა, რომ სურათზე მუშაობისას მეტრს მსახიობი შეუყვარდა. გადამღები ჯგუფის წევრების თქმით, იგი ლივს ერთი ნაბიჯითაც არ შორდებოდა. მათი რომანის შესახებ კი გავრცელდა ხმა; ზოგიერთები ნაბოკოვის „ლოლიტასაც" ახსენებდნენ. იმასაც ამბობდნენ, რომ ბერტოლუჩი სიყვარულის სანაცვლოდ, ლივს ყველა მის მომდევნო ფილმში მთავარ როლს ჰპირდებოდა... თუმცა, მიუხედავად გავრცელებული ხმებისა, არც რეჟისორს და არც ლივს, ამ თემაზე სახალხოდ არასოდეს უსაუბრიათ. მათი ურთიერთობის ხასიათი დღემდე საიდუმლოდ დარჩა.

ცხოვრების გზაზე ახალგაზრდა მზეთუნახავს პუშკინის ტატიანას როლი ელოდა. მარტა ფაინზმა და მისმა პოპულარულმა მსახიობმა ძმამ – რეიფ ფაინზმა („ინგლისელი პაციენტი", „შეყვარებული შექსპირი") „ევგენი ონეგინის" გადაღება გადაწყვიტეს. მარტამ ლივ ტაილერის რამდენიმე ნამუშევრის ნახვის შემდეგ, ტატიანას როლზე იგი უყოყმანოდ მიიწვია. მსახიობი კი რომანისა და სცენარის გაცნობის შემდეგ, საოცრად აღტაცდა და განაცხადა: „ვფიქრობ, ვერ გადავიტან, ცხოვრებაში ერთხელ მაინც რომ არ ვითამაშო ტატიანა! მე მასთან საოცარი სულიერი სიახლოვე ვიგრძენი!"

რაც შეეხება პირად ცხოვრებას, ლივს ჯერ კიდევ ბერტოლუჩისთან რეალურ თუ გამოგონილ რომანამდე, ხანმოკლე გატაცება ჰქონდა. იმხანად იგი 17 წლის კინოდებიუტანტი გახლდათ და მსახიობ ჯონ უიტვორდისადმი რაღაც გრძნობა გაუჩნდა, თუმცა ამ გრძნობას მის გულში შესამჩნევი კვალი არ დაუტოვებია. ყოველ ახალ ფილმში მონაწილეობის შემდგომ კი, ჩვეულებისამებრ, მას პარტნიორთან რომანს მიაწერდნენ. ბლოკბასტერ „არმაგედონში" თამაშის შემდეგ, ლივს ერთდროულად ორ ვარსკვლავთან სასიყვარულო კავშირის უარყოფა მოუხდა. საუბარი იყო ბენ აფლეკზე და ბრიუს უილისზე, რომელიც იმხანად ჯერ კიდევ არ იყო ცოლს გაშორებული. ბრიუსს მაშინ დემი მურისთვის სერიოზული ახსნა-განმარტების მიცემა მოუწია. „არმაგედონის" ფინალში ვნებიანი კოცნის სცენის გამო კი, ბენ აფლეკიცა და ლივიც თავს იმართლებდნენ, ამბობდნენ, რომ ისინი ერთმანეთს დიდი ხანია იცნობენ, მეგობრობენ ოჯახებით და ეს სხვა არაფერია, თუ არა უფროსი ძმისა და უმცროსი დის ამბორიო.

მზეთუნახავის ნამდვილი რომანის გმირად ახალგაზრდა მსახიობი ჰოაკინ ფენიქსი („გლადიატორი") იქცა. ისინი ერთმანეთს ფილმის – „ნაცნობობა ებოტებთან" გადასაღებ მოედანზე შეხვდნენ და სულ მალე, მათი ურთიერთობა ვნებიან სიყვარულში გადაიზარდა. ამბობენ, რომ „არმაგედონის" გადაღების დროს გავრცელებულ ხმებთან დაკავშირებით, სწორედ ეს რომანი გახდა ბრიუს უილისის ცოლისადმი ერთგულების დამადასტურებელი გარანტი. ჰოლივუდში ლივისა და ჰოაკინის მომავალ ქორწინებაზე ალაპარაკდნენ. მით უმეტეს, რომ წყვილი ამის უამრავ საფუძველს იძლეოდა: ერთად ისვენებდნენ, შინ ლივის საყვარელ ჩანაწერებს ერთად უსმენდნენ და ვერავინ წარმოიდგენდა, თვით მისი ბოი-ფრენდი ჰოაკინიც კი, რომ ლივს გულში სხვა სიყვარული ჩასახვოდა. ტაილერის ფიქრები Space hog-ის სოლისტსა და ბას-გიტარისტს როისტონ ლენგტონს დასტრიალებდა. ამასთან დაკავშირებით ლივის ახლობლები ხუმრობენ, რომ მისმა როკენროლურმა ბავშვობამ და ყმაწვილობამ გენეტიკურად განსაზღვრა ეს რომანი.

თუმცა შეყვარებულებს ერთად ყოფნა დიდხანს არ მოუწიათ. ბლოკბასტერ „ბეჭდების მბრძანებლის" რეჟისორმა პიტერ ჯენკინსმა არა მარტო ელფების დედოფლის – არვენის როლი შესთავაზა ლივს, არამედ ეს როლი მნიშვნელოვნად გაზარდა რომანთან შედარებით, რომელიც სცენარის საფუძველს წარმოადგენდა. ტაილერი იძულებული გახდა, როისტონთან მრავალთვიან განშორებაზე დათანხმებულიყო, რადგან ამ როლის ხელიდან გაშვება ნამდვილად არ უნდოდა. თუმცა, ახალ ზელანდიაში გამგზავრებამდე როისტონმა მას ხელი სთხოვა და წყვილმა ნიშნობის თაობაზეც ოფიციალურად განაცხადა.

მიუხედავად იმისა, რომ ბუნებამ ლივ ტაილერი უხვად დააჯილდოვა, მსახიობი საკუთარ გარეგნობას საკმაოდ დიდ ყურადღებას უთმობს. იგი გულმოდგინედ უვლის თავის არაჩვეულებრივ კანს, მუდმივი ფიზიკური ვარჯიშები მას „მოდელის ზომების" შენარჩუნებაში ეხმარება: მისი სიმაღლე 178 სმ-ია, გარშემოწერილობა კი – 86-64-89. როლის ხასიათის მიხედვით, მას რამდენიმე კილოს დაკლება და მოატება სულ იოლად შეუძლია, თუმცა გადაღების დამთავრებისთანავე საწყის პარამეტრებს იბრუნებს. მისი თქმით, ტრენაჟორებზე ვარჯიშისას იგი განსაკუთრებულ ყურადღებას საკუთარ „პრობლემურ ზონას" – მუცელსა და დუნდულებს უთმობს. ტაილერი ჰანტელებითაც ვარჯიშობს, რათა მკლავის კუნთები გაიმაგროს. „გოგონები ხშირად ამ კუნთებს ყურადღებას არ აქცევენ და საოცრად მოშვებული მკლავები აქვთ ხოლმე" – ამბობს ლივი.

ასეთია ლივ ტაილერი, – ჭეშმარიტად დედოფლური გარეგნობის, ელფების დედოფალი. მისი გარეგნობისა და გულღია ხასიათის წყალობით, იგი არა მარტო მამაკაცებს ხიბლავს, არამედ ქალებსაც აღაფრთოვანებს. ასეთი რამ კი, დაგვეთანხმებით, არცთუ ისე ხშირად გვხვდება. სწორედ ამიტომაა, რომ ავსიტყვაობის ისრები, რომლითაც აგრერიგად განთქმულია ჰოლივუდი, გვერდს უქცევს მშვენიერ ვარსკვლავს. ■

რუსუდან ბერიძე

ქალური ინფუენცია

ანუ ყოველივეს თერთოები

დასაწყისი იხ. „გზა“, №40-46

მას შემდეგ, რაც რეჟისორი, გოგი გორგილაძე ნინის აბორტის ფულის მიცემაზე უარს ეტყვის, ნინი შალვა ბიძიასგან წამოსვლას, ბინის დაქირავებას და მაიკოს კაფეში დამლაგებლად მუშაობას გადაწყვეტს. მართალია, დაქირავებული ბინა დერეფანივით ვიწრო ოთახი აღმოჩნდება, რომელზეც ბინის პატრონ მაკას ლამის სტუმრებიც გადი-გამოდიან, კაფეში მუშაობა კი ძალიან გაუჭირდება, მაგრამ ნინი ფარხმალს მაინც არ ყრის და აბორტის ფულის მოგროვებასაც ყველანაირად ცდილობს.

ერთ დღეს სამსახურიდან წამოსული ნინი, გზად ერთ სასადილოში შეივლის. იქ მას ბატონი გოგის თანაშემწე გოგა დახვდება და სახლამდე მიაცილებს. ნინი მას შინ არ შეიპატიჟებს: სკამი არა მაქვს და ვერ დაგსვამო.

რამდენიმე დღის შემდეგ, გოგა სკამით ხელში ნინის კარზე მიადგება: საჩუქრად მოგართვიო...

გოგამ სკამი დადგა და მაშინვე ზედ ჩამოვჯდა.

თავისი საქციელით აშკარად კმაყოფილ გოგას ნინიმ ცოტა ხანს კიდევ უცქირა და შემდეგ ჰკითხა:

— ასე ვჯდომას დიდხანს აპირებ?

— ეგ შენზეა დამოკიდებული. რაც უფრო მალე ჩაიცვამ, მით უფრო მალე წავალთ.

— წავალთ თუ წახვალ?

— წავალთ. ჩაიცვი, სტუმრად მიმყავხარ.

— შენ ყველას ასე უცბად უშინაურდები? — გაკვირვება ვეღარ დამალა ნინიმ.

— არა, მარტო შენ გაგიშინაურდი.

— მიზეზი?

— ძალიან მომწონხარ.

— მე აღარაფერს მეკითხები?

— არა. ჩაიცვი, რა, რამდენს მალაპარაკებ...

ნინი სამზარეულოში გავიდა და რამდენიმე წუთში, ჩაცმული დაბრუნდა:

— თმა რომ სველი მაქვს?

— არა უშავს, მზეზე გაგიშრება. იცი, გარეთ როგორ ცხელა? — გოგა სასწრაფოდ ფეხზე წამოხტა და სკამი კუთხეში მიდგა: ამას შენ გიტოვებ.

— დიდი მადლობა.

გარეთ გასული გოგა და ნინი ქუჩას კარგა ხანს დუმილით მიუყვებოდნენ. ბოლოს, ისევ ნინი ალაპარაკდა:

— მაინც, სად მივდივართ?

— ოქროყანის „მარშრუტკების“ გაჩერებაზე.

— ოქროყანაში რაღა დაგვრჩენია?

— დედაჩემი უნდა გაგაცნო. თანაც, ბებიაჩემსაც ნახავ.

— ბებიაშენს?

— ჰო, ცოტა იავადმყოფა და ეს დღეები სულ სახლშია. რა იყო, ასე რატომ მიყურებ? ჩემი ოჯახი უნდა გაგაცნო, სერიოზულად გეუბნები...

— მაშინ, მეც სერიოზულად გეტყვი: ეს არ მოხდება! — ხმაში სიმკაცრე გაერია ნინის.

— რატომ?

— იმიტომ, რომ... — ნინიმ გოგას თვალი თვალში გაუყარა. — იმიტომ, რომ ფეხმძიმედ ვარ... ბავშვს ველოდები...

გოგას ღიმილი სახეზე შეაშრა და ნინი საგანგებოდ აათვალიერ-ჩაათვალიერა:

— მატყუებ!

— არ გატყუებ. მეც ძალიან მინდა, რომ ასე არ იყოს, მაგრამ ნამდვილად ფეხმძიმედ ვარ...

ამ სიტყვების შემდეგ, გოგას აშკარად მხრები ჩამოუცვივდა, ნინიმ კი უსაშველო დაღლილობა იგრძნო, თუმცა, მაინც ჰკითხა:

— რა, ისევ მეპატიჟები? მაინც წავიდეთ ოქროყანაში?

გოგას ხმა აღარ ამოუღია. ნინიმ მას ცოტა ხანს კიდევ უყურა, შემდეგ პირი იბრუნა და უკან დაბრუნდა.

— მოიცა... — დაადევნა გოგამ.

ნინი შეჩერდა და მოიხედა. გოგა ისევ უძრავად იდგა და საკუთარი ფეხსაცმლის წვერს დაშტერებოდა. ნინიმ გზა განაგრძო, გოგას ის აღარ შეუჩერებია...

ერთ დილას, კაფეში მიმავალი ნინი თავსხმა წვიმაში მოჰყვა. ქოლგისთვის უკან მიბრუნებას აზრი აღარ ჰქონდა და გზა სირბილით განაგრძო. სანამ კაფემდე მიირბენდა,

თავიდან ფეხებამდე გაილუმპა. ტანსაცმელი მაშინვე გამოიცვალა, მაგრამ ფეხსაცმელს, სისველისგან რომ უკვე ჭყაპაჭყუპი გაუდიოდა, ვეღარაფერი მოუხერხა. ამიტომ, ცოტა ხანს ასე იჭყაპუნა, შემდეგ კი, სადღაც ძველი გაზეთები იპოვა, ფეხსაცმელში ჩაიფინა და ისევ საქმე განაგრძო. თავიდან, სიცივისგან უსიამოდ აჟრჟოლებდა, შემდეგ, მუშაობაში გართულს, რაღაც უცნაურადაც კი დასცხა. მაგრამ ნინის საკუთარი შეგრძნებების მიყურადებისთვის უკვე ნამდვილად აღარ ეცალა, რადგან წუთი-წუთზე მაიკო უნდა გამოჩენილიყო. მისი საყვედურების მოსმენას კი ყველაფერი ერჩია. ამიტომ, საქმეს უწინდელივით ფაცხაფუცხით ამთავრებდა. ამჯერად მართლა ყველაფერი მოასწრო. სათავსში მიფენილ-მოფენილი თავისი საგარეო ტანსაცმელიც სასწრაფოდ წამოკრიფა, მაგრამ ყველაფერი იმდენად სველი იყო, რომ გამოცვლა გადაიფიქრა და მოსვრილ-მოზუზნული სამუშაო ტანსაცმლით რომ ვინმეს არ ენახა, მაშინვე შინისკენ მოკურცხლა. გზაში მაინც გადააწყდა მაიკოს.

— რა იყო, სად გარბიხარ? — ჰკითხა მან.

— წვიმაში მოვყევი და მინდა, სველი ფეხსაცმელი გამოვიცვალო, — მიაძახა ნინიმ და გზა ისევ სირბილით განაგრძო.

წვიმას უკვე გადაეღო და ღრუბლებში მზე იჭყიტებოდა, მაგრამ საკმაოდ ცივი ქარიც ქროდა და ნინის ძვალ-რბილში ატანდა. მაკას სახლამდე სულ სირბილით იარა, მაშინვე ტანსაცმელი გამოიცვალა, ფეხი მსუბუქ ფეხსაცმელში წაყო და ისევ ქუჩაში გავიდა.

სასადილო, სადაც ნინის უკვე ჩვევად ექცა სიარული, ამჯერად თითქმის ცარიელი იყო. ამიტომ პუტკუნა, ბურთივით მრგვალ მზარეულს, უსაქმურობისგან რომ ამთქნარებდა, განსაკუთრებით გაუხარდა ნინის დანახვა:

— სადა ხარ ამდენ ხანს?.. ისევ კატლეტი და წვენი? — ჰკითხა მან.

ნინიმ თავი დაუქნია.

— წვიმაში მოჰყევი? — ისევ ჰკითხა მზარეულმა.

— კი.

— მაშინ ერთი ჭიქა ჭაჭაც არ გაწყენდა.

— ალბათ.

— მოიცა, ჩემს „ზაგაჟნიკში“ შევიხედო, იქნებ, გაგვიმართლოს და მართლა ვიპოვო რამე. — მზარეულმა კედელთან მდგარი კარადის კარი გამოაღო და ზედა თაროზე კუთხიდან პატარა ბოთლი გამოიღო.

— მართლა მქონია ეს დალოცვილი! — შესძახა სიხარულით და არაყი პატარა ჭიქაში ხმაურით ჩამოასხა: ორნახადია, ნახე, რა ჯაჭვი გაიკეთა?! გადაკა, ნუ გეშინია, ერთი ჭიქა არაფერს გიზამს.

ნინიმ არაყი უსიტყვოდ დალია და იგრძნო, რომ მაშინვე მთელ ტანში სითბომ დაუარა.

მზარეულმა ახლა თავისთვის დაისხა: აბა, გაგვიმარჯოს, კარგად ვიყოთ!

ნინის ლოყები აუღაჟღაჟდა.

— გათბი, ხომ? — გაეღიმა მზარეულს. — ახლა შეგიძლია მშვიდად იყო, აღარ გაცივდები, — დააიმედა ნინი და ლანგარზე კატლეტი, ოხშივარადენილი კარტოფილის პიურე და წვენი დაუდგა: — შეგერგოს!

ნინი ამოჩემებული მაგიდისკენ წალასლასდა. უცბად, მოპირდაპირე კუთხეში თვალი ნაცნობ სახეებს მოჰკრა: გოგას მეგობრები იყვნენ, თუმცა, თავად გოგა არსად ჩანდა — მას შემდეგ, რაც ნინის საიდუმლო გაიგო, მას ამ სასადილოში ფეხი აღარ დაუდგამს...

შინ მიბრუნებული ნინი ლოგინში ჩაწვა და მაშინვე ჩაეძინა, მაგრამ მალე, მაკასა და მისი სტუმრების ხორხოცმა გამოაღვიძა. სტუმრები მაკას ოთახში გაუჩინარდნენ, თავად მაკა კი ნინის წაადგა თავს:

— როგორა ხარ? ძალიან დაიღალე?

ნინიმ პასუხად მხოლოდ მხრები აიჩეჩა.

— კარგი, იძინე. გარეთ მაინც ვერ გახვალ, ისევ თავსხმა წვიმაა.

ნინიმ თვალები სიამოვნებით მილულა და მალევე ჩაეძინა. მაგრამ შუაღამისას, სულ მთლად ოფლში გაწუწულს გაეღვიძა. შემდეგ ისეთი ხველა აუტყდა, რომ ფეხზეც წამოაგდო. ნინი მიხვდა, რომ გაცივდა და სიცხემაც აუწია. თანაც, სიცხისგან პირიც უშრებოდა, ამიტომ, წყლის დასალევად, სამზარეულოში გასვლა გადაწყვიტა, მაგრამ როგორც კი საწოლიდან ოდნავ წამოიწია, ირგვლივ ყველაფერი ისე დატრიალდა, რომ მაშინვე ისევ მიწვა და ცოტა ხნით თვალები მილულა... შემდეგ ისიც მოეჩვენა, რომ დროის შეგრძნება საერთოდ დაკარგა.

თვალი რომ გაახილა, თავზე მაკა ადგა და შეშინებული, ხელზე ქაჩავდა:

— რა გჭირს? ძილში რაღაცას ბოდავდი და კვნესოდი...

— მგონი, გავცივდი... — ამოილუღლუღა ნინიმ.

მაკა საწოლზე ჩამოუჯდა და შუბლზე ხელი დაადო:

— სიცხე გაქვს. შენს მდგომარეობაში ამას ნუ ეხუმრები. ექიმს უნდა გამოვუძახო... ფული თუ გაქვს?

— ცოტა.

— რამდენი?

— ათი ლარი.

— ახლა, ალბათ, გეყოფა, მაგრამ თუ საავადმყოფოში დაწოლა დაგჭირდა, მერე არ ვიცი, რას იზამ.

— არ მინდა, საავადმყოფოში არ წავალ.

— შენ თუ გკითხე, კი... ფული სადა გაქვს?

— ჩანთაში.

მაკამ ნინის ჩანთიდან ფული ამოიღო, გარეთ გავიდა და სულ მალე, ჭაღარა დიდულვაშებიან ექიმთან ერთად დაბრუნდა. ექიმმა ნინი კარგა ხანს სინჯა და ბოლოს, სევდიანად დაასკვნა:

— სამწუხაროდ, ეს უბრალო გაცივება კი არა, პნევმონიაა და სერიოზული მკურნალობაც დაგჭირდებათ. — ამ სიტყვების შემდეგ, ექიმმა ოთახი მოათვალიერა, ამოიოხრა და დაამატა: — კარგი იქნებოდა, საავადმყოფოში დაწოლილიყავით და...

მაგრამ მაკამ სიტყვის დამთავრება აღარ აცალა:

— ფული არა აქვს და თანაც... — დანარჩენი მაკამ ექიმს ყურში ჩურჩულით ჩაუკაკლა.

ექიმმა კიდევ ერთხელ ამოიოხრა და რეცეპტის გამოწერას შეუდგა. მისი წასვლის შემდეგ, მაკამ აფთიაქიდან წამლები და ერთჯერადი შპრიცები მოარბენინა:

— ნემსებს მე თვითონ გაგიკეთებ, — უთხრა მან ნინის. — რა ცხვირი ჩამოგიშვია? ზოგი ჭირი მარგებელია, ხომ გაგიგონია: იქნებ, მუცელი მოგეშალოს და დაისვენო...

მაგრამ ძილ-ბურანში წასულ ნინის, მაკას ლაქლაქი უკვე სანახევროდაც აღარ ესმოდა. „თუ რამდენიმე დღეში არ გამოვკეთდი, შალვა ბიძიას უნდა შევატყობინო“, — გადაწყვიტა მან ბოლოს და კიდეც გაითიშა...

ნინის მეორე დილამდე გაუნძრევლად ეძინა. დილით თავზე ისევ მაკა წამოადგა. ამჯერად ის აშკარად გახარებული ჩანდა.

— ქუდბედიანი ყოფილხარ, ახლა „სასწრაფოს“ მანქანა მოვა და საავადმყოფოში გადაგიყვანთ.

ნინის მაკას ნათქვამი გაუკვირდა, მაგრამ იმის თავიც კი აღარ ჰქონდა, რომ ეკითხა — საავადმყოფოს ფული სადღა იშოვეო? თან, მაკამაც აღარ აცალა, სასწრაფოდ ფეხზე წამოაგდო, ჩაცმაში მიეხმარა, ჭიშკართან მდგარ „სასწრაფო დახმარების“ მანქანაში ჩასვა და რამდენიმე წუთში, ორივე, ახლომდებარე საავადმყოფოს მიმღებ განყოფილებაში აღმოჩნდა. იქ მაკამ ნინი მაშინვე ექიმებს გადაულოცა, თავად კი დერეფნის ბოლოს, კედელზე ჩამოკიდებულ ტელეფონს ეცა:

— ვახო... ჰო, მე ვარ... უკვე დავაწვინე... არა, მე აბა, მაგდენი ფული ვინ მომცა?!. ერთ სულელ ბიჭს მოსწონს და იმან გადაუხადა... ამაღამ ხომ მოხვალ?.. ახლავე? კარგი, მოვრბივარ...

მაკა ნინის სასწრაფოდ დაემშვიდობა და კისრისტეხით დაეშვა საავადმყოფოს კიბეზე. პალატაში მარტოდ დარჩენილ და კედელზე ერთ წერტილს მიშტერებულ ნინის კი სევდიანი ფიქრები აეშალა: „ესღა მაკლდა?! ახლა ვეღარც აბორტის ფულს მოვაგროვებ და მაკაც გასასტუმრებელი დამრჩება. ნეტავ, საავადმყოფოში დასაწვენი ფული

სადღა იშოვა? თუმცა, ჩემთვის აბა, ამას რა მნიშვნელობა აქვს?! საბოლოოდ ხომ, ეს ფულიც ჩემი გადასახდელი იქნება!..

ნინი საკუთარ გამოუვალ მდგომარეობას, ყველაზე კარგად, ალბათ, თავადვე გრძნობდა. თუმცა, ხანდახან, ისიც ეჩვენებოდა, რომ ეს ყველაფერი მის თავს არ ხდებოდა, რომ შეიძლება, ექიმიც კი შეცდა და ორსულად საერთოდ არ იყო, ანდა, მუცელი უკვე მოეშალა, მაგრამ რომ არ ენერვიულა, ჯერ ამ ამბავს არ უმხელდნენ...

ერთ დილით კი, საბოლოოდ გამოფხიზლებულმა და გონს მოსულმა, ნინიმ ისიც აღმოაჩინა, რომ პალატაში მარტო აღარ იყო და მის გვერდით, კედელთან მიდგმულ საწოლზე ვიღაც იწვა. ეს ,,ვიღაც'' საკმაოდ სასიამოვნო გარეგნობის ქალიშვილი აღმოჩნდა.

— დიდი ხანია, რაც აქა ვარ? — ჰკითხა მას ნინიმ.

— კი. საკმაოდ.

— შენ?

— მე შენ შემდეგ მომიყვანეს.

— რა გქვია?

— მარი. შენ?

— ნინი. შენც ფილტვები გაწუხებს?

— არა, გული.

— რაიმე სერიოზულია?

— ძალიან. საავადმყოფოში ყოველ წელს ამ დროს მაწვენენ ხოლმე...

ნინი მარის სიმშვიდემ გააოცა. ის საკუთარ თავსა და ავადმყოფობაზე ისე ლაპარაკობდა, თითქოს საავადმყოფოში კი არ იწვა, აგარაკზე იყო დასასვენებლად...

მარის სიმშვიდე მალე ნინისაც გადაედო, ცოტა ხანში, გოგონებმა გულითადი საუბარიც გააბეს და დღის ბოლოს, ერთმანეთზე უკვე ბევრი რამ იცოდნენ. ნინის სასიყვარულო თავგადასავლით აშკარად აღფრთოვანებული მარი, უკვე მერამდენედ იმეორებდა:

— დამიჯერე, ნინი, დიტო აუცილებლად უნდა მოძებნო. თქვენ ნამდვილად ერთმანეთისთვის ხართ გაჩენილები!

— სად ვეძებო?.. მე ხომ მასზე თითქმის არაფერი ვიცი...

— ხომ მართლა ძალიან გიყვარს? — ჩაეძია მარი.

— მიყვარს და ყოველთვის მეყვარება, მაგრამ...

— როგორ ფიქრობ, მასაც უყვარხარ?

— არ ვიცი... ალბათ თავიდან ვუყვარდი, მაგრამ შემდეგ, ეტყობა, მაინც დავავიწყდი.

— არც იფიქრო! — გააწყვეტინა მარიმ. — აი, ნახავ, თუ არ გამოჩნდეს!... თქვენ ხომ მალე ბავშვი გეყოლებათ... ბავშვს კი მამა ძალიან სჭირდება...

მარის სიტყვებზე ნინის სევდიანად გაეღიმა. მარიც მასავით მხოლოდ თვრამეტი წლისა თუ იქნებოდა, მაგრამ, როგორც ჩანს, ავადმყოფობას უკვე იმდენად დაესერიოზულებინა, რომ დიდ სიყვარულზე ნამდვილად აღარ ფიქრობდა. თუმცა, ის მას ოდნავადაც არ გაებოროტებინა. პირიქით, სხვის გრძნობას უბრალოდ კი არ თანაუგრძნობდა, გულითაც შეხაროდა.

— აი, ნახავ, ყველაფერი მოგვარდება და ძალიან, ძალიან ბედნიერი იქნები, — უკვე მერამდენედ უმეორებდა ის ნინის, — იმიტომ, რომ... შენში არის რაღაც ისეთი... არ ვიცი, ზუსტად როგორ აგიხსნა... მაგრამ ეს ,,რაღაც'' მარწმუნებს, რომ უთუოდ ბედნიერი იქნები.

— როგორ მინდა, რომ დაგიჯერო, მაგრამ... — ამოიოხრა ნინიმ.

— ნამდვილად ასე იქნება, დამიჯერე! და იმასაც შემპირდი, რომ თუ ასე მოხდა, მეც შენთან წამიყვან და სულ, სულ ერთად ვიქნებით... შვილების გაზრდაში მოგეხმარები... იცი, ბავშვები როგორ მიყვარს?

მარის სიტყვებზე ნინის ისევ გაეღიმა:

— რა კარგი ვინმე ხარ, მარი. იცი, შენი სიტყვები როგორ მამშვიდებს? შვილებიც რა უცბად გამაჩენინე?..

— ნუ იცინი, მე მართლა, სერიოზულად გეუბნები! მართალია, ჩემთვის მძიმე საქმის კეთება არ შეიძლება, მაგრამ ბავშვების გართობას ნამდვილად შევძლებ. წიგნებსაც წავუკითხავ... იცი, უკვე რამდენი წიგნი მაქვს წაკითხული?! მართლა... მართლა...

— ეჭვიც არ მეპარება, — უთხრა ნინიმ. — ახლა ისიც მითხარი, შენ თვითონ არ აპირებ ვინმეს შეყვარებას?

— არა. ჩემთვის არ შეიძლება.

— რას ჰქვია, არ შეიძლება? სიყვარულს რა, ვინმეს ნებართვა სჭირდება?! მართლა, მშობლები ხომ გყავს?

— აღარ მყავს, ავარიაში დამელუპნენ, — ამოიოხრა მარიმ.

— აბა ვისთან ცხოვრობ?

— დასთან...

— ა-ა-ა, დასთან? ალბათ, ქმარ-შვილი ჰყავს და შენთვის დიდად ვეღარ იცლის, ხომ?

— არა. ჯერ არ ჰყავს. მაგრამ ერთ ჩვენს წუწურაქ მეზობელზე აპირებს გათხოვებას. ის კი ჩემზე ფულს ნამდვილად აღარ დაახარჯვინებს. ასე რომ, მალე ამ ქალაქში მეც შენსავით მარტო დავრჩები და პურის ფულიც მე თვითონ მექნება საშოვნელი.

— შენი და სად მუშაობს?

— არის ასეთი სასტუმრო — ,,კინო'' ჰქვია. იქ მუშაობს, ადმინისტრატორია.

ნინის გულმა რეჩხი უყო, თუმცა, მარისთვის მაინც არაფერი გაუმხელია. თავად მარიმ კი, უფროსი დის მონაყოლი, სასტუმრო ,,კინოში'' მომხდარი ამბები სულ პირწმინდად გადმოულაგა. თანაც, ყველაფერს ისე შთაგონებულად და ზოგჯერ აზარტულადაც კი ჰყვებოდა, თითქოს ამ ამბებს თავადაც შესწრებოდა და მათში აქტიური მონაწილეობაც მიეღო. გოგი გორგილაძის სასიყვარულო ხრიკების მოყოლა რომ დაიწყო, ნინის ნერვიულობისგან მიტკლის ფერი დაედო: ან ახლა მოჰყვება ჩვენს ამბავს და ან ახლაო, მაგრამ მარის მსგავსიც არაფერი გახსენებია. ,,ეტყობა, ჩვენი ამბავი არ გახმაურებულა, ანდა, მარის დამ ის მოყოლის ღირსადაც კი არ ჩათვალა'', — საბოლოოდ დაიმშვიდა გული ნინიმ.

მარისა და ექიმების დახმარებით ნინი ნელ-ნელა უბრუნდებოდა ცხოვრებას და იმასაც ხვდებოდა, რომ ბავშვს, რომელიც აქამდე მისი ცხოვრების მთავარი თავსატეხი გამხდარიყო, ახლა ვეღარაფრით მოიშორებდა. მართალია, მის გაჩენამდე თითქმის ნახევარ წელიწადზე მეტი რჩებოდა, მაგრამ ნინის ეს დრო ხან ძალიან შორეული, ხანაც უსაშველოდ მოახლოებული ეჩვენებოდა. ცხოვრება კი, რომელიც ამ დროის გასვლის შემდეგ უნდა დამდგარიყო, საერთოდაც, ვერაფრით წარმოედგინა.

თუმცა, ამ ყველაფერზე მეტად, ნინის მაინც ხვალინდელი დღე აშინებდა. ,,სად წავიდე? ვის შევეკედლო? მაიკო თავის კაფეში ალბათ, აღარ მიმიღებს. მაკასთან ცხოვრებაც საშინელებაა, მაგრამ ნეტავ, ის მაინც გამაჩერებდეს, სანამ რაიმე, შედარებით მსუბუქ სამუშაოს მოვნახავ...'' — ფიქრით თავს იმტვრევდა იგი.

ამასობაში საავადმყოფოდან გამოწერის დღეც ახლოვდებოდა. და აი, ერთ დილასაც, პალატის ექიმმა ნინის თითქმის საზეიმოდ გამოუცხადა, სრულიად ჯანმრთელი ხარ და შეგიძლია, აქედან გუდანაბადი აიკრაო.

— მშვიდობით, ნინი. გეხვეწები, არ დამივიწყო... — შეევედრა მას მარი.

— რატომ — ,,მშვიდობით''? ჩემი შვილების გაზრდა უკვე გადაიფიქრე?

— ე-ე-ე-ჰ! — გული კინაღამ ამოაყოლა, ისე ამოიოხრა მარიმ. — ეგ ხომ უბრალო ხუმრობა იყო...

— ხუმრობა? გამოდის, მაშინაც მეხუმრებოდი, როცა მარწმუნებდი — წინ დიდი ბედნიერება გელისო?..

მარის ფერმკრთალ სახეზე ღიმილმა გადაურბინა:

— არა, ეგ სერიოზულად გითხარი...

— მაშინ, მოდი, სხვა ყველაფერიც სერიოზულად იყოს, კარგი?

— კარგი, — სახე გაუნათდა მარის.

— აბა, ჰე, წავედი... არ მოიწყინო... მალე ისევ შევხვდებით...

საავადმყოფოს ჭიშკარს გამოცილებულმა ნინიმ, ჰაერი ღრმად ჩაისუნთქა და წელშიც საგანგებოდ გასწორდა. მშვენიერი დარი იდგა. ნინის ისიც კი მოეჩვენა, რომ ასეთი თბილი და მზიანი დღე აქამდე ცხოვრებაში ერთხელაც კი არ ენახა. მან ერთხელ კიდევ მიიხედა საავადმყოფოსკენ და იმ პალატის ფანჯრებს შეავლო თვალი, სადაც ასეთი საყვარელი და უბედური მარი სულ მარტო დარჩა...



მაკა სახლში იყო და ნინის ოთახს გამალებული ალაგებდა.

— რა იყო, საგანგებო შეხვედრას მიწყობ? — თავზე უხმაუროდ წამოადგა მას ნინი.

მის დანახვაზე მაკას სახეზე ერთი ნაკვთიც კი არ შერხევია:

— ესე იგი, დაბრუნდი... — თავისთვის ჩაილაპარაკა მან. — გასაგებია... ჰო, მართლა, შენი ,,შმოტკები'' ჯერ ისევ აქ არის, ჩემთან...

მაკამ თავისი საძინებლიდან, შალვა ბიძიასგან წამოღებული სამგზავრო ჩანთა გამოუტანა ნინის:

— ფულიც შიგ დევს.

— ფული?

— ჰო, რა იყო?..

— ფული აქეთ მაქვს შენთვის გადასახდელი და აქ რაღა ფული უნდა იდოს?!

— დევს, დევს — არხეინად იყავი.

— ჩემი მკურნალობის ფული შენ გადაიხადე თუ მაიკომ?

— ვინა? მაიკომო? — შეიცხადა მაკამ. — ეგ ,,ჟმოტი'' ერთ თეთრსაც კი არავის დაახარჯავს... ექიმებს ფული იმ ბიჭმა გადაუხადა, შენთან რომ იყო ერთხელ მოსული, გახსოვს?.. აი, ეს სკამი რომ მოგიტანა.

— გოგა? — ნინის სახეზე სიწითლემ გადაუარა.

— გოგა ჰქვია თუ კოკა, ნამდვილად არ ვიცი, მაგრამ მეორედ რომ მოვიდა, შენ უკვე უგონოდ იყავი. რომ ვუთხარი — მგონი, უკვე სიკვდილის პირას არის-მეთქი, — მაშინვე ჯიბეზე გაიკრა ხელი: სასწრაფოდ საავადმყოფოში გადაიყვანეო. მეც ავდექი და გადაგიყვანე. მაინც, ვინ არის ეგ შენი გოგა, ან ამდენ ფულს სად შოულობს?

— არის, რა...

— სად ცხოვრობს?

— მგონი, ოქროყანაში.

— მგონიო? კი, მაგრამ ფული როგორღა უნდა დაუბრუნო?

— არ ვიცი. ალბათ, ოდესმე სადმე შევხვდები და მაშინ დავუბრუნებ.

— ოდესმე? შენ რა, ასეთი ბიჭის, ხელიდან გაშვებას აპირებ?

— არა, როგორც კი ვნახავ, მაშინვე თოკით დავაბამ...

— იშაყირე, იშაყირე და ნახავ, ბოლოს რაც მოგივა... რა?.. შენი შესაფერისი აღარავინ გამოჩნდა?.. თუ ზოგიერთი ტუტუცივით, შენც პრინცს ელოდები? — მაკას აშკარად ბრაზი გაერია ხმაში.

მაგრამ ნინის მისი ქოთქოთი აღარ ესმოდა. ახლა ის მხოლოდ გოგაზე ფიქრობდა: ,,ნეტავ, მეორედ რისთვისღა მოვიდა? ან ფული რატომ გადამიხადა?.. იქნებ... მაგრამ საავადმყოფოში რომ ერთხელაც არ მნახა?!.''

ფიქრებში წასულმა ნინიმ მექანიკურად გახსნა ჩანთა და ფული ამოიღო.

— იმ ბიჭმა რაც ფული მომცა, ნახევარზე მეტი ექიმს მივეცი... ჰო, კიდევ ჩემი ბინის ქირაც გამოვაკელი და რაც დარჩა, ის შეგინახე, — ანგარიში ჩაბარა მაკამ.

— კარგად მოქცეულხარ, — ბავშვივით შეაქო ნინიმ.

— ახლა რას აპირებ? — დაინტერესდა მაკა.

— ჯერ მაიკოსთან წავალ. ალბათ, სამუშაოს აღარ მომცემს, მაგრამ რაც ვიმუშავე, იმის ფული ხომ მაინც უნდა გადამიხადოს... მერე ვნახოთ, რამეს მოვიფიქრებ...

— მაიკოსთან მუშაობას მაინც ვეღარ შეძლებდი. ვახოს ვთხოვ, თავის უფროსს დაელაპარაკება და იქნებ, რამე უფრო მსუბუქი სამუშაო გამოგინახონ, — გული მოულბა მაკას.

— ვახო ვინღაა?

— შენ რა — საავადმყოფოში ტვინის ანთებაც ხომ არ დაგემართა? ვახო აღარ გახსოვს? — ისევ გაწიწმატდა მაკა.

— უჰ, მაპატიე, — ვითომ მართლა შეწუხდა ნინი, — როგორ დამავიწყდა ვახო, შენი კაცი... მერე, რაო ვახომ, რა შემიძლიაო?

— შაყირს მორჩი! ჩემი ვახო პურის ქარხანაში მიღებული და დაფასებული კაცია. უფროსობაც ძალიან ენდობა. მერე კიდე, მე თუ რამე ვთხოვე...

— რაკი ეგრეა, რაც იყოს, იყოს — მოდი, ერთხელ კიდევ სთხოვე, — მართლა შაყირის ხასიათზე დადგა ნინი.

— შენი ბედი, რომ გულკეთილი ვარ, თორემ, ჩემს ადგილზე სხვა მაგ სიტყვებისთვის საერთოდ ქუჩაში გაგისროდა.

— მაგრამ შენ ხომ ,,სხვა'' კი არა, ჩაგრულთა და გაჭირვებულთა მხსნელი მაკა ხონელიძე ხარ!

— ოჰ, ერთი შენს ტვინში ჩამახედა... სწორედ შენზეა, რა, ზედგამჭრილი: ჩიტი იმაზე ოჯდა და ბოლოს არიდებდაო...

— მაინც, რაზე ოჯდა? ვერ გავიგე. უფრო დამიკონკრეტე...

— აბა, ახლა, აქედან გაქრი, თორემ მართლა პანლურისკვრით გაგაგდებ! — დაუცაცხანა მაკამ ნინის და ცოცხიც ფეხებში მიაყოლა.

მაკასგან წამოსულმა ნინიმ ჯერ მაიკოსთან შეიარა და ფული გამოართვა. შემდეგ, ცოტა ხანს ქუჩაში იხეტიალა და ბოლოს, ნაცნობ სასადილოსთან შეჩერდა. სასადილოს ფართო ფანჯარასთან მდგარ მაგიდას გოგო-ბიჭი უჯდა და ნაყინს გემრიელად მიირთმევდა. უცბად, ისე მოუნდა ნაყინი, რომ მომჭირნეობაზე ფიქრი სამომავლოდ გადადო და სასადილოს კარი შეაღო.

ნაცნობი მზარეული ღუმელთან იდგა და უზარმაზარ ქვაბში დიდი ხის კოვზით რაღაცას გულმოდგინედ ურევდა. მან ნინი მაშინვე იცნო:

— ა-ა-ა, შენა? სად დაიკარგე? სადმე ხომ არ იყავი წასული?

— არა. საავადმყოფოში ვიწექი.

— რას მეუბნები?.. ახლა ხომ უკეთ ხარ?

— არა მიშავს რა.

— რა გინდა, რა გადმოგიღო? ისევ კატლეტი და წვენი ხომ არა? — დაფაცურდა მზარეული.

— არა. არ მშია. — ფულის დახარჯვა უცბად, ისევ გადაიფიქრა ნინიმ. — უბრალოდ, რაღაცის საკითხავად შემოვედი.

— მკითხე მერე, აგერ არა ვარ?! თუ რამე შემიძლია, ჩემი თავი გენაცვალოს...

— აქ რომ ერთი ბიჭი დადიოდა ხოლმე...

— გოგა? — სიტყვის დამთავრება აღარ აცალა მზარეულმა. — იცი, რომ ისიც შენსავით დაიკარგა? ისიც კი ვიფიქრე, სადმე ერთად ხომ არ წავიდნენ-მეთქი?..

— კარგი... გასაგებია... წავედი, ნახვამდის...

— კარგად იყავი... ის ბიჭი თუ გამოჩნდა, რა ვუთხრა?

— არა, არაფერი, მე თვითონ ვნახავ...

გაგრძელება იქნება

მიმდინარე საფეხბურთო სეზონის წინ განხორციელებული ერთ-ერთი ყველაზე ხმაურიანი ტრანსფერის — მილანის „ინტერიდან“ მადრიდის „რეალში“ რონალდოს გადასვლის შესახებ მითქმა-მოთქმა დღემდე არ წყდება. გარდა ესპანური სამეფო კლუბის ქომაგთა ნაწილისა, რომელიც ისედაც ვარსკვლავებით გადატვირთული „რეალის“ მიერ ძვირად ღირებული ბრაზილიელი ფორვარდის შეძენას გაუმართლებელ ნაბიჯად მიიჩნევს, არსებობენ სენსაციების მოყვარული ადამიანებიც, რომლებიც აპენინდან პირენეაზე კიჭას გადასვლის ნამდვილი მიზეზის დადგენაზე იჭყლეტენ ტვინს. თავად რონალდოს განცხადების თანახმად, მან იტალია „ინტერის“ არგენტინელ მწვრთნელთან, ექტორ რაულ კუპერთან შეუთავსებლობის გამო დატოვა, თუმცა სულ ცოტა ხნის წინ გამოაშკარავებულმა ფაქტებმა 2002 წლის მუნდიალის საუკეთესო ბომბარდირის ესპანეთის დედაქალაქში უცაბედ გადაბარგებას სულ სხვა ელფერი შესძინა. ამის შემდეგ, სკანდალებზე მონადირე რეპორტიორებს იმის საფუძვლიანი ეჭვი დაებადათ, რომ კუპერთან კონფლიქტის თემას კიჭა მხოლოდ მილანიდან თავისი წასვლის ნამდვილი მიზეზის შესანიღბავად იყენებდა.

ნათქვამია — ყველაფრის მიზეზი ქალში ეძებეთო, — ჰოდა, იტალიელ ტელეჟურნალისტებსაც სწორედ ამ პრინციპით უხელმძღვანელიათ „რონალდოს საქმის გამოძიებისას“ და მალე, ორი მანდილოსანიც აღმოუჩენიათ, რომელთა სატელევიზიო გამოსვლებმაც ბრაზილიელი სუპერვარსკვლავის მილანიდან „მოულოდნელ გაქცევას“ მოჰფინა ნათელი...

ოჰ, ეს ქალთანე რონალდო

აქსენი: „სამწუხაროდ, ჩემი და რონის რომანი ხანმოკლე აღმოჩნდა“

აქსენი – იტალიური პორნოინდუსტრიის 26 წლის ვარსკვლავის სახელია, რომელიც უკრაინული პასპორტით, ემიგრანტებით სავსე ვიჯევანოში ცხოვრობს. აქსენს, იმავე ოქსანა კლიჩკოს, სოციოლოგიის სპეციალობით უკრაინაში უმაღლესი განათლება მიუღია. თუმცა იგი ამ სფეროთი დიდად დაინტერესებული არ ყოფილა და თავისი ამბიციური მოთხოვნილებების დასაკმაყოფილებლად იტალიაში წასულა. აპენინის ნახევარკუნძულზე ჩასვლის შემდეგ კი, სახელთან ერთად, მას ცხოვრების წესიც შეუცვლია. აქსენი რამდენიმე ხარისხიან (რა თქმა უნდა, პორნოინდუსტრიაში დამკვიდრებული ფასეულობების შესაბამისად) პორნოფილმშია გადაღებული, რაშიც მიღებული ჰონორარების დიდი ნაწილი უკრაინელ ემიგრანტს საავადმყოფოებისთვის განკუთვნილ საქველმოქმედო საქმიანობაში დაუხარჯავს. სკანდალებზე ორიენტირებულ ერთ-ერთ იტალიურ სატელევიზიო შოუში აქსენის მონაწილეობამ დიდი რეზონანსი გამოიწვია, რაზეც ამ გადაცემის ტელემაყურებელთა რიცხვიც მეტყველებს: უკრაინელი პორნოვარსკვლავის „აღსარებას“ მილიონ სამასი ათასი კაცი ადევნებდა თვალ-ყურს. აქსენისა და შოუს წამყვანის, ალდო ბისკარდის საუბარს ჩვენს მკითხველს მცირეოდენი შემოკლებით ვთავაზობთ.

– აქსენ, მაშ, თქვენ რონალდოსთან ინტიმური ურთიერთობა გქონდათ?

– ნამდვილად ასეა.

– მერედა, რამდენ ხანს გაგრძელდა თქვენი რომანი?

– ჩემდა სამწუხაროდ, ჩვენი ურთიერთობა ხანმოკლე იყო.

– თქვენ მისმა სუპერპოპულარობამ მიგიზიდათ?

– ეს ფაქტი ჩემთვის მეორეხარისხოვანია. პირველ რიგში, რონი მომწონს, როგორც ადამიანი და როგორც მამაკაცი. სამწუხაროდ, ჩვენი ახლო ურთიერთობა უპერსპექტივო აღმოჩნდა.

– ერთხელ რონალდომ თქვა, რომ ხანდახან იგი სექსით, თამაშის წინაც არის ხოლმე დაკავებული. თუ შეგიძლიათ ამის დადასტურება?

– ასეთი შემთხვევები მართლაც იყო, თუმცა, ეს მხოლოდ უმნიშვნელო მატჩების წინ ხდებოდა ხოლმე. საპასუხისმგებლო მატჩების წინ კი, რონალდო სექსისაგან თავს იკავებდა.

– არ გეშინიათ, რომ თქვენი გამოსვლით კიჭას ოჯახს პრობლემებს შეუქმნით?

– არც იფიქროთ, რომ მისი მეუღლე, მილენე, ჩემი ნათქვამით რაიმეს ახალს შეიტყობს. რონის, სექსში მრავალფეროვნება იზიდავს და იცით, ასეთი ხანმოკლე რომანები რამდენი ჰქონდა?! ზოგიერთი მათგანი დღემდე საიდუმლოდ რჩება, ზოგიერთი კი, მასობრივ საინფორმაციო საშუალებათა ყურადღების არეში ექცევა. აი, მაგალითად, „ინტერი“ უეფას თასზე რუმინეთში გასვლით მატჩს ატარებდა და რონი ხანგრძლივი მკურნალობის შემდეგ, მოედანს უბრუნდებოდა. თუმცა, იმ პერიოდშიც, ისევე, როგორც ყოველთვის, ლოგინში ის შესანიშნავი იყო... გუნდმა ორი ღამე სასტუმროში გაატარა. პირველი ღამისთვის რონალდომ სასტუმროს მისაღებში მომუშავე გოგონა „შეაბა“. მას ამისთვის დიდი ენერგია არ დაუხარჯავს. თავიდან გოგონამ მხოლოდ მოსაჩვენებლად იუარა, მაგრამ შემდეგ იგი ნომერში აჰყვა რონის. მეორე ღამისთვის რონალდომ რუმინეთში მცხოვრები ბრაზილიელი გოგონა გამოიჭირა, – გოგონა თავადვე ჩამოეკიდა მას კისერზე...

– თქვენ რონალდოსთან ინტიმური ურთიერთობა გქონდათ და იქნებ იცოდეთ გულშემატკივართა ფართო მასებისა და ჟურნალისტებისთვის უცნობი მიზეზი, რომლის გამოც იგი ასე უცაბედად გაიქცა „ინტერიდან“?

– ეს მართალია. მილანში ყოფნის ბოლო თვეებში ის ძალიან შეიცვალა და ყველაფერზე ღიზიანდებოდა – ქალაქზეც, კლუბზეც, კოლეგებზეც. რონალდო ძალიან

შეშფოთებული იყო იმის გამო, რომ მას ფანები და პაპარაცები ათი ნაბიჯის თავისუფლად გადადგმის საშუალებასაც კი არ აძლევდნენ. ის ამბობდა, რომ ბრაზილიაში, რომელიც მისთვის თავისუფლებასთან ასოცირდება, ყველაფერი სხვაგვარად არის. მას ვაჟიშვილთან, რონალდოსთან ერთად, რიოს სანაპიროზე – ლებლონზე ან იპანემუზე – თავისუფლად სეირნობა შეუძლია და ამ დროს თავს არავინ მოაბეზრებს. ის ბრაზილიის მიმართ დიდ ნოსტალგიას განიცდიდა და ამბობდა, რომ იქ ხალხი უფრო მხიარული და გულგახსნილია. ესპანეთი, სადაც ის ამჟამად ცხოვრობს, რა თქმა უნდა, ბრაზილია არ არის, მაგრამ მასთან ცოტათი მაინც უფრო ახლოსაა – ტერიტორიულადაც და შინაგანადაც. რონალდო ამბობდა, რომ იგი მზად იყო, მადრიდში, თუნდაც კორიდას საასპარეზო მოედანზე – პლასა ტოროსზე ეთამაშა. ესპანეთში გადასასვლელად მან „ინტერს“ საკუთარი ჯიბიდან 5 მილიონი ევრო გადაუხადა იმის საკომპენსაციოდ, რომ მისი წასვლის გამო, კლუბთან თანამშრომლობა სპონსორმაც აღარ ისურვა. თუმცა, შეიძლება, რონალდოს მილანი და იტალია არ მიეტოვებინა და აქედან სწრაფად არ წასულიყო, რომ არა კიდევ ერთი გარემოება. ვერ გეტყვით, რა მოხდა, მაგრამ რაღაც ნამდვილად მოხდა. ვეჭვობ, რომ ეს „რაღაც“ ზეედორფთან არის დაკავშირებული. შეიძლება, ზეედორფს ინტიმური ურთიერთობაც ჰქონდა მილენესთან. რატომ ვფიქრობ ასე? – სამივეს ქცევიდან გამომდინარე. ზეედორფი სასწრაფოდ „მილანში“ გააქანეს – სრულიად მოულოდნელად, ისე, რომ ამ ტრანსფერის განსახორციელებლად არავითარი მიზეზი არ არსებობდა და ამის შესახებ განმარტებაც არავის გაუკეთებია.

ლარა: „რონალდო რომ მყვარებოდა, ბავშვს გავაჩენდი“

კიჭას კიდევ ერთი ყოფილი საყვარელი, ბრაზილიელი ლარა დე მორაესი, რომელიც სამშობლოში არაერთხელ ყოფილა მხილებული პროსტიტუციასა და კოკაინის მოხმარებაში, ცოტა ხნის წინ იტალიელ ტელემაყურებელთა წინაშე ტელეკომპანია Rai 3-ის პროგრამის – Storie ma-ledette-ს („დაწყევლილი ამბები“) სტუდიიდან წარდგა. თავიდან ლარა ინტერვიუში რონალდოს სახელს არ ახსენებდა, მაგრამ ბრაზილიელი მეძავის საუბრიდან გამომდინარე, ყველასათვის ცხადი იყო, რომ მას სწორედ 2002 წლის მუნდიალის ტრიუმფატორი ჰყავდა მხედველობაში. როდესაც ლარამ დადებითად უპასუხა შოუს წამყვანის, ფრანკ ლეოზინის შეკითხვას – ხომ არ გულისხმობდა იგი თავის მონათხრობში იტალიის სერია A-ში ცოტა ხნის წინ მოთამაშე, „ფენომენის“ სახელით ცნობილ ვარსკვლავს, – ამით ყველაფერს მოეფინა ნათელი.

ვფიქრობთ, ჩვენი მკითხველისათვის არც ლარასა და ფრანკ ლეოზინის დიალოგის ფრაგმენტები იქნება უინტერესო.



– დავიწყოთ იმით, რაც მთავარია: როგორც ჩანს, თქვენ რონალდოსთან სასიყვარულო ურთიერთობა გქონდათ.

– დიახ, ჩვენ გარკვეული ხნის განმავლობაში ვიყავით ერთად – მას შემდეგ, რაც იგი დაშორდა სუზანა ვერნერს, რომელსაც საცოლედ აცხადებდა. ჩვენ სქესობრივი ურთიერთობა გვქონდა და მე რომ მხოლოდ ფულზე მეფიქრა... ერთი სიტყვით, მისგან დავორსულდი. შემდეგ კი, კარგად გავიაზრე ყველაფერი და ისე მოვიქეცი, როგორც საჭირო იყო. მისთვის ამის შესახებ არაფერი მითქვამს და ამას სახალხოდ პირველად ახლა ვაცხადებ.

– თქვენ იმის თქმა გსურთ, რომ ნაყოფი მოიშორეთ?

– დიახ. წავედი და აბორტი გავიკეთე. ეს საკითხი ჩემი ინტიმური ცხოვრების ნაწილია, რომელიც დღემდე, მხოლოდ რამდენიმე ჩემმა მეგობარმა იცოდა.

– როგორი იყო მათი რეაქცია?

– ისინი მეუბნებოდნენ: შენ რა, არანორმალური ხარ? ასეთი შემთხვევის ხელიდან გაშვება შეიძლება?! „მე ბავშვებს ფულის გულისთვის არ ვიყოლიებ, – ვპასუხობდი მათ, – ბავშვს მხოლოდ სიყვარულით გავაჩენ“.

– თქვენ მის მიმართ ამ გრძნობას არ განიცდიდით?

– ძალიან მინდოდა მასთან ყოფნა, თუმცა, არ შემიძლია ვთქვა, რომ მასზე შეყვარებული ვიყავი.

– ის კარგი ბიჭია?

– შესანიშნავი. უბრალო, მორიდებული, გულისხმიერი.

– ნარკოტიკებს არ ეტანება?

– არა.

– თქვენ ამჟამადაც ხვდებით ხოლმე მას?

– ძალიან იშვიათად. ეს რიოს კარნავალზე ხდება ხოლმე.

– ისევე, როგორც ყველა ჭეშმარიტი ბრაზილიელი, რონალდოც ევროპაში გადმოსვლის შემდეგაც, რიოს ყველა კარნავალზე დასწრებას ახერხებს. წელს, მაგალითად, იგი სპეციალურად გაეთავისუფლა „ინტერის“ ხელმძღვანელობას, რათა კარნავალის პერიოდში ბრაზილიაში გამგზავრებულიყო, თანაც განაცხადა, რომ სამშობლოში „მხოლოდ იმუშავებდა და სამუშაოზე იფიქრებდა“.

– მაშ, მაშ, აბა როგორ... როდესაც იგი კარნავალზე ყოფნისას, ერთ-ერთ სამბადრომთან მდებარე ქალთა აბანოში მივიდა, განსაკუთრებით მაშინ ფიქრობდა სამუშაოზე...

– სუზანა, მილენე, აქსენი, თქვენ – ყველა გოგონა, ვისთანაც რონალდოს ჰქონდა ან აქვს ურთიერთობა, ქერაა...

– ეს მართალია. ის ხომ ჭკუას კარგავს ქერა გოგონებზე. თქვენ მიერ ჩამოთვლილი სახელებისთვის, კიდევ რამდენიმეს მიმატება შემიძლია, მაგალითად – მისი პირადი ფიზიოთერაპევტი, რომელიც ასევე ქერათმიანია, ან კიდევ – ფოტომოდელი დალიზე ლიმა, რომელთან ერთადაც იგი 2000 წელს ბაიაში კინოთეატრის გახსნაზე იყო მიწვეული. რონიმ თავი ვერ შეიკავა და მასთან რომანი გააბა. ერთხანს დალიზეს შესახებაც ამბობდნენ – რონისგან ორსულად არისო, თუმცა, დრო გადიოდა და დალიზეს მუცელი არ გაზრდია, რამაც გაფანტა ეჭვები მისი ორსულობის შესახებ... ■

MG-ის ინგლისური „ხაჯეტა"

ბრიტანეთის ქალაქ ბირმინჰემში მოწყობილი ავტოშოუს ერთ-ერთ ფავორიტად სპეციალისტები და ავტომოყვარულები სპორტულ MG XPower SV-ის მიიჩნევენ, რომელიც სახელგანთქმული ინგლისური ფირმის – MG Rover Group-ის საუკეთესო ჩქაროსნული ტრადიციების ღირსეულ დამცველად გვევლინება. სარბოლო ავტომობილების სეგმენტში მისი დებიუტი 70 წლის წინ შედგა – მაშინ ქვეყანას მოევლინა K3 Magnette.

ორადგილიანი მანქანა XPower SV, რომელიც ბირმინჰემში წარდგა მნახველთა წინაშე, კონცეპტუალური მანქანის – MG X80-ის ბაზაზე შეიქმნა. თავდაპირველმა კონსტრუქციამ რამდენიმე რადიკალური ცვლილება განიცადა. ფირმის სპეციალისტები დარწმუნებულები არიან, რომ ამ მანქანის მყიდველებად „საავტომობილო სპორტის თაყვანისმცემლები და ენთუზიასტები მოგვევლინებიან".

მანქანა აღჭურვილია 8-ცილინდრიანი, V ტიპის ძრავათი, რომლის სამუშაო მოცულობა 4,6 ლ-ს, სიმძლავრე კი – 326 ცხ.ძ-ს აღწევს. 100 კმ/სთ სიჩქარეს მანქანა, რომლის წონა 1450 კგ-ს შეადგენს, 5 წმ-ში ავითარებს. მისი მაქსიმალური სიჩქარე 273 კმ/სთ-ია. საინტერესოა, რომ ფირმა მასზე უფრო ჩქაროსნული და მძლავრი ვერსიების წარმოებასაც აპირებს. მაგალითად, მოდიფიკაცია XPower SV Club Sport, V ტიპის 8-ცილინდრიანი ძრავათი აღიჭურვება, რომლის სამუშაო მოცულობა 5 ლ-ს, ხოლო სიმძლავრე – 410 ცხ.ძ-ს მიაღწევს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ის 4,4 წმ-ში განავითარებს, მისი მაქსიმალური სიჩქარე კი 314 კმ/სთ იქნება. ბირმინჰემის ავტოსალონზე 465-ძალიანი სატიუნინგო მოდელიც იყო წარმოდგენილი. სამხრეთ იტალიის ქალაქ ნარდოს საცდელ ტრასაზე ამ ცოტა ხნის წინ ჩატარებულ პოლიგონზე ამ მანქანამ ფენომენალური სიჩქარე – 320 კმ/სთ განავითარა, 100 კმ/სთ სიჩქარე კი, სულ 4,2 წმ-ში „აქაჩა". მაგრამ როგორც სპეციალისტები ამბობენ, არც ეს მაჩვენებელია ზღვრული. როგორც MG-ის მესვეურები იტყობინებიან, უახლოეს მომავალში, მასზე უფრო მძლავრ და დახვეწილ სატიუნინგო ვერსიებს ვიხილავთ, მათ შორის – 965 ცხ.ძ-ის სიმძლავრის ძრავათი აღჭურვილს.

XPower SV-ის წარმოება მომავალი წლის გაზაფხულზე დაიწყება. ვარაუდობენ, რომ სპორტული მანქანის მინიმალური ფასი 65.000 გირვანქა სტერლინგი (ე.ი. 100.000 ევრომდე) იქნება. ■

Mazda-ს სხელამძრავიანი უნივერსალი

2003 წლის თებერვალში, იაპონური კომპანია „მაზდა" ევროპულ ავტობაზარზე Mazda 6-ის ბაზაზე შექმნილ სრულამძრავიან უნივერსალს – Sport Wagon 2.3 AWD-ს გამოუშვებს. ეს მანქანა 4-ცილინდრიანი, 2,3 ლ-იანი ბენზინის ძრავათი იქნება აღჭურვილი; მისი სიმძლავრე 162 ცხ.ძ-ს მიაღწევს. ახალ „მაზდას" 5-საფეხურიანი ავტომატური გადაცემათა კოლოფი ექნება.

უნივერსალი უპირველესად, მოგზაურობისა და ე.წ. აქტიური დასვენების მოყვარულთათვისაა განკუთვნილი. თუმცა მისი სიგრძე 4,7 მ-ს (სედანზე სულ 2 სმ-ით მეტს) შეადგენს, ის საუცხოო ფუნქციურობით გამოირჩევა. მანქანის საბარგული 505 ლ-ია, უკანა საჯარძლების დაკეცვისას კი, ადვილად აღწევს 1712 ლ-ს. თვით სავარძლების აკეცვის ოპერაცია მაქსიმალურადაა გამარტივებული: საამისოდ საკმარისია, საბარგულში მოთავსებულ ორ ღილაკს დააჭიროთ – დანარჩენს პნევმატური ამძრავი შეასრულებს. სავარძლები მთლიანადაც შეიძლება აიკეცოს და ნაწილობრივადაც. საბარგო დანაყოფის იატაკქვეშ, წვრილი ნივთებისთვის განკუთვნილი კონტეინერებია განთავსებული.

ჩვეულებრივი, წინაამძრავიანი ვერსიის უნივერსალი 4-ცილინდრიანი ძრავით იქნება აღჭურვილი, რომელსაც ორი – 121 და 136 ცხ. ძალის მქონე ვარიანტი ექნება. ■



შესანიშნავი „შვიდიანი"

სულ მალე, გერმანული კომპანია BMW მე-7 სერიის „მარგალიტის" – წარმომადგენლობითი ლიმუზინის 760I-ს გამოშვებას დაიწყებს. ავტომობილი აღჭურვილია 12-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი, რომელიც 445 ცხ.ძ-ს სიმძლავრეს ავითარებს. მისი სამუშაო მოცულობა 6 ლ-ია. ძრავა პირდაპირი შეშხეფების პრინციპით მუშაობს და ელექტრონული სისტემა Valvetronic-ით აღიჭურვება, რომელიც სარქვლების მოქმედებას მართავს. „ბე-ემ-ვე"-ს ხელმძღვანელობა არ ჩქარობს ამ მანქანის ტექნიკური მახასიათებლების გამომზეურებას, განსაკუთრებით – მისი ჩქაროსნული თვისებებისა და ეკონომიურობის გამჟღავნებას, თუმცა, კონცერნის წარმომადგენელმა, ვილანდ ბრუხმა განაცხადა, რომ 760I არაფრით ჩამოუვარდება თავის კონკურენტებს (ამ დროს, „დაიმლერ კრაისლერი" გერმანიის ქალაქებში თავისი ლიმუზინის – Maybach-ის პრეზენტაციებს მართავს).

ბავარიული ლიმუზინის ფასები უკვე გამოცხადდა: სტანდარტული ვერსია 110.600 ევრო, დაგრძელებული (760Li) – 116.000 ევრო ეღირება. დღემდე, BMW-ს მე-7 სერიას, 8-ცილინდრიანი ბენზინისა და 6 და 8-ცილინდრიანი დიზელის ძრავათი აწარმოებენ. გარეგნულად, 760I, სხვა „შვიდიანებისგან" რადიატორის უფრო დახვეწილი ქრომირებული ცხაურითა და საბორბლე დისკებით გამოირჩევა.

თავისებური დიზაინის მიუხედავად, რომელიც ზოგიერთ ექსპერტს საკამათოდ მიაჩნდა, BMW-ს მე-7 სერია წარმატებით იყიდება და წარმომადგენლობითი ლიმუზინების სეგმენტში შესამჩნევი ადგილი უკავია. ■

ახალი Audi-ს ძალა

„ფოლკსვაგენის" კონცერნში შემავალი გერმანული ფირმა „აუდი" თავისი მე-4 სერიის ერთ-ერთი უმძლავრესი ავტომობილის – Audi A4 1.8T-ის წარმოებას შეუდგა. მანქანა ორი – სედანისა და უნივერსალის (Avant-ი) ვარიანტით გამოვა. ის 4-ცილინდრიანი ბენზინის ძრავათი აღიჭურვება, რომლის სიმძლავრე 190 ცხ.ძ-ს მიაღწევს. სერიული ძრავას დახვეწის პრობლემაზე „აუდის" შვილობილი კომპანიის – Qattro GmbH-ის ინჟინრებმა იმუშავეს. წინაამძრავიანი ავტომობილი (რომლის სრულამძრავიანი ვერსია მხოლოდ შეკვეთით დამზადდება) 6-საფეხურიანი გადაცემათა კოლოფით იქნება აღჭურვილი. ის 236 კმ/სთ მაქსიმალურ სიჩქარეს განავითარებს. 100 კმ/სთ სიჩქარეს ახალი „აუდი" 8,2 წმ-ში „აწევს". მიუხედავად დიდი სიმძლავრისა, ეს საკმაოდ ეკონომიური ავტომობილი იქნება: 100 კმ-ზე საშუალოდ, 8,6 ლ-ს დახარჯავს. საბაზო კომპლექტაციაში Audi A4 1.8T 28.600 ევრო ეღირება. სრულამძრავიანი ვარიანტი და უნივერსალი Avant-ი საგრძნობლად მეტი დაჯდება. ■



ამერიკული მოგზაურობა ტრაილერით... სულ მალე დაიწყება!

აკაკი გეგენავა

ვისაც საბჭოთა პერიოდის სკოლაში უსწავლია, მისთვის ძნელი არ იქნება ლენინის ცნობილი ლოზუნგის გახსენება, გოგებაშვილის „დედაენაშიც“ რომ მოუთავსებიათ საპატიო ადგილას. „სწავლა, სწავლა და სწავლა!“ — ასე გვიანდერძა „დიდმა“ ლენინმა და ეს ანდერძი იმდენად ხშირად გვესმოდა, რომ ამ შეგონებას უფრო ხშირად, ზერელედ ვუყურებდით და მარტოოდენ ლიტონ ლოზუნგად მიგვაჩნდა. თურმე ნუ იტყვით და, სოციალიზმის ბელადსაც შესძლებია რაღაც ჭკვიანურის თქმა... მოკლედ, საქართველოში სწავლისაკენ სისტემატური მოწოდებით (ზემოთ აღნიშნული ანდერძი ყველა სასწავლებელს „ამკობდა“), სწავლისადმი საკმაოდ ინდიფერენტული დამოკიდებულება ჩამოგვიყალიბდა... ამერიკაში ყოფნისას ხშირად აღმოვჩენილვარ ექსტრემალურ სიტუაციაში, სადაც ამა თუ იმ საკითხის არცოდნამ მეტისმეტად გამაწვალა (ახლა ჩემს შვილებს მინდა როგორმე ავუხსნა, რომ რასაც ხელს მოჰკიდებენ, აუცილებლად კარგად და ძირეულად შეისწავლონ)... „ლენინის ანდერძისთვის“ რომ მიმეგდო ყური, ახლა ასეთ გამოუვალ სიტუაციაში ხომ არ ჩავვარდებოდი...

ტრაილერის ჯურსებმა ახალი პრობლემები გამიჩინა

როგორც იქნა, ჩემი ძველი შეფ-მზარეულის, კუზმას წყალობით, ფინანსური პრობლემა გადავჭერი და ტრაილერის მძღოლთა კურსებზე დავიწყე სიარული. მეცადინეობები კვირაში სამჯერ ტარდებოდა — დილის 8-იდან 13 საათამდე. ასეთი გრაფიკი ჩემთვისაც მოსახერხებელი იყო. დღის მეორე ნახევარში ბირჟაზეც გავდიოდი და უმეტესწილად ვპოულობდი ჩემთვის შესაფერის რამდენიმესაათიან სამუშაოს. არც სწავლისაგან თავისუფალ დღეებს ვაცდენდი... კურსებზე ოთხი თვე უნდა მევლო. თავიდან თითქოს დაღლას ვერ ვგრძნობდი, დილიდან გვიან ღამემდე დაკავებული ვიყავი, მაგრამ დიდხანს ვეღარ გავუძელი და რომ იტყვიან, სულ ერთიანად გამოვიფიტე. გულს მაინც არ ვიტეხდი. ბოლოს და ბოლოს, ოთხ თვეს როგორმე გავძლებ-მეთქი, ვფიქრობდი...

ჯგუფში თხუთმეტი მსმენელი ვიყავით, მომავალი „ტრაილერისტები“. სამი ქალიც გვერია. სიმართლე გითხრათ, ძალიან მიკვირდა, ამ სიფრიფანა ქალებს ტრაილერზე როგორ უნდა ემუშავათ. რას გაიგებ. ამერიკაში სხვაც ბევრი რამ ხდება, ერთი შეხედვით განსაცვიფრებელი და არაკანონზომიერი. თუმცა, რა დროს ეგ არის? მე ჩემი გასაჭირიც მყოფნიდა. ჩემი ჯგუფელებიდან არავინ იყო რუსულენოვანი, ქართული ენის მცოდნეზე ხომ ოცნებაც არ შეიძლებოდა. ძალიან გამიჭირდა, რადგანაც მას შემდეგ, რაც ამერიკაში ჩამოვედი, ჩემ გარშემო ყოველთვის გამოჩნდებოდა ვინმე, ვისთანაც ქართულად ან რუსულად ვსაუბრობდი. აქ კი, ნამდვილ ამერიკულ გარემოში მოვხვდი. მხოლოდ და მხოლოდ ინგლისურად კი არ უნდა მელაპარაკა, ინგლისურადვე უნდა მეფიქრა... სულ წყალში ჩამეყარა ჩემი ინგლისურის „ცოდნა“. რაც თავი მახსოვს, ყოველთვის ვამაყობდი — ინგლისურად „მაგრად ვუბერავ“-მეთქი. ვერაფრით წარმოვიდგენდი, თუ ამ მხრივ, პრობლემა შემექმნებოდა, მაგრამ ნურას უკაცრავად.

ალბათ გახსოვთ, ბერძენი ფილოსოფოსის, დემოკრიტეს ბრძნული გამონათქვამი: „მე ვიცი, ის, რომ არაფერი არ ვიცი!“ ამას სწორედ ის დემოკრიტე ამბობდა, რომელზეც თვით არისტოტელე წერდა — ყველაფერზე აზროვნებდაო... მე კი, ერთი ჩვეულებრივი მოგზაური კაცი, ჩემი ინგლისური ენის ცოდნას კაფე-ბარებში და, უკეთეს შემთხვევაში, მუზეუმებსა ან ღირსშესანიშნავ ადგილებში ვავლენდი და შემთხვევით გაცნობილი მოგზაურ-ტურისტების შექებით თავბრუდახვეულს მეგონა, ინგლისურში მაგარი ვარმეთქი...

ისე, მთლად დამნაშავე არც მე ვიყავი — ამერიკელები ხომ ჩვეულებრივი ინგლისურისგან საკმაოდ განსხვავებულად მეტყველებენ. ასე რომ, მთლად ადვილი არ გახლავთ ე.წ. „ამერიკული დიალექტის“ ათვისება. თანაც, კურსებზე უბრალოდ „ამერიკული დიალექტის“ შესწავლა კი არ მიხდებოდა, არამედ უნდა „ამეთვისებინა“ სამედიცინო, ტექნიკური და კომპიუტერული ტერმინოლოგიაც.

ერთხელ, კომპიუტერის შესწავლის მორიგ ლექციაზე, ფერადკანიანმა ლექტორმა დავალება მოგვცა და პასუხების გაცემაც იქვე, ფურცლებზე მოგვთხოვა. როდესაც ჩემს ნამუშევარს გადახედა, ყურადღებით დამაკვირდა და ბოლოს, თანაგრძნობით გამომიცხადა (ყოველგვარი მიკიბვ-მოკიბვის გარეშე):

— ახალგაზრდავ, ეტყობა, თქვენ ინგლისურად საერთოდ ვერ აზროვნებთ. მე რა დაგავალეთ და თქვენ რა დამიწერეთ?! მე ხომ სულ სხვა რაღაც გთხოვეთ...

სირცხვილისგან არ ვიცოდი, სად დავმალულიყავი. არა, ჩემი საქმე ნამდვილად ცუდად იყო! ჩემი ინგლისურით ძალიან გამიჭირდებოდა ტრაილერის მძღოლის მოწმობის მოპოვება. ერთი პერიოდი (რამდენჯერმე ზედიზედ რომ გამაწითლეს ჩემი ინგლისურის გამო), ისიც კი ვიფიქრე, ამ კურსებს სულ დავანებებ-მეთქი თავს, მაგრამ ჯერ ერთი, საქმის შუა გზაზე მიტოვება არ მინდოდა, მეორეც, კუზმას ვალიც ზურგზე მაწვა და ჩემი და ჩემი ოჯახის მომავალიც დიდად იყო დამოკიდებული იმ საქმიან მოგზაურობებზე, რომლის განხორციელებასაც სწორედ „ტრაილერისტის“ მოწმობით ვაპირებდი.

სასწავლებელში ორ კვირაში ერთხელ ტესტირება იმართებოდა. ტესტირებისას მიღებული მაღალი ქულები გათვალისწინებული იქნებოდა გამოსაშვები გამოცდებისას. სამწუხაროდ, ტესტირებისას ისეთ დაბალ შეფასებას ვიღებდი (ზოგჯერ მხოლოდ ინტუიციით შემოვხაზავდი ხოლმე ციფრებს), რომ გამოცდისას ამ ქულების იმედი ნამდვილად არ უნდა მქონოდა! რომ იტყვიან, გააფთრებით ვიბრძოდი წარმატების მისაღწევად, მაგრამ დამოუკიდებელი მუშაობით ვერაფერს ვაღწევდი. რაც დრო გადიოდა, სულ უფრო და უფრო ვემწყვდეოდი ჩიხში. მთელი ჩემი მონდომება და სიბეჯითე ამაო იყო. არა, რაღაც გამოსავალი უნდა მეპოვა!..

ბევრი ფიქრის შემდეგ, თითქოს გონება

გამინათდა: ბრუკლინის საზოგადოებრივი ბიბლიოთეკა! აი, სად შემეძლო პრობლემის გადაწყვეტა! მთავარი იყო, მომეწადინებინა და ბიბლიოთეკაში მეცადინეობისთვის დამედო გული. დარწმუნებული ვიყავი, ყველაფერს ეშველებოდა. მით უმეტეს, ბიბლიოთეკაში ხომ ჩემი ძველი კეთილი ნაცნობი, მშვენიერი ამერიკელი გოგონა, გლორია მეგულებოდა. ვფიქრობ, „მოგზაურის დღიურების“ მკითხველს ახსოვს ბრუკლინელი ბიბლიოთეკარი გლორია, რომელსაც კინაღამ თავი შევაყვარე. ისიც გეხსომებათ — ერთხელ, როცა ნოსტალგიამოძალებული, ბიბლიოთეკაში რაღაც მშობლიურს ვეძებდი, სწორედ გლორიამ დამიდო წინ ნოდარ დუმბაძის „მე, ბებია, ილიკო და ილარიონი“ — მართალია, რუსულ ენაზე, მაგრამ მაინც... კიდევ, გლორია მაშინაც დამეხმარა, როცა „Золотое кольцо“-ში მუშაობისას მზარეულობა მომღერლის პროფესიაზე „გადავცვალე“ და რუსულ სიმღერებს ვეძებდი... გლორიამ იმდენი დისკეტა და კასეტა ამირჩია, რომ განსაცდელისგან ნამდვილად მიხსნა... ბუნებრივია, რომ ისევ გლორიას იმედი მქონდა!

...გაანძრიე ხელი და გიშველიო!..

ჩემი ასეთი მრავალფეროვანი და თანაც მუდმივი პრობლემები ბარომეტრივით მოქმედებდა სვეტაზე, ჩემს კეთილ დიასახლისზე. იგი ყოველმხრივ ცდილობდა, ხელი შეეწყო ჩემთვის. ნამდვილი გულშემატკივარი მყავდა, სულ მამხნევებდა, მეუბნებოდა, — ცხოვრებაში ამაზე დიდ განსაცდელსაც უნდა გაუძლო, შენ ეს ნამდვილად შეგიძლია, არ უნდა გატყდე და ბედს არ უნდა შეურიგდეო... ისიც კი მითხრა, უფრო სწორად, მიამბო — კაცი წყალში იხრჩობოდა და ღმერთს შველა სთხოვა, უფალმა კიდევ უპასუხა: გაანძრიე ხელი და გიშველიო!..

მეც ახლა თითქოს წყლის დინებას მივყვებოდი და ხელის განძრევის მეშინოდა!..

...კურსებზე მორიგი ტესტირებისას, ისევ დაბალი შეფასება მივიღე და „გადავწყვიტე“ — სწავლის გაგრძელებას აზრი აღარ აქვს-მეთქი. ასეთი განწყობით რომ დავბრუნდი შინ, მთელი სახე ჩამომტიროდა და დეიდა სვეტას არც შევხმიანებივარ, ისე შევლასლასდი ჩემს ოთახში.

— რა მოგვიდა, კაკო? რა მოხდა, რა მკვდრის ფერი გადევს? — გაოცებით მკითხა დეიდა სვეტამ, რომელიც ქიშმიშიანი კექსით ხელში დამადგა თავს საწოლზე გაუხდელად მიგდებულს.

— ისევ ვერ ჩავაბარე!.. — ძლივძლივობით ამოვღერღე.

— სულ ეგ არის? მე კიდევ, გული გამისკდა, ვიფიქრე — შინიდან ცუდი ამბავი ხომ არ აცნობეს-მეთქი... — სახე დაუწყნარდა დეიდა სვეტას.

— ამაზე ცუდი რაღა უნდა მოხდეს?! იმხელა ვალი ავიკიდე და არაფერი გამომდის!

— ეჰ, ჩემო კაკო, მთლად ბავშვი ყოფილხარ! არ გრცხვენია, ბიჭო?! ვაჟკაცი არა ხარ? ჯერ კიდევ დიდი დრო გაქვს. წინასწარ თუ გული გაიხეთქე, არაფერი გამოვა. შე დედალო, შენა! მეტი იმეცადინე, თავს ძალა დაატანე და შენ ისეთი მაგარი ხარ, ყველაფერი გამოგივა!

— ვმეცადინეობ, მაგრამ შედეგი რომ არ ჩანს?

— ე.ი. სწორად არ მეცადინეობ და იმიტომაც არ გამოგდის. მოდი, კაკო, ერთი ახლობელი მყავს, ინგლისურის კარგი სპეციალისტია. მაგრამ სწავლის საფასური მასაც უნდა გადაუხადო რაღაც... — ბოლო სიტყვები ისე მითხრა, რომ თვალი ვერ გამისწორა.

სვეტას ამ ნათქვამმა სტრესიდანაც გამომიყვანა და კიდევ ერთხელ, სწორ გზაზეც დამაყენა. ეს გზა ამჯერად, ბიბლიოთეკაში მიდიოდა. ამ ეტაპზე ხომ სწავლისთვის ფულის გადახდას ვერაფრით შევძლებდი. დროის დიდ ნაწილს კურსებზე ვატარებდი, საღამოს საათებში და თავისუფალ დროს, ბირჟაზე ნაშოვნი ფული მიმდინარე ხარჯებისთვის ძლივს მყოფნიდა; თბილისშიც ხომ უნდა გამეგზავნა ცოტაოდენი...

— დეიდა სვეტა, თქვენი ყურადღება ისედაც არ მაკლია. მადლობელი ვარ ამ წინადადებისთვის, მაგრამ ჯერჯერობით თავს შევიკავებ, კიდევ ვცდი ბედს. ბიბლიოთეკაში ვივლი და იქნებ შევძლო მდგომარეობის გამოსწორება.

— რა გითხრა, შვილო, შენი ნებაა! შენ თვითონ უნდა გადაწყვიტო. ოღონდ იცოდე, მე ყოველთვის შენ გვერდით ვიქნები...

ეს ისედაც ვიცოდი. ამ ქალის კეთილგანწყობას ჩემ მიმართ საზღვარი არ ჰქონდა... ჩემი გასაჭირით შეწუხებულ მოხუცს შუბლზე ვაკოცე, კიდევ ერთხელ გადავუხადე მადლობა და ღამე მშვიდობისა ვუსურვე. მე კი, რაღა დამაძინებდა?! სავარძელში მოხერხებულად მოკალათდი და ხვალინდელ დღეზე დავიწყე ფიქრი. იმას ვუტრიალებდი, მოვახერხებდი თუ არა ბიბლიოთეკისა და მშვენიერი გლორიას დახმარებით იმ ხარვეზების აღმოფხვრას, რაც ინგლისურ ენაზე სწავლაში მიშლიდა ხელს...

„ისეთ წიგნებს მოგიტანთ, ორ კვირაში პროფესორივით ალაპარაკებით...“

როცა ბიბლიოთეკაზე ვიწყებ ფიქრს ან საუბარს, ერთი ძველი, კახური ანეკდოტი მახსენდება:

„მიხომ რაღაც დანაშაული ჩაიდინა და გაიქცა. მთელი სოფელი ეძებდა, მაგრამ ვერსად იპოვეს.

ერთი კვირის შემდეგ, როცა სოფელს წყენამ გადაუარა, მიხოც გამოჩნდა.

— სად იყავი, ჯო? ვერსად გიპოვეთ! — დაინტერესდნენ მისი თანასოფლელები.

— აქვე ვიყავი, სოფელში!

— როგორ თუ აქვე? ყველაფერი გადავქოთეთ!

— ბიბლიოთეკაში ვიყავი.

— მაგაი როგორ ვიფიქრებდით, თუ იქ ამოყოფდი თავსა!“

ჰოდა, მე არც რაიმე დამიშავებია ამერიკაში, არც ვინმე მომდევდა, მაგრამ მაინც ბიბლიოთეკაში ამოვყავი თავი.

სხვათა შორის, კახელებისგან განსხვავებით (ეს ხუმრობით, რა თქმა უნდა), ბიბლიოთეკისადმი ჩემი დამოკიდებულება გამორჩეული იყო. ბავშვობიდანვე მიყვარდა კითხვა. სკოლისა და საოჯახო ბიბლიოთეკები რომ ავითვისე, მერე, შეროზიას ქუჩაზე მდებარე საქალაქო ბიბლიოთეკაში გადავინაცვლე. სტუდენტობის პერიოდში კი, საჯარო ბიბლიოთეკაში დავიწყე საირული. გარდა იმისა, რომ იქ ჩემთვის სასურველ ნებისმიერ ლიტერატურას ვეცნობოდი, ბიბლიოთეკის „საზოგადოებაც“ მომწონდა. იქ მოსიარულეთა მენტალიტეტიც აშკარად გამორჩეული იყო — ბიბლიოთეკაში არავინ ოგინებოდა. არც სიგარეტს ეწეოდნენ, არც მზესუმზირას აკანტუნებდნენ... ჩურჩულით ლაპარაკობდნენ, ერთმანეთს პატივისცემით ეპყრობოდნენ... უფრო მეტიც, ბიბლიოთეკაში გაცნობილ გოგონას „სხვა თვალით“ არავინ შეხედავდა, იქ გაცნობილ წყვილებს ერთმანეთთან მხოლოდ სერიოზული ურთიერთობა აკავშირებდათ... რამდენიმე წყვილი

ვიცი, საჯაროში რომ გაიცნეს ერთმანეთი და დღესაც ბედნიერი ოჯახი აქვთ...

სანამ ამერიკულ, კერძოდ, ბრუკლინის ბიბლიოთეკაში დავიწყებდი სიარულს, ვფიქრობდი: აქ, სადაც ფული ბატონობს ყველგან და ყველაფერში, ბიბლიოთეკაში რა ხალხი ივლის-მეთქი (როგორც ჩანს, ეს „სოციალისტური აღზრდის" გავლენა მოქმედებდა)? — ეჭვი მეპარებოდა, — და ალბათ არც არავინ დადის-მეთქი ბიბლიოთეკაში, — ვფიქრობდი. მაგრამ შევცდი. ბრუკლინის ბიბლიოთეკაში, ისევე, როგორც ჩვენთან, მკითხველები წყნარად და მორიდებით დადიან, ქცევა და მანერებიც მსგავსი აქვთ... კიდევ ერთხელ დავრწმუნდი, რომ განათლებას ყველგან აქვს ფასი, უფრო სწორედ — შეუფასებელია. თუმცა, მოდით, ამ დიდაქტიკას შევეშვათ და ისევ ყოფით დეტალებს დავუბრუნდეთ...

ერთი განსხვავება მაინც „აღმოვაჩინე" ამერიკულ და ჩვენებურ ბიბლიოთეკას შორის. ეს ის გახლავთ, რომ ამერიკულ ბიბლიოთეკაში ყველაფერი თანამედროვე, უახლეს ტექნიკაზეა აგებული. წიგნი, რომლითაც თქვენ დაინტერესდით, შეიძლება, არ ჰქონდეთ, მაგრამ ეს პრობლემა სულაც არ დაგაბრკოლებთ. იქვე, კომპიუტერის მონიტორზე იპოვით სასურველი წიგნის ელექტრონულ ვარიანტს — თუ საჭიროა, ამაში მორიგე ოპერატორი დაგეხმარებათ, — და რამდენიმე წუთში, საშუალება გექნებათ, ეკრანიდან გაეცნოთ, მაგრამ თუ დრო არ გაქვთ და ხანგრძლივი დროით ვერ მიუჯდებით კომპიუტერს, ნებისმიერ ტექსტს ამოგიბეჭდავენ (წიგნადაც აგიკინძავენ). ეს მომსახურება ფასიანია, მაგრამ ხელმისაწვდომიცაა. ერთი სიტყვით, რა გინდა, სულო და გულო! ამერიკული ბიბლიოთეკის „მენიუ" მართლაც შეუდარებელია!..

ბრუკლინის მე-14 ავენიუსა და 37-ე ქუჩის გადაკვეთაზე მდებარე ბიბლიოთეკაში უცხო სტუმარი ნამდვილად არ ვიყავი. საწევროს, თვეში 3 დოლარს, პატიოსნად ვიხდიდი და ბიბლიოთეკის ყოველგვარი სიკეთითაც ვსარგებლობდი. იქაურ თანამშრომლებსაც კარგად ვიცნობდი, განსაკუთრებით კი ქერათმიან გლორიას, რომელიც, როგორც ზემოთ აღვნიშნე, ხშირად მეხმარებოდა ჩემთვის საინტერესო წიგნის მოძებნაში. უფრო მეტიც, ყოველთვის ცდილობდა, ჩემდამი მეტი სითბო გამოეჩინა, ვიდრე სხვა მკითხველებისადმი.

— აკაკი, გამარჯობა! სად გადაიკარგეთ? დიდი ხანია, თქვენთვის თვალი არ მიმიკრავს... — მომხიბვლელად გამიღიმა გლორიამ.

— დაკავებული ვარ, გლორია! თუმცა, დახმარებისთვის ისევ თქვენთან მოვედი... — ვუპასუხე.

— ისევ რუსული სიმღერები გინდა?

— სიმღერებს რა სჯობს, გლორია?! თანაც, მაშინ დაგპირდით და ვერ გიმღერეთ! — გამახსენდა ძველი დანაპირები.

— არც ახლაა გვიან, მე ყოველთვის მზად ვარ, მოგისმინოთ, — ისევ გამიღიმა.

უხერხულ სიტუაციაში აღმოვჩნდი. ახლა ნამდვილად არ მემღერებოდა... მდგომარეობიდან ისევ გლორიამ გამომიყვანა.

— აკაკი, გატყობთ, პრობლემებს შეუწუხებიხართ. მოდით, მითხარით, რით შემიძლია დაგეხმაროთ? მერე კი, როცა ყველაფერი კარგად იქნება, პიკნიკის მოწყობაც შეგვიძლია. იქ მაინც იმღერებთ!..

არა, ეს ქალი ნამდვილად ჩემი კეთილი ფერია იყო.

— გლორია, გულახდილად მითხარით, როგორ ვლაპარაკობ ინგლისურად? გიჭირთ ჩემი გაგება?

— სულაც არა! აქცენტი, ბუნებრივია, გაქვთ, შეცდომებსაც უშვებთ, მაგრამ — ასატან შეცდომებს. რატომ მეკითხებით? — დაეჭვებით მიპასუხა გლორიამ.

— მეც ასე მეგონა, მაგრამ როდესაც კურსებზე ლექტორები ახალ მასალას გვიხსნიან, ბევრ რამეს თითქმის ვიგებ. მინდა, ეს ნაკლი გამოვასწორო...

— რაღაც ვერ გავიგე! ე.ი. თქვენ ამბობთ, რომ ლექციების გაგება გიჭირთ, უფრო სწორად — ცალკეულ სიტყვებს ვერ „იჭერთ", არა?

— დიახ! თანაც, ძალიან ბევრი უცხო სიტყვა და ტერმინია...

— გავიგე, აკაკი! ეშველება ამ პრობლემას. ამერიკულ ინგლისურს ზოგჯერ დიდი ბრიტანეთიდან ჩამოსულებიც კი ძნელად აღიქვამენ. ამას დრო და შეჩვევა სჭირდება. ხოლო რაც შეეხება უცხო სიტყვებსა და ტერმინებს, მაგას სწავლა უნდა! უბრალოდ, სიტყვების მარაგი არ გყოფნით, არა? ისეთ წიგნებს მოგიტანთ, ორ კვირაში პროფესორივით ალაპარაკდებით... — ვუსმენდი მხიარულ ხასიათზე მოსულ გლორიას და საკუთარ ყურებს არ ვუჯერებდი.

— გლორია, გაითვალისწინეთ, რომ განსაკუთრებით, ტექნიკური და სამედიცინო ლექსიკა მიჭირს. ანატომიასაც გვასწავლიან... მაინც ვერ გავიგე, რაში სჭირდება ტრაილერის მძღოლს ანატომიის ცოდნა!..

— კარგი, დამშვიდდით, ყველაფერს ეშველება. ოღონდ, თქვენ არ უნდა დაიზაროთ და ბეჯითად უნდა იმეცადინოთ. წიგნები ჩემზე იყოს! — ამ სიტყვებით გლორია უზარმაზარ წიგნსაცავში გაუჩინარდა. ოცი-ოდ წუთში, მან ორი მოზრდილი, ილუსტრირებული წიგნი და ვიდეოკასეტა მომიტანა.

— აი, აკაკი! გადახედეთ ამ წიგნებს. ერთი — სამედიცინო, ხოლო მეორე — ტექნიკური ტერმინოლოგიის განმარტებითი ლექსიკონია. ამ ვიდეოკასეტაზე კი, ასახულია ამერიკული მეტყველების თავისებურებანი. მჯერა, რომ ყველაფერს გულმოდგინედ შეისწავლით. თუმცა, ვწუხვარ, რომ არ შემიძლია წიგნები გაგატანოთ, ვიდეოკასეტას კი გაგატანთ, ოღონდ, მალე უნდა დააბრუნოთ.

გლორიამ მომიბოდიშა — ახალი მკითხველი მელოდებაო და წავიდა.

დამრჩა ბურთი და მოედანი! გადავფურცლე ერთი შეხედვით „პირქუში" ლექსიკონები და ისე მარტივად და საინტერესოდ იყო შედგენილი, რომ უკეთესს ვერც ინატრებდი. მივხვდი, უნიკალურ გამოცემებთან მქონდა საქმე. ეს წიგნები ნამდვილად დამეხმარებოდა სასურველი შედეგის მიღწევაში. ვიდეოკასეტითაც კმაყოფილი დავრჩი. მასში თავმოყრილი იყო ამერიკული მეტყველების თავისებურებანი. გონებაჩლუნგი უნდა ყოფილიყავი, ამ კასეტის ყურადღებით ნახვის შემდეგ სათანადო დასკვნები რომ არ გამოგეტანა...

მოკლედ, ახლა ყველაფერი ჩემს ნიჭსა და მონდომებაზე იყო დამოკიდებული (თავის ქებად თუ არ ჩამითვლით, მონდომება ნამდვილად არ მაკლდა, ნიჭი კი — ნიჭი ხომ ყველა ქართველს აქვს, თანაც გამორჩეული!).

დავიწყე ყოველდღე ბიბლიოთეკაში სიარული. რამდენიმე საათი ვიქექებოდი ლექსიკონებში. ლექციებზე საგანგებოდ ვინიშნავდი უცხო სიტყვებსა და გამოთქმებს, რომლის განმარტებაშიბაში ხშირად გლორიაც მეხმარებოდა. ვიდეოკასეტასაც ვუყურებდი დროდადრო ბიბლიოთეკაში. შინ მისულიც დიდხანს ვუჯექი ტელევიზორს ჩემი კასეტით. დეიდა სვეტაც არ მიშლიდა ხელს, არც თავისი საყვარელი სერიალების გარეშე დარჩენას მსაყვედურობდა (ამერიკაშიც გატაცებით უყურებენ გულისამაჩუყებელ ტელესერიალებს): ოღონდ შენ იმეცადინე, გამოცდა კარგად ჩაბარე და მეტი არაფერი მინდაო, — ისე მეტყოდა, თითქოს მისი ნებიერი შვილი ვყოფილიყავი. მეც ვცდილობდი, ვალში არ დავრჩენოდი. ერთ რუსულ მაღაზიაში ძველებური, საბჭოთა გიტარა ვიყიდე და ყოველ საღამოს ვუმღეროდი ჩემს მოხუც დიასახლისს შუფუტინსკისა და ბუბა კიკაბიძის სიმღერებს. ზოგჯერ ჩემი რეპერტუარი მხოლოდ ერთი სიმღერით შემოიფარგლებოდა. მაგრამ დეიდა სვეტა მაინც უსაზღვროდ კმაყოფილი იყო.

მოკლედ, ჩემ გარშემო ბოლო პერიოდში განვითარებულმა მოვლენებმა იმედით ამავსო. ისეთი გრძნობა მქონდა, რომ ყოველგვარ ბარიერს გადავლახავდი, არც რაიმე პრობლემა დამრჩებოდა მოუგვარებელი, რადგან ირგვლივ ის ადამიანები მეხვივნენ, ვისაც გული შესტკიოდა ჩემზე...

P.S. ამრიგად, მიუხედავად ბევრი მეცადინეობისა და მუშაობისა, ჩემი ნამდვილი ამერიკული მოგზაურობა ტრაილერით (რომლის მართვის კურსებზეც ახლა დავდიოდი) მხოლოდ ახლა იღებდა სტარტს...

■

სტუდენტური დაჯილდოება სპორტის სასახლეში

უკვე მესამე წელია, უნივერსიტეტის ჟურნალის „სტუდენტური პაემანის“ და მისი რედაქტორის გიორგი მამაცაშვილის თაოსნობით, ქართველი მომღერლების დაჯილდოება იმართება, თბილისის სხვადასხვა უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტების მონაწილეობით. სპორტის სასახლეში გამართულ ცერემონიას, რადიო „ფორტუნას“ დიჯეი, აჩი ფურცელაძე და „პირველი სტერეოს“ წამყვანი, კატო უძღვებოდნენ. ტრადიცია არც ამჯერად დაირღვა და ღონისძიება ერთი საათის დაგვიანებით დაიწყო...

როგორც მოგეხსენებათ, სპორტის სასახლეში ცოცხალი შესრულება ჭირს, ამიტომ სცენაზე მდგარი ოთხივე მიკროფონი, გამორთული იყო და მომღერლებს წამყვანებთან უხდებოდათ საქმის ჩაწყობა, მათი მიკროფონით რომ გადაეხადათ მადლობა ამა თუ იმ ნომინაციაში გამარჯვებისთვის. „წლის აღმოჩენას“ — ბუკა მანაგაძეს მოდელიერმა აბრამ ბაზელმა გადასცა პრიზი და თან საკუთარ აკადემიაში სასწავლებლად მიიწვია. სცენაზე ასასვლელი კიბე იმდენად მოუხერხებელი აღმოჩნდა, რომ მაღალ ქუსლებზე შემდგარი ზოგიერთი ქალბატონის დასახმარებლად, ასასვლელთან სპეციალური გამცილებელი დააყენეს. თუმცა, რა გასაკვირია? „ინტროს“ კლიპის გმირი — „ტრანსპორტო“, შიშველი ფეხებითაც დაგორდა ზემოთ ხსენებულ კიბეზე, თუმცა, ისეთი სახე მიიღო, თითქოს წინასწარ ჰქონდა დაგეგმილი ეს „ტრიუკი“...

სპეციალური პრიზი სტეფანე მღებრიშვილს გადაეცა, მაგრამ მომღერალი დაჯილდოებას არ ესწრებოდა. საპატიო თუ არასაპატიო მიზეზით ვერ მოვიდნენ აგრეთვე დათო ხუჯაძე და „უცნობი“. იმ ნომინაციის დასახელებისას, რომელშიც „უცნობმა“ გაიმარჯვა, წამყვანებს ერთმანეთში ჩხუბიც კი მოუვიდათ: ვერ გაარკვიეს, „ყველაზე საყვარელ“ თუ „ყველასათვის საყვარელ მომღერალ მამაკაცად“ დასახელდა. თუმცა, ამ სიტყვებს შორის განსხვავება კონკრეტულ კონტექსტში არცთუ ისე მნიშვნელოვანი უნდა ყოფილიყო.

მიუხედავად იმისა, რომ ნომინაცია მართლაც ძალიან ბევრი და ზოგიც — გაურკვეველი შინაარსისა იყო, მაყურებლის ძირითადი მასა არ დაღლილა და აქტიურად განაგრძობდა ცეკვას: ნაწილი, ვიღაცის კისერზე იჯდა, ნაწილი — ვიღაცის მხრებზე იდგა, ზოგიც ჰაერში დაფრინავდა. წამყვანები ისე შევიდნენ ცეკვის აზარტში, სცენის კუთხეში მდგარი, პრიზებით სავსე მაგიდა ამოაყირავეს...

პრიზი ნომინაციაში — „წლის დაბრუნება“ რობერტ ბარძიმაშვილმა ლევან ლაზარიშვილს გადასცა. თან დასძინა: ოცი წლის წინ, იმდენჯერ ვკითხე ამ ბიჭს — „არ გეშინია, არ გეშინია?“ — რომ, როგორც ჩანს, მართლა აღარ ეშინია სცენაზე დგომის და ლამპიონებისო... „წლის სიმპათიური ქალი “ — ლელა წურწუმია, ახალი იმიჯით — მოკლედ შეჭრილი თმით წარდგა ჩვენ წინაშე. ვერიკო ტურაშვილს ძალიან ბრჭყვიალა ჯინსის შარვალი ეცვა. ჰო, მართლა, ჯინსზე გამახსენდა — წამყვანებს ქართული ჯინსი ეცვათ და იმდენი იძახეს — ეს ჯინსი ავთო ცქვიტინიძის არისო, — ალბათ მოდელიერს შერცხვა და მისმა წარმომადგენელმა სცენაზევე უსახსოვრა ახალი კოსტიუმები აჩისა და კატოს. „წლის იმედს“ — სალომე გასვიანს, ტელეშოუს — „იმღერე რამეს“ საჩუქარიც ხვდა წილად: დიდი თაიგული და ცელოფნის პარკში ჩადებული გაურკვეველი საჩუქარი, თმამოზრდილმა და წვერმოშვებულმა ბახალამ თავად გადასცა პატარა მომღერალს. პრიზი — „წლის საერთაშორისო აღიარება“ მარიკა თხელიძეს მიანიჭეს.

ზედმეტი ემოციებით აღვსილმა წამყვანებმა პრიზების დაზიანება არ იკმარეს და ახლა მიკროფონებს დაერივნენ. ერთი მიკროფონი სამჯერ წააქციეს. კონცერტის მსვლელობისას, ჩვენმა შოუმენმა იმდენი იყვირა, გრან-პრის გამოცხადების დრო რომ დადგა, ხმა ჩაუწყდა და საშველად გიორგი მამაცაშვილს მოუხმო სცენაზე. პირველად საქართველოში, გრან-პრი სამად გაიყო — ის ლელა წურწუმიას, თემურ თათარაშვილსა და მერაბ სეფაშვილს ხვდათ წილად.

■

ლევან ლაზარიშვილი „ჩუმად წავიდა“

ლევან ლაზარიშვილმა ახალ სიმღერაზე დაასრულა მუშაობა. ეს სიმღერა მით უფრო საინტერესოა, რომ სრულიად განსხვავდება ლევანის, აქამდე ცნობილი რეპერტუარისგან — როკ-ბალადის ჟანრისაა და ცოცხალ ინსტრუმენტულ თანხლებას ითვალისწინებს. ამჯერად, ლევანი მარტო არ იმღერებს: რამდენიმე ხნის წინ, მან შექმნა სამკაციანი ჯგუფი, რომელსაც ამიერიდან, ლევანთან ერთად ვიხილავთ სცენაზე. ჯგუფში ის თავად, ერთადერთი ვოკალისტია.

ახალი სიმღერის მუსიკისა და ტექსტის ავტორი მანუჩარ მანჯავიძე გახლავთ. სიმღერა დიდი ხნის წინ დაიწერა, მაგრამ აქამდე, მივიწყებული და „თაროზე შემოდებული“, ჯერ არსად აჟღერებულა. როგორც თავად ლევანმა აღნიშნა, სიმღერას ცოტა არ იყოს, უჩვეულო სახელი აქვს — „ჩუმად წავიდა“. ის უკვე მზადაა, მაგრამ ჯგუფი თავს იკავებს რადიოეთერით მისი გაშვებისგან მანამდე, სანამ კლიპს არ გადაიღებენ. კლიპის სცენარი უკვე დაწერილია, მის რეჟისურას თამუნა სულამანიძე იკისრებს. აქვე აღვნიშნავთ, რომ ჯგუფს არავინ აფინანსებს.

ამასთანავე, „ფაივ ლაინს პროდაქშენის“ დატოვების შემდეგ, ლევანი „არტ-იმედში“ გაერთიანებაზე ფიქრობს. კონკრეტულად ჯერ არაფერს ამბობს, მაგრამ იმასაც არ მალავს, რომ მოლაპარაკებები უკვე მიმდინარეობს.

■

უაინონა რაიდერი სასამართლომ დამნაშავედ ცნო

ჰოლივუდის ვარსკვლავი, უაინონა რაიდერი, ნაფიც მსაჯულთა სასამართლომ 5.650 დოლარის ღირებულების ნივთების ქურდობაში დამნაშავედ ცნო.

ბრალის დამადასტურებელ მტკიცებულებად ნაფიც მსაჯულებს წარუდგინეს ვიდეოკასეტა, სადაც გადაღებულია, თუ როგორ გადაადგილდება მსახიობი უნივერმაღის დახლებს შორის ფასგადაუხდელი საქონლით. როცა დაცვის სამსახურის თანამშრომლებმა რაიდერი დააკავეს, მან განაცხდა, რომ საკუთარი პროდიუსერის რჩევით მოიქცა ასე, რათა მომავალი ფილმისთვის რეპეტიცია გაევლო, სადაც მას ქურდის როლი უნდა შეესრულებინა.

ჩადენილი დანაშაულისთვის რაიდერს 5 წლამდე თავისუფლების აღკვეთა ემუქრება. ა.წ. 5 დეკემბერს გაიმართება სხდომა, რომელზეც სასამართლო სასჯელის ზომას განუსაზღვრავს მსახიობს. შესაძლოა, უაინონამ ციხეს თავი დააღწიოს. ამის ნაცვლად, მას შეთავაზებული პროგრამის საფუძველზე, საზოგადოებრივ საწყისებზე მუშაობა მოუწევს. შექმნილი სიტუაციის გათვალისწინებით, პრესა საზოგადოებას ამ სკანდალური საქმის ამგვარი გადაწყვეტისათვის უკვე ამზადებს.

მასალებში, სადაც ნაფიც მსაჯულთა სასამართლო გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, არის აბზაცი, რომ 1993 წელს რაიდერის მშობლიურ ქალაქში, პეტალუმაში მოხდა დანაშაული, ბოროტმოქმედმა მოიტაცა და შემდეგ სიცოცხლეს გამოასალმა 12 წლის გოგონა, უაინონამ კი მის დასაჭერად ჯილდოდ 200 ათასი დოლარი დააწესა. ■

„ასლა ემინემის დრეა!“

„გზის“ მკითხველებისათვის ემინემის ბოლო ხანებში მიღწეული წარმატებების შესახებ უკვე მრავალი რამ არის ცნობილი. MTV Europe-ის დაჯილდოების ცერემონიაზე მან სამ ნომინაციაში – საუკეთესო არტისტის, ჰიპ-ჰოპის საუკეთესო შემსრულებლისა და საუკეთესო ალბომის ავტორის პრემიები მოიპოვა. დღესდღეობით იგი ერთ-ერთი ყველაზე მაღალანაზღაურებადი არტისტია. ამას წინათ, მისი მონაწილეობით გამოსული ფილმი – „რვა მილი“ ჩარტებს სათავეში მოექცა, ხოლო სურათში გაჟღერებული საუნდთრეკი ჰიტ-აღლუმების მოწინავე პოზიციას ინარჩუნებს. მისი ბოლო ალბომის 508000 ეგზემპლარია გაყიდული. ემინემი ნელ-ნელა, მაგრამ მტკიცედ იმკვიდრებს ამერიკის ყველაზე პოპულარული მუსიკოსის ადგილს. უდიდესი წარმატებების მიუხედავად, თეთრკანიანი რეპერი საოცრად აგრესიული გამოხდომებით გამოირჩევა. აგრესია და ირონია, მისი ხასიათის განუყრელი თვისებებია. მას ძალზე ხიბლავს სხვა ცნობილი ადამიანების სიმღერებში გაკილვა და მუსიკოსების მისამართით გამოთქმული უტაქტო კომენტარებისგანაც არასოდეს იკავებს თავს. MTV Video Awards-ის ცერემონიაზე მან მობის, პირდაპირ სცენიდან, ელექტრონული მუსიკის გურუ უწოდა, „ჩემო გოგონას“ ეპითეტითაც შეამკო და ცემითაც დაემუქრა. მობი ბუდისტია და ამასთან, ინგლისელთა უმრავლესობის მსგავსად, კორექტულობითაც გამოირჩევა. მან თავის მხრივ, გაკვირვება გამოთქვა გამოხდომაზე და აღნიშნა, რომ იგი ყოველთვის პატივისცემით ეპყრობოდა ემინემს. „შესაძლოა, ემინემი შეცდა: როცა იგი სცენაზე ავიდა, დარბაზში სტვენა გაისმა. შეიძლება რეპერს ეგონა, რომ სწორედ მობი უსტვენდა“, – იტყობინება სააგენტო. თუმცა, ეს განმარტება საკმარისი მაინც არ არის იმის ასახსნელად, თუ რატომ დააქვს ემინემს წითელ სპორტულ კოსტიუმში გამოწყობილი თოჯინა – „მობი“ გასტროლებზე. ერთ-ერთ თავის სიმღერაში კი, ემინემი მერაია ქერის – მისი ყოფილი გელფრენდის შესახებ ასეთ რამეს ამბობს: „ჰეი, მერაია, ქალები მიდიან და მოდიან, ასე იყო ყოველთვის. შენ რა, ჩემი ცოლობა ხომ არ გსურდა? შენთან კვლავ შეხვედრას, ისევ წამალზე „შეჯდომა“ მირჩევნია!“ ■

ათლეტი ისეთივე მედნიერია, როგორიც უმიწოების დაკარგვის ქამს

მეთ დეიმონმა, ბენ აფლეკის გულითადმა მეგობარმა, რომელთანაც ბოლო ხანს, ცოტა არ იყოს, ურთიერთობები გაუფუჭდა, აფლეკისა და ჯენიფერ ლოპესის რომანის თაობაზე კომენტარი გააკეთა. დეიმონმა არა მარტო დაადასტურა მათი დანიშვნის ინფორმაცია, არამედ დასძინა, რომ თავისებურად თავადაც აკურთხა ეს კავშირი. ტელეშოუ – „ექსტრაში“ გამოსვლისას მან განაცხადა, რომ რომ საკუთარი მეგობარი ასეთი ბედნიერი არასოდეს უნახავს; მაშინაც კი, როცა მან უბიწოება დაკარგა, ასეთი ბედნიერი არ ყოფილაო. ■

რასელ ქროუმ ლონდონის რესტორანში იჩხუბა

გაზეთ „სანში“ გამოქვეყნებული ინფორმაციის მიხედვით, ცნობილი მსახიობი რასელ ქროუ ახალზელანდიელ გავლენიან ბიზნესმენს – ერიკ უოტსონს ეჩხუბა. ერთ-ერთი თვითმხილველის თქმით, მსახიობის მცველი ხმაურზე რესტორანში შევარდა და იატაკზე დაგდებული ქროუ დაინახა, რომელსაც ზევიდან ვიღაც ეჯდა და გამეტებით ურტყამდა. თვითმხილველმა ისიც დასძინა, რომ უოტსონმა, რომელიც ახალი ზელანდიის ერთ-ერთი უმდიდრესი ადამიანია, საკმაოდ იოლად დაჯაბნა ქროუ. როცა პოლიცია შემთხვევის ადგილზე მივიდა, სიტუაცია უკვე ნორმალიზებული იყო. სკოტლენდ-იარდის წარმომადგენლის თქმით, ბრალი არავისთვის წაუყენებიათ. შესაბამისად, გამოძიებაც არ ჩატარდება. ■

ᲗᲚᲘᲠᲢᲘᲡ ᲛᲝᲪᲕᲐᲠᲣᲚᲘ ᲯᲔᲜᲘᲤᲔᲠ ᲙᲝᲜᲔᲚᲘ

მიუხედავად იმისა, რომ ბრიტანელმა აქტიორმა პოლ ბეტანიმ და ამერიკელმა მსახიობმა ჯენიფერ კონელიმ (მიღებული აქვს „ოსკარი“ მეორესარისხოვანი როლისათვის ფილმში – „ბრწყინვალე გონება“) საკუთარი ნიშნობის გეგმების შესახებ ხმამაღლა განაცხადეს, ბეტანის მეგობრები და ახლობლები ურჩევენ, რომ თვალი არ მოაცილოს თავის საცოლეს. ჯენიფერს ფლირტის საოცრად მოყვარული ქალბატონის სახელი აქვს გავარდნილი და ისიც ცნობილია, რომ მას არაერთგზის მოუტყუებია საკუთარი ბოი-ფრენდები. საკმარისია, ჯენიფერს შეყვარებულის მხრიდან ყურადღება ოდნავ მოაკლდეს, რომ იგი მაშინვე მორიგ კანდიდატთან ინაცვლებს. როცა კონელი ჯერ კიდევ 19 წლის იყო, მან ჯონ ჯონსონისა და მელანი გრიფიტის ოჯახის დანგრევა მოახერხა. ფილმის „ცხელი ადგილის“ გადაღებებისას მან ისე ღიად გააჩაღა რომანი ჯონსონთან, რომ გრიფიტს ოჯახის დანგრევის გარდა, სხვა არჩევანი აღარ დაუტოვა. 2000 წელს, როცა ბეტანისთან შეხვედრები დაიწყო, ჯენიფერმა მაშინდელ ბოი-ფრენდს – ჯოშ ჩარლზს (ტელეპროგრამის – „საღამოები სპორტთან ერთად“ ვარსკვლავი) უღალატა. თუმცა, იმასაც ამბობენ, რომ კონელი „გამოსწორდა“ და ბედნიერებას ბეტანისთან ქორწინებაში ეძებს.

■

ᲥᲔᲘᲗ ᲛᲝᲡᲘ ᲗᲠᲝᲘᲓᲡ 4 ᲛᲘᲚᲘᲝᲜᲡ ᲡᲗᲐᲕᲐᲖᲝᲛᲡ

ქეით მოსი, ცოტა ხნის წინ დედა გახდა. მას გოგონა – ლოლა შეეძინა, რომელიც მოდელის 22-მილიონიანი ქონების პირდაპირი მემკვიდრეა. თუმცა, ეს თანხა მალე შეიძლება შემცირდეს, რადგან ქეითს გამოუთქვამს სურვილი, მხატვარ ლუსიენ ფროიდისაგან შეიძინოს თავისი პორტრეტი, რომლის შესაქმნელად, ორსულობისას, შიშვლად პოზირებდა. მოდელის ერთ-ერთი მეგობარი ამბობს: „ქეითს თავისი უამრავი სურათი აქვს, მაგრამ მას მიაჩნია, რომ მხოლოდ ფროიდმა მოახერხა, მისი მთავარი ნიშან-თვისების დაჭერა“. დასავლეთში საკმაოდ პოპულარული მხატვრისთვის მის მიერ შექმნილ ტილოში ქეით მოსს 4 მლნ დოლარი შეუთავაზებია. თუ ფროიდი მის წინადადებას მიიღებს, ყიდვა-გაყიდვის ოპერაცია სპეციალური სააგენტოს მეშვეობით განხორციელდება. მანამდე კი, საკუთარი სააგენტოს ოფისში, დახურული ჩვენებების დარბაზში ინახება. ზოგიერთი მნახველის მიერ გამოთქმულ აზრს თუ დავუჯერებთ, ქეითს ამ ტილოს შესაძენად უფრო დიდი თანხის გადახდაც რომ მოუხდეს, უნდა უღირდეს: მათ მიაჩნიათ, რომ თუ მოდელმა ამას მიაღწია, უპირველესად საიმისოდ უნდა გამოიყენოს, რომ არასოდეს აღარავის ანახვოს...

■

ᲛᲔᲜᲡᲝᲜᲡ ᲙᲐᲗᲝᲚᲘᲙᲔᲑᲘᲡ ᲠᲘᲡᲮᲕᲐ ᲓᲐᲐᲤᲣᲫᲐ ᲗᲐᲕᲡ



ბრიტანეთის კონსერვატიული კათოლიკეების ორგანიზაციის რისხვა მერილინ მენსონს თავს დაატყდა. მათ იგი ადოლფ ჰიტლერს შეადარეს და ეშმაკთან კავშირშიც დაადანაშაულეს. „მისი სიმღერების ტექსტების ზედაპირული გაცნობაც კი საკმარისია, რომ მიხვდე, მის სიმღერებს ჰიტლერის Mein kampf უდევს საფუძვლად – გამოქვეყნებულია ორგანიზაციის ოფიციალურ საიტზე. – ჩვენ არ გაგვიკვირდება, თუკი შევიტყობთ, რომ მომღერალი ჰიტლერის სულის გამოსაძახებლად სატანისტურ რიტუალებს ატარებდა. მენსონი საკონცერტო გამოსვლებისას ფაშისტების დემაგოგის მსგავსად, სამწყოსაგან აბსოლუტურ ერთგულებასა და მორჩილებას მოითხოვს“. საიტის ბოლოში, მებრძოლმა კათოლიკეებმა მენსონი ჰიტლერის სახით გამოსახეს: „ეს ფოტო დაანახვებს ბავშვებს, რა არის ნაციზმის ბოროტება და გაარკვევს მათ, ვინ დგას ბოროტების მხარეს“.

■

ᲔᲚᲢᲝᲜ ᲯᲝᲜᲘ ᲡᲐᲗᲕᲐᲚᲔᲔᲑᲘᲡ ᲙᲝᲚᲔᲥᲪᲘᲐᲡ ᲪᲘᲓᲘᲡ

სერ ელტონ ჯონი თავისი სათვალეების კოლექციას აუქციონზე მას შემდეგ გაიტანს, როცა მომავალ წელს მხედველობის კორექციის მიზნით, ლაზერული თერაპიის კურსს ჩაიტარებს. ოთხი ათასი სათვალის მფლობელმა მომღერალმა, ფრენკ სკინერის შოუზე განაცხადა, რომ ქირურგიული ოპერაცია 2003 წლის თებერვლისთვისაა დაგეგმილი. თავისი პირველი სათვალეების შესახებ საუბრისას, პოპ-კერპმა დაიჩივლა, რომ უხსოვარ დროში „ოპტიკის“ მაღაზიებში არჩევანის გაკეთება, მხოლოდ ორი-სამი წარმოდგენილი ეგზემპლარიდან იყო შესაძლებელი – „ეს იყო ან კუს ბაკნის ჩარჩო, ან მრგვალი ფორმის ჩარჩო, ისეთი, როგორსაც ჯონ ლენონი

ატარებდა, მაგრამ ახლა თქვენ ყველას შეგიძლიათ, არჩევანი ჩემს საყვარელ სათვალეებზე შეაჩეროთ“. შეგახსენებთ, რომ მომღერალს არაერთხელ მოუწყვია მსგავსი აუქციონები, სადაც საკუთარ კოსტიუმებს ყიდდა ხოლმე. უკანასკნელად მოწყობილი საჯარო ვაჭრობისას აღებული თანხა, 400 ათას გირვანქა სტერლინგს შეადგენდა, რომელიც ელტონ ჯონმა შიდსის წინააღმდეგ ბრძოლის ფონდში გადარიცხა. სერ ელტონ ჯონის სათვალეების უმეტესობა, საკონცერტო ვარიანტის სტილშია შექმნილი და ფერადოვნებითა და ორიგინალური დიზაინით გამოირჩევა. ერთ-ერთ ინტერვიუში მან ისიც აღნიშნა, რომ მთელი ამ წლების განმავლობაში, მას დაახლოებით 20 ათასი სათვალე აქვს შეძენილი, მათ შორის მინასაწმენდიანი, ისეთი როგორიც ავტომობილებს აქვს.

■

რუბრიკა მოამზადა ნანა ცომაიამ

სიყვარული აქ აღარ სუფევს

საზოგადოებაში უფრო ხშირად საუბარია მამაკაცების ღალატზე და უფრო იშვიათად ქალებისაზე, თუმცა ამ რიცხვის ზუსტად დადგენა, დამეთანხმებით, შეუძლებელია. ფსიქოლოგები შეეცადნენ, გაერკვიათ ორივე სქესის ღალატის გამომწვევი მიზეზები. აი, რა შედეგები მიიღეს ამერიკელმა მკვლევარებმა...

თავდაპირველად, მოგახსენებთ იმ ფაქტორებზე, რომლიც შესაძლოა, განსაზღვრავს ქალების საიდუმლო რომანებისაკენ ლტოლვას.

რატომ ღალატობენ ქალები?

მხოლოდ და მხოლოდ შანსი. მკვლევარების აზრით, აკრძალული ხილის ფაქტორი უმთავრესია. როცა ქალს ეძლევა ამის შანსი, ის ასიდან ორმოც შემთხვევაში იყენებს მას. ასე რომ, გათხოვილი ქალის შეცდენა არც ისე ძნელია, როგორც ეს ერთი შეხედვით ჩანს. ამისათვის კი ხელსაყრელი შემთხვევაა საჭირო.

სამსახური. ყველაზე ხელსაყრელი შანსი რომანის გასაჩაღებლად ქალს ეძლევა ოფისში, სადაც უამრავი მომხიბლავი მამაკაცი მუშაობს. მომუშავე ქალებს ცოდვის ჩადენის უფრო მეტი შანსი აქვთ, ვიდრე მათ, ვინც სახლში ზის. არ შეიძლება იმის თქმა, რომ ყველა მომუშავე ქალი ღალატობს ქმარს, უბრალოდ, აქ საუბარია იმაზე, რომ ასეთი ქალები ყოველგვარი ეჭვის გამოწვევის გარეშე მოახერხებენ ამას. დადგენილია, რომ სამსახურებრივი რომანების ნახევარი, სწორედ გათხოვილ ქალებზე მოდის. საშუალოდ, სტატისტიკის მიხედვით, ერთმა მესამედმა საყვარელი სწორედ სამსახურში გაიჩინა.

როცა მშობლები ქორწინებაში ერთგულები არ არიან. ფსიქიატრების, ფიზიოლოგებისა და ფსიქოლოგების აზრით, შეინიშნება მკვეთრი ტენდენცია, წამოზრდილი შვილების მიერ, „ოჯახური ტრადიციის" გაგრძელებისა. თუ ბავშვისთვის რომელიმე მშობლის ღალატის შესახებ ცნობილია, სრულიად ბუნებრივია, მან გააკეთოს დასკვნა, რომ ქორწინებაში ერთგულების შენარჩუნება აუცილებელი არ არის.

ქალი სექსის ინიციატორი. სოციოლოგები მიიჩნევენ, რომ თუ ქალი შინ სექსის ინიციატორად გვევლინება, უმეტეს შემთხვევაში ასეთი ქალი მიდრეკილია ღალატისაკენ. ეს ტენდენცია განსაკუთრებით გამოკვეთილად 40 წელს მიღწეულ ქალებში შეინიშნება.

ღალატის გამართლება. ქალები საკუთარ ღალატს ამართლებენ: თუ ქორწინებაში არ გრძნობენ თავს ბედნიერად, თუ ხანგრძლივად უწევთ ქმართან განშორება; თუ სექსუალურად დაუკმაყოფილებლები არიან და ა.შ. ასეთ შემთხვევებში ქალები საკუთარი ქმედების „კანონიერ" გამართლებას პოულობენ.

ღალატის მაგალითი. მეგობარი გოგონას (ქალის) ღალატი, შესაძლოა, მაგალითი აღმოჩნდეს. რაც უფრო ფართოა ქალის ნაცნობების წრე, მით უფრო მეტი მეგობარი შეიძლება ჰყავდეს, რომელიც ქმარს ასევე ღალატობს.

დიდი ქალაქი – მეტი შესაძლებლობები. იქ, სადაც ერთმანეთს არავინ იცნობს, უფრო ადვილია რომანის გაჩაღებაც და რაც უფრო მნიშვნელოვანია, მისი დაფარვაც. პატარა ქალაქებში ამის შესაძლებლობა ნაკლებადაა.

ქალი – ოჯახის თავი. ქალს, როცა მას ოჯახში წამყვანი როლი აკისრია, უფრო მეტი შანსი აქვს უკანონო კავშირისა. ასეთ ქალებს უფრო მეტი ინიციატივა აქვთ, ვიდრე ქმარზე დამოკიდებულებს და რაღა თქმა უნდა, მეტად თავდაჯერებულები არიან და მომავალიც არ აკრთობთ.

ქმარს უფრო მეტად უყვარს ცოლი. ხშირ შემთხვევაში, პარტნიორი, რომელსაც ნაკლებად უყვარს, ნაკლებად დამოკიდებულიცაა, ამიტომ საკუთარი ქორწინებით ის უფრო იოლად რისკავს. ეს ეხებათ იმ ქალებსაც, რომლებსაც არ უყვართ თავიანთი ქმრები და მხოლოდ ანგარებთი დაქორწინდნენ.

ახალგაზრდები უფრო ხშირად ღალატობენ. სოციოლოგებმა დაადგინეს, რომ მეუღლეთა ღალატის მეტი წილი, 26-30 წლის ქალების ჯგუფზე მოდის. უკანასკნელი წლების გამოკვლევებმა ცხადყო, რომ ახალგაზრდა ცოლები უფრო ხშირად ღალატობენ, ვიდრე ახალგაზრდა ქმრები. იმ ქალთა ოჯახები, რომლებიც ახალგაზრდობაშივე იჩენენ საყვარელს, ხშირად ინგრევა. საერთოდ, ახალგაზრდა ცოლები ქმრებსაც უფრო ხშირად ღალატობენ და ოჯახსაც უფრო ხშირად ანგრევენ, ვიდრე მოწიფული ქალები.

ორმოცი წლის ასაკის ქალები. ქალები უფრო ხშირად 30-დან 40 წლამდე ღალატობენ ქმრებს. საშუალო და ყველაზე ტიპური ასაკი ამისათვის 35 წელია. ქალისათვის ეს მეტ-ნაკლებად „საში-ში" ასაკია.

ქორწინებამდელი დიდი სექსუალური გამოცდილება. სექსოლოგმა მკვლევარებმა დაადგინეს, რომ არსებობს პირდაპირი კავშირი ქორწინებამდელ დიდ სექსუალურ გამოცდილებასა და ქმრის ღალატს შორის: რაც უფრო გამოცდილია ქალი, ღალატის მით მეტი შანსი არსებობს.

განათლება. მკვლევართა აზრით, ქალები, რომლებიც განათლების საერთო დონით ქმრებზე აღმატებულები არიან, უფრო ხშირად ღალატობენ მეუღლეებს და უფრო მეტი უკანონო კავშირებიც აქვთ. რაც უფრო განსხვავებულია განათლების დონე (ქალის სასარგებლოდ), მით მეტი შანსი არსებობს მისი მხრიდან ღალატისა.

კრიტიკული პერიოდი ან შიდგლობის ხანა. ასეთ დროს ზოგი ქალი ვარცხნილობას იცვლის, აახლებს გარდერობს, ზოგიერთი კი მრავალფეროვნებისათვის საყვარელს იჩენს.

ხშირი განშორებები. ხშირი მივლინებები, არანორმირებული სამუშაო დღე, ცოლ-ქმრის სხვადასხვა ცვლაში მუშაობა, გვერდზე გაჩაღებული რომანების ალბათობას ზრდის. მკვლევარებმა დაადგინეს, რომ წყვილს, რომელიც ცალ-ცალკე ატარებს შვებულებას, უკანონო კავშირები 20 პროცენტით ხშირად აქვს, ვიდრე სხვებს.

ხანგრძლივი მეგობრობა მამაკაცთან. ძალზე ხშირად, უკანონო კავშირი ქალსა და მამაკაცს შორის მათი მეგობრობით იწყება, რომელიც თანდათან მყარ, ემოციურ დამოკიდებულებად ტრანსფორმირდება.

მართალია, ღალატის მიზეზები ძალზე მრავალფეროვანია, მაგრამ ყოველი მათგანი ინდივიდუალურია, ისევე როგორც ინდივიდუალურია, ნებისმიერი ქალი თუ მამაკაცი. ჩვენ მხოლოდ რამდენიმე საერთო მიზეზი განვიხილეთ. ბუნებრივია, არ შეიძლება ვიფიქროთ, რომ ზემოთ მოყვანილი ამა თუ იმ პრობლემის არსებობისას, ქალი აუცილებლად უღალატებს ქმარს. ეს ასე არ არის. თუ ქალს არ სურს, რომ მას უღალატონ, იგი თავადაც არასოდეს უღალატებს ქმარს.

რატომ ღალატობენ ქმრები?

ამერიკელმა ფსიქოლოგებმა დაადგინეს მამაკაცთა ღალატის მიზეზები. მათ შორის – უმთავრესია:

სექსის მოთხოვნილება. ქალების უმრავლესობა მიიჩნევს, რომ მეუღლის ვალდებულება მხოლოდ მამაკაცმა უნდა შეასრულოს. სინამდვილეში ეს ასე როდია, გაიხსენეთ, თავად რამდენჯერ გითქვამთ...

ეგოიზმი. მეორე ადგილზე – ჩვეულებრივი ეგოიზმია. ასეთი მამაკაცები ყველაფერთან ერთად, ცოლთან სექსუალური ურთიერთობისას ზანტები და ზარმაცები არიან და ნაკლებად მომთხოვნ ქალებს ეძებენ.

მოწყენილობა. ეს მიზეზი მესამე ადგილზეა.

ხელსაყრელი შემთხვევა. რატომღაც, შემთხვევის წყალობით მოვლენილ პარტნიორებს, მამაკაცები არ აფასებენ.

შურისძიება ცოლზე. „უსამართლობაზე“ ერთ-ერთი საპასუხო რეაქციის ტიპი.

თავგადასავალი. ზოგიერთს უყვარს, როცა სისხლში ადრენალინი ჭარბად გამოეყოფა.

ცოლის ავადმყოფობა ან ფეხმძიმობა.

საპასუხო ქმედება...

ძველი სიყვარული. ყოფილი საყვარელი, რომელიც რატომღაც ჯერაც არ გადაგიყვარებიათ, საწოლში გიხმობთ, თქვენ კი უარის თქმა გეუხერხულებათ...

საზოგადოდ სწორია შეხედულება, როცა ერთ-ერთი პარნიორის ღალატში ორივე მხარეა დამნაშავე. დაფიქრდით ამაზე...

შესანიშნავი ხუთი რჩევა მეუღლეებს

ოჯახური თერაპიის ამერიკელმა სპეციალისტმა უილიარდ ჰარლიმ, საკუთარი სამუშაო გამოცდილების საფუძველზე ჩამოაყალიბა ცოლისა და ქმრის უმთავრესი მოთხოვნილებები, რომლის დაკმაყოფილების შემთხვევაშიც, წყვილს ბედნიერი კავშირი თითქმის გარანტირებული ექნება. შესაძლოა, ოჯახურ იდეალთან მიახლოებაში ეს რჩევები თქვენც დაგეხმაროთ. ყოველ ქმარს შეუძლია, გახდეს იდეალური საკუთარი ცოლისათვის, თუკი მისი ხუთი ძირითადი მოთხოვნის დაკმაყოფილებას შეძლებს:

სინაზე. მნიშვნელოვანია, რომ ქმარი ყოველ ხელსაყრელ შემთხვევაში ნაზად ეხვეოდეს და კოცნიდეს ცოლს.

პირადი საუბრები. საზოგადოდ, თქვენს შეგრძნებებსა და გრძნობებზე საუბარი ცოლთან აუცილებელია. ეს საუბრები თქვენ მიერ მისი გაგების სურვილის გამოხატულებას წარმოადგენს.

გულწრფელობა და გულახდილობა. მეუღლე არ დაუმალავს ცოლს თავის საწუხარს.

ფინანსური მხარდაჭერა. თუ ქმრის შემოსავალი ოჯახის უზრუნველსაყოფად საკმარისი არაა, იგი თვითგვემისა და საკუთარი თავის დადანაშაულების გზას კი არ ადგება, არამედ შემოსავლის გაზრდას კონკრეტული საქმიანობით ცდილობს, მაგალითად, იღრმავებს ცოდნას, იმაღლებს პროფესიონალიზმს და ა.შ.

ოჯახის ერთგულება. მამაკაცი საკუთარ ოჯახს პირველ ადგილზე აყენებს. ბავშვების გონებრივად და ზნეობრივად განსავითარებლად იგი დროსა და ძალისხმევას არ იშურებს. თამაშობს ბავშვებთან, ესაუბრება მათ ცხოვრებაზე, მათთან ერთად ერთობა სპორტით და გაჰყავს ბუნებაში.

ქმრის ხუთი მოთხოვნა, რომელიც უნდა დააკმაყოფილოს ცოლმა:

სექსუალური სურვილები: ცოლი უნდა ეცადოს, რომ ქმრისთვის იდეალური სექსუალური პარტნიორი იყოს.

ერთად დასვენება და გართობა. ცოლმა უნდა იცოდეს, რა ინტერესები აქვს მის მეუღლეს და ამ სფეროში საკმაოდ ღრმად გარკვევა შეძლოს.

იყავით მისი ცხოვრების მომხიბვლელი თანამგზავრი. ყოველთვის ეცადეთ, რომ იყოთ მიმზიდველი, რათა მან იამაყოს თქვენით; მაშინაც, როცა მარტონი ხართ და მაშინაც, როცა საზოგადოებაში იმყოფებით.

შექმენით ოჯახური სიმყუდროვე. ოჯახში მშვიდობიანი და წყნარი ატმოსფერო შექმენით. ეს ქმარს საშუალებას მისცემს საღამოები და დასვენების დღეები ცოლ-შვილთან ერთად გაატაროს.

აღიარეთ ქმრის მიღწევები. გამოხატეთ თქვენი აღტაცება მისი მიღწევებით.

და უკანასკნელი. თქვენ იდეალური მეუღლეობის პრეტენზია მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა გქონდეთ, თუ ზემოთ ჩამოთვლილ თვისებათა „მოზომება“, ჯერ საკუთარი თავით დაიწყეთ და არა პარტნიორით. ■

ისევ გრიპზე

რუბრიკას უძღვება ექიმი
თამარ მამაცაშვილი

სტატისტიკა

მიმდინარე წლის აგვისტოდან მადაგასკარზე დაიწყო გრიპის ეპიდემია — ერთდროულად 7 ათასამდე ადამიანი დაავადდა. ამჟამად ეს ციფრი 12 ათასს აღწევს. მაღალია სიკვდილიანობა — 444 ადამიანი. ამერიკელებმა ეპიდემიის ადგილზე გააგზავნეს ავადობის კონტროლის ცენტრის ექსპედიცია. გამოყოფილი იქნა A გრიპის ვირუსი, ქვეტიპი — H3N2. ეს იმას ნიშნავს, რომ რაიმე განსაკუთრებულ მოულოდნელობებს არ უნდა ველოდოთ.

რა იქნება ჩვენთან

ეპიდემიოლოგთა ვარაუდით, წელს ეპიდემია შედარებით მოკრძალებული იქნება. დაიწყება დეკემბერ-იანვარში და მარტის დასაწყისისათვის შეწყდება. თუმცა ეს პერსპექტივა სულაც არ გვამშვიდებს, თუ დაავადებულთა ადგილას საკუთარ ახლობლებს წარმოვიდგენთ.

ვის სჭირდება ვაქცინაცია

რამდენიმე წლის წინ ვაქცინაციის ტაქტიკა ასეთი იყო — უცრიდნენ ყველას, გარდა ქრონიკული დაავადების მქონე პაციენტებისა. ამჟამად ეს მიდგომა შეიცვალა: აცრა სასურველია, „რისკის ჯგუფში“ შემავალი ყველა ადამიანისათვის. ასეთები კი არიან: ბავშვები, მოზარდები, მოხუცები, ქრონიკული დაავადების მქონე პირები, მასწავლებლები, ექიმები, ტრანსპორტის და მომსახურების სფეროს მუშაკები.

დასახელება	ქვეყანა	შეყვანის მეთოდი
ცოცხალი გრიპის ვაქცინა	რუსეთი	ცხვირში შესაფრქვევად
ინაქტივირებული ვაქცინა	რუსეთი	კანქვეშ
გრიპოლი	რუსეთი	კუნთებში
ფლუარიქსი	ბელგია	კუნთებში
ინფლუვაკი	ნიდერლანდები	კუნთებში
ბეგრივაკი	გერმანია	კუნთებში
ვაკსიკგრიპი	საფრანგეთი	კუნთებში

ცოცხალი ვაქცინა ცხვირიდან შეიყვანება ორგანიზმში. ერთადერთი უხერხულობა ის არის, რომ სამი კვირის შემდეგ საჭიროა ვაქცინაციის გამეორება. ცოცხალი ვაქცინა შედგება ცოცხალი, მაგრამ დასუსტებული ვირუსებისაგან. ის ცხვირში გროვდება, მაგრამ დაავადებას არ იწვევს. თუ იმუნიტეტი უკვე გაქვთ, ვირუსები მალე კვდება, ხოლო თუ იმუნიტეტი არ გაქვთ, მაშინ დასუსტებულ ვირუსთან ბრძოლაში თქვენი ორგანიზმი მას გამოიმუშავებს.

დახოცილი (ინაქტივირებული) ვაქცინა კეთდება ინიექციით ერთჯერადად. ორგანიზმში მოხვედრილი მკვდარი ვირუსი ვერ მრავლდება, თუმცა მისი ანტიგენი (უცხო ცილა) იწვევს იმუნური (თავდაცვითი) რეაქციების გაღვიძებას ორგანიზმში და ყალიბდება იმუნიტეტი.

ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაცია ყველა ქვეყნის მედიკოსებს ურჩევს აცრის არაინიექციურ მეთოდზე გადასვლას, თუმცა, ჯერჯერობით თითქმის ყველგან ისევ ინიექციის მეთოდს იყენებენ.

თუ არ აიცრით და ეპიდემია დაიწყება...

შეგიძლიათ ჩაიტაროთ პროფილაქტიკა შემდეგი პრეპარატებით: რემანტადინი, არბიდოლი, ამიქსინი, დიბაზოლი, იმუნალი.

რემანტადინი და არბიდოლი გრიპის სამკურნალოც არის და პროფილატიკურიც, თუ ოჯახის წევრს გრიპი დაემართება, დაიწყეთ ერთ-ერთი მათგანის მიღება 1 აბი დღეში, 2-3 კვირის განმავლობაში.

ამიქსინი, დიბაზოლი და ჰომეოპათიური საშუალებები მოქმედებს არა ვირუსზე, არამედ იმუნიტეტზე — ამაღლებს მას. ეს პრეპარატები გამოდგება პროფილატიკისათვის და არა სამკურნალოდ. მათი მიღება საჭიროა ეპიდემიის დაწყებამდე. რამდენიმე კურსი გააძლიერებს თქვენი ორგანიზმის დაცვის უნარს.

ეს უნდა იცოდეთ

თუ გრიპის მკურნალობას პირველივე დღიდან დაიწყებთ, სამ დღეში გაგიუმჯობესდებათ მდგომარეობა, ხოლო თუ დაგვიანებით მიხედავთ თავს, მაშინ გრიპიც სამ კვირამდე გახანგრძლივდება და შესაძლოა, მთელი რიგი გართულებებიც გამოიწვიოს.

ინაქტივირებული ვაქცინით აცრა ზედიზედ 3 წელზე მეტხანს არ შეიძლება. 1-2 წელი უარი უნდა თქვათ მასზე ან ცოცხალი ვაქცინა გამოიყენოთ.

იმუნიტეტი აცრიდან სამი კვირის შემდეგ გამომუშავდება.

თუ აცრილი არ ხართ, თან უნდა იქონიოთ ანტივირუსული პრეპარატები — არბიდოლი ან რემანტადინი და გრიპის დაწყებიდან პირველივე საათებში დაიწყოთ მკურნალობა. ეს წამლები აფერხებს ვირუსების გამრავლებას და ხოცავს მათ. თუ გაირკვევა, რომ გრიპი არ გაქვთ — ნუ გეშინიათ, ამ პრეპარატებისგან ზიანი არ მოგადგებათ.

ნუ დალევთ ანტიბიოტიკებს, თუ ამის საჭიროება (მეორადი ინფექცია) არ არის, რადგან ის ვირუსებზე არ მოქმედებს.

თუ გრიპი ორი დღის წინ დაგეწყოთ და მკურნალობას ახლა იწყებთ, რემანტადინი არ გიშველით, მხოლოდ არბიდოლი გამოიყენეთ.

ტემპერატურის მომატებისას 38,5 გრადუსამდე, თავის ტკივილისას მიიღეთ სიცხის დამწევი (პარაცეტამოლი, ანალიგინი) საშუალებები.

სვით ცხელი ჩაი ლიმონით, ჟოლოთი.

მიიღეთ პოლივიტამინი. თუ ფალსიფიცირებული არ არის, სასარგებლო იქნება ორგანიზმისათვის. ■

ყავა – დილის მეგობარი თუ მტერი?

მტერი...

ერთი ფინჯანი ყავა დღეში არავითარ ზიანს არ აყენებს ადამიანის ორგანიზმს, მაგრამ დოზის გაზრდისას, შეიძლება შემდეგი დაავადებები დაგვატყდეს თავს.

- მოუსვენრობა, ნევროზულობა, გაღიზიანებულობა
- უძილობა.
- გულის რითმის დარღვევა.
- გულისრევა.
- კუჭისა და ნაწლავების ტკივილი.
- გულძმარვა და გაღიზიანებული ნაწლავის სინდრომი.
- ყავას შეუძლია დაარღვიოს მენსტრუალური ციკლი ქალებში, რომლებიც დღეში 5 ფინჯანზე მეტს სვამენ.

დაავადებათა აღნიშნული სია იმ ადამიანებს ეხება, რომლებიც დღეში 300 მლ-ზე მეტ ყავას სვამენ. უნდა ვიცოდეთ, რომ კოფეინი ყავის გარდა, შედის სხვადასხვა საკონდიტრო ნაწარმში: შოკოლადში, ნაყინში, წამლებში, გაზიან სასმელებში. ასე რომ, ყავის სმის გარეშეც შეიძლება კოფეინის დიდი დოზის მიღება.

მეგობარი...

- კოფეინი გვმატებს სიმხნევის გრძნობას.
- გვიმატებს ყურადღების კონცენტრაციას, ენერგიულობას.
- გვიუმჯობესებს განწყობას.
- გვიმსუბუქებს თავის ტკივილს.
- ადუნებს სასუნთქი გზების კუნთებს, რაც უმსუბუქებს სუნთქვას ასთმით დაავადებულებს.
- გვეხმარება დაძაბული ფიზიკური მუშაობისა და სპორტით დატვირთვისას. ასტიმულირებს კუნთების მუშაობას.
- არის სუსტი შარდმდენი საშუალება.
- ასე რომ, დადებითი მხარეც საკმაოდ ბევრი აქვს ყავას. მთავარია, ზომიერად ვსვათ იგი.

ყავა და სიმსივნე

თუ ადამიანი დღეში 10-ზე მეტ ფინჯან ყავას სვამს, ამან შეიძლება სიმსივნის პროვოცირება გამოიწვიოს. მაგრამ 2-დან 4 ფინჯნამდე, პირიქით, ამცირებს კუჭის კიბოს, გასტრიტის (კუჭის ანთება), ღვიძლის ციროზის და პარკინსონის დაავადების განვითარებას.

როგორ დავადგინოთ, ვნებს თუ არა ყავა ჩვენს ჯანმრთელობას?

დააკვირდით, ხომ არ გაქვთ ზემოთ ჩამოთვლილი დაავადებათაგან რომელიმე, თუ გაქვთ, დროებით შეწყვიტეთ ყავის სმა. თუმცა აქ მოთმინება დაგჭირდებათ, რადგან ყავას შეჩვევა ახასიათებს და პირველ ხანებში თავისებური დაუძლეველი სურვილი გექნებათ, იგრძნობთ დაღლილობას, კუნთების, და თავის ტკივილს. ასეთი მდგომარეობა 2-3 კვირამდე გრძელდება. თუ ამის შემდეგ დაავადების ნიშნები შესუსტდება, ეს იმას ნიშნავს, რომ მისი მიზეზი ყავა ყოფილა.

როგორ დავძლიოთ ყავამანია

თანდათანობით შეამცირეთ მიღებული ყავის რაოდენობა. მაგალითად, კვირაში ერთხელ შეამცირეთ დღის განმავლობაში მიღებული ფინჯნების რაოდენობა ნახევრამდე.

უმჯობესი იქნება ყავის ჩაით შეცვლა. ფინჯანი ჩაი კოფეინის იმ რაოდენობის ნახევარს შეიცავს, რასაც – ფინჯანი ყავა.

ყავის მოქმედების ხანგრძლივობა

ყავის დალევიდან 15 წთ-ის შემდეგ იწყება ზემოქმედების განსაკუთრებით ძლიერი ტალღა. იგი 2 სთ-მდე გრძელდება, მაგრამ მხოლოდ 6 სთ-ის შემდეგ გამოდის ორგანიზმიდან კოფეინის ნახევარი. ვისაც უძილობა აწუხებს, არ უნდა დალიოს ყავა დღის 12 საათის შემდეგ, რადგან ეს მას ძილთან დაკავშირებულ სერიოზულ პრობლემებს შეუქმნის. ■

სიგარეტი ამტვრევს ძვლებს

სიგარეტის წევა საფრთხეს უქმნის არა მხოლოდ ყელს, ფილტვებს, სისხლს, გულს, კუჭს... დამღუპველი ჩვევა უარყოფითად მოქმედებს მთელ ორგანიზმზე. მაგალითად, თუ მწეველი ფეხს მოიტეხს, მას ემუქრება საშიშროება, რომ თაბაშირი ორჯერ უფრო ხანგრძლივად ატაროს, ვიდრე არამწეველმა. ტეხასში ჩატარებულმა გამოკვლევებმა აჩვენა, რომ მწეველ ადამიანებს მოტეხილობა ორჯერ უფრო ნელა უხორცდებათ, ვიდრე არამწეველებს. სიგარეტის მოყვარულებში ხდება ძვლოვანი ქსოვილის დასუსტება, რის შედეგადაც მოტეხილობების ალბათობაც მატულობს.

რა თქმა უნდა, თამბაქოს თაყვანისმცემლები მოიყვანენ უამრავ მაგალითს, როცა მწეველი ადამიანები დიდხანს ცოცხლობდნენ და ბევრ სფეროში წარმატებებსაც აღწევდნენ, მაგრამ, ალბათ, იმ ადამიანებს შეეძლოთ, კიდევ უფრო დიდხანს ეცოცხლათ და კიდევ უფრო მეტად დამტკბარიყვნენ ცხოვრებით. გავიხსენოთ:

- როდრიგო დე ხერესი, ესპანელი მოგზაური, ამერიკის მკვლევარი. იგი ითვლება პირველ ევროპელად, რომელმაც თამბაქო მოსწია. მისი მეუღლე დე ხერესის შესახებ წერდა: „იგი ყლაპავს ცეცხლს, უშვებს ბოლს, რაც მოლიანად ადასტურებს, რომ ეშმაკითაა შეპყრობილი!“
- ისაკ ნიუტონი, მათემატიკოსი, ფიზიკოსი და ფილოსოფოსი. თამბაქოს წევის ისტორიაში შევიდა არა მის მიერ მოწეული თამბაქოს რაოდენობის გამო, არამედ იმით, რომ შემთხვევით, უყურადღებობის შედეგად, საკუთარი საცოლის თითი გამოიყენა ჩიბუხის ჩასაქრობად.
- ფრიდრიხ ვილჰელმი, პრუსიის მეფე. ერთი საღამოს განმავლობაში 32 ჩიბუხი თამბაქოს მოწევას ასწრებდა.
- უინსტონ ჩერჩილი, დიდი ბრიტანეთის პრემიერ-მინისტრი. ლეგენდარული მწეველი. თუმცა თვითმხილველთა მოწმობით, ცდილობდა, მისი რაოდენობა დღეში 15 სიგარამდე შეეზღუდა.
- მარკ ტვენი, მწერალი. მხოლოდ სიგარებს ეწეოდა. თამბაქოს მწეველთა ისტორიაში ასეთი იუმორისტული ფრაზით შევიდა: „სიგარეტის გადაგდებაზე ადვილი არაფერია. პირადად მე, უკვე ასზე მეტჯერ დავანებე თავი“...

და მაინც, სცადეთ, უარი თქვათ თამბაქოზე. თუნდაც რამდენიმე სიგარეტით შეამცირეთ თქვენი დღიური ნორმა. ამით რამდენიმე დღით მაინც გაიხანგრძლივებთ სიცოცხლეს. დაგვეთანხმებით, ეს არცთუ ისე ცოტაა. ■

სიცოცხლე დაბადებამდე

მერვე კვირამდე ჩვენ ყველანი უსქესოები ვიყავით

თუმცა ყველა ახალშობილი საშუალოდ 3,2-4 კგ-ს იწონის, მათი დედიკოები ორსულობისას 10-12 კგ-ს იმატებენ. აქედან 9% პლაცენტის წონაა, 11% – სანაყოფე წყლების, 20% – საშვილოსნოს, მკერდის, თეძოების, 22% – სისხლის და ჭარბი სითხის, ხოლო ბავშვის – 38%-ია.

ორსულობის კალენდარი

მუცლადყოფნის პერიოდი საშუალოდ 280 დღე ანუ 10 მთვარის (დაახლოებით 9 კალენდარული) თვე გრძელდება. ჩანასახს ანუ ემბრიონს ექიმები უწოდებენ განვითარებად ორგანიზმს პირველი ორი თვის განმავლობაში, ხოლო მესამე თვიდან მეცხრემდე – ნაყოფს.

ორსულობის დასაწყისი აითვლება არა განაყოფიერების მომენტიდან, არამედ უკანასკნელი მენსტრუალური ციკლის პირველი დღიდან. ამიტომ ჩასახვიდან 2 კვირის შემდეგ, ორსულობის ვადა უკვე 4 კვირაა. იმ მომენტში, როცა სპერმატოზოიდი იჭრება კვერცხუჯრედში, უკვე მესამე კვირა იწყება, თუმცა ამ დროს წარმოიქმნება პირველი და მომავალი ნაყოფის უმთავრესი უჯრედი – ზიგოტა.

განაყოფიერების პირველი დღის ბოლოს იწყება მისი დაყოფა, რის შედეგადაც უჯრედი ფორმით ჟოლოს ემსგავსება. 4-5 დღის შემდეგ, ჩანასახი საშვილოსნოში ხვდება და ორი

დღის განმავლობაში მაგრდება კედელზე. ჩანასახის გარეთა შრე იწყებს ჰორმონის – ქორიალური გონადოტროპინის გამოყოფას, რაც დედის ორგანიზმს აძლევს სიგნალს, რომ დროა გარდაიქმნას. ორსულობის ყველა ტესტი, რომელიც აფთიაქებში იყიდება, სწორედ ამ ჰორმონის გამოვლენაზეა დაფუძნებული და ორსულობის ადრეული დიაგნოსტირების საშუალებას იძლევა. ექოსკოპია კი ერთი კვირით გვიან აღმოაჩენს ორსულობას.

მე-3 კვირის შემდეგ, ემბრიონს უჩნდება ღვიძლისა და კუჭქვეშა ჯირკვლის ჩანასახები, ყალიბდება ზედა სასუნთქი გზები და გული.

მე-5-6 კვირაზე, 6-მილიმეტრიან ემბრიონს უჩნდება ტვინი, ხერხემალი, ცენტრალური ნერვული სისტემა. გული ცემას იწყებს. ფორმირდება სისხლძარღვოვანი სისტემა. საჭმლის მომნელებელი სისტემა, პირი და ყბა ჩანასახოვან მდგომარეობაშია, სამაგიეროდ, კუჭი და გულმკერდი ვითარდება. წარმოიქმნება კიდურების ოთხი პაწაწინა ჩანასახი.

მე-7 კვირაზე, ემბრიონის ზომა 1,3 სმ-ია... მას უკვე აქვს ფილტვები, ნაწლავები, ღვიძლი, თირკმლები და შინგანი ღრუ ორგანოები. გული უკვე სისხლის გადასროლას იწყებს. ნერვული სისტემა ჩამოყალიბებულია. დაწყებულია ძვლოვანი უჯრედების ჩამოყალიბება. ხელებსა და ფეხებზე ჩნდება თითები.

მე-8 კვირაზე. ემბრიონის ზომაა 2,5 სმ. ყველა მთავარი ორგანო უკვე აქვს. თუმცა მათ ჯერ არ უკავიათ საბოლოო მდებარეობა სხეულში. სახე გამოხატულია: გაჩნდა ცხვირის წვერი, ნესტოები, ჩამოყალიბდა პირი. უკვე აქვს ენა. გამოიხატა მხრები, იდაყვები, თეძოები და მუხლები. Y-ქრომოსომების გავლენით, ბიჭუნებს უყალიბდებათ სათესლეები და ეწყებათ მამაკაცის სასქესო ჰორმონის – ტესტოსტერონის გამომუშავება. გოგონებში კი გარეთა სასქესო ორგანოები ჯერ არ განიცდის ცვლილებას.

მე-9 კვირიდან იწყება ნაყოფის პერიოდი. ნაყოფის ირგვლივ გროვდება სანაყოფე სითხე, სადაც ნაყოფი ვითარდება. ინტენსიურად იწყებს განვითარებას ღვიძლი, აქტიურად იზრდება კუნთები ხელებსა და ფეხებზე. ნაყოფი უკვე მოძრაობისუნარიანია, მაგრამ მისი მოძრაობა ქაოსურია, რადგან ნათხემი ჯერ არ არის ჩამოყალიბებული.

მე-10 კვირაზე, სახე მთლიანად ფორმირებულია, მაგრამ თვალები დახუჭულია. ნაწლავი გრძელდება და ეხვევა, ნაყოფს შეუძლია ყლაპვა, ტვინის ორივე ნახევარსფერო „მზადაა“.

მე-11 კვირაზე, 9-სანტიმეტრიანი ნაყოფი ამოძრავებს ხელ-ფეხს, ხელებს მუშტავს, თავს აბრუნებს, პირს აღებს, ყლაპავს, წოვს საკუთარ თითს.

მე-12 კვირაზე, პატარას ხელ-ფეხზე ეზრდება ფრჩხილები. იგი წოვს და ყლაპავს სითხეს, რომელიც მის ირგვლივაა.

მე-16 კვირაზე, უკვე შეიძლება სქესის ამოცნობა. ბავშვის გული დედისაზე 2-ჯერ სწრაფად ცემს.

მე-20 კვირაზე, ამოსდის თმა, ფორმირდება კბილები. ბავშვი რეაგირებს ხმაურზე. პატარა 25 სმ ზომისაა, წონით – 340 გ.

24-ე კვირაზე – წონა – 570 გ, ზომა – 33 სმ. ბავშვი ასლოკინებს და ახველებს – დედიკო კი ამას მსუბუქ დაკაკუნებად აღიქვამს. პატარას ესმის მუსიკა და რეაგირებს მასზე.

მე-7 თვეზე ვითარდება ტვინის ნაწილი, რომელიც ცნობიერებასა და აზროვნებაზეა პასუხისმგებელი.

32-ე კვირაზე, ბავშვი განასხვავებს სინათლეს და სიბნელეს. საშვილოსნოში უკვე სიმჭიდროვეა. პატარა ბრუნდება თავით ქვევით და ემზადება დაბადებისათვის.

მე-40 კვირაზე, ნაწლავში უჩნდება მეკონიუმი – პირველადი განავალი. დაბადებამდე კი უკვე საათებიღა რჩება. ■

ნაპოვნია სიმსუქნის გამომწვევი გენი

სოლტ-ლეიკ-სიტის ბიოტექნოლოგიურმა კომპანიამ „Myriad Genetics“ გააკეთა განაცხადი იმის შესახებ, მის მიერ აღმოჩენილია გენი, რომელიც ადამიანებში სიმსუქნეს იწვევს. გენის სტრუქტურა საშუალებას იძლევა, საკმაოდ იოლად შემუშავდეს ამ დაავადების სამკურნალო პრეპარატები. გარდა ამისა, ახალმა აღმოჩენამ შესაძლებელი გახადა მოლეკულური კავშირის დადგენა სიმსუქნესა და დიაბეტს შორის. ■

ნიუ-იორკი ასთმიანთა ჯოჯოხეთად ცნეს

ნიუ-იორკი შევიდა იმ ქალაქთა ხუთეულში, სადაც ყველაზე მეტად უჭირთ ცხოვრება ასთმიანებს. ფარმაცევტული კომპანიის „გლაქსო სმიტ კლაინის“ გამოკვლევის თანახმად, ჰაერის დაბინძურების ხარისხი ხელოვნური ნივთიერებებითა და ალერგენებით ამერიკის ამ უდიდეს ქალაქში ორჯერ უფრო მეტია, მთელ ქვეყანაში, მის საშუალო მაჩვენებელთან შედარებით. ■

ყავის პოპულარული ჯიში
ქვეყანა ვალუტით კრუზეირო
იალქანი
კომში
ლითონის თხელი საწერი ფირფიტა
ჭამის სურვილი
ვირტუალური წამყვანი I არხზე
დაწმენდილი ნატეხი შაქარი
ცეკვის ნაბიჯი
1998 წ. ზამთრის ოლიმპიადის დედაქალაქი
ადმ-ტერიტ ერთეული მეფის რუსეთში
ჭავჭავაძე
ტროპიკული სანელებელი
რომაელთა ზედა სამოსი
დიდი ცხოველის თათი
დიდი ციმბირული ირემი
მრცლეულის შესანი დიდი ნაგებობა
ებრაელთა სალოცავი
შეჯიბრი ავტომობილებით
ყრმობა და ჭაბუკობა
სამეფო კლუბი
მარლონ ბრანდოს პერსონაჟი „ნათლიაში“
ზეიმი რიო-დე-ჟანეიროში
მინა + 24% Pho
ბრაზიანი
„ტერეზა რაკენი“ (კინორეჟისორი)
ცალთვალა გოლიათი
ავადმყოფური მიდრეკილება
გაშეკი
ლეტექტური ჟურნალის ფუძემდებელი
მწერის განვითარების ბოლო სტადია
სახელმწიფო ევროპაში
კაბის გრძელი უკანა კალთა
ხასიათი, ზნე
პაგანინის საყვარელი ინსტრუმენტი
ნ/კუნძული საფრანგეთში
თამბაქოს პირველი შემომტანი საფრანგეთში
სოფელი რაჭაში
გადამდნარი კარაქი
იარაღისა და სამოვარების ქალაქი
წარმტაცული სპორტის სახეობა საქ-ში
კ/ფ „სიჩქარე“ (მსახიობი)
ლატვიის დედაქალაქი
მეზარბაზნე
შეადგინა რამაზ ალანიამ



17-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-გ; 2-ა; 3-ბ; 4-ა.
31-ე გვერდზე გამოქვეყნებული ტესტის პასუხები: 1-ა; 2-გ; 3-ა.

კვირის (25 ნოემბერი - 1 დეკემბერი) ასტროლოგიური პროგნოზი

მშვილდოსანი – 23/XI-21/XII

თქვენი ქცევა ძალზედ გადამდები იქნება: გაიცინებთ და – ყველა ხარხარს დაიწყებს, საქმეს წამოიწყებთ და იმავე საქმიანობას სხვებიც აიტაცებენ. ამის გათვალისწინებით, ამ კვირაში მხოლოდ დადებითი მუხტის ტარება გმართებთ, თორემ თავსაც უსიამოვნებას გადაჰყრით და სხვებსაც.

თხის რქა – 22/XII-20/I

ყურადღება მიაქციეთ ჯანმრთელობას: ჩვეულებრივი გადაღლისა თუ სტრესული მდგომარეობის გარდა, შეიძლება, მაგრად გაცივდეთ კიდეც. კვირის შუა პერიოდი პერსპექტიული მოლაპარაკებისთვის არის შესაფერისი, უქმეებში კი, მნიშვნელოვან სიახლეს შეიტყობთ.

მერწყული – 21/I-19/II

სამსახურშიც და ოჯახშიც, შესაძლოა, ყველა უკვე წინასაახალწლო სამზადისით იყოს დაკავებული, მაგრამ თქვენთვის ეს კვირა ძალზედ წყნარად ჩაივლის. გარშემომყოფთა ფუსფუსში თქვენ დინების საწინააღმდეგოდ მოძრავ ნავს დაემსგავსებით, სამაგიეროდ, შესაშური გონიერებითა და შორსმჭვრეტელობით შეუცვლელი იქნებით სერიოზული საკითხების გადაწყვეტისას.

თევზები – 20/II-20/III

მთელი კვირა მეტისმეტად ემოციური, დროდადრო კი, აღგზნებულიც იქნებით და თუმცა ზოგ საქმეში ეს ნამდვილად წაგადგებათ, საბოლოო ჯამში, ამჯერად, წაგებული დარჩებით: თავადაც გადაიღლებით და გარშემომყოფებთანაც გაიფუჭებთ ურთიერთობას. ასე რომ, შეეცადეთ, უფრო მეტად თავშეკავებული იყოთ.

ვერძი – 21/III-20/IV



გირჩევთ, ოთხშაბათამდე ყველა გადაუდებელ საქმეს მიხედოთ, ამის შემდგომაც არ მოდუნდეთ და განსაკუთრებით მნიშვნელოვან საზრუნავს აუცილებლად მიხედეთ: ერთი წამითაც არ უნდა მოადუნოთ ყურადღება იმ საკითხებთან მიმართებაში, რაც თქვენთვის მეტისმეტად პრინციპულია.

კურო – 21/IV-21/V

ამ კვირაში საჯარო გამოსვლის დროს გამოიჩენთ თავს, რითაც მსმენელთა მოწონებას დაიმსახურებთ. მეტისმეტად ნუ გათამამდებით, რადგან ამ წარმატებების იქით, თქვენი საქმეები დიდად წინ ვერ წაიწევს: ნებისმიერი საორგანიზაციო თუ შემოქმედებითი საქმე და, წარმოიდგინეთ, თვით საოჯახო საკითხიც, თქვენთვის ახლა გადაულახავ დაბრკოლებად შეიძლება იქცეს.

მარჩხეთი – 22/V-21/VI

ამ კვირაში ბევრ გაურკვევლობას წააწყდებით და თავადვე მოგიწევთ ყველა ამოცანის ამოხსნა. პარტნიორთა პოზიციებს თქვენ თვითონ უნდა ჩასწვდეთ და საკუთარი გეგმებიც დასახოთ. შესაძლოა, პირად ურთიერთობებშიც წარმოიქმნას რაღაც პრობლემები, რომელიც სასწრაფოდ უნდა მოაგვაროთ.

კირჩხიბი – 22/VI-22/VII

ხშირად ეცდებით სამსახურიდან თავის დაძვრენას, თუმცა, მაშინაც, როცა ადგილზე იქნებით, მაინცდამაინც დიდ ენთუზიაზმს ვერ გამოიჩენთ. ამ კვირას ძირითადად, საოჯახო საქმეებით იქნებით დაკავებული. თუ ამას ბევრი დრო დასჭირდა, უმჯობესია, თავიდანვე ჩააყენოთ საქმის კურსში უფროსობა, რადგან სამსახურიდან თქვენი ხშირი გაუჩინარება შეუმჩნეველი არ დარჩება...

ლომი – 23/VII-23/VIII



უამრავი კარგი იდეა მოგივათ, რომელიც წინასაახალწლო სამზადისაც სადღესასწაულო ელფერს შესძენს. ოღონდ, რასაც მოიფიქრებთ, თავადვე უნდა განახორციელოთ: აბა, თქვენზე უკეთ ვინ ჩასწვდება თქვენი იდეის არსს? მართალია, ამბობენ – იდეა ნახევარ საქმეს ნიშნავსო, მაგრამ თუ მის რეალიზაციას სხვას მიანდობთ, თქვენ თვითონ დაგრჩებათ დაუკმაყოფილებლობის გრძნობა.

ქალწული – 24/VIII-23/IX

ჰოროსკოპში ლოკოკინას ნიშანი რომ არსებობდეს, ამ კვირაში ზედგამოჭრილი იქნებოდა თქვენთვის: ახლა ის დროა, გამოიკეტოთ ოთხ კედელში ახლობელ ადამიანთან ერთად და წყნარ გარემოში, ატაროთ დრო... შეიძლება, მართლაც გამონახოთ ამის საშუალება, რადგან ვარსკვლავები ბობოქარ დღეებს ნამდვილად არ გიქადით.

სასწორი – 24/IX-23/X

ყველგან, სადაც კი გაჩნდებით, უმალ საღღესასწაულო განწყობა დაისადგურებს, რადგან მომხიბლაობა და მომეტებული შარმი, ნებისმიერი სახლის სასურველ სტუმრად გაქცევთ. ეცადეთ, რაც შეიძლება ნაყოფიერად გამოიყენოთ ეს მომენტი, განსაკუთრებით – საპირისპირო სქესის თქვენთვის საინტერესო წარმომადგენლებთან...

ღრიანკალი – 24/X-22/XI

შესაძლოა, მთელი თქვენი არსება იდუმალმა განცდებმა დაიპყროს. ამ მდგომარეობიდან გამოსვლას რაღაც სერიოზული მატერიალური საზრუნავი შეუწყობს ხელს, რომელიც კვირის შუა პერიოდიდან არის მოსალოდნელი. ნუ გადაჰყვებით გრძნობებს, განსაკუთრებული ყურადღება გამოიჩინეთ და დაუფიქრებლად ნუ დახარჯავთ ფულს.

სწორად გყავთ თუ არა არჩეული ცხოვრების თანამგზავრი?

ალბათ ცხოვრებაში ბევრი მომხიბვლელი და სიმპათიური მამაკაცი შეგხვედრიათ. დაფიქრებულხართ თუ არა იმაზე, თუ რატომ შეარჩიეთ მაინცდამაინც ის?! მით უმეტეს, რომ ხანდახან გეჩვენებათ, რომ თქვენი რჩეული არც ჭკუითაა გამორჩეული და არც შესახედაობით.

ამ და სხვა მსგავს შეკითხვებზე პასუხის გაცემაში ქვემოთ მოყვანილი ტესტი დაგეხმარებათ. ყურადღებით გაეცანით შეკითხვებს და სავარაუდო პასუხებიდან შეარჩიეთ ერთ-ერთი.

1) გეჩვენებათ თუ არა, რომ თქვენს რჩეულს ვაუკაცობა აკლია?

ა) არა, ის საკმაოდ ვაუკაცურია;

ბ) თქვენ ეს არ გაღელვებთ;

გ) ხანდახან.

2) გეჩვენებათ თუ არა თქვენი რჩეული მომხიბვლელად სხვა მამაკაცებთან შედარებით?

ა) მიგაჩნიათ, რომ ის ყველაზე სიმპათიურია;

ბ) ფიქრობთ, რომ ის საკმაოდ მომხიბვლელია;

გ) ის საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ უფრო მომხიბვლელი მამაკაცებიც არსებობენ.

3) უფრო ხშირად, რომელი იღებს რჩევას?

ა) თქვენ;

ბ) ის;

გ) ამას არ დაჰკვირვებიხართ.

4) თქვენი აზრით, რომელია თქვენ შორის უფრო ძლიერი?

ა) ის;

ბ) ერთმანეთს იდეალურად ავსებთ;

გ) თქვენ.

5) ჩვეულებრივ, ვის ეკუთვნის ბოლო სიტყვა კამათის დროს?

ა) უფრო ხშირად, დათმობაზე თქვენ მიდიხართ;

ბ) კამათის დასრულებას დიდი დრო სჭირდება;

გ) თქვენი კამათი საკმაოდ მძიმე თემაა.

6) გაბრაზების მომენტში, რა სიტყვების მოსმენა გიწევთ მისგან?

ა) იმის, რომ უსუსური ხართ და მის გარეშე ერთ დღესაც ვერ გაძლებთ;

ბ) იმის, რომ ძალიან გიყვართ ფუჭი კამათი;

გ) იმის, რომ ძალიან ჯიუტი ხართ.

7) ხართ თუ არა იმედიანად და გრძნობთ თუ არა თავს უსაფრთხოდ, როცა თქვენი რჩეული თქვენ გვერდითაა?

ა) დიახ, საკმაოდ უსაფრთხოდ;

ბ) გარკვეულწილად;

გ) არ გიგრძნიათ.

8) გიფიქრიათ თუ არა ოდესმე გაყრაზე?

ა) არა, არასოდეს;

ბ) ხანდახან;

გ) კი, საკმაოდ სერიოზულად.

9) როგორ ატარებთ თავისუფალ დროს?

ა) ძირითადად, თავისუფალ დროს მარტო ატარებთ, რადგან იგი ძალიან დაკავებულია;

ბ) ცდილობთ, ეს დრო ერთად გაატაროთ;

გ) ფიქრობთ, რომ ერთად უფრო ხშირად ხართ, ვიდრე ეს საჭიროა.

10) როგორ გგონიათ, კარგად იცნობთ მას?

ა) ყველაფერი არ იცით მის შესახებ, მაგრამ ცდილობთ, თქვენგან დამალული არაფერი ჰქონდეს;

ბ) მის შესახებ თითქმის ყოველდღე ახალ-ახალს იგებთ;

გ) ერთმანეთს მშვენივრად იცნობთ.

11) როგორი დამოკიდებულება აქვს თქვენს რჩეულს თავისი „ძველი ნაცნობი ქალების" მიმართ?

ა) მუდამ უკვირს, როგორ შეეძლო თქვენამდე ვინმე ჰყვარებოდა;

ბ) ჩვეულებრივად იხსენებს;

გ) სიამოვნებით საუბრობს.

12) რა აზრი გებადებათ უმეტესად, როცა თქვენი საყვარელი მამაკაცის შესახებ ფიქრობთ?

ა) მის გვერდით თავს ბედნიერად გრძნობთ;

ბ) გრძნობთ, რომ ძალიან გიყვართ;

გ) გიხარიათ, რომ მასაც უყვარხართ.

რომელი ჯგუფის პასუხები ჭარბობს თქვენს შერჩეულ ვარიანტში:

თუ ჭარბობს ა), თამამად შეიძლება თქვას, რომ თქვენ ძალიან ბევრი რამ გაკავშირებთ, გრძნობა, ერთგულება, ნდობა, მაგრამ მთავარი ისაა, რომ თქვენ იცით — მისთვის მეტისმეტად საჭირო არსება ხართ. თქვენ ის ძალიან გიყვართ, ის კი ამ გრძნობას ღირსეულად აფასებს კიდეც. თქვენ მისგან „ნამდვილი მამაკაცი" შექმენით და კვლავ ცდილობთ, რათა ყველგან და ყველაფერში გამორჩეული იყოს. დარწმუნებული ხართ, რომ თქვენი არჩევანი სწორია, მაგრამ ნუ მოერიდებით მის კრიტიკას და მცირეოდენ შენიშვნებს, ეს თქვენს ურთიერთობას მხოლოდ სასიკეთოდ წაადგება და თქვენც ღირსეულ ადგილს დაიმკვიდრებთ.

თუ ჭარბობს ბ), ცდილობთ, არასოდეს მოიცილოთ საყვარელი ადამიანი გვერდიდან მხოლოდ იმიტომ, რომ გეშინიათ, მოულოდნელად არ მიგატოვოთ. ძნელი სათქმელია, სწორია თუ არა თქვენი არჩევანი, რადგან მუდამ იმის შიშში ხართ, როდის ჩაალაგებს თქვენი რჩეული ნივთებს. ურთიერთობაში დაძაბულობა და გაუგებრობა ყოველდღიურად გემატებათ. ამას შეიძლება საკმაოდ მძიმე შედეგებიც მოჰყვეს და თქვენი, ერთი შეხედვით „იდეალური კავშირი", ერთ დღეში დაინგრეს.

თუ ჭარბობს გ) ვარიანტი — საკუთარ თავსაც არ უტყდებით, მაგრამ აშკარაა, რომ თქვენი ურთიერთობა შეცდომაა. საკუთარ პრობლემებს და განცდებს ერთმანეთს ორივე უმალავთ. მიუხედავად ამისა, ახლაც დარწმუნებული ხართ, რომ იდეალური პარტნიორი გყავთ. იმას კი აღარ უკვირდებით, რომ თქვენი თანაცხოვრება ნამდვილი ბრძოლაა. იქნებ გეცადათ და უფრო დამთმობი ყოფილიყავით, იქნებ თქვენს საყვარელ მამაკაცს თქვენ მიმართ მზრუნველობის და სინაზის გამოვლენა სწყურია.

თუ რომელიმე ვარიანტის პასუხები თანაბარი რაოდენობით დააგროვეთ, ორივე შედეგს გაეცანით და გაითვალისწინეთ, რომ თითოეული მათგანიდან გარკვეული ნაწილი შეგეფერებათ.

მოთამაშე მონიტორს 9 თვე ახ მოშორებია

ტაივანის ერთ-ერთ ინტერნეტ-კაფეში ელექტრონული თამაშების ფანატმა ცხრა თვე კომპიუტერთან გაატარა. მთელი ამ ხნის მანძილზე მას არ უბანავია, ამიტომ კაფეს სხვა კლიენტებმა იგი თითქმის იძულებით გაისტუმრეს შხაპის მისაღებად, რათა ბოლოს და ბოლოს, თავი დაეღწიათ უსიამოვნო სუნისგან. მწვანე გიგანტის მეტსახელით ცნობილი ტაივანელი, მონიტორს თითქმის არ შორდება და ძალზე იშვიათად დგება სავარძლიდან. მისთვის კაფეს მომსახურე პერსონალს საკვები პირდაპირ „სამუშაო ადგილზე“ მიაქვს. ერთ-ერთი ფანატის თქმით, ინტერნეტ-კაფეში ცხოვრება ბევრად უფრო იაფია, ვიდრე პანსიონში. მწვანე გიგანტს კი არც სამუშაო აქვს და არც საცხოვრებელი ადგილი. კუნძულზე ინტერნეტ-კაფეები დიდი პოპულარობით სარგებლობს, დაწესებულებები 24 საათის განმავლობაში მუშაობს და ასი-ათასობით კლიენტი ჰყავს, ძირითადად, მაინც ახალგაზრდობა. მსოფლიო ქსელში ერთი საათით ჩართვა 0,5 დოლარზე მეტი არ ღირს. ამ ტიპის დაწესებულებების მეპატრონეთა თქმით, ზოგიერთი კლიენტი ცხოვრების უმეტეს ნაწილს კაფეში ატარებს და შინ კვირაობით და ზოგჯერ თვეობითაც არ მიდის. ამ ცოტა ხნის წინ, ერთი ახალგაზრდა ფანატი პირდაპირ დარბაზში, კომპიუტერთან „ომობანას“ თამაშისას გარდაიცვალა. ■

მუსლიმანები სილამაზის კონკურსის ჩატარებას ეწინააღმდეგებიან

პლანეტის ულამაზესი გოგონები თავს იყრიან ნიგერიაში „მის მსოფლიოს“ კონკურსში მონაწილეობის მისაღებად. ღონისძიების ჩატარებამდე, ქვეყანაში გახმაურებული სკანდალი მოხდა: ცოტა ხნის წინ, ნიგერიის შარიათის სასამართლომ ქმრის ღალატისთვის ერთ ქალს ჩაქოლვის განაჩენი გამოუტანა. ვინმე ამინა ლავალმა ბავშვი ქორწინების გარეშე გააჩინა. სასამართლომ მხედველობაში არ მიიღო ის ფაქტი, რომ ლავალის შვილის მამა მისი ყოფილი ქმარი იყო.

ქვეყანაში შექმნილი დაძაბულობისა და საერთაშორისო თანამეგობრობის კრიტიკის ფონზე, ნიგერიაში კონკურსის ჩატარება ეჭვქვეშ დადგა. შოუში მონაწილეობაზე უკვე თერთმეტმა კონკურსანტმა განაცხადა უარი. ნიგერიაში ადამიანის უფლებების დარღვევასთან დაკავშირებით, ბრიტანეთის უფლისწულმაც გამოთქვა პროტესტი და სილამაზის კონკურსისადმი მიძღვნილ საქველმოქმედო ღონისძიებაში მონაწილეობას აღარ აპირებს. ამის პარალელურად, „მის მსოფლიოს“ კონკურსის წინააღმდეგ ადგილობრივი მუსლიმანებიც გამოდიან – ისინი აცხადებენ, რომ ამგვარი ღონისძიების ჩატარება ისლამის კანონებს ეწინააღმდეგება. ■

მაფიოზი პოლიციას ჩაჰბარდა

სიცილიის დანაშაულებრივი დაჯგუფების ცნობილ მეთაურს – ბენედეტო მარჩიანტეს, რომელსაც უამრავი ადამიანის ცოდვა ადევს კისერზე, სასამართლომ ჩადენილი მკვლელობისათვის 30-წლიანი პატიმრობა მიუსაჯა (დაუსწრებლად). ბოლო რამდენიმე წლის განმავლობაში ის, ისევე როგორც მისი არაერთი კოლეგა, მართლმსაჯულებას თავს არიდებდა. თუმცა, ამ ცოტა ხნის წინ, იგი თავად გამოცხადდა პოლიციაში აღიარებით. მისი თქმით, ასეთი უჩვეულო ნაბიჯი მას რომის პაპის – იოანე-პავლე მეორის იტალიის პარლამენტში წარმოთქმულმა სიტყვამ გადაადგმევინა, რომლის ტრანსლაციაც ნაციონალური ტელევიზიის არხზე მიმდინარეობდა. ისტორიის მანძილზე ეს იყო პონტიფიკატის პირველი გამოსვლა იტალიის საკანონმდებლო თავყრილობაზე, სადაც იოანე-პავლე მეორე ქრისტიანობისა და ოჯახური ღირებულებების მნიშვნელობასა და ქვეყნად მშვიდობის დამყარებაზე საუბრობდა. პაპის სიტყვების მოსმენამ სენიორ მარჩიანტეს რელიგიური გრძნობები იმდენად გაუღვივა, რომ მან თავის სიცოცხლეში პირველად გადაწყვიტა, ადამიანურ და ღვთიურ კანონებს დამორჩილებოდა. ამის შემდეგ მოხუცი მაფიოზი საკუთარი ნებით ჩაჯდა ციხეში. ■

ფეხბურთელმა მსაჯის ჯოცნა სცადა

ჰოლანდიის სამოყვარულო ფეხბურთის ასოციაციამ ერთ-ერთი გუნდის ფეხბურთელს 5-მატჩიანი დისკვალიფიკაციის სასჯელი გამოუტანა. მოთამაშე, რაოდენ უცნაურადაც არ უნდა გეჩვენოთ, მსაჯის კოცნის მცდელობისთვის დაისაჯა. მთელი მატჩის განმავლობაში, ფეხბურთელი, რომლის სახელსაც არ ამხელენ, საკმაოდ უხეშად თამაშობდა. ამის გამო, მსაჯმა იგი ორჯერ გააფრთხილა. წითელი ბარათის მიღების შემდეგ, კაცთმოყვარე ჰოლანდიელი მოთამაშე არბიტრს მიუახლოვდა და მისთვის ტუჩებში კოცნა სცადა. სპორტსმენს მინდორი ძალით დაატოვებინეს. ფეხბურთის ჩინოვნიკებმა, დისკვალიფიკაციის ფორმულირებისას განაცხადეს, რომ ფეხბურთელი „არასპორტული საქციელის“ გამო, ხუთ მატჩს გამოტოვებს. ■

„ალვისახსნილი“ მეშოკოლადეები

საფრანგეთში შოკოლადის ყოველწლიური სალონი გაიხსნა. სხვადასხვა ქვეყნიდან პარიზში ჩასული მწარმოებლები, დამსწრეთ თავიანთ პროდუქციასა და რეცეპტებს აცნობენ. შოკოლადის ფაბრიკების მესვეურების გარდა, სალონზე მოდელიერებიც შეიკრიბნენ და შოკოლადის სხვადასხვა სახეობისგან დამზადებული თავიანთი უნიკალური სამოსი წარმოადგინეს. მათ შორისაა ესტელა კადენტეს მიერ შექმნილი შოკოლადის კაბა.

ეს სალონი საფრანგეთში 1995 წლიდან ტარდება. ამგვარი „შოკოლადური დღესასწაულები“ ნიუ-იორკსა და ამსტერდამშიც ეწყობა. ■